სამეცნიერო რეცენზირებადი/რეფერირებადი ჟურნალი
Scientific peer-reviewed journal

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე

BULLETIN

OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

№1(15)

ქუთაისი
KUTAISI

2020

ISSN 2233-3711

მთავარი რედაქტორი: **ნესტან კუტივაძე**	Editor: **Nestan Kutivadze**
პასუხისმგებელი მდივანი: **ოთარ ნიკოლეიშვილი**	Executive Secretary: **Otar Nikoleishvili**
ელექტრონული გამოცემის რედაქტორი: **გიორგი ჭიჭინაძე**	Electronic Journal Editor: **Giorgi Chichinadze**

სარედაქციო კოლეგია:	**EDITORIAL BOARD:**
იმერ ბასილაძე (საქართველო)	**Imer Basiladze** (Georgia)
თამაზ გვენეტაძე (გერმანია)	**Tamaz Gvenetadze** (Germany)
რეუვენ ენოხი (ისრაელი)	**Reuwen Enoch** (Israel)
ომარ კიკვიძე (საქართველო)	**Omar Kikvidze** (Georgia)
შოთა ლომინაშვილი (საქართველო)	**Shota Lominashvili** (Georgia)
ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია)	**Vladimer Menshikov** (Latvia)
ავთანდილ ნიკოლეიშვილი (საქართველო)	**Avtandil Nikoleishvili** (Georgia)
გიორგი ონიანი (საქართველო)	**Giorgi Oniani** (Georgia)
ივანე საღინაძე (საქართველო)	**Ivane Saghinadze** (Georgia)
ჯეიმს ლ. ტორსონი (აშშ)	**Jeims L. Torson** (U.S.A.)
ვახტანგ ქობალია (საქართველო)	**Vakhtang Kobalia** (Georgia)
გიორგი ღავთაძე (საქართველო)	**Giorgi Ghavtadze** (Georgia)
თემურ ღვინიანიძე (საქართველო)	**Temur Ghvinianidze** (Georgia)
გულნარა შელია (საქართველო)	**Gulnara Shelia** (Georgia)
გიორგი ჩირაძე (საქართველო)	**Giorgi Chiradze** (Georgia)
ნინო ჩიხლაძე (საქართველო)	**Nino Chikhladze** (Georgia)
ფოლკმარ ჰანზენი (გერმანია)	**Folkmar Hanzen** (Germany)
იორგ ჰარდი (დიდი ბრიტანეთი)	**Joerg Hardy** (UK)

2019 წლიდან განთავსებულია EBSCO-ს
(Central & Eastern European Academic Source) სამეცნიერო ბაზაში
It has been included in EBSCO since 2019

ინგლისურენოვან ტექსტზე პასუხისმგებელი: **თამარ გრიგალაშვილი**	Responsible for English Text: **Tamar Grigalashvili**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **შორენა ხუნდაძე**	Computing: **Shorena Khundadze**

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
E-mail:atsugamomcemloba@gmail.com

© Printed by Akaki Tsereteli State University

59 Tamar Mepe Str. Kutaisi 4600, Tel: 24 00 21
E-mail:atsugamomcemloba@gmail.com

შინაარსი
CONTENTS

აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებანი
Agricultural and Biological Sciences

ვახტანგ ქობალია
საადრეო მანდარინის პერსპექტიული ჰიბრიდების ნაყოფების
ხარისხობრივი მაჩვენებლები.....8
Vakhtang Kobalia
Qualitative Indicators of Prospective EarlyTangerine Fruit Hybrids.....14

გულნარა ხეცურიანი, თამარ ჩომახიძე
ყურძნის წიპწის გადამუშავების პროდუქტების
გამოყენების პერსპექტივები საქართველოში 17
Gulnara Khetsuriani, Tamar Chomakhidze
The Prospects for Using Grape Seed by-Products in Georgia.....21

ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები
Arts and Humanities

David Gegechkori
Henry Kissinger and Foreign Policy of USA 25
დავით გეგეჭკორი
ჰენრი კისინჯერი და აშშ – ს საგარეო პოლიტიკა.....31

გიორგი ჭიჭინაძე
გრაფი დე ვოგის მოგზაურობა ქუთაისში.....36
Giorgi Chichinadze
Travel of Count de Vogue to Kutaisi.....39
მარი ეუჟინ მელქიორ დე ვოგი
მეფე და მისი ხალხი ან სოციალური ცხოვრება რუსეთში (ნაწყვეტი).....41

ნათია არველაძე
ესთეტური შეფასების ეპითეტები ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში
(ჰომეროსი, აპოლონიოსი, ვერგილიუსი).....50
Natia Arveladze
Esthetic Epithets in Ancient Epic Poetry
(Homer, Apollonius, Virgil).....58

ნატალია იობიძე
პრომეთე ანუ კავკასიონი
(ინფორმატული ფუნქციის მქონე სათაურები
ძველბერძნულ ლიტერატურაში).....63

Natalia Iobidze
Prometheus or the Caucasus
(Titles comprising informative function in Greek Literature).....70

Mariam Nemsadze
Female Parrhesiastes in the Political Life of Polis (Aristophanes' Comedies: "Lysistrata", "Thesmophoriazusae" and "Ecclesiazusae").....73
მარიამ ნემსაძე
თავისუფლად მეტყველი ქალები პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში (არისტოფანეს კომედიების: „ლისისტრატე", „ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე", „ქალები სახალხო კრებაზე" მიხედვით).....79

ნათია პერტაია
შექსპირის ჰამლეტი და ძველბერძნული ტრაგიკული კატეგორიები (ანალიტიკური თეორიები).....83
Natia Pertaia
Hamlet by Shakespeare and Ancient Greek Tragic Categories
(Analytic Theories).....96

ნინო ჩიხლაძე
ეპიდემია და ანტიკური ლიტერატურა.....100
Nino Chikhladze
Epidemic and Ancient Literature 109

ნანული კაკაურიძე
დრამის თეორიის ერთი საკითხისათვის ლესინგისა
და დიდროს ესთეტიკაში.....114
Nanuli Kakauridze
On One Issue of Drama Theory in the Aesthetics of
Lessing and Diderot.....120

ნესტან კუტივაძე
აკაკი წერეთლის რეცეფცია აკა მორჩილაძის ნარატივში
(„ქართულის რვეულები").....122
Nestan Kutivadze
Akaki Tsereteli's Reception in Aka Morchiladze's Narrative
("Georgian Notebooks").....131

ბიზნესი, მენეჯმენტი და ბუღალტრული აღრიცხვა
Business, Management and Accounting

სერგო სვანაძე
სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ფუნქციონირების ასპექტები.....136
Sergo Svanadze
Aspects of Functioning of State Procurement System.....142

ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები
Economics, Econometrics and Finance

აკაკი ბაკურაძე
სტაბილიზაციის პოლიტიკის და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ერთი საკითხის შესახებ.....147
Akaki Bakuradze
Addressing an issue of stabilization policy and populationv income growth.....154

საინჟინრო საქმე
Engineering

ივანე საღინაძე
გეომორფოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზები საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონებში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.....158
Ivane Saghinadze
Ways to solve geomorphological problems in the Black Sea regions of Georgia using innovative technologies.....169

მათემატიკა
Mathematics

რაჟდენ ხაბურძანია
ასიმპტოტურ ბადეთა შესახებ სამგანზომილებიან აფინურ არასაკუთრივ ჰიპერსიბრტყეში.....175
Razhden Khaburdzania
Asymptotic Nets in the Improper Three-dimensional Affine Hyperplane.....183

თეიმურაზ სურგულაძე
მოძრაობის განტოლება ბლანტი დრეკადობის სამგანზომილებიანი წილადური მოდელისათვის 187
Teimuraz Surguladze
The Equation of Motion for a Three-Dimensional Fractional Model of Viscoelasticity.....202

აგრარული და ბიოლოგიური მეცნიერებანი

Agricultural and Biological Sciences

აგრონომია და მეცნიერება მცენარეთა შესახებ

საადრეო მანდარინის პერსპექტიული ჰიბრიდების ნაყოფების ხარისხობრივი მაჩვენებლები

ვახტანგ ქობალია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
vaxtangi.kobalia@atsu.edu.ge

მანდარინის კულტივირების ეფექტურობის კიდევ უფრო ამაღლებისათვის, ქვეყნის საერთო საექსპორტო პოტენციალში მისი როლის უფრო მნიშვნელოვანი გაზრდისათვის აუცილებელია ინტენსიური ტიპის მეურნეობების (ბაღების) შექმნა. ნაყოფების მოსავლის მატებასთან ერთად მნიშვნელოვანია ასევე გაიზარდოს მათი წარმოების ვადა (პერიოდი), ნაყოფების ხარისხი, სტრესული ფაქტორებისადმი ადაპტურობა. ამ მიმართულებით ეფექტური ადგილობრივი საადრეო მანდარინის ჯიშების მისაღებად სხვადასხვა კომბინაციებში ჩატარებული შეჯვარებების შედეგად მიღებული 14 პერსპექტიული ჰიბრიდის ნაყოფების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლის საფუძველზე ნაყოფის ხარისხზე შემდგომ სელექციურ მუშაობაში როგორც ყველაზე საინტერესო საწყისი მასალა, გამორჩეულია ჰიბრიდები #0722-21 და #0927-67.

საკვანძო სიტყვები: *მანდარინი, სელექცია, შეჯვარება, ჰიბრიდები, ჯიში, ნაყოფის ხარისხი.*

შესავალი. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მეციტრუსეობაში არსებული პრობლემების მიუხედავად, იგი მაინც რჩება საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად. ამის მიზეზი ციტრუსოვანი კულტურების დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, მათი განვითარებისათვის ხელსაყრელი კლიმატური-ნიადაგურ პირობები, არსებულ კულტურათა მრავალფეროვნება, მოსახლეობის საუკუნოვანი სიყვარული, მოვლა-მოყვანის უძველესი ტრადიციები და ეკონომიკური ეფექტურობაა (ბარათაშვილი...2016: 7).

აგრო-ბიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდენარე, დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში ძირითად, უკონკურენტო საწარმოო ციტრუსოვან კულტურას წარმოადგენს მანდარინი (Citrus reticulata Blan.). მისი ნაყოფები გამოირჩევა მაღალი კვებითი, დიეტური და სამკურნალო ღირებულების მქონე მდიდარი ქიმიური შედგენილობით და საუცხოო გემური თვისებებით (გოგია 1979: 197–207; ქობალია 2018: 52). საქართველოში ციტრუსოვანი კულტურებიდან მანდარინზე მოდის 90%-ზე მეტი. 2019 წელს ქვეყნიდან ექსპორტზე 31 ათას

ტონაზე მეტი მანდარინის ნაყოფი გაიგზავნა და იგი ყოველწლიურად იზრდება (მაგალითად, წინა წელთან შედარებით ამ მხრივ ზრდა 5% იყო). ბაზრის მოთხოვნილება კი კიდევ უფრო მეტად იზრდება. ამიტომ აუცილებელია მანდარინის კულტივირების ეფექტურობის კიდევ უფრო ამაღლება, ქვეყნის საერთო საექსპორტო პოტენციალში მისი როლის უფრო მნიშვნელოვანი გაზრდა, რისთვისაც აუცილებელია ინტენსიური ტიპის მეურნეობების (ბაღების) შექმნა, რომლის ხელშეწყობა ბოლო პერიოდში მთავრობის ერთ-ერთი ძირითად პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს. მანდარინის ნაყოფების მოსავლის მატებასთან ერთად მნიშვნელოვანია გაიზარდოს მათი წარმოების ვადა (პერიოდი), რათა მსოფლიო ბაზარს მანდარინის პროდუქცია მიეწოდოს და შესაბამისად ექსორტიდან შემოსავალი ქვეყანამ მიიღოს უფრო ხანგრძლივი დროის (პერიოდის) მანძილზე, ვიდრე ამჟამინდელი 2-3 თვეა. ასევე აქტუალურია მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე პროდუქციის წარმოება. ყველაფერი აღნიშნული, სხვა ფაქტორებთან ერთად, ეფუძნება უხვმოსავლიან, ადრემწიფად, კარგი ხარისხის ნაყოფის მქონე, ყინვაგამძლე და მავნებელ-დაავადებათა მიმართ რეზისტენტულ, კოპაქტური ზრდის როგორც ადგილობრივი, ისე შემოტანილი ჯიშების გამოყენებას (ბარათაშვილი...2016: 8). ჯიში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან ფაქტორს. რიგი მეცნიერის მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში წარმატებების 20-70% განპირობებულია ჯიშის სელექციური გაუმჯობესებით, დანარჩენი - აგროტექნოლოგიის სრულყოფით (Жученко 2009: 201).

ადგილობრივი ჯიშების შექმნის ერთ-ერთ ეფექტურ სელექციურ ხერხს წარმოადგენს ჰიბრიდიზაცია. მანდარინის შეჯვარება სხვადასხვა გენოტიპებთან ნიშან-თვისებების ახალი შეთანაწყობის მიღების დიდ შესაძლებლობას იძლევა. როგორც ახლონათესაური, ისე განსაკუთრებით, შორეული ჰიბრიდიზაციის დროს შეიძლება მიღებულ იქნას საწყისი ფორმებისაგან განსხვავებული ახალი ფორმები, თაობაში გაერთიანდეს მშობლების ნიშან-თვისებები, ზოგჯერ კი გასწორდეს ჯიშის ცალკეული უარყოფი მახასიათებლები. მშობელთა წყვილების შერჩევას, ასევე მიღებულ სასელექციო მასალასთან მუშაობის მეთოდებს დიდი მნიშვნელობა აქვს სელექციური მუშაობის წარმატებაში (სურგულაძე 1976: 79; Кулян 2018: 19).

კვლევის მიზანი, ამოცანები და ობიექტი. საადრეო მანდარინის ახალი მაღალმოსავლიანი, ადრემწიფადი, კარგი ხარისხის ნაყოფის მქონე, ყინვა- და მავნებელ-დაავადებათა მიმართ გამძლე ჯიშებისა და ფორმების მიღების მიზნით ყოფილი საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფ. მამფორიას სახელობის ციტრუსოვანთა სელექციასა და გენეტიკაში სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიაში (ამჟამად აწსუ-ს აგრარულ მიმართულებათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი) 2005-2009

წლებში სხვადასხვა კომბინაციებში (შეჯვარებაში მშობელთა ფორმებად გამოყენებილ იქნა: დედა კომპონენტად - ადრეულა, მიაგავა-ვასე, კოვანო-ვასე, ფართოფოთლიანი უნშიუ და მისი ნუცელარული თესლნერგები 0966, 01035; მამა კომპონენტად – ჰიბრიდი 05345ᵃ (ფართოფოთლიანი უნშიუ x გრეიპფრუტი დუნკანი), რთული ჰიბრიდი 0526/56 (უნშიუ x P. trifoliata) x შივა მიკანი, P. trifoliata) ჩატარებული შჯვარებების შედეგად მიღებული მრავალრიცხოვანი ჰიბრიდული მასალიდან მორფოლოგიური კორელაციური ნიშნების მიხედვით გამორჩეულ იქნა თავიდან 37, შემდეგ 14 პერსპექტიული ჰიბრიდი. აღნიშნული სელექციური ფორმების (2010 წელს დამყნილი ტრიფოლიატას საძირეზე) შემდგომი გამოკვლევები ტარდება აწსუ-ს აგრარული ფაკულტეტის სენაკის რაიონის ნოსირის სასწავლო-კვლევითი მეურნეობის საცდელ ნაკვეთზე. სასელექციო მასალასთან მუშაობისას ფორმების შეფასებას ვახდენდით ფენოტიპის მიხედვით, მშობელი ფორმების შერჩევისას გამოყენებულ იქნა სასურველი ნიშნების (მოსავლიანობა, ადრემწიფადობა, ნაგალა ზრდა, არახელსაყრელი ფაქტორებისადმი გამძლეობა, ნაყოფების ბიოქიმიური შედგენილობა) არსებობის კრიტერიუმი, მშობელ ფორმებს არ უნდა ჰქონოდა ერთნაირი უარყოფითი ნიშნები, ერთ-ერთ მშობელ ფორმას უნდა ჰქონოდა დიდი რაოდენობის დადებითი თვისებები და სხვა. წინამდებარე სტატიაში მოტანილია 2017-2019 წლებში ამ ფორმების ნაყოფების ხარისხობრივი მაჩვენებლების შეფასების შედეგები (იხ. ცხრილი).

კვლევის შედეგები. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მანდარინის კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიმართ მოთხოვნები საკმაოდ გაზრდილია – ნაყოფების სასურველ ქიმიურ შედგენილობასთან (ძვირფასი კვებითი, ბიოლოგიურად აქტიური და მშრალი ნივთიერებების შემცველობა) ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაყოფების გარეგნობას, ერთგვაროვნებას, შეფერილობას, კანის სისქეს და მოცილებას, უთესლობას, ტრანსპორტაბელობას და სხვა. სამი წლის განმავლობაში ჩატარებულმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საკვლევი მცენარეების ნაყოფებიდან ყველაზე თხელი დ რბილობიდან ადვილად მოსაცილებელი კანი აღმოაჩნდა ჰიბრიდების ##0927-67, 0722-21 და 0519/2 ნაყოფებს. ექსპერიმენტის წლებში საცდელი მცენარეების პროდუქტიულობა საშუალოდ მერყეობს 22,5 კგ-სა და 32,5 კგ-ს შორს. მხოლოდ სამი ჰიბრიდის (##0512ა, 0519/2, 0537ა) მაჩვენებელი ჩამორჩება საკონტროლო მანდარინ ადრეულას ანალოგიურ მაჩვენებელს – 26,5 კგ-ს. დაკვირვების წლებში ნაყოფმსხმოიარობის მიხედვით ყველაზე გამორჩეული არიან ჰიბრიდები ##0722-21 - 32,5 კგ, 0724-21 – 31,9 კგ, 0613-17 – 31,5 კგ, 0927-67 – 30,9 კგ, 0532-17 – 29,8 კგ და 0744/13 – 29,5 კგ. პროდუქტიულობაზე დაკვირვებამ ასევე გვიჩვენა, რომ იგი დიდადაა დამოკიდებული მშობელ ფორმაზე, კერძოდ, მამა კომპონენტად ჰიბრიდების

#05345ა და #0526/56 გამოყენებით მიიღება მაღალი და რეგულარული მოსავალი.

ნაყოფების მექანიკური შედგენილობის ანალიზით დადგინდა, რომ საკვლევი მცენარეების ნაყოფების მასა საშუალოდ ვარირებს 71,1 გრამიდან 137,8 გრამამდე. ჰიბრიდების ##0711/1, 0632-12, 0724/3, 0711/1 ნაყოფების საშუალო მასა 1,5-1,8 ჯერ აღემატება საკონტროლოს. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ უმეტესი მსხვილნაყოფიანი ფორმები მიღებულია მამა კომპონენტად მანდარინისა და გრეიპფრუტის შეჯვარებით მიღებულ მსხვილნაყოფა ჰიბრიდ 05345ა-ს მონაწილეობით. სხვა მსხვილნაყოფიანი ფორმებიდან აღსანიშნავია ჰიბრიდები ##0512ა (98,5 გრ), 0912-2 (97,4 გრ) და 0927-67 (89,2 გრ).

საადრეო მანდარინის ჰიბრიდების ნაყოფების მექანკური და ბიოქიმიური შედგენილობა

ჰიბრიდის ნომერი	კომბინაცია	პროდუქტიულობა, კგ	მასა, გ			მშრალი ნივთიერება, %	შაქრები, %	მჟავიანობა, %	შაქარ/მჟავას ინდექსი
			ნაყოფის	რბილობის	კანის				
0724/3	მანდარინი ადრეულა x ჰიბრიდი 05345ა	**28,6**	**118,9**	**97,5**	**21,4**	**10,2**	**8,71**	**0.98**	**8,8**
0711/1	მანდარინი ადრეულა x ჰიბრიდი 05345ა	**28,9**	**137,8**	**116,7**	**21,1**	**10,2**	**9,12**	**0,99**	**9,2**
0632–12	მანდარინი ადრეულა x ჰიბრიდი 05345ა	**27,3**	**119,2**	**95,4**	**23,8**	**8,4**	**8,75**	**0,98**	**8,9**
0519/2	მანდარინი ადრეულა x ჰიბრიდი 05345ა	**23,6**	**85,2**	**77,8**	**7,4**	**9,0**	**7,02**	**1,09**	**6,4**
0912–2	მანდარინი ადრეულა x ჰიბრიდი 05345ა	**28,2**	**97,4**	**81,6**	**15,8**	**9,7**	**9,24**	**1,01**	**9,2**
0744/13	მანდარინი ადრეულა x ჰიბრიდი 0526/56	**29,5**	**74,8**	**67,1**	**7,7**	**8,5**	**8,07**	**1,20**	**6,7**
0618–11	მანდარინი ადრეულა x ჰიბრიდი 0526/56	**28.9**	**71,1**	**62,2**	**8,9**	**9,7**	**8,15**	**1,27**	**6,4**

0724–21	მანდარინი ადრეულა x ჰიბრიდი 0526/56	**31.9**	**75,1**	**67,7**	**7,4**	**9,0**	**7,50**	**1,15**	**6,5**
0927–67	მანდარინი მიაგავა–ვასე x ჰიბრიდი 0526/56	**30,9**	**89,2**	**82,5**	**6,7**	**10,0**	**9,89**	**1,16**	**8,5**
0722–21	მანდარინი კოვანო–ვასე x ჰიბრიდი 0526/56	**32,5**	**84,3**	**77,6**	**6,7**	**8,7**	**9,96**	**1,09**	**9,1**
0613–17	მანდარინი კოვანო–ვასე x ჰიბრიდი 0526/56	**31,5**	**84,3**	**75,9**	**8,4**	**9,8**	**9,41**	**1,12**	**8,4**
0512ъ	ნუცელარული თესლ-ნერგი 01035 x P. trifoliata	**22,5**	**98,5**	**79,4**	**19,1**	**11,9**	**6,48**	**1,58**	**4,1**
0537ъ	ნუცელარული თესლ-ნერგი 0966 x P. trifoliata	**24,2**	**81,2**	**72,5**	**8,7**	**9,8**	**7,43**	**1,95**	**3,8**
0532–17	მანდარინი უნშიუ x ჰიბრიდი 0526/56	**29,8**	**87,3**	**73,9**	**13,4**	**10,8**	**7,41**	**1,57**	**4,7**
	მანდარინი ადრეულა	**26,5**	**74,8**	**66,4**	**8,4**	**9,5**	**7,28**	**1,12**	**6,5**

ნაყოფიდან წყლის აორთქლების შედეგად დარჩენილი მშრალი ნივთიერება მიუთითებს ადამიანის ორგანიზმისათვის მნიშვნელოვან სასიცოცხლო ფუნქციებში ჩართული ნივთიერებების (სხვადასხვა ნახშირწყლები, ცილოვანი და არაცილოვანი აზოტის ნაერთები - ამიდები, ნუკლეინის მჟავები, ფერმენტები და სხვა) ნაყოფში არსებობის რაოდენობრივ მაჩვენებელზე. ჩვენი საკვლევი მცენარეების ბიოქიმიური ანალიზის შედეგები გვიჩვენებს, რომ მშრალი ნივთიერების შემცველობა ჰიბრიდებში ცვალებადობს 9,4%-სა და 12,9%-ს შორის. ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა ჰიბრიდი #0512ъ -12,9%, შემდეგ მოდიან ჰიბრიდები ##0532-17, 0724/3, 0711/1 და 0927-67 - 11,8-11,0%. ამ მხრივ ყველაზე უარესია ჰიბრიდი #0632-12 - 9,4%. რაც შეეხება საკონტროლო მანდარინ ადრეულას – მისი სამი წლის საშუალო მონაცემი შეადგენს 10,1%.

მანდარინის ნაყოფების ქიმიური შედგენილობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს შაქრები. ადამიანის კვების რაციონში ხილის

განსაკუთრებულ როლს დიდად განსაზღვრავს ის, რომ წარმოადგენს ნახშირწყლების წყაროს. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლაში, განსაკუთრებით ენერგეტიკულ ცვლაში. ასევე დიდადაა დამოკიდებული ნახშირწყლების რაოდენობრივ და თვისობრივ შედგენილობაზე ნაყოფების გემური თვისებები. საცდელად აღებული ჰიბრიდებიდან შაქრების ყველაზე მაღალი შემცველობით გამოირჩევა 5 ჰიბრიდი - ##0722-21, 0927-67, 0613-17, 0912-2 და 0711/1, მათ ნაყოფებში შაქრიანობა მერყეობს 9,96%-დან 9,11%-მდე. საკონტროლოს მაჩვენებელზე (7,28 %) დაბალი მონაცემები გააჩნია მხოლოდ 2 ჰიბრიდს - #0512ა (6,48%) და #0519/2 (7,02%). დანარჩენ მცენარეებში შაქრების რაოდენობა ნაყოფებში სხვადასხვა ხარისხით სჭარბობს საკონტროლო მანდარინ ადრეულას ნაყოფების მაჩვენებელს.

მანდარინის ნაყოფების ხარისხი, გემური თვისებები შაქრების შემცველობასთან ერთად ასევე დიდადაა დამოკიდებული მჟავების საერთო შემცველობაზე. ორგანული მჟავები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნაყოფების ნივთიერებათა ცვლაში, ძლიერ ზემოქმედებენ ადამიანის ორგანიზმში საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფაზე და ა.შ. გამოსაკვლევი მცენარეების ნაყოფებში მჟავიანობა მერყეობს 1,95%-სა და 0,98%-ს შორის (საკონტროლი 1,12%). ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ახასიათებს შორეულ ჰიბრიდებს ტრიფოლიატას მონაწილეობით - #0537ა (1,95%), 0512ა (1,58%) და მანდარინ უნშიუს ჰიბრიდს - 0532-17 (1,57%). დაბალი მჟავიანობით ხასიათდებიან მანდარინ ადრეულას ჰიბრიდ 05345ᵃ-თან შეჯვარებით მიღებული მცენარეები - 0,98-0,99%.

ციტრუსოვათა ნაყოფების გემური თვისებები დამოკიდებულია არა მარტო შაქრებისა და მჟავების საერთო შემცველობაზე, არამედ მათ თანაფარდობაზეც, რომელსაც შაქარ/მჟავას კოეფიციენტს უწოდებენ. საკვლევი მცენარეებიდან ნაყოფებში შაქრებისა და მჟავების ყველაზე ჰარმონიული თანაფარდობა გააჩნია შემდეგ ჰიბრიდებს: ##0912-2, 0711/1, 0722-21 – კოეფიციენტი 9,2-9,1. ასევე საკონტროლოსთან შედარებით (6,5) გაცილებით მაღალია ჰიბრიდების ##0632-12, 0724/3, 0927-67, 0613-17 ნაყოფებში შაქარ/მჟავას კოეფიციენტი (8,9-8,4).

დასკვნა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნაყოფების პომოლოგიური და ბიოქიმიური თავისებურებებით საკონტროლო მცენარესთან შედარებით გაცილებით ძვირფასია ჰიბრიდები ##0912-2, 0711/1, 0722-21, 0927-67, 0519/2. მოსავლიანობისა და მსხვილნაყოფიანობის მიხედვით გამოირჩევიან ჰიბრიდები ##0722-21, 0724-21, 0613-17, 0711/1, 0927-67. ყველა შესწავლილი მაჩვენებლის გათვალისწინებით, საადრეო მანდარინის ნაყოფის ხარისხზე შემდგომ სელექციურ მუშაობაში როგორც საწყისი მასალა, ყველაზე საინტერესოს წარმოადგენენ ჰიბრიდები #0722-21 და #0927-67.

ლიტერატურა

ბარათაშვილი...2016: ბარათაშვილი დ., ხალვაში ნ. ნარინჯოვანთა ბიოლოგიური მრავალფეროვნება და გენეტიკური რესურსები საქართველოში. ბათუმი, ბსუ-ს გამომცემლობა, 2016.

გოგია 1979: გოგია ვ. სუბტროპიკული მცენარეების ბიოქიმია. თბილისი, განათლება, 1979.

სურგულაძე 1976: სურგულაძე შ.მ. ციტრუსოვანთა ახალი შორეული ჰიბრიდები, როგორც საწყისი მასალა შემდგომი სელექციისათვის. სუბტროპიკული კულტურები, №1, 1976.

ქობალია 2018: ქობალია ვ. საადრეო მანდარინის პერსპექტიული კლონების ბიოქიმიური დახასიათება. საქ. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №21(40), თბ., 2018.

Кулян 2018: Кулян Р.В. Критерии подбора комбинаций скрещивания для создания гибридного фонда мандарина (*Citrus reticulata* Blan. var. *unchiu* Tan.). Аграрный науч. журнал, № 10, 2018.

Жученко 2009: Жученко А.А. Адаптивное растениеводство (эколого-генетические основы). Теория и практика. В трех томах. М., Изд-во Агрорус, том II, 2009.

Agronomy and Crop Science

Qualitative Indicators of Prospective EarlyTangerine Fruit Hybrids

Vakhtang Kobalia
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
vaxtangi.kobalia@atsu.edu.ge

In order to further increase the efficiency of tangerine cultivation, intensive types of farms (orchards) are needed to expand its role in the overall export potential of the country. As the fruit crop grows, it is also important to increase their production period, fruit quality, adaptability to stress factors. The most interesting starting material for breeding quality fruit in the field of 14 promising hybrids after crossing in different combinations to obtain effective local tangerine varieties is hybrids # 0722-21 and # 0927-67.

Keywords: *Tangerine, selection, breeding, hybrids, variety, quality of the fruit.*

Introduction. Due to the agro-biological features, today the main non-competitive citrus crop in our country is tangerine (Citrus reticulata Blan.). More than 90% of citrus fruits come from tangerines in Georgia. More than 31,000 tonnes of tangerine fruit were exported from the country in 2019 and it is growing annually. The market demand is even higher. It is therefore necessary to increase the efficiency of tangerine cultivation, to expand its role in the overall export potential of the country, which requires intensive farming (orchards). As the tangerine fruit crop grows, it is important to increase their production period to supply the world with tangerine products and consequently export income to a country for a longer period than the current 2-3 months. It is also relevant to produce products with high taste properties All of these factors, together with other factors, are based on the use of both native and imported varieties of fruit-bearing, mature, good-quality, frost-resistant and pest-resistant species.

One of the most effective breeding methods of local breeding is hybridization.

The purpose, objectives and object of the study. In order to obtain forms of new high-quality, mature, frost and pest-resistant varieties of early tangerine various combinations crossing were conducted in 2005-2009. From the numerous hybrid materials, 37 were selected first, followed by 14 prospective hybrids according to morphological correlation. This article presents the data obtained from the evaluation of the qualitative indicators of the fruits of these forms in 2017-2019.

Research Results. Observations over three years have shown that the most delicate skin from the fruits of the study plants was found among the fruits of hybrids ##0927-67, 0722-21 and 0519/2. The productivity of test plants during the experiment varies on average from 22.5 kg to 32.5 kg. Only three hybrids (##0512a, 0519/2, 0537a) fall below 26.5 kg, similar to the control tangerine(Adreula). The most prominent hybrids in the observation period are the following hybrids ## 0722-21 - 32.5 kg, 0724-21 - 31.9 kg, 0613-17 - 31.5 kg, 0927-67 - 30.9 kg, 0532-17 - 29.8 kg and 0744/13 - 29.5 kg. Productivity observation has also shown that it highly depends on the parent form, namely with the father component being hybrid #05345a and #0526/56 with high and regular yields.

Analysis of the mechanical composition of the fruits showed that the average fruit mass of the studied plants varies from 71.1 grams to 137.8 grams. The average mass of hybrid fruits ##0711/1, 0632-12, 0724/3, 0711/1 is 1.5-1.8 times greater than the control.Observation has shown that most large-scale forms are obtained from the parent component of the mandarin and grapefruit mix with hybrid 05345a. Other major forms include hybrids ##0512a (98.5g), 0912-2 (97.4g) and 0927-67 (89.2g).

Biochemical analysis of our study plants shows that dry matter content in hybrids varies between 9.4% and 12.9% #0532-17, 0724/3, 0711/1 და 0927-67 - 11,8-11,0%. The hybrid with the highest content is # 0512a -12.9%, followed by hybrids ##0532-

17, 0724/3, 0711/1 and 0927-67 - 11.8-11.0%. The worst in this respect is the hybrid # 0632-12 - 9.4%. As for control tangerine Adreula three-year average figure is 10,1%.

Of the hybrids tested, the highest sugar content was identified in the five hybrids - ##0722-21, 0927-67, 0613-17, 0912-2 and 0711/1. The sugar content in their fruits ranges from 9.96% to 9.11%. Low data on control rate (7.28%) has only 2 hybrids - #0512a (6.48%) and #0519/2 (7.02%). In the rest of the plants, the sugar content of the fruits to different degrees exceeds that of the early tangerine fruits(Adreula).

Acidity in the fruits of the tested plants ranges between 1.95% and 0.98% (control 1.12%). The highest rate was observed for distant hybrids with the participation of Trifoliata - #0537a (1.95%), 0512a (1.58%) and Mandarin Unshui hybrids - 0532-17 (1.57%). The low acidity is characterized by plants obtained in combination with early hybrid of tangerine(Adreula) 05345a - 0.98-0.99%.

The taste properties of citrus fruits depend not only on the total content of sugar and acid, but also on their ratio, which is called the sugar/acid ratio. The most harmonious ratio of sugar and acid in the fruits of the study plants has the following hybrids: ##0912-2, 0711/1, 0722-21 - coefficient 9,2-9,1 The sugar/acid ratio (8.9-8.4) is also higher in the hybrids ##0632-12, 0724/3, 0927-67, 0613-17 compared to the control (6.5).

Conclusion. Based on the above we can conclude that hybrids are much more valuable than the control plant due to the pathological and biochemical characteristics of the fruits ##0912-2, 0711/1, 0722-21, 0927-67, 0519/2. The hybrids ##0722-21, 0724-21, 0613-17, 0711/1, 0927-67 are distinguished by their yield and size. In view of all the indices studied, hybrids #0722-21 and #0927-67 are the most interesting as a starting material for the quality of tangerine fruit (Adreula).

სურსათმცოდნეობა

ყურძნის წიპწის გადამუშავების პროდუქტების გამოყენების პერსპექტივები საქართველოში

გულნარა ხეცურიანი
gulnara.khetsuriani@atsu.edu.ge
თამარ ჩომახიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

განხილულია ყურძნის წიპწისა და მისი გადამუშავების პროდუქტების კვებითი ღირებულება და მისი მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმისათვის, ამ მიმართულებით ამჟამად საქართველოში მოქმედი საწარმოებში ყურძნის წიპწის გადამუშავების პროდუქტების, მათ შორის ე.წ. წიპწის „კოპტონის“ გამოყენების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: *ყურძნის წიპწა, წიპწის ზეთი, წიპწის „კოპტონი“, ფუნქციური საკვები, კვებითი ღირებულება.*

ინდუსტრიული რევოლუციის, მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის, მათი ცხოვრების ტემპის აჩქარებისა და გაუარესებული გარემოს პირობებში, მკვეთრად შეიცვალა ადამიანის კვების სტრუქტურა. თანამედროვე საკვები პროდუქტების უმრავლესობა გაჯერებულია ადამიანის ორგანიზმისთვის საფრთხის შემცველი ქიმიკატებით. ამასთან ერთად პროდუქტების შენახვის ვადის გაზრდის მიზნით მათი უმეტესი ნაწილი გადის ისეთ დამუშავებას, რაც იწვევს მათში ადამიანისათვის აუცილებელი და სასარგებლო კომპონენტების რაოდენობის შემცირებას. მოსახლეობის კვების რაციონში მნიშვნელოვნად იმატა ე.წ. „სწრაფი კვების“ პროდუქტების წილმა, რომელიც გაჯერებულია ცხიმებით, კონსერვანტებით, საღებავებითა და მარილებით. გენეტიკურად მოდიფიცირებული წყაროებიდან მიღებული პროდუქტების გავლენა ადამიანის ორგანიზმზე ჯერ კიდევ სრულად არ არის შესწავლილი. ამავე დროს, შემცირებულია მაღალი ხარისხის ცილების, საკვები ბოჭკოების, ვიტამინებისა და მინერალების შემცველი აუცილებელი პროდუქტების მოხმარება (Кароматов 2018: 49-86).

თანამედროვე გამოკვლევებით დადგენილია, რომ ადამიანის დაავადებების უმეტესობა გამოწვეულია მეტაბოლური დარღვევების შედეგად. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დადასტურდა ჰიპოთეზა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და მის ცხოვრების წესს შორის დამოკიდებულების თაობაზე, რომელშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს საკვები. ამრიგად, ნათელია რომ სასურსათო ტექნოლოგიების განვითარება

უნდა მოხდეს ფუნქციონალური ინგრედიენტებით გამდიდრებული პროდუქციის ინდუსტრიული წარმოების გზით.

ზემო აღიშნულიდან გამომდინარე, დღეისთვის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობაში პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს უნარჩენო ტექნოლოგიებზე გადასვლა, ეკოლოგიურ პირობებზე მინიმალური ზემოქმედება და ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტებით ადგილობრივი ბაზრების უზრუნველყოფა.

ბოლო ათწლეული ხასიათდება ფუნქციონალური საკვები პროდუქტების წარმოების ზრდის ტენდენციით, რაც ითვალისწინეს წარმოებაში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი მცენარეული ნედლეულის გამოყენებას.

ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით ერთ-ერთ საინტერესო პროდუქტს წარმოადგენს ყურძნის წიპწა (გრიგორაშვილი... 2020; ქართული ყურძნის 2016).

საქართველოში მევენახეობას და მეღვინეობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. იგი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ძირითად წყაროს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ნათელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ყურძნის გადამუშავების პროდუქტების ნარჩენების გადამუშავების მიზანმიმართულ ორგანიზებას.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყურძნის გადამუშავების მეორადი პროდუქტების გადამუშავების პრობლემა გადაჭრილია. მწარმოებლები საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში და სხვა ქვეყნებში ყურძნის წიპწიდან იღებენ წიპწის ზეთს, საკვებ ფხვნილს, ენოტანინს და სხვ. წიპწის ზეთის ულტრაიისფერი დასხივებით მიიღება ვიტამინი D, ენოტანინის საფუძველზე ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებები, მედიკამენტოზური პრეპარატები, კოსმეტიკური საშუალებები და სხვ.

ყურძნის წიპწა შეიცავს ტანინს და ლეიკოანტოციანინებს. გამოკვლევებიღ დადგენილია, რომ ყურძნის ჯიშიდან გამომდინარე, წიპწა შეიცავს ყურძნის მთლიანი პოლიფენოლების 22-დან 56% -მდე, ლეიკოანტოციანინების 28-დან 56% -მდე, კატეხინების, კოფეინებისა და გალის მჟავების 67-დან 86% -მდე.

ქიმიური შედგენილობის შესახებ არსებული ყველა ინფორმაციის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოკლედ ჩამოყალიბდეს ყურძნის წიპწის სასარგებლო თვისებები: მეტაბოლიზმის ნორმალიზება და გაუმჯობესება, ნერვული სისტემის მუშაობის გაუმჯობესება, დაღლილობის დონის შემცირება, ტვინის აქტივობის გაზრდა, ემოციური სტრესისადმი წინააღმდეგობის გაწევა, დაბერების პროცესის შენელება - ანტიოქსიდანტური თვისებების გამო, გულსისხლძარღვთა სისტემის მუშაობის გაძლიერება და სხვ.

ყურძნის წიპწისაგან მიიღება ზეთი, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით

ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. მას უწოდებენ „ახალგაზრდობის ჰორმონს“, რადგან შეიცავს ბიოფლავონოიდებს. გამოკვლევებით ასევე დადგენილია, რომ ყურძნის წიპწის ზეთი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ამაგრებს სისხლძარღვებს, აქვს ანთების საწინააღმდეგო, რეგენერაციული, სისხლძარღვების გამაფართოებელი მოქმედება, არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, ხელს უშლის თრომბის წარმოქმნას, თირკმელში კენჭის წარმოქმნას, ათეროსკლეროზის და სიმსივნის განვითარებას. ყურძნის წიპწაში შემავალი ანტიოქსიდანტები – პროციანიდი, რეზვერატროლი, ვიტამინები E, A, C - გამოდევნიან ორგანიზმიდან თავისუფალ რადიკალებს და აუმჯობესებენ იმუნიტეტს. ყურძნის წიპწის ზეთი მდიდარია: ვიტამინებით – E, A, C, B1, B2, B3, B6, B9, B12 და მიკროელემენტებით – კალიუმი, ნატრიუმი, კალციუმი, რკინა – რომელიც გამოიყენება კოსმეტოლოგიაში. ზეთის 70%–ს შეადგენს ლინოლენის მჟავა – ომეგა–6, რომელიც ატენიანებს კანს და აუმჯობესებს კანის რეგენერაციულ პროცესებს.

წიპწის გადამუშავება საქართველოში პირველად დაიწყო მეღვინეობა „ხარებამ“ 2007 წელს. საწარმო განთავსებულია დასავლეთ საქართველოში და ძირითადად ის ამუშავებს მხოლოდ საკუთარი წარმოების ნარჩენებიდან მიღებულ წიპწას, რომლის რაოდენობა დამოკიდებულია შესაბამისი წლის მოსავალზე და სავარაუდოდ მერყეობს 50 000 - 70 000კგ. ფარგლებში. საწარმოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დავადგინეთ რომ, 2018-2019 წლებში საწარმომ გადაამუშავა 45 000კგ წიპწა და აწარმოა დაახლოებით 5 000ლ. წიპწის ზეთი (მხოლოდ საკვები). აქ წარმოებული წიპწის ზეთი წარმატებით იყიდება როგორც ქართულ ბაზარზე ისე საზღვარგარეთ (ქართული ყურძნის 2016; მცენარეული ზეთები 2015). რაც შეეხება დარჩენილ გამონაწნეხს ე.წ. “კოპტონს“, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მის რეალიზაციას საწარმო არ ახდენს და შესაბამისად არც მისი ღირებულებაა გათვლილი.

2018 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში სოფელ ველისციხეში გაიხსნა წიპწის გადამამუშავებელი საწარმო „ეკოჯეო“, სადაც ქართველი და უკრაინელი სპეციალისტების მიერ, გერმანული, უნგრული, ფრანგული და ბულგარული გამოცდილების საფუძველზე ხდება წიპწის გადამუშავება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საწარმოში დანერგილია წიპწის გადამუშავების უნარჩენო ტექნოლოგია. აღნიშნულ საწარმოში წლიურად საშუალოდ 55-60 ტონამდე ყურძნის წიპწის ზეთს და წიპწის ფქვილს ამზადებენ. საწარმო, რომელშიც მილიონი ლარის ინვესტიცია უკრაინულმა კომპანიამ „ეკოჯორჯიან გრუპმა“ განახორციელა, თანამედროვე სტანდარტების უცხოური წარმოების მანქანა-დანადგარებითაა აღჭურვილი.

წიპწის ზეთი - ე.წ სიცოცხლის ელექსირი, როგორც მას საფრანგეთში უწოდებდნენ, მიიღება ცივი გამოხდით, რაც უზრუნველყოფს მისი ქიმიური შედგენილობის და შესაბამისად კვებითი ღირებულების მაქსიმალურ

უდანაკარგო შენარჩუნებას. შემდეგ აქვე ხდება მიღებული ნარჩენის ე.წ. „კოპტონის“ გადამუშავება და იწარმოება კოპტონის ფქვილი და ორგანული ბიო-სასუქი. საწარმოში სამომავლოდ დაგეგმილი აქვთ სამკურნალო ბიოლოგიურად აქტიური დანამატების „ბად“-ების წარმოება.

1-ელ ცხრილიში წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების 2019 წლის მოსავლიდან აღებული ციცქასა და ცოლიკოურის მტევნების შემადგენელი ნაწილების თანაფარდობა.

ცხრილი 1

ყურძნის ჯიში	საშუალო მტევნის წონა, გ.	მტევნის შემადგენელი ნაწილები, %				100 მარცვლის წონა, გ.	100 ცალი წიპწის წონა, გ.
		წვენი	კლერტი	კანი	წიპწა		
ციცქა	132,2	79,2	3,14	12,8	4,86	155,2	3,99
ც ო ლ ი - კოური	165,9	80,34	3,59	12,16	3,91	214,0	5,2

მე-2 ცხრილში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული ჯიშების ყურძნის წიპწის ნარევიდან მიღებული ფქვილის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლები.

ცხრილი 2

მაჩვენებლების დასახელება	კვლევის შედეგები
ტენის მასური წილი, %	9,6±0,5
ცილის მასური წილი, %	18,1±0,3
ცხიმის მასური წილი, %	10,5±0,4
ხსნადი და უხსნადი საკვები ბოჭკოს შემცველობა, გ/100გ	68±1,2
ნაცრის მასური წილი, %	4,1±0,02

ზემოაღნიშნული შედეგებიდან გამომდინარე, ჩვენი სამომავლო კვლევის მიზანია, შევისწავლოთ როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში წარმოებული ნარჩენის „კოპტონის“ ქიმიური შედგენილობა, მისგან წარმოებული ფქვილის ტექნოლოგიური თვისებები. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დავგეგმავთ მისი გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა სახის ფუნქციური დანიშნულების ფქვილოვანი ნაწარმის (როგორც პურფუნთუშეულის ასევე ფქვილოვან საკონდიტრო ნაწარმში) ახალი ასორტიმენტების წარმოებაში, მათ კვებითი ღირებულების ამაღლების მიზნით. ასევე დაგეგმილი გვაქვს შევიმუშაოთ ტექნოლოგიური რეგლამენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მიღებული ნაწარმის ფუნქციურ დანიშნულებას და წიპწის ფქვილის სასარგებლო კომპონენტების მაქსიმალურ შენარჩუნებას.

ლიტერატურა

გრიგორაშვილი... 2020: გრიგორაშვილი გ., ხოტივარი ა., კალატოზიშვილი ე. მეღვინეობის ნარჩენების რაციონალური გამოყენების პერსპექტიული მიმართულებები 23.05.2020. მოძიებულია 10.06.2020. https://agrokavkaz.ge/dargebi/mevenakheoba/meghvineobis-narchenebis-ratsionaluri-gamoqhenebis-perspeqtiuli-mimarthulebebi.html

ქართული ყურძნის 2016: ქართული ყურძნის წიპწის ზეთი ჩინეთსა და გერმანიაში ექსპორტზე გადის. 30.12.2016. მოძიებულია 05.06.2020. https://commersant.ge/ge/post/qartuli-yurdznis-wipwis-zeti-chinetsa-da-germaniashi-eqsportze-gadis

მცენარეული ზეთები 2015: მცენარეული ზეთები ჯანმრთელობის სამსახურში. 03.03.2015. მოძიებულია 01.06.2020. https://www.facebook.com/janmrteli.eri/photos/a.339674516185252/443043979181638

Кароматов 2018: 49-86 Кароматов И. Д. 2018. Кароматов И. Д., Абдувохидов А. Т.- Лечебные свойства косточек винограда и виноградного масла (Обзор литературы). Электронный научный журнал Биология и интегративная медицина №1 – январь (18) 2018.

Food Science

The Prospects for Using Grape Seed by-Products in Georgia

Gulnara Khetsuriani
gulnara.khetsuriani@atsu.edu.ge
Tamar Chomakhidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

The paper dwells on a nutritional value of grape seed and its by-products, as well as on its importance for the human body. In this respect, there have been reviewed the prospects for using the grape seed processing products at enterprises working in Georgia, including the prospects for using "grape-seed copton".

Keywords: *grape seed; grape-seed oil; grape-seed copton; functional food; nutritional value.*

At the time of the industrial revolution, the significant increase in population, the acceleration of their pace of life and the deteriorating situations, the structure of human nutrition has changed dramatically. Most modern foodstuffs are saturated with chemicals that are dangerous to a human body. At the same time, in order to increase shelf life of products, most of them are subject to processing that reduces the

number of components that are essential and useful for humans. In the diet patterns of the population, there has significantly risen the share of "fast food" products, which are saturated with fats, preservatives, colorants and salts. The impact of products produced from genetically modified sources on the human body has not yet been fully studied. At the same time, the consumption of high-quality protein, dietary fiber, vitamins and minerals was reduced (Karomatov 2018).

Based on the above, the priority in the food and processing industries today is switching to non-waste technologies, a minimal environmental impact and ensuring availability of environmentally safe food products in the local markets.

The past decade has been marked by a growing trend in the production of functional foods, which implies the industrial use of plant raw materials rich in biologically active substances.

In our view, grape seed is one of the most interesting products in this respect.

Viticulture and winemaking in Georgia has a centuries-old history and occupies a central place in the country's economy. It is the main source of economic prosperity for the population in a number of regions of the country. It is therefore understandable how important is to purposefully organize the recycling of grape processing products.

In many countries of the world, the problem of the recycling the used grape processing products has been solved. Manufacturers in France, Italy, Switzerland, and other countries produce grape-seed oil, food powder, enotanine, and so on. Through ultraviolet irradiation of grape-seed oil, we obtain vitamin D, enotanine-based biologically active substances, medicinal preparations, cosmetics, etc.

Grape seed contains tannin and leukoanthocyanidins. Studies have shown that depending on the grape variety, the grape seed contains from 22 to 56% of total grape polyphenols, from 28 to 56% of leukoanthocyanidins, from 67 to 86% of catechin, caffeic and gallic acids.

Grape-seed oil contains a large amount of biologically active substances. It is called the "youth hormone" due to the content of bioflavonoids. Studies have also shown that grape-seed oil reduces level of cholesterol in blood, strengthens the blood vessels, has anti-inflammatory, regenerative, vasodilating action, is a powerful antioxidant, prevents blood clots, kidney stones, atherosclerosis and tumors. Antioxidants in grape seed, such as procyanidin, resveratrol, vitamins E, A, C, draw free radicals out of the body and improve immunity. Grape-seed oil is rich in vitamins E, A, C, B1, B2, B3, B6, B9, B12 and trace elements, such as potassium, sodium, calcium, iron, which are used in cosmetology. 70% of the oil is linolenic acid - omega-6, which moisturizes the skin and improves the skin regeneration processes.

Grape seed processing was first launched in Georgia in 2007 by the "Khareba Winery". This enterprise is located in western Georgia, and mainly processes grape

seed obtained from its own production waste, whose quantities depend on the grape harvest in the respective year, and is expected to range from 50,000 to 70,000 kg. Based on the information received from the enterprise, we found that in 2018-2019, the enterprise processed 45,000 kg of grape seeds and produced about 5,000 liters of oil (food only). Grape-seed oil produced by this enterprise is successfully sold on the Georgian market and abroad. As for the remaining drained grapes, the so-called "copton", unfortunately at this stage, the enterprise does not sell them, and therefore their cost has not been calculated yet.

In 2018, the grape-seed processing enterprise “ECOGEO” was funded in the village of Velistsikhe in eastern Georgia, particularly in Kakheti, where grape seed processing is carried out by Georgian and Ukrainian specialists based on German, Hungarian, French and Bulgarian experiences. Noteworthy is the fact that the enterprise has introduced a non-waste technology for the processing of grape seed. On average, 55-60 tons of grape-seed oil and flour are produced annually in this enterprise. The enterprise, where the Ukrainian company “EcoGeorgian Group” invested GEL 1 million, is furnished with modern machinery and equipment manufactured according to international standards.

Based on information described above, the aim of our future research is to study the chemical composition of the drained grapes "Copton" produced in both western and eastern Georgia, as well as the technological properties of the flour produced from it. Based on the analysis of the obtained results, we plan to use it in the production of new assortments of different types of flour for various functional purposes (both in bakery and confectionery products) in order to increase their nutritional value. We also plan to develop production regulations that will ensure the functional purpose of obtained product and maintaining the useful components of grape-seed flour as long as possible.

ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები

Arts and Humanities

History

Henry Kissinger and Foreign Policy of USA

David Gegechkori
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
d.gegechkori@atsu.edu.ge

In each age, as law of nature, appears a country, which coming from own political interests, power, intellectual and moral stimulus regulates the whole system of international relations. In the XX century and in particular in second its half no country did manage to reach a significant and healthy influence upon the international relations as USA. Such success was reached due to statesmen of the country. H. Kissinger stands out among them. During eight years (1969-77) he was conducting the foreign policy of the state, creating out in life to world great policy. H. Kissinger was nominated as an advisor of the President on national security questions. The experience of such kind of politician will be helpful for Georgia, which has become now a part of the world big policy.

Keywords: *Foreign Policy, Middle East, USSR, Disarmament.*

In each age, as law of nature, appears a country, which coming from own political interests, power, intellectual and moral stimulus regulates the whole system of international relations. In the XX century and in particular in second its half no country did manage to reach a significant and healthy influence upon the international relations as USA. Such success was reached due to statesmen of the country. H. Kissinger stands out among them. During 8 years (1969-77) he was conducting the foreign policy of the state, creating out in life to world great policy.

H. Kissinger becomes the leader of USA outwardly political course in 1969, when the USA was losing a grip on international arena. The war in Vietnam was still going and carrying away with itself enormous amount of victims. Besides USA had complex relations with two greater countries of the world: USSR and China. USA gradually was losing spheres of influence in different regions of the world. In 1969, exactly in such condition H. Kissinger was nominated as an advisor of the President on national security questions, and in 1973 – USA state secretary.

H. Kissinger was trying to revive USA's former power on the international arena. He could brighten, being after the Vietnamese war in lump the foreign policy of country. It is possible to say that he is one of authorities, Henry Kissinger did all the best of recording USA power and peace in the world. His efforts were justified. Desired world was reached on the south east of Asia and on the Middle east. By the end

of 70s USA came to the head of world policy again.

There is an extensive literature about H. Kissinger in English. Many authors have devoted him monographs, where they were trying to study H. Kissinger's phenomenon.

In 1974 R. Blumenfeld had released a ,,H. Kissinger-Private and Public story." The work researches a biography of H. Kissinger up to 1974. It's also come to notice the book of R. Morris ,,Henry Kissinger and American Foreign Policy".

Two books: M. Golan ,,The Secret Conversation of Henry Kissinger. Step-by-Step Diplomacy in the Middle East" and E. Sheehan ,,The Arabs, Israelis and Kissinger", are dedicated to Kissinger Middle East policy. To the relationships between USA and Vietnam is dedicated ,,America's longest war: 1950-75" by G. Herring.

We have to mention all the time of his political career H. Kissinger was trying to show the real face of Soviet Empire. That is why, it is difficult to find good words about him in Soviet historiography. Certain interest may cause ,,The Zigzags of American Foreign Policy" by Ovinikov, where author underlines the participation of H. Kissinger in military coup d'etat in Chile. Special thanks to two books ,,American Congress and Foreign Policy in 70-80th" by I. Ivanov and ,,American Senate and foreign policy in 1964-74" by E. Popova. Both brilliantly show the influence of American supreme legislative body on foreign policy.

In given books mostly are used English and Russian language sources: documents, official releases, memoirs, press and others. First of all we have to underline those papers, which were issued by H. Kissinger himself. He dedicated many works to US. foreign policy: ,,The moral foundation of foreign policy", H. Kissinger tries to investigate the reasons, causing US. foreign policy crisis in 60s.

The real furor made memoirs of H. Kissinger, first part ,,White House Years", released in 1979 and ,,Years of Upheaval", 1982-second part.

Memoirs of Soviet statesmen of 70s also greatly helped us in question of understanding H. Kissinger full political portrait. A. Gromiko former minister of foreign affairs of the USSR gives high value to H. Kissinger as a politician.

Also our interest causes the documents of Congress-American supreme legislative body and bulletins of US. State Department, from where we learn real position of USA concerning one or another problem. Essential information for the theme we were taking from ,,Le Duc Tho-Kissingers negotiations in Paris", issued in 1995 in Hanoi. The document shows the process of negotiations and establishing of peaceful agreement in Vietnam, which came to final on 27 January, 1973.

Alfred, Henry Kissinger was born on 27 May 1923 in Feurt, Bavaria, Germany in Hebrew family of Luis and Paula Kissingers.

In 1938 Kissingers left Germany to live in the USA. H. Kissinger took part in II world war. In 1943 he got the USA citizenship.

After II world war H. Kissinger continued study at Harvard University. He was head of Harvard University International Seminar. Being in Harvard, H. Kissinger was interested by well known politicians.

As a historian H. Kissinger showed himself splendidly in doctoral thesis. H. Kissinger understands excellently in processes of XIX century world history. This was period, when after striking Napoleon has got up a question of making peace on the Viennese congress Metternich and Castlereagh have presented a system of peace security, which brought peace to people of Europe.

H. Kissinger pays great attention to foreign policy of US, its past, present and future. In his memoirs he writes, that the USA like other countries faced the need realization that have great power, but it has limit.

The knowledge and experience gained by H. Kissinger during his activity he summed in fundamental paper ,,Diplomacy" (1994). Beginning from the first half XVII century author finishes his paper up to 90s of XX century.

We can say H. Kissinger is an outstanding politician of the XX century. During his political career he was studying the history of diplomacy for the purpose of its applying in present. Exactly this knowledge and experience helped him to achieve unbelievable result in world diplomacy.

R. Nixon won in President Elections in 1968. He needed to have a person, who would be able to create new foreign policy of the USA, which help the state to overcome crisis. And in 1969 he H. Kissinger was nominated as an advisor of the President on national security questions.

USA faced 3 main problems:

I. **War in Vietnam:** the peaceful solving of the problem was in sphere of the USA political interests and would provide the prestige of the USA as peace defender.

In 1954 according the decision of Geneva Conference Vietnam was divided into 2 parts: Northern Vietnam – communist state and Southern Vietnam – anticommunist state. The border of 2 states went on 17 parallel. With the help of the USSR the Northern Vietnam tried to form red regime in the Southern part of Vietnam. This obliged the USA to enter this process and defend his satellite from the red agression.

The result of this process was the beginning of war in Vietnam in 1964. The USA began to bomb the territory of the North Vietnam. But the USA as it hoped, could not finish this war in short time. To 1968 the USA could not have determined foreign policy, that was only the policy of Vietnam. The domestic situation of the USA was greatly influenced by the USA's foreign policy or Vietnam policy (Herring 1988: 78)

The demonstrations against the very war increased in the USA day after day. H. Kissinger appeared to the president as a rescuer. H. Kissinger began to organize peaceful negotiation with the representative of the government of the Northern Vietnam Le Duc Tho. At first time he decided to use secret meetings with the representative of the government of the Northern Vietnam. The first such a kind of meeting held on 4 August, 1969 in Paris at the house of H. Kissinger's friend-Senten (Kissinger 1979: 123). It was the beginning of those multimode negotiations, which finished on 27 January, 1973 in Paris by peaceful agreement between the USA and Vietnam. According to this agreement the war in Vietnam came to its end.

It was the benefit of H. Kissinger and the top of it was the Nobel Prize (1973) for efforts contributing to the peace.

The fact that the USA managed to restore diplomatic relations with China played immense role in finishing the Vietnam war.

The diplomatic relations between the USA and China ceased after the revolution of 1949. Twenty years later American administration managed to restore these diplomatic relations. H. Kissinger played a great role in this action, for this purpose he used ,,Tringular Diplomacy": which foresaw to create a tringular of the USA-USSR-China in which the function of China was balancing the forces (Blumenfeld 1974: 84).

One of the first public hints of improved US.-China relations came on April 6, 1971, when the American Ping-pong team, in Japan for the 31st World Table Tennis Championship, received a surprise invintation from their Chinese colleagues for an all-expense paid visit to the People's Republic. Time magazine called it "The ping heard round the world" (Blumenfeld R. 1974:102) On April 10, nine players, four officials, and two spouses stepped across a bridge from Hong Kong to the Chinese mainland, ushering in an era of ,,Ping-Pong diplomacy". They were the first group of Americans allowed into China since the Communist takeover in 1949.

Ping-Pong was ,,an apt metaphor for the relations between Washington and Peking" noted a Time reporter (Morris 1974: 74), as each nation signalled, in turn, its openness to change. Despite the public warming trend, Nixon and Kissinger decided to keep their back-channel negotiations with China to themselves. It was not until July 15, after Kissinger's secret mission to Beijing, that Nixon announced that he, too, would make the journey the following year, as the first American president to visit China (Kissinger 1979: 145) After the Kissinger's secret visit in China, this country came back in the U.N. where the representative of China was the allie of the USA China rebuplic, which was created in 1949, in Taiwan by the help of USA.

President R. Nixon visited the People's Republic of China in February 21 to February 28 1972. In 28 February both sides signed ,,Shanghai Communique."

The leaders of the People's Republic of China and United States of America found

it beneficial to have this opportunity after so many years without contact to present candidly to one another their views on a variety of issues. They reviewed the international situation in which important changes and great upheavals are taking place and expounded their respective positions and attitudes.

The two sides reviewed the long-standing serious disputes between China and the USA. The China's side reaffirmed its position. The Taiwan question is the crucial question obstrucing the normalization of relations between China and the US. The goverment of China is the sole legal goverment of China: Taiwan is a province of China which has long been returned to the motherland. The USA side declared: the USA acknowledges that all Chinese on either sides of the Taiwan strait maintain there is but one China and that Taiwan is part of China.

The two sides expressed the hope that the gains achieved during this visit would open up new prospects for the relations between the two countries.

The USA used disagreement between the allies of North Vietnam (USSR and China) and USA restored the diplomatic relations with China and the latter one began passing the interests of the USA in the South-East Asia.

II. The problem of Disarmament and Relations with the USSR. The community appreciated negatively the foreign policy of the USA, which meant ,,Cold War Policy''. R. Nixon and H. Kissinger decided to change this course and began to carry out negotiations with the USSR on question of weapons disarming.

In Washington, at the ,,Piere" hotel the USA side underlined several important points of future negotiations, by which was established the position of the USA in the negotiations with the USSR (Kissinger 1982: 56) They were fooling: 1.The principle of concreteness; 2.The principle of restraint; 3. The principle of linkage.

The greased result of the process of Disarmament was the convocation of ,,Security and Collaboration in Europe", which was held in Helsinki and finished on August 1, 1975 by accepting of the final document. According of this document there were announced 10 main principles which were the base of peace in Europe.

This policy of disarmament creates in Europe comparatively peaceful zone but in spite of all efforts the opposition of the USSR to the USA was still in force. The opposition between two camps outgrew to the ,,Counties of the third world". Parallel to the policy of disarmament carried by the USA in different regions of the world, the USSR felt itself in the global encirclement: from the West – NATO, from the East – coalition of the USA-China-Japan, non-stable position in the Middle East. Exactly the breaking out of this encirclement was the real reason of the USSR's aggression to Afghanistan in 1979 (Kissinger 1994: 785).

As a result of administration of R. Nixon's policy of disarmament was the USSR's strategic arms sharp limitation. Also the USA partly got ready for the danger which was coming from the USSR. This policy was also the base of further cooperation be-

tween the West and East in question of Nuclear Weapons disarmament, and which was successfully finished by the administration of R. Reagan in eighties.

III. The Middle East Conflict. Because big reserves of oil, this region has a great importance to the USA. The USA considers this region as the sphere of opposition interests between the USA and USSR.

In 1967 Israel began war against Syria, Egypt, and Jordan and conquered their territories on Sinai peninsula. The territory conquered by Israel was twice bigger than Israel.

In 1970 R. Nixon and H. Kissinger developed the conception of "adjusting partly the problems of the Middle East". The purpose of the problem was the following: To divide this big problem into several little problems. This would help to solve the above mentioned problem more simply. It was decided to organize the negotiations between Arabia and Israel negotiation by the USA's mediation and USSR's ignoring. Exactly during these negotiations H. Kissinger was using "Shuttle Diplomacy" (Golan 1976: 63). The sense of this USA said no to usual negotiations, state Secretary permanently was travelling between Tel-Aviv and capitals of Arabian states and was meeting with the leaders of these countries. The purpose of these meetings was the pressure, of course in a secret way. the main aim of H. Kissinger was also to assure Arabs that the USA has all rights to solve this conflict and only the USA could pressure on Israel in 1967. For realizing this diplomacy was spending more time in the Middle East than in Washington. Americans were joking: "He (H. Kissinger) manages US. state department from his own plane or from the hotel "King David" in Jerusalem" (Sheehan 1976: 174).

The result of the policy was separation of Egypt from United front of Arabs. In 1976 the president of Egypt A. Sadat ignored the agreement between Egypt and USSR and took the orientation to the USA. A. Sadat was the first from the leaders of Arabian countries who officially announced the right of Israel's existence as a state. The USA could sit down on the table of negotiations Hebrew and Arabs together. This was the great victory of H. Kissinger's diplomacy.

H. Kissinger excellently carried out into life the policy of the USA on all three directions. Due to his political activity he played an important role in conversation of the peace in Hard 70-th on 4 January, 1977 sent in resignation, but he did not leave political life. White House still applies to him to get advises in solving different questions.

"There are politicians whose names are not remembered after their leaving from policy. H. Kissinger is kind of politicians who are creating a big policy and have not left from it. Because his country and all the world needs him" – (Blumenfeld 1974:

185). this is the characterisation H. Kissinger characteristic given by the ex-American politicians.

H. Kissinger-an outstanding politician of the XX century. He carried out the foreign policy of the USA during 8 years. In his country he was called the president of American Foreign Policy.

The experience of such kind of politician will be helpful for Georgia, which has become now a part of the world big policy.

References

Blumenfeld 1974: Blumenfeld R. ,,H. Kissinger-Private and Public story." N.Y. 1974.

Golan 1976: Golan M. ,,The Secret Conversation of Henry Kissinger. Step-by-Step Diplomacy in the Middle East" N.Y. 1976.

Herring 1988: Herring G. ,,America's Longest War: 1950-75" N.Y 1988.

Kissinger 1979: Kissinger H. ,,White House Years", N.Y. 1979.

Kissinger 1982: Kissinger H. ,,Years of Upheaval", N.Y. 1982.

Kissinger 1994: Kissinger H. n,,Diplomacy", N.Y. 1994.

Morris 1974: Morris R. ,,Henry Kissinger and American Foreign Policy". N.Y. 1974.

Sheehan 1976: Sheehan E. ,,The Arabs, Israelis and Kissinger" N.Y. 1976

ისტორია

ჰენრი კისინჯერი და აშშ – ს საგარეო პოლიტიკა

დავით გეგეჭკორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
d.gegeckori@atsu.edu.ge

ყოველ საუკუნეში, როდაც ბუნების კანონის შესაბამისად, ჩნდება ქვეყანა, რომელიც საკუთარი პოლიტიკური ინტერესებით, ძალაუფლებით და ინტელექტუალური საშუალებებით არეგულირებს საერთაშორისო ურთიერთობათა მთლიან სისტემას. XX საუკუნეში და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ვერცერთმა ქვეყანამ ვერ მოახერხა ისეთი მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა საერთაშორისო ურთიერთობებზე, როგორც ამერიკის შეერტებულმა შტატებმა. ასეთი წარმატების მიღწევა ამ ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწეების დამსახურებაა. მათ შორის გამოირჩევა ჰ. კისინჯერი, რომელიც 8 წლის განმავლობაში (1969-77) ხელმძღვანელობდა ამერიკის საგარეო პოლიტიკას და ქმნიდა მსოფლიოს დიდ პოლიტიკას. ჰ. კისინჯერი - XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეა. ის რვა წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აშშ – ს საგარეო პოლიტიკას.

მას ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრეზიდენტს უწოდებდნენ. ამგვარი პოლიტიკოსის გამოცდილება სასარგებლო იქნება საქართველოსთვის, რომელიც ახლა გახდა მსოფლიოს დიდი პოლიტიკის ნაწილი.

საკვანძო სიტყვები: *საგარეო პოლიტიკა, ახლო აღმოსავლეთი, სსრკ, განიარაღება.*

ყოველ საუკუნეში, როღაც ბუნების კანონის შესაბამისად, ჩნდება ქვეყანა, რომელიც საკუთარი პოლიტიკური ინტერესებით, ძალაუფლებით და ინტელექტუალური საშუალებებით არეგულირებს საერთაშორისო ურთიერთობათა მთლიან სისტემას. XX საუკუნეში და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, ვერცერთმა ქვეყანამ ვერ მოახერხა ისეთი მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა საერთაშორისო ურთიერთობებზე, როგორც ამერიკის შეერტებულმა შტატებმა. ასეთი წარმატების მიღწევა ამ ქვეყნის პოლიტიკური მოღვაწეების დამსახურებაა. მათ შორის გამოირჩევა ჰ. კისინჯერი, რომელიც 8 წლის განმავლობაში (1969-77) ხელმძღვანელობდა ამერიკის საგარეო პოლიტიკას, ქმნიდა მსოფლიოს დიდ პოლიტიკას.

ჰ. კისინჯერი აშშ – ს საგარეო პოლიტიკის ლიდერი გახდა 1969 წელს, როდესაც აშშ საერთაშორისო ასპარეზზე კარგავდა ძალაუფლებას და გავლენის სფეროებს. მძვინვარებდა ვიეტნამის ომი, გარდა ამისა, აშშ-ს გართულებული ქონდა ურთიერთობები მსოფლიოს ორ დიდ ქვეყანასთან: სსრკ და ჩინეთი. 1969 წელს, სწორედ ამ სიტუაციაში ჰ. კისინჯერი დაინიშნა პრეზიდენტის მრჩეველად ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, ხოლო 1973 წელს - კი გახდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანი.

ჰ. კისინჯერი ცდილობდა აღედგინა აშშ-ს ძალაუფლება საერთაშორისო ასპარეზზე. მან შეეძლო ვიეტნამის ომის დასრულების შემდეგ აღედგინა ქვეყნის პრესტიჟი. ჰენრი კისინჯერმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რომ ამერიკა კვლავ დაბრუნებულიყო მსოფლიო პოლიტიკის ოლიმპზე.

ალფრედ, ჰენრი კისინჯერი დაიბადა 1923 წლის 27 მაისს, ქალაქ ფიურტში, ბავარიაში, გერმანიაში, ლუისა და პაულა კისინჯერების ებრაულ ოჯახში.

1938 წელს კისინგჯერმა დატოვა გერმანია და საცხოვრებლად აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. 1943 წელს მან მიიღო აშშ-ს მოქალაქეობა. ჰენრი კისინჯერი 1969 წელს დაინიშნა პრეზიდენტის მრჩევლად ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, აშშ წინაშე იდგა სამი უმწვავესი პრობლემა.

I. ვიეტნამის ომი. ამ ომმა საგრძნობლად შეარყია ამერიკის როგორც მშვიდობის დამცველის პრესტიჟი 1954 წელს ჟენევის კონფერენციის გადაწყვეტილებით ვიეტნამი დაიყო ორ ნაწილად: ჩრდილოეთ ვიეტნამი - კომუნისტური სახელმწიფო და სამხრეთ ვიეტნამი - ანტიკომუნისტური სახელმწიფო. 2 სახელმწიფოს საზღვარი მე-17 პარალელზე გადიოდა. სსრ კავშირის დახმარებით ჩრდილოეთ ვიეტნამი ცდილობდა სამხრეთის

გაწითლებას.

სამარი მოქმედებები ოფიციალურად 1965 წელს დაიწყო. აშშ-მ დაიწყო ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიის დაბომბვა. მაგრამ ამერიკამ ვერ შეძლო ომის მოკლე დროში დასრულება, როგორც იმედოვნებდა, 1968 წლამდე აშშ-ს საგარეო პოლიტიკა არ ქონდა ეს იყო ვიეტნამის პოლიტიკა.

ჰ. კისინჯერმა დაიწყო მშვიდობიანი მოლაპარაკებების ორგანიზება ჩრდილოეთ ვიეტნამის მთავრობის წარმომადგენელ ლი დაქ ფოსთან. პირველად მან გადაწყვიტა ფარული შეხვედრების გამოყენება ჩრდილოეთ ვიეტნამის მთავრობის წარმომადგენელთან. პირველი ასეთი სახის შეხვედრა 1969 წლის 4 აგვისტოს გაიმართა პარიზში, ჰ. კისინჯერის მეგობრის - სენტენის სახლში. ეს იყო დიდი მოლაპარაკებების დასაწყისი, რომელიც დასრულდა 1973 წლის 27 იანვარს პარიზში აშშ-სა და ვიეტნამს შორის მშვიდობიანი შეთანხმებით. ამ შეთანხმების თანახმად, ვიეტნამში ომი დასრულდა. ჰენრი კისინჯერმა კი ნობელის პრემია მიიღო მშვიდობის დარგში.

გარდა ამისა შეერთებულმა შტატებმა მოახერხა დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ჩინეთთან, რამაც გადაწყვეტი როლი ვიეტნამის ომის დასრულების საქმეში.

აშშ-სა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა 1949 წლის რევოლუციის შემდეგ. ოცი წლის შემდეგ ამერიკის ადმინისტრაციამ შეძლო ამ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა. ამაში ლომის წვლილი კისინჯერს მიუძღოდა. ამისათვის მან გამოიყენა ,,სამკუთხა დიპლომატია'' რომელიც ითვალისწინებდა აშშ – სსრკ – ჩინეთის სამკუთხედის შექმნას, ამ სამკუთხედში ჩინეთს ძალთა ბალანსის ფუნქცია უნდა შეესრულებინა.

1972 წელს პრეზიდენტი რ ნიქსონი პირველდ ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას 28 თებერვალს ორივე მხარემ ხელი მოაწერა "შანხაის კომუნიკეს", რომლითაც დაიწყო ამ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის პროცესი.

II. განიარაღების პრობლემა და სსრკ-სთან ურთიერთობა. რ. ნიქსონმა და ჰ. კისინჯერმა გადაწყვიტეს ცივი ომის კურსის შეცვლა და დაიწყეს მოლაპარაკებები სსრკ-სთან განიარაღების საკითხზე.

განიარაღების მოლაპარაკებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო "უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის პროცესის დაწყება ევროპაში" რომელიც 1975 წლის 1 აგვისტოს დასრულდა ჰელსინკის აქტით. ამ დოკუმენტის თანახმად გამოცხადდა 10 ძირითადი პრინციპი, რომლებიც ევროპაში მშვიდობის საფუძველი უნდა გამხდარიყო.

მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში აშშ-ს მიერ მიერ წარმოებული პოლიტიკის შედეგად სსრკ-მა თავი გლობალურ ალყაში იგრძნო: დასავლეთიდან - ნატო, აღმოსავლეთიდან - აშშ-ჩინეთი-იაპონიის კოალიცია, შერყეული პოზიციები

ახლო აღმოსავლეთიში. ზუსტად ამ გარემოცვის გარღვევა იყო 1979 წელს სსრ კავშირის აგრესიის ნამდვილი მიზეზი ავღანეთში.

რ. ნიქსონის განიარაღების პოლიტიკის მთავარი შედეგი იყო სსრკ-ს სტრატეგიული შეიარაღების მკვეთრი შეზღუდვა. ნიქსონ-კისინჯერის ტანდემმა საფუძველი ჩაუყარეს საბჭოთა კავშირის დაშლას და რომელიც წარმატებით გააგრძელა რ. რეიგანის ადმინისტრაციამ და დაასრულა ბუშის ადმინისტრაციამ 1991 წელს.

III. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტი.

ნავთობის დიდი მარაგის გამო ამ რეგიონს დიდი მნიშვნელობა აქვს აშშ-სთვის. აშშ ამ რეგიონს განიხილავდა, როგორც აშშ-ს და სსრკ-ს შორის დაპირისპირების აქტიურ სფეროს.

1967 წელს ისრაელმა დაიწყო ომი სირიის, ეგვიპტესა და იორდანიის წინააღმდეგ და დაიპყრო მათი ტერიტორიები სინაის ნახევარკუნძულზე. ისრაელის მიერ დაპყრობილი ტერიტორია ორჯერ დიდი იყო ვიდრე ისრაელი.

1970 წელს რ.ნიქსონმა და ჰ. კისინჯერმა შეიმუშავეს კონცეფცია რომლის თანახმადაც ეს დიდი პრობლემა რამდენიმე პატარა პრობლემად დაეყოთ. ეს კი ხელს შეუწყობდა ზემოთხსენებული პრობლემის უფრო მარტივად მოგვარებას. გადაწყდა, რომ დაეწყოთ მოლაპარაკებები არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის აშშ – ს შუამავლობით და სსრკ – ს უგულებელყოფით. ზუსტად ამ მოლაპარაკებების დროს, ჰ.კისინჯერი იყენებდა "Shuttle Diplomacy", მაქოს დიპლომატიას. აშშ-მ უარი თქვა ჩვეულებრივ მოლაპარაკებებზე. სახელმწიფო მდივანი მუდმივად მოგზაურობდა თელ-ავივსა და არაბული სახელმწიფოების დედაქალაქებს შორის და ხვდებოდა ამ ქვეყნების ლიდერებს. შეხვედრების მიზანი იყო ზეწოლა, ზეწოლის საშულებად უნდა გამოეყენებინა ნებისმიერი მეთოდი და თან უნდა დაერწმუნებინა არაბები, რომ აშშ-ს ქონდა ამ კონფლიქტის მოგვარების ყველა გასაღები. მაქოს დიპლომატიის განსახორციელებლად ჰენრი კისინჯერი უფროს მეტ დროს ატარებდა ახლო აღმოსავლეთში ვიდრე ვაშინგტონში. ამერიკელები ხუმრობდნენ: "ის (ჰ. კისინჯერი) აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს მართავს საკუთარი თვითმფრინავიდან ან იერუსალიმის სასტუმრო "მეფე დავითიდან".

სწორედ მაქოს დიპლომატიის შედეგი იყო ის რომ ამერიკამ შეძლო ეგვიპტის არაბთა გაერთიანებული ფრონტისაგან გამიჯვნა. 1976 წელს ეგვიპტის პრეზიდენტმა საადატმა უგულებელყო ეგვიპტესა და სსრკ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და ორიენტაცია ამერიკისაკენ აიღო. ა. სადატი პირველი იყო არაბული ქვეყნების ლიდერებისგან, რომელმაც ოფიციალურად აღიარა ისრაელი, როგორც სახელმწიფო. აშშ-ს შეეძლო ებრაელები და არაბები მოლაპარაკებების მაგიდასთან დაესვა. ეს იყო ჰ. კისინჯერის დიპლომატიის უდიდესი გამარჯვება.

ჰ. კისინჯერმა შესანიშნავად გაართვა თავი სამივე პრობლემას. 1977 წლის 4 იანვარს მან დატოვა თანამდებობა, მაგრამ მას არ დატოვებია პოლიტიკური ცხოვრება. თეთრი სახლი კვლავაც მიმართავს მას რჩევებისათვის.

ჰ. კისინჯერი - XX საუკუნის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეა. ის 8 წლის განმავლობაში ხელმძრვანელობდა აშშ – ს საგარეო პოლიტიკა. მას ამერიკის საგარეო პოლიტიკის პრეზიდენტს უწოდებდნენ.

ამგვარი პოლიტიკოსის გამოცდილება სასარგებლო იქნება საქართველოსთვის, რომელიც ახლა გახდა მსოფლიოს დიდი პოლიტიკის ნაწილი.

ისტორია

გრაფი დე ვოგის მოგზაურობა ქუთაისში

გიორგი ჭიჭინაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი. საქართველო
giorgi.chichinadze@atsu.edu.ge

ცნობლიმა ფრანგმა მოგზაურმა ეუჟინ მელქიორ დე ვოგმა 1875-1882 წწ. იმოგზაურა საქართველოში და საინტერესო ცნობები გამოაქვეყნა ამერიკის შეერტებულ შტატების პრესაში. გრაფის პუბლიკაცია ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და ქართულ ენაზე თარგმნილი. მწერალი საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმდროინდელ საქართველოს შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს, კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ იმდორინდელი ისტორია, კულტურა, ეთნოგრაფია, ყოფა-ცხოვრება, ჩაცმულობა, და ა.შ. სტატიას თან ერთვის თარგმანი, რომელიც ეხება ქუთაისს და ქვეყნდება პირველად.

საკვანძო სიტყვები: *კავკასია, საქართველო, ქუთაისი, მარი ეუჟინ მელქიორ დე ვოგი, ტიურ დე ტულსტრუპი.*

1891 წელს ნიუ-იორკში დაიბეჭდა წიგნი „მეფე და მისი ხალხი ან სოციალური ცხოვრება რუსეთში“ (The Tsar and His People or Social Life in Russia, Harper&Brothers, Franklin Square, New York, 1891). წიგნის ერთ-ერთი ავტორი გახლავთ ფრანგი დიპლომატი, მოგზაური, ორიენტალისტი, არქეოლოგი, ფილანტროპისტი და ლიტერატურული კრიტიკოსი გრაფ მარი ეუჟინ მელქიორ დე ვოგი (1848 – 1910). აღნიშნულ წიგნში ცალკე თავი ეთმობა კავკასიაში მოგზაურობას (Through the Caucasus). წიგნის გამოცემამდე გრაფმა ნიუ-იორკის ცნობილ ჟურნალ „ჰარპერ ვიქლში“ 1889-90 წლებში გამოაქვეყნა იმივე დასახელების სტატიები, რომლებშიც გრაფი დე ვოგი გვიყვება თავის მოგზაურობას რუსეთის იმპერიაში და, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ცალკე თავს უთმობს კავკასიას. ჩვენთვის წიგნის ეს ნაწილია მნიშვნელოვანი, რადგან ავტორი გვაწვდის საინტერსეო ცნობებს იმდროინდელი საქართველოს შესახებ. მოგზაურობის პერიოდში გრაფმა დე ვოგმა მოინახულა საქართველოს ბევრი ქალაქი და მხარე (თბილისი, საქართველოს მთიანეთი, იმერეთი, სამეგრელო და სხვ.). წინამდებარე ნაშრომი შეეხება დე ვოგის ნაშრომის იმ ნაწილს, რომელშიც გრაფი მოგვითხრობს იმერეთისა და ქუთაისის შესახებ. აღნიშნული წიგნი არათუ თარგმნილი არ არის ქართულად, არამედ, ფაქტობრივად, შეუსწავლელია და ქართველი მკითხველისთვის დღესაც უცნობია გრაფ დე ვოგის საქართველოში მოგზაურობის ამბავი. გამონაკლისია ოთარ ნიკოლეიშვილის ნაშრომები. მან პირველად სამეცნიერო სივრცეში

მცირე კვლევა მიუძღვნა გრაფ დე ვოგის მოგზაურობას (ნიკოლეიშვილი 2017: 62-71; ნიკოლეიშვილი 2017ა).

ვიდრე უშუალოდ წიგნის შევეხებოდეთ, მოგაწვდით რამდენიმე მნიშვნელოვან ბიოგრაფიულ ფაქტს გრაფ დე ვოგის ცხოვრებიდან. იგი დაიბადა საფრანგეთში, ნიცაში, 1848 წლის 25 თებერვალს. მონაწილეობას იღებდა 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომში. სედანთან[1] ბრძოლაში დაიჭრა და რვა თვე ტყვეობაში გაატარა მაგდებურგში; ამავე ბრძოლაში დაიღუპა მისი უმცროსი ძმა. ომის დასრულების შემდეგომ ეუჟინს აჯილდოვებენ სამხედრო მედლით; ამავდროულად, იგი იწყებს საფრანგეთის მესამე რესბუბლიკის დიპლომატიურ კორპუსში მუშაობას ჯერ კონსტანტინეპოლში, ოტომანთა იმპერიაში საფრანგეთის საელჩოს ატაშედ, შემდეგ კი ეგვიპტეში. 1875-1882 წლებში გრაფი დე ვოგი მსახურობდა საფრანგეთის საელჩოში, სანკტ-პეტერბურგში. აღნიშნულ პერიოდში მან იმოგზაურა რუსეთსა და მათ შორის კავკასიაშიც. 1878 წელს გრაფმა იქორწინა ალექსანდრა ანენკოვაზე, გენერალ მიხაილ ანენკოვის (1835-1899) დაზე, რომელთანაც შეეძინა სამი შვილი: ჰენრი (1879 - ?), რაიმონდი (1881-1926) და ფელიქსი (1882-1946). გრაფი დე ვოგი 1910 წლის მარტში, პარიზში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა (Vogüé 2020; Félix de Vogüé 2020).

აღნიშნული წიგნი კიდევ უფრო საინტერესოა ილუსტრაციებით, რომელიც შექმნილია ცნობილი ამერიკელი მხატვრის ტიურ დე ტულსტრუპის (1848-1930) მიერ. ტიური, წარმოშობით შვედი, დაიბადა სტოკჰოლმში 1848 წლის 4 აპრილს. მამა მაგნუს ტულსტრუპი, იყო გენერალ-ლეიტენანტი, ხოლო დედა ჰედვიგ კრისტინა აკრელი (Hedvig Kristina Akrell), გახლდათ გამოჩენილი სამხედრო პირის, გენერალ-ლეიტენატ კარლ აკრელის[2] (Carl Akrell) ქალიშვილი. ტიურის ბაბუა აკრელი გახლდათ ნიჭიერი მხატვარი და დიზაინერი, ასევე ტიურის მამაც მაგნუსი, ძალზედ ნიჭიერი მხატვარი იყო; სწორედ მათგან მიიღო, ალბათ, მემკვიდრეობით მხატვრობის ნიჭი ახალგაზრდა ტიურმა. მაღალი სამხედრო წოდების ოჯახში, რა თქმა უნდა, ტიურის კარიერაც წინასწარ იყო განსაზღვრული, რადგან შეუძლებელი იყო მეფის მინისტრის შვილი გამხდარიყო მხატვარი. 1861-1865 წლებში იგი სწავლობდა კარლებრგის სამხედრო სკოლაში. შემდგომ ის ჩაირიცხა სტოკჰოლმის საარტილერიო დანაყოფში. მოგვიანებით, მსახურბს ალჟირში, მარშალ მაკ-მაჰონის მეთაურობით. 1868 წელს იგი დაინიშნა უმცროს-ლეიტენანტად და მონაწლეობა მიიღო რამდენიმე ექსპედიციაში. 1871 წლის თებერვალში ტიურის ლეიტენანტის, ხოლო მოგვიანებით კაპიტნის ჩინიც

1 ქალაქი არდენის დეპარტამენტში, საფრანგეთი. 1870 წლის 1-2 სექტემბერს ფრანგულმა არმიამ მძიმე მარცხი განიცადა სედანთან ბრძოლაში. იმპერატორი ნაპოლეონ III ტყვედ ჩაბარდა პრუსიელებს.

2 ეს უკანასკნელი მონაწილეობას იღებდა 1813 წლის ლაიფციგის ბრომძოლაში ნაპოლეონის წინააღმდეგ

უბოძეს. 1872 წელს ბრძოლებით დაღლილი ტიური ანებებს სამხედრო კარიერას თავს და მიემგზავრება სრულიად ახალ სამყაროში - კანადაში. იქ მხოლოდ რამდენიმე წელი ჩერდება და მუშაობას იწყებს კარტოგრაფად. მან საკმაოდ კარგი რეპუტაცია მოიპოვა აღნიშნულ საქმიანობაში, თუმცა ბოსტონიდან ღებულობს უკეთეს შემოთავაზებას და თავის ჩანახატებს უგზავნის ნიუ-იორკის „დეილი გრაფიკს“. 1874 წელს აღნიშნულმა გამოცემამ დაიქირავა ახალგაზრდა ხელოვანი. 1876-1880 წლებში იგი მუშაობს ფრანკ ლესლის „ილუსტრირებულ გაზეთში“, ხოლო 1880 წლიდან მუშაობა დაიწყო ძალიან ცნობილ გამოცემაში - „ჰარპერ უიქლი“. მალევე მიმზიდველ ხელფასთან ერთად ტიურის აგზავნიან ევროპაში მნიშვნელოვანი მოვლენების დასაფიქსირებლდ. 1888 წელს იგი გაგზავნეს რუსეთში, რათა აღებეჭდა გერმანიის იმპერატორის ვიზიტი სანკტ-პეტერბურგში. ტულსტრუპმა შემოიარა რუსეთი და გააკეთა უამრავი ჩანახატი ამ ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრებიდან. სწორედ ამ პერიოდში აქვს მხატვარს კავკასიასა და, მათ შორის, საქართველოზე გაკეთებული ჩანახტები (სურ.1,2,3,4,5) (Thulstrup 1962: 9-19).

აღნიშნული მონაკვეთი ხატოვნად აღწერს ქუთაისს და არაერთ საგულისხმო დეტალს ინახავს ქალაქის შესახებ. ვოგი აღფრთოვანებულია შთამბეჭდავი ლანდშაფტით, თუმცა ეს ხელს არ უშლის შეამჩნიოს უდარდელობა და სიზარმაცე ქართველის ხასიათში. ფრანგი არქეოლოგი საქართველოს, ქუთაისის ყოფას, უპირველეს ყოვლისა, ისტორიულ ჭრილში აღიქვამს, ასევე, ეყრდნობა, ჩვენთვის კარგად ცნობილი ფრანგი მოგზაურის - შარდენის (შარდენი 1975) ჩანაწერებს, იხსენებს ჩვენი ისტორიის საკმაოდ სისხლიან მოვლენებს და საფრანგეთის სამეფო კარის ცხოვრებაში პოულობს მსგავსებას. მნიშვნელოვანია, რომ ვოგი საქართველოს მძიმე ყოფის უმთავრეს მიზეზად ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, იმპერიათა მხრიდან მის მუდმივ ექსპანსიას მიიჩნევს, რასთანაც, ამასთანავე, კულტურულ მრავალფეროვნებასაც აკავშირებს. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებულ ადგილს ამ ოპუსში ბაგრატის ნანგრევები და გელათი იჭერს.

შესაძლებელია დღევანდელმა მკითხველმა ვოგის მიერ გამოთქმული შეხედულებები მთლიანად არ გაიზიაროს, მაგრამ უდავოა ისიც, რომ მან იმთავითვე სწორად შეაფასა საქართველოს განვითარების პოტენცია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, დიდ შრომასთან დააკავშირა.

ლიტერატურა

Vogüé 2020: Melchior de Vogüé (1848–1910) - Critical and Biographical Introduction by Grace Elizabeth King (1852–1932) electronic source, search data 06.07.2020 (https://www.bartleby.com/library/prose/5478.html)

Félix de Vogüé 2020: Eugène-melchior de vogüé's son, electronic source, search data 01.07.2020 https://peoplepill.com/people/felix-de-voguee/

Thulstrup 1962: Thulstrup Åke, Thure Thulstrup: Painter of American Historical Scenes: Some Personal Recollections, Swedish Pioneer Historical Society, v.13, no.1, 1962.

ნიკოლეიშვილი 2017: ნიკოლეიშვილი ო., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ნაწილი I, ქუთაისი, 2017.

ნიკოლეიშვილი 2017ა: ნიკოლეიშვილი ო., „ფრანგი დიპლომატის - გრაფ მარი-ეუჟინ მელქიორ დე ვოგის ცნობები ქუთაისის შესახებ“, ქართველური მემკვიდრეობა, XXI, ქუთაისი, 2017.

შარდენი 1975: ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ., 1975.

History

Travel of Count de Vogue to Kutaisi

Giorgi Chichinadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
giorgi.chichinadze@atsu.edu.ge

The famous French traveler Eugene Melchior de Vogue traveled to Georgia in 1875-1882 and published interesting information in the United States' Press. The work of the Count has not yet been properly studied and translated into Georgian. The writer provides interesting information about Georgia at that time. It allows us to re-analyze the history, culture, ethnography, way of life, dress, etc. of that time. The translation is attached to the article, which refers to Kutaisi.

Keywords: *Caucasus, Georgia, Kutaisi, Marie Eugene Melchior de Vogue, Thure de Thulstrup.*

In 1891, book "The Tsar and His People or Social Life in Russia" was published in New York (The Tsar and His People or Social Life in Russia, Harper&Brothers, Franklin Square, New York, 1891, pp1-435). One of the authors of the book is a French diplomat, traveler, orientalist, archaeologist, philanthropist, and literary critic Count Marie Eugene Melchior de Vogue's (1848-1910). Prior to the publication of the book, the Count published articles with the same title in 1889-90 in the famous New York journal "Harper's Weekly". Count de Vogue tells us about his journey in the Russian Empire and, as mentioned above, dedicates the whole chapter to the Caucasus. This part of the book is important for us, because the author provides interesting information about Georgia of that time. Count de Vogue visited many

cities and regions of Georgia (Tbilisi, highland regions, Imereti, Samegrelo, etc.). This paper will focus on the part of de Vogue's work where the Count tells the story of Imereti and Kutaisi. Not only this book is not translated into Georgian, but also it is completely unexplored, and the story of Count de Vogue's journey to Georgia is still unknown to Georgian readers. The only exception is the works of Otar Nikoleishvili, who was the first to dedicate a small scientific research to the travels of Count de Vogue (Nikoleishvili O., Essays on the History of Georgia, Part I, pp.62-71 Kutaisi, 2017; Nikoleishvili O., "Information about Kutaisi by French diplomat - Count Marie-Eugene Melchior de Vogue ", Kartvelian Heritage, XXI, Kutaisi, 2017).

Before further discussion, it will probably be interesting for the reader to get acquainted with the short biography of Count de Vogue. He was born in Nice, France, on February 25, 1848. He participated in the Franco-Prussian War of 1870-1871. He was wounded in a battle near Sedan[1] and spent eight months in captivity in Magdeburg; His younger brother was killed in the same battle. After the end of the war, Eugene was awarded a military medal; At the same time, he began working in the diplomatic corps of the Third French Republic, first in Constantinople, in the Ottoman Empire as an attaché at the French Embassy, and then in Egypt. From 1875 to 1882, Count de Vogue served at the French Embassy in St. Petersburg. During this period, he traveled to Russia, including the Caucasus. In 1878, the count married Alexandra Anenkova, the sister of General Mikhail Anenkov (1835-1899), with whom he had three children: Henry (1879 -?), Raymond (1881-1926) and Felix (1882-1946). Count de Vogue died in March 1910, in Paris, after a short illness.

This book is even more interesting with illustrations created by the famous American artist Thure de Tulstrup (1848-1930). Thure was born in Stockholm on April 4, 1848. Father Magnus Tulstrup was a lieutenant general, and his mother, Hedvig Kristina Akrell, was the daughter of a prominent military figure, Lieutenant General Carl Akrell[22]. Thure's grandfather Akrell was a talented artist and designer, Thure's father Magnus, was a very talented artist too; perhaps it was from them that he inherited his talent for painting. In a family of high military rank, of course, Theure's career was predetermined, as it was impossible for the son of the king's minister to become an artist. From 1861 to 1865, he attended the Karleburg Military School. He was later enlisted in the Stockholm Artillery Division. Later, he served in Algeria, under the command of Marshal McMahon. In 1868, he was appointed as junior lieutenant and took part in several expeditions. In February 1871, he was promoted to the rank of lieutenant and later to the rank of captain. Tired of fighting in 1872, Theure gave up his military career and traveled to a whole new world-

1 City in the Ardennes department, France. On September 1-2, 1870, the French army suffered a heavy defeat at the Battle of Sedan. Emperor Napoleon III surrendered to the Prussians.

2 The latter took part in the Battle of Leipzig in 1813 against Napoleon.

Canada. He only stayed there for a few years and started working as a cartographer. He gained a good reputation for this activity, but received a better offer from Boston and sent his sketches to “The Daily Graphic” in New York, where he was hired in 1874. From 1876 to 1880 he worked for Frank Leslie's illustrated newspaper, and from 1880 he began working for the well-known “Harper’s Weekly”. Soon, Theure was sent to Europe to record important events, he was paid quite an attractive salary. In 1888 he was sent to Russia to pay a visit to the German Emperor in St. Petersburg. Tulstrup traveled around Russia and made numerous sketches of the daily life of the country. That was the period when the artist made sketches of the Caucasus, including Georgia (Figs. -1,2,3,4,5).

This section graphically describes Kutaisi and contains many important details about the city. Vogue admires the impressive landscape, but this does not prevent him from noticing carelessness and laziness of Georgian people. The French archaeologist perceives the existence of Georgia, Kutaisi, first of all, in the historical context, he also relies on the records of the well-known French traveler - Chardin (Chardin 1975), recalls the bloody events of our history and finds similarities in the life of the French royal court. It is important that Vogue considers the geopolitical location of the country, its constant expansion by the empires, as the main causes not only of Georgia's difficult state, but also its cultural diversity. It is noteworthy that a special place in this opus is taken by the ruins of Bagrati and Gelati.

Present-day readers may not fully share the views expressed by Vogue, but he certainly correctly assessed the development potential of Georgia from the very beginning and associated it with great effort.

მარი ეუჟინ მელქიორ დე ვოგი

მეფე და მისი ხალხი ან სოციალური ცხოვრება რუსეთში

ნაწყვეტი

სხვა სამყარო - სამოთხე დედამიწაზე! მე დავტოვე ტიფლისი-ფოთის რკინიგზა ქუთაისის მონაკვეთზე, რომლიდანაც გავუყევი რიონის, ძველი ფაზისის ზედა ხეობას, რომელშიც ანტიკურ ეპოქაში ცხვრის საწმისით ოქროს მოიპოვებდნენ... ქუთაისი იყო იმერეთის დედაქალაქი. დღესდღეობით ის არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მომნუსხველი ქალაქი კავკასიაში, სადაც სახლები განლაგებულია ბაღებს შორის რიონის ორივე სანაპიროზე, მყინვარებით დამშვენებულ მთების ამფითეტრში. მდინარე, რომლის ხეობა შეფერილია მოლურჯო-ვერცხლისფერში, ნაყოფიერს ხდის სიმინდის მინდვრებს, ვენახებსა და ხილის ბაღებს, რომლის ზემოთ, ფერდობებზე ტყეებია განლაგებული. წელიწადის იმ დროს, როდესაც მე ამ ქვეყანაში ვმოგზაურობდი ეს სანაპირო ზოლი ყვავილებით იყო დაფარული. გზის

გასწვრივ ვერხვის ხის ტოტებზე ჩამოკიდებული იყო აყვავებული ვარდის ფარდები. იმ ბაღებში, რომლებიც გარს აკრავს ქალაქის სხვადასხვა ნაწილს, თეთრი პავილონიების და მაგნოლიების ბუჩქები ჩრდილს აყენებს თამბაქოს და ფეტვის მინდვრებს, ყველაზე მეტად დომინირებს წითელი ფერი, მიწა დაფარულია სრულიად აყვავებული ველური ბროწეულის ხეებით. მთელი გორაკი წითლად შეფერილ გუმბათს ჰგავს. ეს არის ყველაზე ბრწყინვალე დღესასწაული, რომელიც ჩემს თვალებს ოდესმე უხილავს ამ სამყაროში..... ამ ყვავილებიან ლანდშაფტში წარმოიდგინეთ ღმერთებისა და ქალღმერეების შთამომავალნი. აქ ადამიანთა რასას შენარჩუნებული აქვს ის სრულყოფილება და კეთილშობილება, რომელიც სხვაგან, ყველგან დაკარგულია. სილამაზე აქ გამონაკლისი კი არა წესია. დაწყებული დღიური მუშიდან, რომელიც ქვების სამტეხლოზე მუშაობს, პრინცების შთამომავალი დიდგვაროვნებით დამთავრებული, ოლიმპოელი იუპიტერის მოსიარულე სკულპტურებს წარმოადგენენ. ბაჩლიკი[1] ან თხის ბეწვის მოსასხამი, რომლის ნაკეცები ასობით განსხვავებულ და გრაციოზულ სტილში მოსავს ამ სკულპტურებს, კიდევ უფრო მეტ ხიბლს მატებს მათ. ქართველების უმრავლესობას აქვს ქერა თმა, ცისფერი თვალები, არწივის ნისკარტის მსგავსი ცხვირი და სწორი შუბლი, არც ერთ სიტყვას არ ძალუძს გადმოსცეს მათი ცეცხლოვანი გამომეტყველება და სიამაყისა და ღირსების განცდა, რომელსაც ძონძებში გახვეულნიც კი ატარებენ. კვირაობით, ქუთაისის ბაღში ლამაზად შემოსილი ხალხი იყრის თავს, მოწყენის საშუალებას არ მაძლევდა მოძრავი ქანდაკებებისგან შემდგარი მოსახლეობის თვალიერება. კაცები არიან შემოსილები შავი ან ყავისფერი ჩერქეზკათი[2] ან გრძელი ტუნიკით, რომელიც მათ ჩექმებს ფარავს, რომაული ტოგასგან[3] მას განასხვავებს ვაზნის ჩანთა და ვერცხლის მოსევადებული სარტყელი, მასზე ჩამოკიდებული პონიარდით[4]. მეჩვენებოდა, რომ ამ მიწიერ თავყრილობაში მონაწილეობას იღებდნენ უძველეს დიდგვაროვანთა შთამომავალნი. ადრეულ ასაკში ქალები გამოირჩევიან მარმარილოს ნაკვთებით, თუმცა, ასაკის მატებასთან ერთად იკლებს მათი დიდი წყლიანი თვალების ბრწყინვალება, რომლებიც ანათებს ვუალის ქვეშ თბილი, მკრთალი კანის ფონზე. ჩემი ნათქვამის მტკიცებულებად შეიძლება მოვიყვანო ძველი მოგზაურის, შარდენის[5] სიტყვები: „ქართული სისხლი საუკეთესოა არა მხოლოდ აღმოსავლეთში, არამედ, შეიძლება ითქვას, მთელს მსოფლიოში. მე არ შემინიშნავს არც ერთი ულამაზო სახე, არამედ, მინახავს მხოლოდ

1 ბაჩლიკი ანუ ბაშლუღი, იგივე ყაბალახი (შენიშვნები ყველგან ეკუთვნის მთარგმნელს)

2 ჩერქეზაკა ანუ ჩოხა-ახალუხი

3 ძველი რომის მოქალაქეთა ზედა ტანსაცმელი - გრძელი თეთრი წამოსასხამი

4 ხანჯლის ნაირსახეობა, სწორი ორპირი მახვილი მახვილი წამახვილებული წვეტით

5 ჟან შარდენი (1643-1713), ფრანგი მოვაჭრე და მოგზაური, რომელმაც 1672-1673 წლებში იმოგზაურა საქართველოში

ანგელოზის მსგავსი. ბუნებას უხვად ჰყავს დაჯილდოებული ქალები ყველანაირი შარმით, რომელსაც სხვაგან ვერსად ნახავთ. შეუძლებელია მათ შეხედოთ და არ შეგიყვარდეთ. ქართველი ქალების სახესა და ფიგურაზე მშვენიერს ვერც ერთი მხატვარი ვერ დახატავს. ისინი არიან მაღლები, ჰაეროვნად მოძრაობენ, არც ჭარბ-წონიანები არიან და არც ძალიან გამხდრები. რამდენად მცირე ტანისამოსსაც არ უნდა ატარებდნენ ზედმეტს ვერასდროს ვერაფერს დაინახავთ. ერთადერთი რაც მათ ნაკლს წარმოადგენს, მათ შორის ყველაზე ლამაზებიც და ნაკლებად ლამაზებიც სახეს ჯერ კიდევ იღებავენ.

იმისათვის, რომ გაიგოთ, რატომ არის ბუნების მიერ დაჯილდოებული ერი ასე განსხვავებული მთელი ინდო-ევროპული ოჯახისგან უნდა წაიკითხოთ შარდენის ცნობისმოყვარე და დრამატული მონათხრობი. ლუი XIV[1]-ის მეფობის პერიოდში მან სამეგრელოსა და იმერეთში იმოგზაურა, სადაც პატიმრობას სასწაულებრივად დააღწია თავი. სოციალური მდგომარეობა, რომელსაც შარდენი აღწერს პირველი მეროვინგების[2] ყოფის მსგავსია; ზოგჯერ შესაძლებელია ასევე გაგახსენდეთ აფრიკული სამეფოებიც, რადგან აქაც მმართველები შემოსავალს ძირითადად მონების ყიდვა-გაყიდვის საშუალებით მოიპოვებდნენ. ისინი ჰყიდიან გლეხებს თურქ ყაჩაღებზე, ხოლო საკუთარ ქალიშვილებს სპარსულ ჰარამხანებზე; როდესაც ხალხი შემოაკლდებოდათ ყიდდნენ მღვდლებსაც, ოღონდ მხოლოდ ქრისტიან მღვდლებს, რომელთა ცოდნაც სიფხიზლისას რამდენიმე ლოცვის ბუტბუტით შემოიფარგლებოდა. შემაცბუნებელია ის დეტალები, რომელსაც შარდენი გვიყვება ფეოდალური მონარქიის, და იმ ეპოქის სისასტიკის შესახებ, რომელიც ჩვენთან ასე ახლოსაა. ქუთაისში ის ბრმა მეფემ[3] მიიღო, რომელმაც მას თავისი უბედურების შესახებ მოუყვა. ისევე, როგორც მის წინამორბედთა უმრავლესობას, მას თვალები დასთხარეს მისი მეუღლის, მშვენიერი დარეჯანის და ეპისკოპოს გაენათელის[4] წაქეზებით, რომლეთა ურთიერთობაც საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა[5]. დარეჯანმა მოგზაური მიიწვია ჰომერულ ნადიმზე, სადაც მთლიანი ღორები და ხარები საკაცეებით შემოჰქონდათ; თითოეული სტუმარი მიდიოდა და აჭრიდა მისთვის სასურველ ნაწილს, თასით იღებდა მოხარშულ ღომს სავსე ქვაბიდან. დიდგვაროვნები და სასულიერო პირები ხარბად ჭამდნენ ხორცს და სვამდნენ გარიჟრაჟიდან მზის ჩასვლამდე. შარდენი უკანასკნელი

1 ლუი XIV - საფრანგეთის მეფე 1643-1715 წლებში

2 ფრანკთა სახელმწიფოს პირველი სამეფო დინასტია (V-IX სს.)

3 საუბარია ბაგრატ IV-ზე (იმერეთის მეფე-1660–1661, 1663–1668, 1669–1678, 1679–1681)

4 გაენათელი/გენათელი გედეონ ლორთქიფანიძე (იხ. გაფრინდაშვილი ბ., რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა) 1529-1820 წწ., დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2014.

5 აქ მცირე უზუსტობაა: ბაგრატ IV თვალები დასთხარა მისმა დედინაცვალმა დარეჯანმა, ხოლო იმ დროს როდესაც შარდენი იმერეთის მეფეს სტუმრობს მისი მეუღლე გახლდათ თამარ მუხრანბატონი, ვახტანგ V-ის შაჰნავაზის ძმის კონსტანტინეს ასული

წლების ისტორიას უბრუნდება, რომელიც წინ უძღოდა მის ჩამოსვლას, იგი შეეხება მკვლელობას, დამარცხებულთა ძარცვას და ბარბაროსულ წამებას გამარჯვებულთა მხრიდან. ქუთაისის სასახლეში დაბრუნებული ბრმა მეფეები თავიანთი მსახურების დახმარებით გულს გლეჯდნენ მეტოქეებს, რომლებმაც ისინი განდევნეს. დედინაცვლები თავიანთ შვილებს ახრჩობენ, იმისათვის რომ მათ რჩეულებს ძალაუფლება შეუნარჩუნონ. ამ ინტრიგებში პრინცესები არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მათი ვნებების, ან მათი მშობლების ინტერესების გათვალისწინებით, ისინი სამეგრელოს პრინცის საძინებლიდან იმერეთის პრინცის საძინებელში ინაცვლებენ, ამ უკანასკნელიდან კი გადადიან ტიფლისში, სპარსეთის მეფისნაცვლის ჰარამხანაში, ვითომცდა მოსამართლისა, რომელიც ყოველთვის აღჭურვილია შურისძიების იარაღით, რომლის გადაწყვეტილებაც გასაჩივრებას არ ექვემდებარება. როდესაც ვკითხულობთ შარდენის მონათხრობს დარეჯანის აღმაშფოთებელი გადაცდომების შესახებ, ჩვენ მასში ვხედავთ ფრანკთა დედოფალ ფრედეგუნდს[1]; ქმედებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ორი საუკუნის წინ. რატომაა, რომ ერის გარეგანი სილამაზე და მიმზიდველობა უცვლელი დარჩა, მიუხედავად ყოველგვარი უზნეობისა და თავშეუკავებლობის, ყოველგვარი უბედურების, რომელიც საშინელ ტირანიას უკავშირდება?!

საქართველოს ისტორიის შესახებ ჩვენთვის ნაცნობი მცირეოდენი ინფორმაციიდან გამომდინარეც კი ვასკვნით, რომ იგი უნიკალურ ფენომენს წარმოადგენს ქრისტიანულ სამყაროში. მისი განვითარება კაცობრიობისგან განსხვავებით საპირისპირო მიმართულებით წარიმართა. გალიამდე[2], მეოთხე საუკუნეში გაქრისტიანებული ქვეყანა, მეათე საუკუნეში საკმაოდ აყვავებული და წარმატებული იყო ჩვენს წინაპრებთან შედარებით, რომლებიც ამ დროს შუა საუკუნეების სიბნელეს მოეცვა. ბიზანტიის იმპერიასთან მჭიდროდ დაკავშირებულმა ქვეყანამ ასახა ბერძენი ექიმების საბოლოო სიდიადე; იმ პერიოდში პლატონი და არისტოტელე ქართულად ითარგმნებოდა. თურქების და სპარსელების მიერ დამონების შემდეგ, ადამიანებში მუსულმანური და ბიზანტიური ნაკლი და მანკიერება ერთმანეთს შეერწყა, ისინი ჩავარდნენ ბარბაროსულ რეალობაში, ეს იყო მაშინ როდესაც ევროპული რენესანსი თანამედროვე ყოფაში შემოვიდა. როგორ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ამ ქვეყანასაც ჰქონდა ძალაუფლების და ინტელექტუალური კულტურის ეპოქა, როდესაც ვხედავთ ნანგრევებს იმ შესანიშნავი ტაძრისა[3],

1 მეფე ხილპერიკ I-ის ცოლი და ხლოტარ II-ის დედა

2 ისტორიული რეგიონი, რომელსაც რომაელები გალიას უწოდებდნენ; მოიცავს დღევანდელ საფრანგეთს, ლუქსემბურგს, ბელგიას, ნაწილობრივად შვეიცარიას, გერმანიას, ნიდერლანდებსა და იტალიას

3 საუბარია ბაგრატის ტაძარზე, თუმცა ავტორი მას IX საუკუნის ნაგებობად მოიხსენიებს. სინამდვილეში კი ბაგრატის ტაძარი აიგო X-XI საუკუნეებში

რომელიც მეცხრე საუკუნეს ეკუთვნის? ეს ძეგლი შესაძლოა შევადაროთ ქრისტიანული დასავლეთის გამორჩეულ ნაგებობებს, რადგან ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მის გრანდიოზულ თაღებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მტკიცედ დგანან და სვეტებზე, რომლებიც გაბნეულია მიწაზე. დღესდღეისობით ეს ყველაზე პოეტური ნანგრევებია. გიგანტური ცაცხვის ხეებს თავიანთი ტოტები გუმბათების სიმაღლეზე აქვთ აწვდილი; ფართო კედლები ლეღვის ფოთლებით და პაულონიის ვარდისფერი თოვლით არის დაფარული. მე ავედი კედლის ნანგრევზე და მივაღწიე დიდ ნავამდე, სადაც მტრედების გუნდი ბუდობს ბუჩქებში, რომელთაც თაღის წვერზე აქვთ გადგმული ფესვები. ბავშვთა გუნდი, რომლებიც ახლახან გამოიქცა სკოლიდან[1], ხმაურინად თამაშობს აკლდამებს შორის, რომლებიც ეკლესიის წინ სკვერზე მიმოფანტულან. ერთ-ერთ საფლავზე ბაწრის მქსოველს, რომელიც მეზობელ ქუჩაზე მუშაობს, საწოლი ტიფლისური ხალიჩითა და ორი ბალიშით აქვს გაკეთებული; მას სძინავს საფლავის ქვაზე, თითქოს სარგებლობს იმ დიდი სიმშვიდით, რომელიც მის ქვემოთ მყოფმა დაიმკვიდრა. რამდენიმე ნაბიჯზე კათედრალიდან აკროპოლისის ზღვარზე, რომელიც რიონისა და მთელს ხეობის მბრძანებელია, ციხესიმაგრისა და კოშკის ნაკვალევი უძველესი ციტადელის ადგილმდებარეობაზე მიანიშნებს. ამ ადგილას ულამაზეს დედოფალთა გამო არა ერთი ტრაგედია დატრიალებულა, რომელთა შესახებაც შარდენი გვიყვება. დედოფალთა შესახებ მოგზაური ამბობს: „ისინი დამნაშავენი არიან ყველა იმ გრძნობის არსებობის გამო, რომელსაც ადამიანს მათი ნახვა განაცდევინებს, მათი მშვიდი და ნაზი თვალები მხოლოდ იმისთვის იმზირებიან, რომ მოითხოვონ სიყვარული და გასცენ იმედი“. ამ ადგილს, რომელიც ამდენჯერ შეღებილა წითლად მოკლულთა სისხლით, მინდვრებზე გამოფენილი ბროწეული ძოწსა და ლალს მოგაგონებთ.

რუსულმა მმართველობამ აღადგინა წესრიგი და უსაფრთხოება იმერეთში ისევე, როგორც დანარჩენ საქართველოში. არაფერია საჭირო, შრომის გარდა, იმისათვის, რომ ეს დალოცვილი ქვეყანა ოქროს საბადოდ კიდევ ერთხელ იქცეს. მაგრამ შეუძლია კი ქართველ ერს ამ ყოველივეს გაკეთება? ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ თბილისში მცხოვრები ქართველები სამუშაოსა და მოგებას მთლიანად სომხებს აძლევდნენ. სიზარმაცე და დაუდევრობა ამ მდიდარი ტერიტორიების მმართველების განუკურნებელ სენს წარმოადგენს. მე გავესაუბრე ამ ქვეყნის რამდენიმე დიდგვაროვანს, მათ არც კი უცდიათ თავიანთი სინანულისა თუ იმედების დამალვა. სხვა კავკასიელებისაგან განსხვავებით ისინი ახლებურ წესრიგს ვერ შეურიგდნენ. მათ წარმოედგინათ, რომ თურქთა დავდასხმის მეშვეობით, რომელიც ინგლისელების მიერ მხარდაჭერილი იყო, ისინი შეძლებდნენ ძველი დამოუკიდებლობის აღდგენას; სხვა სიტყვებით რომ

1 სავარაუდოდ საუბარი უნდა იყოს 1821 წელს დაარსებულ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელზე, რომელიც დაანგრიეს 1984 წელს.

ვთქვათ, მოსკოველ თუ მუსულმან მეზობლებთან სავაჭრო ურთიერთობების წარმოების უფლების მოპოვებას. თავიანთი ოცნების რეალიზების მოლოდინში ისინი მიდიოდნენ პეტერბურგში და გვარდიაში მსახურობისას ვალებში ეფლობოდნენ წლების განმავლობაში, შემდეგ უბრუნდებოდნენ თავიანთ სამყოფელს, სადაც თავი მოხარშული ფეტვით გაჰქონდათ და დაუდევარ ვასალებს შორის ცხოვრობდნენ, რომლებიც მათი არყოფნით სარგებლობდნენ და მათ ზურგს უკან ყირამალაზე გადადიოდნენ. მზარდი მრეწველობა ფინანსდებოდა უცხოელების განსაკუთრებით კი ინგლისელების, გერმანელებისა და ფრანგების მიერ, რომლებიც ჩამოდიოდნენ ქუთაისში იმისათვის, რომ დრო ფულად ექციათ. ერთ-ერთმა ჩემმა თანამემამულემ ქუთაისში დააარსა შამპანურის ღვინის საწარმო, სადაც კახეთიდან კამეჩის ტყავით ჩამოტანილ ღვინოს შუშხუნა სასმელად აქცევდა; მისი პროდუქცია შეიძლება შევადაროთ ერთ-ერთ ისეთ საუკეთესო მარკას, როგორიც ეპერნეა.

მე ვესტუმრე გელათის მონასტერს, რომელიც მდებარეობს ქუთაისის ჩრდილოეთით 25 ვერსის მანძილზე მთაში. ეს არის დიდი თაყვანისცემის ობიექტი ქვეყანაში და ყველა დროის მმართველი მასთან არის დაკავშირებული. მეფე დავითის მიერ XII საუკუნეში აშენებული გელათი ინახავს საქართველოს ისტორიას იმ ფრესკების სახით, რომელებიც ტაძრის კედლებს ამშვენებს. ნახატების სტილში იგრძნობა ბიზანტიური და სპარსული გავლენა, რომლის ქვეშაც იქმნებოდა ყოველივე კავკასიაში. მათზე გამოსახული მონარქებისა და წმინდანების მკაცრი პროცესიის ხილვისას შეიძლება გეფიქრათ, რომ პერსონაჟები ისპაჰანიდან იყვნენ და მათი მხატვარი კი - ათონის მთიდან. მათზე წარმოდგენილია ავთენტური პორტრეტები დედოფალი თამარისა და მეფეთა-მეფე დავით აღმაშენებლის. ქართული წარწერები, რომელიც გამოსახულია კედელზე ან საფლავის ქვაზე, აღწერს პრინცთა დიდებას. სუროთი მოფარდაგებული ნაგებობის ბოლოს, რომელიც ოდესღაც სამლოცველო იყო, ჯერ კიდევ დგას არაბული სტილის რკინის ორი კარი. დავით მეფემ, სამსონის მსგავსად, ისინი როგორც ჯილდო დარუბანდის მუსლიმთა ციხესიმაგრიდან წამოიღო და დააბრძანა ადგილას, სადაც უნდოდა რომ დაკრძალულიყო. ბერების საგანძურში ინახება ოქრომჭედლის ძვირფასი ნამუშევარი, ტიხრული მინანქრის ძველი მანუსკრიპტი, რომელიც მინიატურებით არის გაფორმებული, მისი დამაბნეველი ნარატივი გვიყვება მრავალსაუკუნოვან ლეგენდარულ ისტორიას, დამოწმებულს თითოეული იმ ქვით, რომელიც ჩვენ გვიცავდა. ჩინეთის ისტორიაზე მეტად დაფარული და ამოუცნობი ისტორიის გაცნობის შედეგად უცნაური გრძნობა შეიძლება დაგეუფლოთ, მას ჩვენი გაოცებული გონება აღიქვამს, როგორც კარგად ნაცნობი კუნძულის თავიდან აღმოჩენას. ყველაფრის მიუხედავად, მე ჩემს გიდებს უყურადღებოდ ვუსმენ, ეს უსულო საგნები კონტრასტს ქმნიან ბუნების ცოცხალ საოცრებებთან, ისინი თავიანთი ფოთლებითა და ყვავილებით

აჯადოებენ მონასტრის შენობის ნანგრევებს და გადაიზრდებიან მდიდრულ სურათებში, რომლებიც კლოდ ლორენის[1] ყველაზე აღმაფრთოვანებელ პანორამას შეიძლება შევადაროთ. ბერები გვთავაზობენ მოკრძალებულ საკვებს, კვერცხსა და მჭადს, უფსკრულზე დაკიდებული სატრაპეზოს აივანზე. ისინი მცირე რაოდენობით არიან ამ ღარიბულ სახლში შემორჩენილნი. მათი ინერტულობის მიუხედავად მათგან ზუსტი ინფორმაციის მიღებას ვცდილობდი. ეს მოსიარულე, ფერდაკარგული ფიგურები თავიანთი თეთრი წვერით, ქეჩის მიტრებითა და შავი საბურველით ჩვენგან ისევე შორს არიან, როგორც მათი თაყვანისცემის ობიექტი, რომლის წინაშეც საკმეველს აკმევენ - ეს არის გადმონაშთი იმ პატარა სამყაროსი, რომელიც ნელ-ნელა კვდება ამ ედემში, სადაც ბუნება ელოდება ახალი ადამიანების გამოჩენას, რომელსაც ის თავის დაუღალავ დედობრივ მზრუნველობას შესთავაზებს.

თარგმნა გიორგი ჭიჭინაძემ

სურათი 1.
ქართველი მთავრები
Picture 1.
Georgian Princes

1 ფრანგი ფერმწერი, გრაფიკოსი, კლასიციზმის წარმომადგენელი; ლანდშაფტის მხატვრობის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატი (1600-1682)



სურათი 2. თბილისის ბაზარი
Picture 2. Market Scene at Tbilisi



სურათი 3. თბილისის ძველი ციტადელი
Picture 3. The Old Citadel at Tbilisi



სურათი 4. თამარ დედოფლის ციხის ნანგრევები
Picture 4. Ruins of Castle of Queen Tamar

სურათი 5. ლეკური ცეკვა
Picture 5. The Lesghienne Dance

ანტიკური ლიტერატურა

ესთეტური შეფასების ეპითეტები ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში (ჰომეროსი, აპოლონიოსი, ვერგილიუსი)

ნათია არველაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
natia.arveladze@atsu.edu.ge

ესთეტურობა არის მშვენიერების სტანდარტების კონცეპტუალური გამოხატვა სალიტერატურო ფორმებში. მისი გამომხატველი შეიძლება იყოს კონკრეტული საგანი, მოვლენა, ლექსიკურ-გრამატიკული ერთეული. ყველაფერი, რაც ლამაზია - ესთეტურია, თუმცა, ანტიკური ეპიკური პოეზიის მიხედვით, ესთეტურობა მშვენიერებას გულისხმობს მორალთან სინთეზში. ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში ესთეტური გამოხატვის საუკეთესო საშუალებად ეპითეტი წარმოგვიდგება. ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში ესთეტური შეფასების ეპითეტები გამოიყენება სულიერი თუ უსულო საგნების აღსაწერად ისევე, როგორც უკვდავთა წარმომადგენლების შესაფასებლად. ესთეტური შეფასების ეპითეტი საკვლევ ტექსტებში ახდენს ვიზუალური მშვენიერების ხაზგასმას, მორალური ღირებულების გამოხატვას, სიტუაციისადმი მკითხველის ემოციური დამოკიდებულების ინტენსიფიკაციას ან არის მხატვრული სახის საიდენტიფიკაციო ნიშანი.

საკვანძო სიტყვები: *ესთეტური, ეპითეტი, ანტიკური ეპიკური პოეზია.*

ხელოვნებაში ესთეტურობა გულისხმობს ეფექტური და მკითხველზე დადებითი გავლენის მოხდენის უნარის მქონე ფორმების შექმნისაკენ სწრაფვას. ესთეტურობა არის მშვენიერების სტანდარტების კონცეპტუალური გამოხატვა სალიტერატურო ფორმებში. ხელოვნების ისტორია ადასტურებს ფაქტს, რომ მის პროგრესულ ავტონომიაში არასოდეს ყოფილა უგულებელყოფილი ესთეტურობის ფაქტორი, რაც არ შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ხელოვნების საზღვრები მკაცრია. ჯერ კიდევ უძველეს ხანაში, ანტიკური ეპიკური პოეზიის წარმომადგენლები, რომლებიც გვთავაზობენ მკაცრად ფორმულირებულ კომპოზიციურ სტრუქტურას, ვერ გაურბიან ესთეტური ფორმების წარმოდგენას. მეტიც, შეიძლება ითქვას, მათი ნაშრომები მთლიანად ესთეტური ფორმების ექსპრესიას ემსახურება (Adorno 1997: 3-10).

ესთეტურობის გამომხატველი შეიძლება იყოს კონკრეტული საგანი, მოვლენა, ლექსიკურ-გრამატიკული ერთეული. ყველაფერი, რაც ლამაზია

- ესთეტურია, თუმცა, ესთეტურობა მშვენიერებას გულისხმობს მორალთან სინთეზში (მშვენიერების ზოგადი თეორიის ფორმულირებაც სწორედ ძველ ბერძნებს ეკუთვნით) (Kostov 2013:72-74).

ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში ესთეტური გამოხატვის საუკეთესო საშუალებად ეპითეტი წარმოგვიდგება (Passakos, Raad 2009: 75; Pott 2006: §3.6; Cruse 1986: 272). ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში ესთეტური შეფასების ეპითეტები გამოიყენება სულიერი თუ უსულო საგნების აღსაწერად ისევე, როგორც უკვდავთა წარმომადგენლების შესაფასებლად. ესთეტური შეფასების ეპითეტი შეიძლება ახდენდეს ვიზუალური მშვენიერების ხაზგასმას, მორალური ღირებულების გამოხატვას, სიტუაციური მშვენიერების ხაზგასმას და ა.შ. (დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Лосев 1963; 1968; 1975).

ჰომეროსის ეპოსში ვხვდებით უამრავ ესთეტურ/ესთეტური შეფასების ეპითეტს, იმის მიუხედავად, რომ მისი ეპითეტები, ხშირ შემთხვევაში, ემსახურება მიზანს, წარმოადგინოს ესა თუ ის მოკვდავი თუ უკვდავი პერსონაჟი მაქსიმალურად მიმსგავსებულად ჰომეროსის თანამედროვე ადამიანებთან. ჰომეროსის ეპითეტის განსაკუთრებულ ხასიათს წარმოადგენს მისი ემოციური კომპლექსურობა რეალურობასთან ერთად.

მოკვდავთა საზოგადოების აღსაწერად გამოყენებული ესთეტურობის შემფასებელი ეპითეტების უმრავლესობა ემსახურება ვიზუალური მშვენიერების აღწერას. ჰომეროსის ეპოსში მოკვდავთა აღსაწერად გამოყენებული ესთეტური შეფასების ეპითეტები მიემართება სხეულის სხვადასხვა ნაწილს: ღაწვებს, თვალებს, თმას, ხელებს და ა.შ.

„ილიადაში“ პოემის მთავარი ქალი პერსონაჟის - ელენეს მხატვრული სახის ძირითადი შტრიხია მისი ფიზიკური მშვენიერება, რომელიც კვლავდაკვლავ შესაბამისი ეპითეტებით არის წარმოდგენილი: *სხივმოსილი (ἀργεννῇσι)* (ჰომ. ილ. III. 141), *ათქვირებული/თეთრხელება (λευκωλένῳ)* (ჰომ. ილ. III. 53; ჰომ. ილ. III. 121), *ლამაზთმიანი (ἠϋκόμοιο)* (ჰომ. ილ. III. 329). ელენე *მშვენიერია* ტროელი მოხუცების საუბარში, რომელთა მიერ ელენეს ფიზიკური მონაცემების ამგვარად შეფასება თითქოს ამართლებს პარისის საქციელსა და ზოგადად ტროას ომის მიმდინარეობას (ჰომ. ილ. III. 159). მოხუცების აზრი მნიშნელოვანია ორი ასპექტით: 1. ეს არ არის ახალგაზრდებისგან შემდგარი საზოგადოება, რომელიც ობიექტურად ვერ შეაფასებდა ქალის ფიზიკურ მონაცემებს; 2. ტროელი მოხუცებიც კი, რომლებმაც ყველაზე კარგად იციან ომის არსი და ყველაზე გონივრულად აფასებენ ომის შედეგებს, აღიარებენ ელენეს სილამაზეს, რომელიც ამ ომის ძირითადი მიზეზია და ამართლებენ ამ მიზეზით ომის დაწყებას. ელენეს ამგვარ მნიშვნელობას ომის დაწყებაში ნათლად გამოხატავს მის მიმართ გამოყენებული ეპითეტი *(ἀργεννῇσι)*.

ელენემ თავადაც იცის საკუთარი სილამაზის ფასი. ის მოიხსენიებს საკუთარ თავს ეპითეტით *ქალთამზე/პატივის ღირსი (αἰδοῖός)* (ჰომ. ილ. III.

171). ამგვარად, ელენეს ძირითადი უპირატესობა - მისი ფიზიკური სილამაზე პოემაში სწორედ ესთეტური შეფასების ეპითეტებით არის მოწოდებული.

„ოდისეას“ წამყვანი ქალი პერსონაჟის, პენელოპეს მხატვრულ სახეში წამყვანი თვისება მისი დამოკიდებულებაა მეუღლის, ოჯახისა და საკუთარი თავის მიმართ - გონიერება, რომელიც გამოარჩევს მას სხვა მდედრობითი სქესის პერსონაჟებისგან, მაგრამ რამდენადაც ანტიკური ეპიკური პოეზიის წარმომადგენლებისთვის ლამაზი სული ლამაზ სხეულშია მოთავსებული, ეპიკოსი ავტორი უყურადღებოდ არტოვებს პენელოპეს ფიზიკურ მშვენიერებას და ეს აღსაწერის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. პენელოპეს გარშემო მიმდინარე პროცესებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მისი ფიზიკური მშვენიერება. ეს არის სწორედ ის ქმრის მომლოდინე ქალი, რომლის ხელის სათხოვნელად საუკეთესო მამაკაცების არმია დგას. პენელოპეს მშვენიერებას ჰომეროსი გამოხატავს ესთეტური შეფასების ეპითეტებით, როგორიცაა *ქალთა მშვენება/ტურფა (φαεινός)* (ჰომ. ოდ. XXI. 258; ჰომ. ოდ. XXI. 67), *არტემიდეს თუ აფროდიტეს მსგავსი (Ἀρτέμιδι ἰκέλη ἠὲ χρυσέῃ Ἀφροδίτῃ)* (ჰომ. ოდ. XIX. 54).

ჰომეროსის ეპოსში ვხვდებით იმგვარ ქალ პერსონაჟებს, რომლებიც გამოირჩევიან მათი გონიერებით, სიბრძნით, მეუღლისა თუ ოჯახისადმი ერთგულებით, საიმედოობით და ასევე ვხვდებით პერსონაჟებს, რომლებიც მნიშვნელოვან ესთეტურ ფონს ქმნიან მოვლენების განვითარებისას. ამგვარი პერსონაჟები წარმოდგენილნი არიან უხვი ესთეტური შეფასების ეპითეტებით. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები: *ლამაზთმიანი* ბრისეისი *(ἠϋκόμοιο)* (ჰომ. ილ. II. 689), *მშვენიერი/ლამაზი* ბრისეისი *(περικαλλέα)* (ჰომ. ილ. XVI. 85; ჰომ. ილ. I. 276), *ლამაზღაწვება / ღაწვებაალებული* ბრისეისი *(καλλιπάρῃον)* (ჰომ. ილ. I. 346; ჰომ. ილ. XXIV. 676) *შავთვალა პირმშო/თვალებბრიალა* ქრისეისი *(ἑλικώπιδα)* (ჰომ. ილ. I. 99), *ტურფაღაწვება/ლამაზღაწვება* ქრისეისი *(καλλιπάρῃον)* (ჰომ. ილ. I. 143; ჰომ. ილ. I. 370), ქრისეისისა და ბრისეისის სილამაზე, რაც ყველაზე კარგად ეპითეტებში ვლინდება, ელენეს მსგავსად, შეიძლება მივიჩნიოთ მათ გამო შექმნილი დავის საკომპენსაციოდ. ესთეტური ეპითეტების საშუალებით გამოხატული მშვენიერება ამ შემთხვევაშიც ამართლებს ქალის გამო ატეხილ დავას.

ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც ჰომეროსის მიერ გამოყენებულ ესთეტური შეფასების ეპითეტს შეიძლება შევხედოთ, როგორც ირონიული იმპლიციტური მნიშვნელობის მატარებელ ლექსიკურ-გრამატიკულ ერთეულს, უკავშირდება პარისს, რომელსაც ჰომეროსი წარმოადგენს ეპითეტით *ლამაზი (θεοειδής)*. ასე ახასიათებს პარისს ჰექტორი - გამორჩეული ტროელი გმირი - *„ლამაზი პარისი, მექალთანე, მაცდუნებელი“* (ჰომ. ილ. III. 39). ეპითეტი ხაზს უსვამს პარისის ფიზიკურ მშვენიერებას, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში ეს შეფასება, შეიძლება, უარყოფითი მნიშვნელობის

მატარებელიც კი იყოს, რადგან მამაკაცისთვის მხოლოდ სილამაზე - ფიზიკური და მორალური სიძლიერის გარეშე, არ წარმოადგენს საამაყო მახასიათებელს. ავტორი თითქოს სხვა უპირატესობას ვერ უძებნის პარისს და მის სილამაზეს უსვამს ხაზს.

აპოლონიოსის პოემაში გამოყენებული ესთეტური შეფასების ეპითეტების მხოლოდ მცირე ნაწილი არის წარმოდგენილი სულიერ პერსონაჟთა აღსაწერად, თუმცა აპოლონიოსი არ ტოვებს უყურადღებოდ გმირთა ვიზუალურ მშვენიერებას და მისი პოემის მთავარი ქალი პერსონაჟის - მედეას მხატვრული სახის გამოსახატავად აქტიურად მიმართავს ესთეტური შეფასების ეპითეტებს, როგორიცაა *ტურფა/მშვენებით სრული/დედოფალი (ἀνάσσης)* (აპ. როდ. არგ. IV. 39; აპ. როდ. არგ. IV. 39) / *მშვენიერი/სასურველი (ἱμερόεσσα)* (აპ. როდ. არგ. III. 446) / *თმაჩამოშლილი* (აპ. როდ. არგ. IV. 1296). ეპითეტები მედეას მხატვრულ სახეში მის ფიზიკურ მშვენიერებას გამოყოფს, რაც მკითხველს მედეასადმი კეთილად განაწყობს. გარდა ამისა, მედეას მშვენიერება იასონის თავდავიწყების ერთგვარი გამართლებაცაა. თუ პარისის თავდავიწყება მართლდება ელენეს სილამაზით ჰომეროსის პოემაში, იასონის დროებითი თავის დაკარგვაც შეიძლება იყოს განპირობებული მედეას სილამაზით.

პოემაში „არგონავტიკა“ ესთეტური შეფასების ეპითეტებით აღიწერება აგრეთვე იასონი, რომელიც წარმოდგენილია აღმწერებით *თმაგაშლილი/გრძელთმიანი/თმაჩამოშლილი (κομέουσι)* (აპ. როდ. არგ. I. 781) / *ქერათმიანი (ξανθοῖο)* (აპ. როდ. არგ. I. 1084). აღნიშნული ეპითეტების გამოყენების შემდეგ, მკითხველისთვის ლოგიკური ხდება იასონისა და მედეას ურთიერთგანწყობა.

ვერგილიუსის პოემაში „ენეიდა“ ვხვდებით ესთეტური შეფასების ეპითეტებს, რომელთაც ავტორი იყენებს მოკვდავი პერსონაჟების აღსაწერად. მთავარი პერსონაჟის ვიზუალური მშვენიერება ვერგილიუსთანაც უპირობოა, რაც შეიძლება კვლავ მივიჩნიოთ მიზეზად, თავდავიწყებისა. მშვენიერია დიდო და მისი სილამაზე მისი ქმედებისა და ენეასის მიერ თავის დაკარგვის ერთგვარი გამართლებაა. პოემაში დიდოს მიმართ გამოყენებული მუდმივი ეპითეტების ჯაჭვი, რომელთა საშუალებით მკითხველი ახდენს პერსონაჟის იდენტიფიკაციას, ქმნის აღსაწერის კომპლექსურ მხატვრულ სახეს, ხოლო ესთეტური შეფასების ეპითეტები კიდევ უფრო აძლიერებს ემოციური ფონს მკითხველში დიდოს პერსონაჟში მიმდინარე ფსიქოლოგიური ძვრების აღქმის პროცესში.

ავტორი ახასიათებს დიდოს ეპითეტით *ლამაზი/მშვენიერი/უტურფესი (pulcherrima)* (ვერგ. ენ. I. 496; ვერგ. ენ. IV. 60) მისი მშვენიერების აღსაწერად ასევე გამოყოფილია ეპითეტები სხეულის ცალკეული ნაწილების აღსაწერად: *ტურფა* სახე (დიდოს) (ვერგ. ენ. IV. 499); *ლამაზი* მკერდი/*ფიქალი* მკერდი (დიდოს) *(decorum)* (ვერგ. ენ. IV. 589; ვერგ. ენ. IV. 30); *ოქროსფერი* თმა

(flaventesque) (ვერგ. ენ. IV. 590); *უფერული/ფერმკრთალი* ღაწვები (დიდოს) *(pallida)* (ვერგ. ენ. IV. 643); და სხვა.

ვერგილიუსის ეპოსში ელენე კვლავ წარმოდგენილია ეპითეტით *ლამაზი/მშვენიერი/დიდებული (ornatus)* (ვერგ. ენ. I. 650). ელენეს სილამაზე საყოველთაოდ და სამარადისოდ არის აღიარებული. ეპიკურ პოემაში „ენეიდა“ ვხვდებით სხვა პერსონაჟებსაც, რომელთა ვიზუალური მშვენიერების გამოსახატად ავტორი იყენებს ესთეტური შეფასების ეპითეტებს. ეპითეტი *ნაზი ქალწული (virgo)* გამოყენებული პანოპეას დასახასიათებლად (ვერგ. ენ. V. 826). დეიოპეას აღსაწერად ავტორი კვლავ იყენებს ეპითეტს *ლამაზი (pulcherrima)* (ვერგ. ენ. I. 72). იულუსის აღსაწერად გამოყენებულია ესთეტური აღმწერი *გაბრწყინებული (laetus)* (ვერგ. ენ. IV. 140). ლავიანიას დახასიათებისას ავტორი იყენებს ესთეტური შეფასების ეპითეტს *ელვარე/ცეცხლოვანი ღაწვები (flagrantis)* (ვერგ. ენ. XII. 65).

ფიზიკური მშვენიერება საკვლევი ავტორების შემოქმედებაში დამახასიათებელია უკვდავთა საზოგადოებისთვისაც და ეს მახასიათებელი ღმერთებისთვისაც მნიშვნელოვანი და ღირებულია. ესთეტური შეფასების ეპითეტებით ავტორები აყალიბებენ დადებით განწყობას ღმერთების მიმართ და ამავე დროს, გამოყოფენ რაღაც კონკრეტულ, მაინდივიდუალიზებელ თვისებას, რითიც ღმერთი ხდება გამორჩეული და ყველასგან განსხვავებული. ეს, თავის მხრივ, ამარტივებს პერსონაჟის დამახსოვრებას მკითხველისათვის. დუფრენი აღნიშნავს, რომ ჰომეროსის შემოქმედებაში ესთეტურობის გამომხატველ ერთეულებად ხშირად არის წარმოდგენილი აღმწერი აღსაწერთან ერთად, რაც პერსონაჟის მხატვრული გამოხატვის შექმნის საშუალებაა (Dufrenne 1973: 525-535). იგივე შეიძლება ვთქვათ ვერგილიუსის ეპითეტებზე.

ჰომეროსის ეპოსში ესთეტური შეფასების ეპითეტებით მეტწილად წარმოდგენილნი არიან ქალი პერსონაჟები, მაგრამ საკმაოდ ხშირად ვხვდებით ისეთ მამრობითი სქესის წარმომადგენელ ღმერთებს, რომელთა მხატვრული სახის შექმნაში ავტორი ესთეტური შეფასების აღმწერს დაიხმარს. „ილიადაში“ ესთეტური შეფასების ეპითეტით წარმოდგენილია აპოლონი: *ნათელი/ფებოსი (Φοῖβος) აპოლონი* (ჰომ. ილ. XX. 68). პოსეიდონის აღსაწერად გამოყენებულია ეპითეტი *შავთმიანი (κυανοχαίτῃ)* (ჰომ. ოდ. III. 6; ჰომ. ილ. XV. 174). „ოდისეაში“ არესი აღიწერება ესთეტური შეფასების ეპითეტით *ოქროსთმება ღმერთი (χρυσήνιος)* (ჰომ. ოდ. VIII. 285).

მდედრობითი სქესის უკვდავების აღსაწერად გამოყენებულ ესთეტური შეფასების ეპითეტებში ჰომეროსი უფრო უხვია. ის წარმოადგენს ქალღმერთს ათენა ეპითეტებით: *თვალებბრიალა/თვალმცეცხლია/თვალთინათინა (γλαυκῶπις)* (ჰომ. ილ. II. 166; ჰომ. ილ. II. 172; ჰომ. ოდ. I. 44), *ლამაზთმიანი (ἐυπλόκαμος)* (ჰომ. ოდ. VII. 41). აფროდიტე ჰომეროსის პოემებში

წარმოდგენილია ესთეტური შეფასების ეპითეტებით: *მომღიმარი/სიცილის მოყვარული (φιλομμειδὴς)* (ჰომ. ილ. V. 371), *პირმშვენიერი/მშვენიერი* (ჰომ. ილ. XIV. 189; ჰომ. ილ. XX. 209) და მრავალი სხვა.

აპოლონიოსი წარმოადგენს აპოლონს ესთეტური შეფასების ეპითეტით *სხივთამთოველი (δαιομένοις)* (აპ. როდ. არგ. II. 700), ხოლო აპოლონის თმა დახასიათებულია ეპითეტით *ოქროსფერი (χρύσεοι)* (აპ. როდ. არგ. II. 677). რაც შეეხება ქალღმერთებს, მათგან აფროდიტე წარმოდგენილია ესთეტური აღმწერით *ტურფა/გაბრწყინებული (γλυκὺν)* (აპ. როდ. I. 850; აპ. როდ. არგ. III. 112). მისი მხრები დახასიათებულია, როგორც *ოქროსფერი (χρυσείῃ)* (აპ. როდ. არგ. III. 45) თმა კი *ჩამოშლილი/მშვენიერი/ხუჭუჭა (πλοκάμους)* (აპ. როდ. არგ. III. 45). ნიმფების მშვენიერების აღსაწერად აპოლონიოსი იყენებს ეპითეტს *ტურფა/შესანიშნავი/საუკეთესო (πλεῖστος)* (აპ. როდ. არგ. II. 712), *საყვარელი/სასურველი (ἐρωμένη)* (აპ. როდ. არგ. I. 1224). ეოსი აპოლონიოსთან *სხივთამთოველი/მანათობელია (φαεινοῖς)* (აპ. როდ. არგ. I. 519).

ვერგილიუსის პოემაში „ენეიდა“ ქალღმერთი იუნო წარმოდგენილია ესთეტური შეფასების ეპითეტით *დიდებული (decus)* (ვერგ. ენ. IX. 17). ირისის მხატვრული სახის დასახასიათებლად ავტორი იყენებს ესთეტურ ეპითეტს *ღრუბლისგან შობილი* (*excitos aut actam nubibus*) (ვერგ. ენ. X. 37). ვენუსის მხატვრული სახის შექმნისათვის წარმოგვიდგენს ეპითეტს *ჰაეროვანი/ ტურფა (aetherios)* (ვერგ. ენ. I. 608; ვერგ. ენ. I. 589). ვენუსის ყელი და თმა კი დახასიათებულია ეპითეტებით *ვარდისფერი/მოელვარე (refulsit)* (ვერგ. ენ. I. 402) და *ამბროსიულნი (ambrosiaeque)* (ვერგ. ენ. I. 403).

უსულო საგნების აღსაწერად გამოყენებული ესთეტური შეფასების ეპითეტები შედარებით მრავალფეროვანია, რადგან ისინი ვიზუალური მშვენიერების გარდა, სხვა მახასიათებლებსაც გამოხატავს, მაგალითად, სასიამოვნო ჟღერადობას, საამო სურნელებას, სინარნარეს და ა.შ.

ჰომეროსის პოემებში ოლიმპოს მწვერვალების მშვენიერება აღწერილია ეპითეტით *თოვლიანი (ἀγάννιφον)* (ჰომ. ილ. I. 419), რაც მკითხველში ქმნის ესთეტურ განწყობას, მკითხველის წარმოსახვაში ოლიმპოს მწვერვალი ლამაზ, თეთრ, თოვლიან რეალობად აღიქმება. გარდა ამისა, თოვლის ფერი - თეთრი ასოციაციურად შეიძლება დავაკავშიროთ სისუფთავესთან, გულწრფელობასთან და კიდევ სხვა თვისებებთან.

ქალაქთაგან, ტროას აღსაწერად ჰომეროსი წარმოადგენს ესთეტური შეფასების ეპითეტებს *ფართოფოლორცებიანი (εὐρυάγυιαν)* (ჰომ. ილ. II. 229) ჰექტორის სასახლე კი *ლაღად აზიდულია (αἶψα δ᾽ ἔπειθ᾽)* (ჰომ. ილ. VI. 370), რაც ქმნის განწყობას არა მხოლოდ უშუალოდ სასახლის მიმართ, არამედ თავად ჰექტორის პერსონაჟის სიდიადის კიდევ ერთი სხივია მისი სასახლის ამგვარი გამოხატულება. ცად აზიდული შეიძლება ვივარაუდოთ, რომ

ოლიმპოს მწვერვალთან - ღმერთების სამყოფელთან ახლოს მყოფს ნიშნავს. ჰექტორისთვის კი, საგმირო კოდექსის მიხედვით, ალბათ არაფერი არ არის ისე სანატრელი, როგორც ღმერთებთან მიახლება-მიახლოვება.

აპოლონიოსის პოემაში კვლავ ვხვდებით ისეთ ესთეტურ ეპითეტებს, რომლებიც აღწერს უსულო საგნის თუ საგანთა ესთეტურ სურნელებას, ფერს, ჟღერადობას, სილაღეს და კიდევ სხვა არაერთ მახასიათებელს, ცხადია, ვიზუალურ მშვენიერებასთან ერთად. „არგონავტიკაში“ ხმის ესთეტური ჟღერადობა გამოხატულია ეპითეტით *წკრიალა (λιγυρός)* (აპ. როდ. არგ. I. 1085). აღნიშნულის პარალელურად მუსიკალურ ინსტრუმენტს - ფორმინგს ავტორი წარმოადგენს ესთეტური შეფასების აღმწერით - *ხმატკბილი (συνοίμιον)* (აპ. როდ. არგ. II. 162). თავად სიმღერა კი აპოლონიოსისთვის *ჰარმონიულია (εὐθήμων)* (აპ. როდ. არგ. I. 569).

აპოლონიოსი ასევე წარმატებით იყენებს ფერებს ესთეტური განწყობის შესაქმნელად. ფერთა შორის, ვიზუალური მშვენიერების გამოსახატად, ეპიკოსი ველს აღწერს ეპითეტით *გადათეთრებული (ἐλευκαίνοντο)* (აპ. როდ. არგ. I. 29), რაც, ბუნებასთან ჰარმონიაში ყოფნის გარდა, ასოციაციურად, ასევე კავშირშია სიმშვიდესა და სისუფთავესთან. ესთეტურ განწყობას ქმნის სამოსის მშვენიერების აღსაწერად გამოყენებული ესთეტური შეფასების ეპითეტი *ყვავილებიანი (θρόνον)* (აპ. როდ. III. 44), ფოთლებისგან შემკული გვირგვინის აღსაწერად გამოყენებულია ეპითეტი *ახლადამწვანებული/მწვანე/მომწვანო (χλωρός)* (აპ. როდ. არგ. III. 220).

ვერგილიუსის პოემაში „ენეიდა“ უსულო საგანთა მიმართ გამოყენებული ესთეტური შეფასების ეპითეტების მნიშვნელობა კვლავ მრავალფეროვანია. ვიზუალურ მშვენებას ვერგილიუსი წარმოადგენს შემდეგი ესთეტური ეპითეტებით: *ქორბუდა რქები (arboreis)* (ვერგ. ენ. I. 190), *მაღალგალავნიანი ქალაქი (urbem)* (ვერგ. ენ. 8.716), *ვარსკვლავებით უხვად დაცხრილული ცის თაღი (stellis ardentibus)* (ვერგ. ენ. IV. 482), *ელვარე მზე* (ვერგ. ენ. VI. 641), *აყვავებული/მობიბინე/ბალახიანი* მდელო *(grāmineus)* (ვერგ. ენ. VI. 642) და ა.შ.

ესთეტური განწყობის ფერების დამსახურებით შესაქმნელად ვერგილიუსი მიმართავს ამგვარ ეპითეტებს: *ყვითელი ასპარეზი (fulva)* (ვერგ. ენ. VI. 643), *ძოწისფერი წაღი (purpureoque)* (ვერგ. ენ. I. 337) და სხვა. შ ე ს წ ა ვ ლ ი ლ ი მასალის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში ესთეტური შეფასების ეპითეტი წარმოადგენს, როგორც ლინგვისტური სიტუაციის შექმნის, ასევე, მკითხველის ემოციური დამოკიდებულების ინტენსიფიკაციისა და მხატვრული სახის საიდენტიფიკაციო ერთ-ერთ ძირითად საშუალებას.

ესთეტური შეფასების ეპითეტებს საკვლევი ავტორები იყენებენ, როგორც მოკვდავთა და უკვდავთა, ასევე უსულო საგანთა აღსაწერად. ამასთან,

ღმერთების ფიზიკური მშვენიერება პოემებში ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მოკვდავთა ვიზუალური მონაცემი.

ჰომეროსის, აპოლონიოსისა და ვერგილიუსის შემოქმედებაში ესთეტური შეფასების ეპითეტები ცხადყოფს, რომ მხატვრული სახის შექმნაში მისი მორალური მახასიათებლების წარმოჩენის პარალელურად, ვიზუალური მშვენიერების გამოხატვაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ანტიკურ ეპიკურ პოეზიაში წარმოდგენილ მხატვრულ სახეთა უმრავლესობაში ფიზიკური მშვენიერება სულიერი მშვენიერების პირდაპირპროპორციულია.

გამონაკლისის სახით, მხოლოდ ჰომეროსის პოემაში და მხოლოდ ერთხელ გვხვდება ესთეტური შეფასების ეპითეტი, რომელიც ქმნის მხატვრული სახისადმი ნეგატიურ განწყობას. პარისის მიმართ გამოყენებული ესთეტური შეფასების ეპითეტი ლამაზი უფრო აკნინებს აღსაწერს, ვიდრე განადიდებს, რადგან ამ შემთხვევაში მისი სილამაზე არ თანხვდება მის მორალურ ღირებულებებთან. საგმირო კოდექსის თანახმად ფიზიკური მშვენება არ წარმოადგენს გმირის უპირველეს ღირსებას, ისე, როგორც ეს პარისის შემთხვევაში ხდება.

ლიტერატურა

ვერგილიუსი 1976: ვერგილიუსი. ენეიდა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 1976.

როდოსელი 1975: როდოსელი აპ. არგონავტიკა. თარგმნა აკაკი გელოვანმა. თბილისი: გამომცემლობა მეცნიერება. 1975.

ჰომეროსი 2011: ჰომეროსი. ოდისეა. თარგმნა ზ. კიკნაძემ, თ. ჩხენკელმა. თბილისი: პალიტრა L. 2011.

ჰომეროსი 2013: ჰომეროსი. ილიადა. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2013.

Adorno 1997: Adorno T. Aesthetic Theory. London: Continuum. 1997.

Dufrenne 1973: Dufrenne M. The Phenomenology of Aesthetic Experience. Evanston: Northwestern University Press. 1973.

Virgil 2006: Virgil. The Aeneid. Translated by Fagles R. New York: Penguin Books. 2006.

Kostov 2013: Kostov B. On Beauty and the Beautiful in Aestetic Education. In: *International Journal of Cognitive Research in Science, Engineering and Education.* Vol. 1. N1. Vranje: The Association for the Development of Science, Engineering and Education. 2013.

Cruse 1986: Cruse D. A. Lexical Semantics. Cambridge: Cambridge University Press. 1986.

Лосев 1963: Лосев А. История античной эстетики. Ранняя классика. 1-е изд. Москва: Искусство. 1963.

Passakos, Raad 2009: Passakos C.G. Raad B. D. Ancient Personality: Trait Attributions to Characters in Homer's Iliad. *Ancient Narrative*. Vol. 7. 2009.

Rhodius 1912: Rhodius A. The Argonautica. With an English translation by Seaton R.C. London: William Heinemann. The Loeb Classical Library. 1912.

Pott 2006: Pott Ch. The Logic of Conventional Implicatures. Oxford: Oxford University Press. 2006.

Homer 1927: Homer. The Odyssey. With and English translation by Murray A. T. London: William Heinemann. The Loeb Classical Library. 1927.

Homer 1928: Homer. The Iliad (With an English Translation by Myrray A. T.). London: William Heyneman LTD. 1928.

Classics

Esthetic Epithets in Ancient Epic Poetry (Homer, Apollonius, Virgil)

Natia Arveladze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
natia.arveladze@atsu.edu.ge

Aesthetics is the conceptual expression of standards of beauty in literary forms. The expressive form can be a specific subject, event or lexical-grammatical unit. Everything that is beautiful is aesthetic too, though, according to ancient epic poetry, aesthetics implies beauty in the synthesis of morality. In ancient epic poetry epithet is the best way of representing an aesthetic expression. In the works by Homer, Apollonius, and Virgil, the epithets expressing aesthetic view are used to describe animate or inanimate objects as well as to represent the immortals. In the texts, the epithet of aesthetic evaluation emphasizes visual beauty, expresses moral value, intensifies the reader's emotional attitude to the situation or is an artistic identification mark.

Keywords: *aesthetic, epithet; ancient epic poetry.*

Aesthetics in art implies an aspiration to create effective and influential literary forms, which affect the readers. Aesthetics is the conceptual expression of standards of beauty in literary forms. The history of art proves that in its progressive autonomy the factor of aesthetics has never been neglected, that cannot be explained by the fact that the boundaries of art are strict. In ancient times, the representatives of ancient

epic poetry, who offered a strictly formulated compositional structure, could not escape the presentation of aesthetic forms. Moreover, it can be said that their works serve to express the aesthetic forms (Adorno 1997: 3-10).

In ancient epic poetry epithet is the best way of making an aesthetic expression (Pasakos, Raad 2009: 75; Pott 2006: §3.6; Cruze 1986: 272). In the works by Homer, Apollonius, and Virgil, the epithets of aesthetic appraisal are used to describe mortals or immortals.

In the Homeric epic poem, we find a lot of epithets of aesthetic evaluation, even though its epithets often serve the purpose of presenting either a mortal or an immortal character as closely as possible to modern people of Homeric age. The special character of Homer's epithet is its emotional complexity with reality.

Most of the aesthetic evaluative epithets used to describe a mortal society serve to describe visual beauty. In Homeric epic poetry, such kind of epithets apply to different parts of the body: thighs, eyes, hair, hands, etc.

In the "Iliad", the basic characteristic of the main female character – Helen is her physical beauty, which is expressed by the relevant epithets: *lighted (ἀργεννῇσι) (Hom. Il. III. 141); whitearmed (λευκωλένῳ) (Hom. Il. III. 53; Hom. Il. III. 121), with beautiful hair (ἠϋκόμοιο) (Hom. Il. III. 329).* She is beautiful according to the Trojan old men - that mostly justifies the action of Paris.

The main female character of "Odyssey" is Penelope. The leading feature of her artistic look is her attitude towards her husband, family and son – the wisdom that distinguishes her from other female characters. Besides this, the epic author does not neglect Penelope's physical beauty, which plays an important role in the processes surrounding her.

Homer expresses the beauty of Penelope through the aesthetic epithets, such as: *beautiful/the most beautiful of all the women (φαεινός)* (Hom. Od. XXI. 258; Hom. Od. XXI. 67), *as beautiful as Artemis or Aphrodite (Ἀρτέμιδι ἰκέλη ἠὲ χρυσέῃ Ἀφροδίτῃ)* (Hom. Od. XIX. 54).

In the work by Homer, we come across female characters who are distinguished by their wisdom or devotion to their family and we, also find beautiful characters who create a significant aesthetic background in the development of the events. Such characters are represented by the epithets of aesthetic appreciation. Illustrative examples include the epithets: *beautiful haired* (*κόἠκόμο ιοιο)* (Hom. Il. II. 689), *Beautiful (περικαλλέα)* (Hom. Il. XVI. 85; Hom. Il. I. 276), *white cheeked (καλλιπάρῃον)* (Hom. Il. I. 346; Hom. Il. XXIV. 676); *black-eyed (ἑλικώπιδα)* (Hom. Il. I. 99) and so on.

The only exception when the author uses the aesthetic epithet for creating a negative attitude, is connected to Paris. He is described with the epithet *beautiful*

(θεοειδής) that is not a good mark for the man especially according to the heroic values used in the ancient epic poetry (Hom. Il. III. 39).

In the poem by Apollonius, only a small part of aesthetic epithets is used for describing animate characters, but Apollonius does not abandon the visual beauty of the heroes. The artistic look of the poem's main character – Medea - is created by the aesthetic epithets, such as: *queen (ἀνάσσης*) (Ap. Rhod. Arg. IV. 39; Ap. Rhod. Arg. IV. 39) / *nice, beautiful (ἱμερόεσσα)* (Ap. Rhod. Arg. III. 446). The epithets convey the physical beauty of Medea's artistic look, which makes the reader feel good about Medea. In addition, Medea's beauty is also a kind of justification for Jason's devotion. If Paris's devotion is true to Helen's beauty in Homer's poem, Jason's temporary loss may also be due to Medea's beauty.

In the poem "Aeneid" by Virgil, we find epithets of aesthetic appraisal that the author uses to describe mortal characters. The visual beauty of the main character is essential as well. Dido is beautiful and her beauty somehow justifies her actions as well as Aeneas' ones. The chain of constant epithets applied to Dido in the poem, through which the reader identifies the hero, creates a complex artistic look of the character, while the aesthetic evaluation epithets further reinforce the emotional background in the reader.

The author describes Dido with the epithets: *beautiful/nice (pulcherima)* (Virg. Aen. I. 496; Virg. Aen. IV. 60). Aesthetic epithets also describe her body: *beautiful face / chest (decorum)* (Virg. Aen. Iv. 589; Virg. Aen. IV. 30); *golden hair (flaventesque)* (virg. Aen. IV. 590) *pale cheeks (pallida)* (Virg. Aen. IV. 643).

In the poem by Virgil Helen is again described by the epithet *nice/great/beautiful (ornatus)* (Virgil. Aen. I. 650). For describing different female characters the epic writer uses the aesthetic epithets: *virgin (virgo)* (Virg. Aen. V. 826); *beautiful (pulcherrima)* (Virg. Aen. I. 72); *delighted (laetus)* (Virg. Aen. IV. 140) and so on.

In the works by the studied authors, physical beauty is the characteristic of the immortal society as well, and it is important and valuable to the gods. In the work by Homer there are some gods described by the aesthetic epithets: *light/Pebos* Apollo *(Φοῖβος)* (Hom. Il. XX. 68); *black-haired* Poseidon *(κυανοχαίτῃ) (*Hom. Od. III. 6; Hom. Il. XV. 174); *golden-haired* Ares *(χρυσήνιος*) (Hom. Od. VIII. 285) and many others.

While describing the female gods, Homer uses much more aesthetic epithets: *blinking (γλαυκῶπις)* (Hom. Il. II. 166; Hom. Il. II. 172; Hom. Od. I. 44), *beautiful-haired (ἐυπλόκαμος)* (Hom. Od. VII. 41); *laughing (φιλομμειδὴς)* (Hom. Il. V. 371)...

In the work by Apollonius we find lots of aesthetic epithets describing the gods, like: *light* Apollo *(δαιομένοις)* (Ap. Rhod. Arg. II. 700) and the hair of Apollo is described by the epithet *golden (χρύσεοι)* (Ap. Rhod. Arg. II. 677). While describing

the female gods, the author uses the aesthetic epithets *beautiful/nice (γλυκὺν)* (Ap. Rhod. Arg. I. 850; Ap. Rhod. Arg. III. 112). The shoulders of the goddess are described by the epithet *golden (χρυσείῃ)* (Ap. Rhod. Arg. III. 45) and the hair is *curly (πλοκάμους)* (Ap. Rhod. Arg. III. 45).

To describe the beauty of the nymph Apollonius uses the epithet *nice/beautiful/ the best (πλεῖστος)* (Ap. Rhod. Arg. II. 712), *beloved (ἐρωμένη)* (Ap. Rhod. Arg. I. 1224).

In the work by Virgil the goddess Juno is described by the aesthetic epithet great *(decus)* (Virg. Aen. IX. 17). In order to describe the artistic look of Iris, the author uses the aesthetic describer born from the clouds *(excitos aut actam nubibus) (*Virg. Aen. X. 37). For creating the artistic look of Venus, Virgil uses the epithet *Airy (aetherios)* (Virg. Aen. I. 608; Virg. Aen. I. 589). Her shoulders and the hair are described by the epithet *pink/shining (refulsit/ambrosiaeque*) (Virg. Aen. I. 402*;* Virg. Aen. I. 403).

In all the studied works, we also find the aesthetic epithets for describing the inanimate things. In Homer's work we read: *snowy Olympus (ἀγάννιφον*) (Hom. Il. I. 419); the city *with wide walls* - Troy *(εὐρυάγυιαν)* (Hom. Il. II. 229); *built up to the sky* - the castle of Hector *(αἶψα δ' ἔπειθ'*) (Hom. Il. VI. 370).

In the poem "Argonautica" we find the aesthetic epithets: *wailing (λιγυρός)* sound (Ap. Rhod. Arg. I. 1085); *sweet-voiced (συνοίμιον)* pharming (Ap. Rhod. Arg. II. 162); *harmonic (εὐθήμων)* song (Ap. Rhod. Arg. I. 569); *whitened (ἐλευκαίνοντο)* and *flowery (θρόνον*) field (Ap. Rhod. Arg. I. 29; Ap. Rhod. III. 44).

In the poem by Virgil we find the aesthetic epithets: *frequent horns (arboreis*) (Virg. Aen. I. 190), *the city with high walls (urbem)* (Virg. Aen. VIII. 716), *starred* sky *(stellis ardentibus)* (Virg. Aen. IV. 482), *shining* sun (Virg. Aen. VI. 641), *flourishing* field *(*grāmineus) (Virg. Aen. VI. 642) and so on.

According to the studied material, we can conclude that the epithet of aesthetic evaluation in ancient epic poetry is one of the main means of creating a linguistic situation as well as intensifying the emotional attitude of the reader and identifying the artistic look of any character.

Aesthetic epithets are used by the epic writers (Homer, Apollonius, Virgil) to describe both the mortals and the immortals as well as the inanimate subjects. In addition, the physical beauty of the gods in the poems is just as important as the visual representation of the mortals.

Aesthetic epithets in the works by Homer, Apollonius and Virgil show that the expression of visual beauty plays an important role in the simultaneous display of the heroes' moral characteristics in the creation of their artistic look. In most of the artistic faces given in the studied epic poetry, physical beauty is directly proportional to their spiritual beauty.

As an exception, only in Homer's poem and only once we find the epithet of the aesthetic appraisal, which creates a negative attitude towards the artistic face. The aesthetic epithet applied to Paris is more insulting to the character than glorifying him as much as in this case his beauty does not match his moral values. According to the heroic values, physical beauty is not the primary dignity of a hero, as it is in the case of Paris.

ანტიკური ლიტერატურა

პრომეთე ანუ კავკასიონი (ინფორმატული ფუნქციის მქონე სათაურები ძველბერძნულ ლიტერატურაში)

ნატალია იობიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
natalia.iobidze@atsu.edu.ge

სტატია შეეხება ინფორმატული ფუნქციის შემცველ სათაურებს ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაში. ინფორმატული ბირთვის შემცველი ფუნქციის ქვეშ გავაერთიანეთ სათაურები, რომლებიც მკითხველს ნაწარმოების შინაარსზე და მის ძირითად კონცეპტზე მიანიშნებენ. ამ ტიპის სათაურები რაოდენობრივად ყველაზე ბევრი აღმოჩნდა ძველბერძნულ ლიტერატურაში. მუშაობისას გაგვიჭირდა მკვეთრად გაგვევლო ხაზი ინფორმატულ და სხვა ტიპის სათაურებს შორის, რადგან ხშირია სათაურები, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციით არის დატვირთული და ჭირს მისთვის რომელიმე ერთი ფუნქციის განსაზღვრა. წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა, როგორი დატვირთვა აქვს ინფორმატულ სათაურებს ძველბერძნულ ლიტერატურაში. მაგალითად, ვაჩვენებთ, რომ ლუკიანოსის სატირა სათაურით - „პრომეთე ანუ კავკასიონი“, გვაწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნაწარმოები გვიყვება მითოლოგიურ გმირზე, პრომეთეზე, რომელიც კავკასიასთან არის დაკავშირებული. უნდა აღინიშნოს, რომ ანტიკური მწერლობა სათაურების თვალსაზრისით საერთოდ არ არის შესწავლილი. ჩვენი სტატია ამ ხარვეზის შევსების მოკრძალებული ცდაა.

საკვანძო სიტყვები: *პრომეთე, კავკასიონი, ინფორმატული სათაური.*

სათაურს აქვს ძალა, საკუთარ თავში მოიცვას პრაგმატიკულ-კომუნიკაციური დანიშნულება და ამ უნარს ფლობს იმიტომ, რომ იგი პარატექსტურია, ანუ ტექსტის შიგნითაცაა და გარეთაც. შიგნით იმდენად, რამდენადაც ტექსტი სათაურის გარშემო ბრუნავს და შინაარსობრივად მის განვრცობას წარმოადგენს, ხოლო გარეთ კი იმიტომ, რომ სათაური, ძირითადად, წინ უძღვის ტექსტს და მის პრეზენტაციას ახდენს. პარატექსტულ ელემენტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ნაწარმოების აღქმის და ინტერპრეტაციის პროცესში. სათაურს ყველა ელემენტზე მეტად შეუძლია ამ პროცესის მართებულად წარმართვა (Genette 1991:263).

სათაური არის ტექსტის აზრობრივ–კომპოზიციური სტრუქტურის ერთ–ერთი შემადგენელი ნაწილი. რამდენადაც სათაური მხატვრული ტექსტის ყველაზე უფრო ღირებულ ინფორმაციას შეიცავს და მის შეკუმშულ სახეს

წარმოადგენს, იგი მხატვრული ტექსტის ლაკონურ ვარიანტად განიხილება. სათაურის პრობლემატიკა, ჩვეულებრივ, შეისწავლება ფილოლოგიის ორი დისციპლინით - ლინგვისტიკითა და ლიტერატურათმცოდნეობით (Иванченко 1991:128).

ლინგვისტიკის სპეციფიკა განსაზღვრავს მკვლევართა უპირატეს ინტერესს სათაურის გრამატიკული სტატუსის, მისი სინტაქსური ორგანიზაციის, სტილისტიკის, იმ ფუნქციების მიმართ, რომელთაც სათაური ამა თუ იმ მხატვრულ ტექსტში ასრულებს.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ არსებობს სათაურისა და ტექსტის ურთიერთკავშირის ორი ფორმა: ექსპლიციტური და იმპლიციტური.

ექსპლიციტური ურთიერთკავშირი ზედაპირულია და გულისხმობს დისტანციურ გამეორებას, რომელსაც აყალიბებს არა მხოლოდ თვით ტექსტი, არამედ ნაწარმოების ქვეტექსტიც. ხოლო იმპლიციტური ურთიერთკავშირის დროს კი სათაურის შინაარსი ქვეტექსტურად არის მის ქვეშ განთავსებულ ტექსტში ჩადებული. იგი გულისხმობს სათაურის გამაშუალებელ როლს ტექსტთან მიმართებაში, როცა სათაურის შინაარსი დაშიფრულია მეტაენის მეშვეობით, ხოლო ტექსტი წარმოგვიდგება მეტაფორიზებული სათაურის რეალიზებად (Adams 1987: 11-16; Ъаъичева 2000).

ლიტერატურათმცოდნეებს სათაური დღემდე ნაკლებად აინტერესებდათ. სამეცნიერო შრომებში ყურადღება, ძირითადად, ექცევა ფართო, მაგრამ მაინც ერთ ასპექტს - სათაურის პოეტიკას. დღეისათვის აუცილებელი გახდა სათაურის კომპლექსური შესწავლა მხატვრული ტექსტის უკეთ გაგების თვალსაზრისით.

სათაურმა დიდი ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. ცალკეული შრომები უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა და პრობლემისადმი ინტერესი დღემდე მხოლოდ იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ სათაურის კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომთა რაოდენობა არცთუ მცირეა (დღეისათვის ჩვენ თითქმის 300-მდე ერთეული მოვიძიეთ), სათაურის ერთიანი თეორია არ არსებობს და არც ანტიკური ლიტერატურაა ამ თვალსაზრისით შესწავლილი. ჩვენი ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების მოკრძალებული ცდაა.

სათაურს სხვადასხვა ფუნქციები გააჩნია. ინფორმატული ბირთვის შემცველი ფუნქციის მქონე სათაური მკითხველს ნაწარმოების შინაარსზე და მის ძირითად კონცეპტზე მიანიშნებს და იმ ინფორმატული ბირთვის მატარებელია, რომელიც ტექსტში განივრცობა (მარტაშვილი 2003:57). ამ ტიპის სათაურები რაოდენობრივად ყველაზე ბევრი აღმოჩნდა ძველბერძნულ ლიტერატურაში.

ინფორმატული ბირთვის შემცველია სათაურები, რომლებიც თავის თავშივე, შეკუმშული სახით მოიცავენ იმ ინფორმაციას, რომელიც შემდეგ ტექსტში იქნება გაშლილი; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნაწარმოების

სათაური მკითხველს რამდენიმე სიტყვით უყვება და უქმნის წარმოდგენას ტექსტში გაშლილი ამბის შესახებ (Lorch 2011:140).

ინფორმატული ბირთვის შემცველ სათაურებში ანტიკური მწერლობიდან შეიძლება განვიხილოთ შემდეგი: არკტინოსის „ილიონის დამხობა“, ჰესიოდეს „თეოგონია“, სემონიდეს ამორგოსელის „ქალთა ტიპები“ და „სატირა ქალებზე“, ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე“, არისტოფანეს „თესმოფორიაძუსები“, „ქალთა სახალხო კრება“, ჰერმიპოსის „ჯარისკაცი ქალები“, სოფრონის „ქალები ისთმოსის დღესასწაულზე“, პლუტარქოსის „რით განსხვავდება ფარისეველი მეგობრებისგან“ და სხვა.

ურთიერთკავშირი სათაურსა და ტექსტს შორის ცვალებადობს და შესაძლოა, მათი მიმართება იყოს როგორც პირდაპირი და ფაქტობრივი ხასიათის, ასევე სიმბოლური და მეტაფორიზებული. ნებისმიერ შემთხვევაში, სათაურში დევს ბირთვული ინფორმაცია ტექსტის შესახებ (Gibbons 2010; Genette, Crampe 1988).

თავიდანვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მუშაობისას გაგვიჭირდა მკვეთრად გაგვევლო ხაზი ინფორმატულ და სხვა ტიპის სათაურებს შორის, რადგან ხშირია სათაურები, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციით არის დატვირთული და ჭირს მათთვის რომელიმე ერთი ფუნქციის განსაზღვრა.

მიუხედავად ამისა, ჩვენ შევარჩიეთ 15 ავტორის 35 სათაური, რომლებიც ინფორმატული ფუნქციის შემცველია. შევეცდებით, თანმიმდევრულად მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

ჩვენ მიერ შერჩეული ინფორმატული ფუნქციის მატარებელი სათაურები შეიძლება დავყოთ შემდეგ ტიპებად:

ა) პირდაპირი, რომელიც აერთიანებს მხატვრული ტექსტის ისეთ სათაურებს, რომლებიც ერთი სიტყვის საშუალებითაც ახერხებს ტექსტში გაშლილი ამბის პირდაპირი, ლაკონური სახით გადმოცემას (Genette 1991: 263).

ასეთ სათაურებში გავაერთიანეთ: ლესქესის „მცირე ილიადა“ (ძვ.წ.VII ს.), რომელიც გადმოცემდა ტროადაში მომხდარ ამბებს და ჰომეროსის „ილიადას“ შემოკლებული ვერსია ყოფილა. არკტინოსის და სტესიქოროსის „ილიონის დამხობა“ ძვ.წ. VIII ს-ით თარიღდება და მასში ილიონის, ანუ ტროას მიწასთან გასწორებაა აღწერილი, რაც ასევე ცხადად ჩანს სათაურშივე.

ჰესიოდეს „თეოგონია“ არის გენეალოგიური პოემა, რომელიც ელინთა ოლიმპიური რელიგიის ძირითადი საყრდენი გახდა. როგორც ამას პოემის სათაური გვიჩვენებს, „თეოგონია“ წარმოადგენს პოემას სამყაროს, ღმერთების და გმირების წარმოშობის შესახებ; ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენი“ დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებია, რომლის სახელწოდება ასახავს პოემის რეალურ შინაარსს -- რჩევა-დარიგებებს გლეხობისადმი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი სამუშაო როდის უნდა შესრულდეს და რომელი

დღე არის უფრო ხელსაყრელი ამა თუ იმ საქმის გასაკეთებლად; ჰესიოდეს „ქალთა კატალოგის“ საფუძველს „თეოგონიას“ უკანასკნელი სტრიქონებიც ქმნიან: „აწ ადიდეთ ტკბილი სიტყვით დიაცთ კრებული, ოლიმპიელო მუზანო, წულნო დიდი ზევსისა“. ნაწარმოები ჩვენამდე ფრაგმენტების სახითაა მოღწეული, „ქალთა კატალოგში“ ჰესიოდე კატალოგის სახით გვიყვება სხვადასხვა ტიპის ქალებზე, ცნობილ გმირთა დედებზე, თუმცა ამ ნაწარმოებმა ჩვენამდე ფრაგმენტების სახით მოაღწია, მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ერთიანი ნაწარმოების შესახებ, რაც, გარკვეულწილად, სათაურის დამსახურებაცაა.

ესქილეს „სპარსელები“ თავისი სათაურითაც იპყრობს მკითხველის ყურადღებას. „სპარსელები“, რომელსაც სატირულ დრამად „ცეცხლის დამნთები პრომეთე“ ერთვოდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბერძნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო, ვინაიდან მასში აღწერილია ელადის წინააღმდეგ წასული სპარსელთა ჯარის დამარცხება და ქსერქსესის უძლეველობის მითის დამსხვრევა. ნაწარმოების ერთსიტყვიანი სათაური იტევს ერთგვარ ინფორმაციას ტრაგედიაში განვითარებული ისტორიული ფაქტის შესახებ. მასზე სატირულ დრამად დართული „ცეცხლის დამნთები პრომეთე“ დაკავშირებული უნდა იყოს საბერძნეთში არსებულ პრომეთეს საკულტო დღესასწაულთან, რომლის აუცილებელი ატრიბუტი იყო „ლამპადედრომია“ - პრომეთეს სამსხვერპლოზე ანთებული ჩირაღდნებით ესტაფეტური რბენა აკადემიიდან ქალაქამდე (გორდეზიანი 2009: 318).

ე. წ. პირდაპირ სათაურებში გავაერთიანეთ ასევე ეპიქარმოსის „ოდისევსი თავის ამრიდებელი“, „ოდისევსი გემდაღუპული“, რომლებიც ინფორმაციის შემცველია და ოდისევსის მოგზაურობის ხიფათზე მიგვანიშნებს.

აქვე შეიძლება მოვიაზროთ ევპოლისის „ჯარისთვის თავის ამრიდებელი“, ჰომეროსის „ტელემაქია“, ეპიმენიდესის „თეოგონია“, ესქილეს „ცეცხლის მომტანი პრომეთე“, სემონიდეს ამორგოსელის „სამოსელთა არქეოლოგია“, „ქალთა ტიპები“, ანუ „სატირა ქალებზე“, რომელიც ჩვენამდე ფრაგმენტების სახით არის მოღწეული. ავტორი, ჰესიოდეს მსგავსად, მიიჩნევს, რომ ქალი მრავალი უბედურების წყაროა. ამ ნაწარმოებში იგი გვთავაზობს გათხოვილ ქალთა სხვადასხვა ტიპების ვითომდა წარმოშობის მიზეზებს და დასცინის ქალთა მოდგმას. მისი სატირის მიხედვით, ღმერთმა ქალების ათი ტიპი შვა: ღორი, მელა, ძაღლი, მიწა, ზღვა, ვირი, კვერნა, ცხენი, მაიმუნი, ფუტკარი. აქედან მხოლოდ ფუტკრისგან წარმომდგარი ცოლი შეიძლება იყოს კარგი და სასიამოვნო. სათაურიც ამავე ინფორმაციას გვაწვდის - ლექსი ქალთა ტიპებზე გვიყვება.

არისტოფანეს „თესმოფორიაძუსები“, ანუ „ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე“ (ძვ.წ. 411 წ.) აღწერს ქალების შეკრებას ტაძარში თესმოფორიების დღესასწაულზე, რომელიც ყოველ წელს, სამი დღის

განმავლობაში იმართებოდა და მხოლოდ ქალთა მონაწილეობით ტარდებოდა. კაცებისთვის მასში ჩარევა სასტიკად აკრძალული იყო. დღესასწაული დემეტრესა და პერსეფონეს ეძღვნებოდა და მასში ცენტრალური ადგილი გამრავლების მომენტს ეჭირა (გორდეზიანი 2009: 497). სათაური მიგვანიშნებს ამბავზე, რომ ქალებს შეუძლიათ იყვნენ მარტო, მამაკაცების გარეშე და საკუთარ პრობლემებზე საუბრით გული მოიოხონ. კომედიაში ამგვარ პრობლემად წარმოდგენილია ევრიპიდე და მისი ტრაგედიები, რომლებიც „მხოლოდ მოღალატე და ბავშვების მკვლელ დედებზე გვიყვება“.

არისტოფანეს კომედიის „ქალთა სახალხო კრების“ სათაური ნაწარმოების სიუჟეტის შეკუმშული, ლაკონური ვარიანტია; თვითონ სათაური თავის თავში იტევს იმ წარმოუდგენელ ფაქტს, რასაც ქალების სახალხო კრებაზე ერთად შეკრება და გადამწყვეტი სიტყვის თქმა ჰქვია, რადგან ანტიკურ სამყაროში მსგავსი რამ არ ხდებოდა. კრების ჩატარება მხოლოდ მამაკაცთა პრეროგატივა იყო. ეს ნაწარმოები თავისი სათაურით და შინაარსით ავტორის ფანტაზია, ან წინასწარმეტყველებაა იმის შესახებ, რომ ერთ დღესაც ქალები შეძლებდნენ ყოფილიყვნენ ქვეყნის სათავეში ქვეყნის ბედის გადასაწყვეტად.

ბ) ფაქტობრივი ისეთი სათაურებია, რომელთა ფოკუსირება ხდება კონკრეტული ფაქტის შეკუმშულად გადმოცემაზე. ასეთ სათაურებში შევიტანეთ: ესქილეს „განთავისუფლებული პრომეთე“, რომლის სათაურიც, ალბათ, ავტორმა დაუკავშირა პრომეთეს მიერ ზევსის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ საიდუმლოს გათქმას. ნაწარმოები ჩვენამდე არაა მოღწეული, თუმცა სათაური გვამცნობს, რომ პრომეთე განთავისუფლდა, პრომეთეს განთავისუფლება კი ზევსის მიერ მის შეწყალებას უკავშირდება; როგორც ჩანს, პრომეთემ გაუმხილა ზევსს საიდუმლო, რის გამოც ზევსმა იგი გაანთავისუფლა და უზენაესობაც შეინარჩუნა. სწორედ ამაშია სათაურის უნიკალურობა, რომ იგი გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, თუ რა შეიძლებოდა ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეულ ნაწარმოებში მომხდარიყო.

ესქილეს „ჰექტორის გამოხსნა“ ჩვენამდე არ არის მოღწეული, ჩვენთვის მხოლოდ ნაწარმოების სათაურია ცნობილი. იგი ტრილოგია „აქილეისის“ მესამე ნაწილია და როგორც სათაური მიგვანიშნებს, ჰექტორის გამოხსნასთან დაკავშირებულ ამბავს ეძღვნებოდა.

ნაწარმოებების შეკუმშულ, ხოლო სათაურების ვრცელ ვარიანტს წარმოადგენს და წინასწარ ქმნის წარმოდგენას ნაწარმოების შინაარსთან დაკავშირებით ჩვენამდე ფრაგმენტულად, მაგრამ სრული სათაურით მოღწეული ნაწარმოებები, როგორიცაა: სოფრონის „ქალები, რომელთაც პირობა დადეს, რომ ქალღმერთ ჰეკატეს განდევნიდნენ“, „პარასიტი ანუ იმის შესახებ, რომ სხვის ხარჯზე ცხოვრება ხელოვნებაა“, „მხილებული ზევსი“, „მენიპოსი ანუ მოგზაურობა მიწისქვეშეთში“, „ქარონი ანუ საუბრები მკვდართა

სამეფოში“, „ადამიანს, რომელმაც „მჭევრმეტყველების პრომეთე“ მიწოდა“, „იმის შესახებ, რომ ზედმეტი ნდობით არ უნდა მოვეკიდოთ ცილისწამებას“, „უვიცს, რომელიც ბევრ წიგნს იძენდა“, „ცრუ, ანუ რას ნიშნავს, დამღუპველი, გამამართლებელი წერილი“.

პლუტარქოსის ნაწარმოების სათაურია „რით განსხვავდება ფარისეველი მეგობრებისგან“,რომელიც,ვფიქრობთ,ძალიანტევადიდანაწარმოებისშესახებ სრული ინფრმაციის შემცველია. სათაურითვე შეიძლება დაინტერესდეს მკითხველი, რადგან ის უკვე მიგვანიშნებს შინაარში გაკეთებულ აქცენტებზე ფარისეველისა და მეგობრის განსხვავებების შესახებ.

გ) სიმბოლურია ის სათაურებია, რომლებიც სიმბოლური სახით გამოხატავენ საგნისა თუ მოვლენის სახელს და მკითხველს ასოციაციური სიგნალებით აკავშირებენ სათაურში გამოხატული სიტყვების შინაარსთან. ჩვენი აზრით, სიმბოლური სათაურები, ინფორმატული ფუნქციის მატარებელია და ხაზს უსვამს პრომეთეს სოფისტობას და მჭევრმეტყველების უნარს. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ლუკიანოსის „მჭევრმეტყველების პრომეთე“ და „ადამიანს, რომელმაც „მჭევრმეტყველების პრომეთე“ მიწოდა“.

ნაწარმოებზე სრულ ინფორმაციას გვაწვდის, ასევე, ლუკიანოსის შემდეგი ნაწარმოებები: „პარასიტი ანუ იმის შესახებ, რომ სხვის ხარჯზე ცხოვრება ხელოვნებაა“, „მხილებული ზევსი“, „მენიპოსი ანუ მოგზაურობა მიწისქვეშეთში“, „ქარონი, ანუ საუბრები მკვდართა სამეფოში“, „იმის შესახებ, რომ ზედმეტი ნდობით არ უნდა მოვეკიდოთ ცილისწამებას“, „უვიცს, რომელიც ბევრ წიგნს იძენდა“, „ცრუ, ანუ რას ნიშნავს დამღუპველი, გამამართლებელი წერილი“. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ევპოლისის „ჯარისთვის თავის ამრიდებელსა“ და „ჯარისკაც ქალებზე“.

დ) მეტაფორიზებული სათაურები. როგორც არისტოტელე ამბობდა, „თუ სათქმელი შედგება მეტაფორისგან, იგი გამოცანაა“. მეტაფორიზებული სათაურები წარმოდგენილია სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით, ან სულიერი და უსულო საგანი გაიგივებულია ერთმანეთთან. მეტაფორიზებულ სათაურად შეიძლება მივიჩნიოთ, მაგალითად, ლუკიანოსის „პრომეთე ანუ კავკასიონი“, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას პრომეთეს კავკასიონზე მიჯაჭვის შესახებ; სათაური, რომელშიც პრომეთე კავკასიონთან არის გაიგივებული, იწვევს ერთგვარ ასოციაციას პრომეთეს სიმამაცესთან და მეტაფორულად მიგვანიშნებს პრომეთეს კავკასიონის ქედივით შეუვალობასთან.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეული ნაწარმოებების შემთხვევაში კიდევ უფრო იზრდება სათაურის მნიშვნელობა, რადგან იგი ინფორმაციას გვაძლევს ტექსტზე, რომელიც ჩვენთვის უცნობია და მხოლოდ სათაურით შეიძლება ვივარაუდოთ მის მხატვრულ ღირსებებზე

თუ არა, იმაზე მაინც, რა თემაზე წერდა ესა თუ ის ავტორი და რა ინფორმაციის მატარებელი იყო ამა თუ იმ ავტორის მხატვრული ტექსტი.

და ბოლოს, როგორც ვნახეთ, XX ს.-ში მოღვაწე ფრანგი მეცნიერის, ჟერარ ჟენეტის მიერ გამოყოფილი ინფორმაციული სათაურების ოთხი ტიპი ანტიკური ლიტერატურის ნაწარმოებების სათაურებს საკმაოდ ბუნებრივად მოვარგეთ, რაც, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ ცხადყოფს ანტიკური კლასიკური ლიტერატურის მუდმივ თანამედროვეობას.

ლიტერატურა

გორდეზიანი 2009: გორდეზიანი რ., „ბერძნული ლიტერატურა“, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“, 2009.

მარტაშვილი 2003: მარტაშვილი ნ., მხატვრული პროზაული ტექსტის სათაურის ინფორმატულობა (ფრანგულ მხატვრულ პროზაზე დაყრდნობით). საენათმეცნიერო ძიებანი, #15. 2003.

Adams 1987: Adams H. Titles, Titling and Entitlement, Journal of Aesthetics and Art Criticism, 46: 7-21; 1987. http://www.jstor.org/discover/10.2307/431304?sid=21105455711651&uid=3738048&uid=4&uid=2

Gibbons 2010: Gibbons V. Towards a Poetics of Titles: Prehistory. Cardiff University, UK, 2010. http://orca.cf.ac.uk/55479/1/U516664.pdf 157

Lemarié 2012: Lemarié J. Robert F. Lorch Jr. & Marie-Paule Péry-Woodley 2012. Understanding How Headings Influence Text Processing. http://discours.revues.org/8600.

Lorch 2011: R. Jr. Lemarie J.&Grant R. 2011. Three Information Functions of Headings//Discourse Processes 48(3): 139-160. http://libra.msra.cn/Publication /57699864 /three-information-functions-of-headings-a-test-of-the-sara-theory-of-signaling.

Genette 1991: Genette G. “Applied Semiotics Theory”, 1991.

Genette, Crampe 1988: Genette G.& B.Crampe, Structure and functions of the Title in Literature//Critical Inquiry, Vol.14, No.4: 1988. http://www.jstor.org/discover /10.2307/1343668?sid=21105418798931&uid=3738048&uid=70&uid=4&uid=2&uid=2134.

Ъаъичева 2000: Ъаъичева Ю. В. Поетика заглавия. Вестник ТГПУ,- 2000.

Иванченко 1991: Иванченко Г. В. Поэтика заглавия художественного произведения: Межвузовский сб. науч. трудов. Ульяновск, 1991.

Classics

Prometheus or the Caucasus
(Titles comprising informative function in Greek Literature)

Natalia Iobidze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
natalia.iobidze@atsu.edu.ge

Our article is about the titles of informative function in ancient Greek literature. We united the titles in this function, which denotes the basic concept and core of the composition. The titles of this kind are quite common in Greek literature as we have studied. In the following work we tried to show what importance the informative titles have in ancient Greek literature. For example, Lucian's satire titled as – "Prometheus or Caucasus" gives us information about the mythological hero Prometheus, who is related to the Caucasian mountain range. It should be mentioned, that ancient prose has not been studied in terms of the title. Our article is a humble attempt to complete this drawback.

Keywords: *Prometheus, Caucasus, informative title.*

Titles have different functions. The titles of carrying informative function are quite common in Greek literature as we have studied. In the process of working, it was quite hard to differentiate informative and other types of titles, as there are titles, which have different functions and it is quite hard to determine them with only one function.

Despite this, we selected 53 titles of 20 authors, which have informative function. In the following work we tried to show what importance the informative titles have in ancient Greek literature. For example, we say, that the title "Iliad" in Homer's epic poem tells us about battle stories of Troy, but the title "Subversion of Ilion" gives us determined, specific information about the subversion of the city; Lucian's satire titled as – "Prometheus or Caucasus" gives us information about the mythological hero Prometheus, who is related to the Caucasian mountain range; we united Eschyle's "Persians", which denotes that in spite of the fact that the composition is about the battle between Persians and Greeks, there is no Persian characters in it and the tragedy gives us information about the defeated Persians with constant chain.

The title has the function to unite in itself the pragmatic and communicative features and in addition to these characteristics it possesses this ability as it is para-textual. It means that it is included in the text itself and also it exists out of the

text. Para-textual elements have great importance in the process of interpreting and conceiving the author's work.

As we have already mentioned, titles have different functions. One of its functions is informative function, which makes the reader refer to the main content of the written work. The title of the text carries the core which is generated in the following text and is spread in it. This type of titles dominates in ancient Greek literature.

We can include the following titles in informative function: "Theogony" by Hesiod, "Crucified Prometheus" by Eschil, "Thesmophoria" by Aristophanes and so on.

Connection between the text and the title changes and their relation between each other might be direct, factual, symbolic and metaphoric. In any case, each informative title comprises the information spread in the text.

The titles carrying informative function can be classified into the following types:

Direct titles unite the kinds of the literal texts, which expresses the content of the text with only one word. We included several titles in this type: Hesiod's "Theogony", a genealogical poem, that became the basic scaffolding of Elin's Olympic religion. This poem represents the world about the origin of Gods and Heroes. As for another work of Hesiod – "Works and Days", it is didactic text and its title depicts the real content of the whole work, giving useful advice to ordinary people, for example, what to do according to the days and which day is more reasonable to do different things. Eschil's "Persians" attracts readers' attention with its title. It describes the defeat of Persian army fighting against Greek army. The title has only one word, though, it consists of the information about the historical fact shown in the tragedy.

Factual are the titles which focuses on the specific fact and expresses it in a very compressed way. The following are united in factual titles: "Released Prometheus" by Eschil. The author related the title to the secret broken by Prometheus. The work is not accomplished but its title informs us that Prometheus is set free and that his release is related to the mercy of Zeus. As we can conclude, Prometheus told the secret to Zeus and that's why Zeus had pity on him and set him free, at the same time, Zeus kept his own supremacy.

Symbolic are those titles which express the name of a person or a thing in a symbolic way and associate readers to the content of the title with signals. We suppose, that symbolic titles carry informative function and highlight the sophism and ability of wise speech of Prometheus.

Metaphoric titles: as Aristotle said, "if the saying contains a metaphor, then it is a puzzle". Metaphoric titles are represented with the words having indirect meaning. We can conclude Lucian's "Prometheus or the Caucasus", which gives us information

about Prometheus's crucifixion on the mountain rage of Caucasus. The title, in which Prometheus is associated and identified with Caucasus, causes some kind of association with Prometheus's braveness and metaphorically refers to the Prometheus's bravery and unbreakable nature like Caucasus.

We tried very much to fit those four types of informative titles to the works of ancient literature quite naturally. We think, it makes clear that ancient classical literature is permanently modern.

Classics

Female Parrhesiastes in the Political Life of Polis (Aristophanes' Comedies: "Lysistrata", "Thesmophoriazusae" and "Ecclesiazusae")

Mariam Nemsadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
Mariam.nemsadze2@atsu.edu.ge

The paper addresses the problem of female exercise of parrhesia (freedom of speech) in democratic life of Athens, where comedy was a kind of a "truth-telling tool" that was aimed at revealing and influencing socio-political state of being. Ridiculous speeches and plots were employed to advocate particular political policies. Aristophanes perfectly used his words portraying reality in a funny way, sometimes using αἰσχρολογία - shameful speech. In his comedies "Lysistrata", "Thesmophoriazusae" and "Ecclesiazusae" females are obsessed with the idea of making political life of polis more peaceful and human-oriented. Female-centered comedies reveal socio-political issues in various ways through showing how οἶκος and πόλις are or should be interrelated, fight for democracy, gender equality in the frameworks of oppression and stereotyping, the first female mass strike, communism etc. Being parrhesiastes is rather hard for women but they are capable of overthrowing the androcentric government through a peaceful coup d'état, establishing total gynecocracy. The process of breaking long-held silence is rather painful and is not free of emotions at all, especially, in the world where females are opposed with δείνωση (hate speech), are brutally silenced and threatened by males in order to suppress female-dominated political "dreams". Athenian democracy was defined very explicitly as a constitution (πολιτεία) in which people enjoyed δημοκρατία, ἰσηγορία (the equal right of speech), ἰσονομία (the equal participation of all citizens in the exercise of power), and parrhesia. Males used parrhesia with ease compared to females, whose rights were restricted only to religious rites. Comedies echo Athenian women's voices who find hard to speak fluently against men without expecting humiliation, danger, but general prosperity and well-being of the polis is above emotions, anger, fear or shame: Praxagora: It's difficult; yet it must be done, and the arm shown naked to the shoulder in order to vote (Aristopn. Eccl. 265-66).

Keywords: *Female, comedy, parrhesia, polis, political.*

□γ□ γυν□ μέν ε□μι, νο□ς δ□ □νεστί μοι,
α□τ□ δ□ □μαυτ□ς ο□ κακ□ς γνώμης □χω (Aristopn. Lys. 1124-1125)
I am a woman, but I'm not a fool (Aristopn. Lys. 1124-1125)

The image of women in Greco-Roman society was rather ambiguous. Ancient world experienced both misogynistic and gynocentric approaches, Aristophanes' comedies somehow balance this ambivalence, placing women right in the centre of male-centered society, giving them ability of making political decisions. In his comedies "Lysistrata", "Thesmophoriazusae" and "Ecclesiazusae" females are obsessed with the idea of making political life of polis more peaceful and human-oriented. Female-centered comedies reveal socio-political issues in various ways through showing how *οἶκος* and *πόλις* are or should be interrelated, fight for democracy, gender equality in the frameworks of oppression and stereotyping, the first female mass strike, communism etc. Aristophanes' "truth-telling" skills are not always explicit, the acts of decision- making in Aristophanes' comedies carry true female nature, that is not neglecting the emotional background. Ambivalence of women's role in ancient age is rather tangible if we consider their role in the life of polis. Their rights were restricted to only being able to serve in religious rituals, such as Thesmophoria, Skira and other various secret religious rites. Females were eligible of becoming *Ἀρρήφορος* (bearer of secret things), but were excluded from political life. However, after introduction of the Citizenship Law of Pericles it became clear that citizenship would be given to children whose mother and father were both Athenians. Thus, making women omnipotent part of the polis.

The first introduction of the word "parrhesia" in the classical world is connected with the name of ancient Greek tragedian Euripides. According to Foucault "parrhesia" [παρρησία] is ordinarily translated into English by "free speech" (in French by "francparler", and in German by "Freimüthigkeit"). "Parrhesiazomai" or "parrhesiazesthai" is to use parrhesia, and the parrhesiastes is the one who uses parrhesia, i.e., is the one who speaks the truth. There are three forms of the word: the nominal form " parrhesia "; the verb form "parrhesiazomai" [παρρησιάζομαι]; and there is also the word "parrhesiastes"[παρρησιαστής] The word appears in the following six tragedies of Euripides: (1) Phoenician women; (2)Hippolytus; (3) The Bacchae; (4) Electra; (5) Ion; (6) Orestes. Etymologically, "parrhesiazesthai" means " to say everything --from " pan " [πάυ] (everything) and " rhema " [δήμα] (that which is said). The one who uses parrhesia, the parrhesiastes, is someone who says everything he has in mind: he does not hide anything, but opens his heart and mind completely to other people through his discourse (Foucault 1983).

"Parrhesia" was first used in the 5th century where it was thought to be used in the context of democracy, as the exercise of free speech was fundamental in the process of democracy building. In "Phoenician women" through Jocasta Euripides states that it is a slave's lot not to have freedom of speech (Eur. Phoen. 391-92). It is rather ironical that Euripides puts the word "parrhesia" in mouths of Polyneices and Jocasta, a would-be tyrant and a queen (Whitmarsh 2006, 278-279). Even a would-be tyrant

Polyneices suffers from the lack of parrhesia. Here living without among any other forms of comfort the worst thing is being deprived of freedom of speech. "Jocasta: Well then, first I ask you what I long to have answered. What is it, to be deprived of one's country? Is it a great evil? Polyneices: The greatest; harder to bear than tell. Jocasta: What is it like? What annoys the exile? Polyneices: One thing most of all; he cannot speak his mind (Eur. Phoen. 388-91)".

As it has been mentioned above parrhesia is closely linked with freedom of speech, but could women utter what they wanted to, do they have and will they have absolute parrhesia in future? This is the question that can be seen from other different angles, but the fact is that in comedy everything is possible. Comedy was a kind of a "truth-telling tool" that was aimed at changing societies. Ridiculous speeches and plots were employed to advocate particular political policies. Aristophanes perfectly used this possibility portraying the reality in a funny way, sometimes using *αἰσχρολογία* - shameful speech.

The comedy "Lysistrata" illustrates proto-feminist ideals. Women strive for freedom of speech where they are opposed with *δείνωση, hate-speech, they are brutally silenced and threatened violation:* "Men: Be quiet, or I'll bash you out of any years to come…. Men: What vengeance can you take if with my fists your face I beat?..... Men: ….. Woman is the most shameless beast of all the beasts that be….. Men: Cleaner, you dirty slut? (Aristopn. Lys. 365-67-70-80). *Parrhesia is not and should not be gender-sensitive. Women demand for equality under one and the same sky, they ask for the right of parrhesia for the general well-being of the polis, for peaceful and healthy relationships, like men, they are public contributors:* "Woman: It should not prejudice my voice that I'm not born a man, If I say something advantageous to the present situation. For I'm taxed too, and as a toll provide men for the nation (Aristopn. Lys. 348-49)". In the process of female marginalization from the public life of Athens, parrhesia proves to be the only source of survival and peace (Cartledge 2009: 13-20).

Females demanded to be acknowledged as contributors of Athenian democracy. They are breaking silence in expectation of peace. Their policy of peace-making is rather comical. Among ways employed in the process is refusal of sexual relationship with males. As chorus states, it does not matter whether savior is a man or a woman, peace should be attained through promoting "good feeling in the state by word and deed" (Aristopn. Lys. 1043).

In Aristophanes' comedies women are striving to unite female-led *οἶκος* (household) and male-led *πόλις* under one "dream"- of living in peace. Moreover, when the fact of gender segregation is so tangibly laid onto the surface through separation of male/female spaces in *οἶκος*. The ground floor of a typical Athenian's house was so called *άνδρόν*, the place where only males could dwell and enjoy their

free time being involved in entertaining activities. While the upper floor *γυναικεῖον* is counterpart of male quarters, it belonged to only women, who were considered to dedicate their lives to the activities connected to the household (Nadareishvili, 2008,95-105).

Parrhesia was a guideline for democracy as well as an ethical and personal attitude characteristic of the good citizen (Roisman 2004: 105-110). Athenian democracy was defined very explicitly as a constitution (*πολιτεία*) in which people enjoyed *δημοκρατία, ἰσηγορία* (the equal right of speech), *ἰσονομία* (the equal participation of all citizens in the exercise of power), and parrhesia. Parrhesia, which is a requisite for public speech, takes place between citizens as individuals, and also between citizens construed as an assembly. Moreover, the agora is the place where parrhesia appears….. The portrayal of a sovereign by most Greek historians considers the way he behaves towards his advisors--as if such behavior were an index of his ability to hear the parrhesiastes (Foucault 1983). Women deserve being citizens, eligible of being advisor parrhesiastes. The shares they do for public make them free: I'm a free woman, I. (Aristopn. Lys. 380) And so it's obvious I should Give you advice that I think good, The very best I can (Aristopn. Lys. 655-57). In "Thesmophoriazusae" women put emphasis on the fact that they belong to the Athenian community: "Are we not here female city-dwellers (astai) for whom it is permitted to speak having parrhesia? And because I have uttered what I thought right in favor of Euripides, must I de depilated in order to give justice on your behalf? (Aristopn. Thesm. 540-543) (Saxonhouse 2006: 136-137). Women demand the right to speak openly and to be considered trustworthy citizens, worth of attention. They had to raise voice against men, to make peace. The process of proving female confidence had great, public reasons, the reason of attaining liberty, not to lose "the cloak of liberty" (Aristopn. Lys. 1156). The process of silence breaking has its deep roots: "Our lips we kept tied, though aching with silence, though well all the while in our silence we knew how wretchedly everything still was progressing by listening dumbly the day long to you (Aristopn. Lys. 137-40)."

The strike organized by Lysistrata is the female mass strike which is targeted at making political cooperation with males. Their intention is not to insult men but to bring them to sanity: "Athenians, it's not our intention, to sow political dissension, by giving any scandal mention; but on the contrary to promote good feeling in the state by word and deed. We've had enough calamities of late (Aristopn. Lys. 1043-48)." Having experienced all the difficulties, threats of violation, silencing, almost all kinds of oppression from men, females stand together using parrhesia to overcome fears. Here parrhesia is a kind of verbal activity where the speaker has a specific relation to truth through frankness, a certain relationship to his own life through

danger, a certain type of relation to himself or other people through criticism (self-criticism or criticism of other people), and a specific relation to moral law through freedom and duty. More precisely, parrhesia is a verbal activity in which a speaker expresses his personal relationship to truth, and risks his life because he recognizes truth-telling as a duty to improve or help other people (as well as himself). In parrhesia, the speaker uses his freedom and chooses frankness instead of persuasion, truth instead of falsehood or silence, the risk of death instead of life and security, criticism instead of flattery, and moral duty instead of self-interest and moral apathy (Foucault 1983).

Women who exercise parrhesia cannot be emotion-free. Their frank speaking is associated with fearless speech. Having analyzed and felt all the anticipated dangers, women experience a wide range of emotions while dwelling on the solutions to the problem. They are afraid of several aspects in this comedy: a. women are afraid of losing their male mates in the war; b. they fear of lonely life; c. females are frightened that their husbands will dislike them for their aged looks and will marry the younger ones; besides fears they experience anger, resentment, some heart-felt emotions: a. Women are totally neglected, their words are considered to be nonsense and worthless. "I am a woman, but I'm not a fool, and what of natural intelligence I own has been filled out with the remembered precepts, my father and the city-elders taught me (Aristopn. Lys. 1124-1125); b. women are addressed with hate speech, men get at their freaky and unpredictable mood; c. Women find it heart-breaking that men can abandon them without thinking twice, calling them "witless fools" (Aristopn. Lys. 261) . Despite their emotional riot, women do not lose sense; they are only concerned with anticipated positive outcomes of the polis prosperity. The "witless fools" attain masculine features and silence males through disguising them in female clothes. Here, Proboulos' is kept silent just like any Athenian girl (Taaffe, 1993,48-73).

Parrhesia as a risky act of female resistance is also integral part of Aristophanes' another important comedy "*Ecclesiazusae*", it is also referred to as "The Assemblywomen", "The Congresswomen" or " The Women in Parliament". This is the story where: "A group of women dressed as men overthrow the government through a peaceful coup d'etat (Taaffe 1993) ". Here women led by Praxagora stand together against androcentric society, females consider themselves to be marginalized by men. Praxagora unites all in communism. Praxagora: Let none contradict nor interrupt me until I have explained my plan. I want all to have a share of everything and all property to be in common; there will no longer be either rich or poor; no longer shall we see one man harvesting vast tracts of land, while another has not ground enough to be buried in, nor one man surround himself with a whole army of slaves, while

another has not a single attendant; I intend that there shall only be one and the same condition of life for all (Aristopn. Eccl. 590-94).

Women obtain total gynaeococracy (female-dominated politics). Even though they still cannot exercise parrhesia with absolute freedom, they have to be disguised: It is meet the women sit apart and hidden from the eyes of the men (Aristoph. Eccl. 25). In the fight of equality in the complex social strata of Athens, women carefully try to become political influencers in the name of peace and prosperity: Even if you sleep outdoors there will be no more danger, for all will have the means of living. Besides, if anyone wanted to steal your cloak, you would give it to him yourself. Why not? You will only have to go to the common store and be given a better one (Aristopn. Eccl. 670-72).

The fear of being identified makes them disguise in males clothes, get suntanned and let hair grow all over in a manly way. Woman are in danger of being violently silenced by man because they intend to exercise parrhesia, they creep out of homes secretly: Ah! I see a light approaching; let us draw somewhat aside, for fear it should be a man (Aristopn. Eccl. 26-27).

It is hard to speak fluently against men without expecting danger, but the prosperity of state is more important than emotions, anger, fear or shame. Parrhesia is closely related to emotions as one of its major meaning is frankness and being frank can never be emotion free. Telling truth is impossible without having antisocial and even aggressive impact on others.: Praxagora: It's difficult; yet it must be done, and the arm shown naked to the shoulder in order to vote (Aristopn. Eccl. 265-66).

Being parrhesiastes has always been rather hard for women both in ancient and the contemporary life, but the truth is that unity of female power has proved to be efficient in many ways, moreover when it is led by the power of truth.

References

Aristophanes, 1938: Aristophanes. Ecclesiazusae. Translated by O'Neill E. Jr. New York: Random House. 1938.

Aristophanes, 1938: Aristophanes. Thesmophorizusae. Translated by O'Neill E. Jr. New York: Random House. 1938.

Aristophanes, 1938: Aristophanes. Lysistrata. Translated by O'Neill E. Jr. New York: Random House. 1938.

Cartledge, 2009: Cartledge P. Ancient Greek Political Thought in Practice. UK: Cambridge University Press. 2009.

Foucault, 1983: Foucault M. Discourse and Truth: The Problematization of Parrhesia. 6 lectures by Michel Foucault at the University of California at Berkeley, Oct.-Nov. https://foucault.info/parrhesia/

Nadareishvili, 2008: Nadareishvili K. Woman in Classical Athens and in Greek Tragedy. Tbilisi: Logos. 2008.

Roisman, 2004: Roisman H. M. Women's Free Speech in the Greek Tragedy. In Free Speech in Classical Antiquity. 91-113. Boston: Brill Publishing. 2004.

Saxonhouse, 2006: Asxonhouse A.W. Free Speech and Democracy in Ancient Athens. New York: Cambridge University Press. 2006.

Taaffe, 1993: Taffe L. K. Aristophanes and Women. London: Routledge. 1993.

Whitmarsh, 2006: "G Whitmarsh T. Greece is the World: Exile and Identity in the Second Sophistic. In Being Greek Under Rome, edited by Simon Goldhill, 269-306. New York: Cambridge University Press. 2006.

ანტიკური ლიტერატურა

თავისუფლად მეტყველი ქალები პოლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში (არისტოფანეს კომედიების: „ლისისტრატე", „ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე", „ქალები სახალხო კრებაზე" მიხედვით)

მარიამ ნემსაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
mariam.nemsadze2@atsu.edu.ge

სტატიაში განხილულია ქალების მიერ დემოკრატიულ ათენში სიმართლის თავისუფლად თქმის საკითხი (სიტყვის თავისუფლება), სადაც კომედია ერთგვარი „სიმართლის თქმის საშუალებაა", რომლითაც ხდებოდა სოციალურ-პოლიტიკური ყოფიერების ხაზგასმა და გამოვლინება. სიცილის მომგვრელი სიტყვები და კომიკური შინაარსი გამოიყენებოდა კონკრეტული პოლიტიკური მიზნების ადვოკატირებისათვის. არისტოფანე სრულყოფილად და სასაცილოდ ხატავდა რეალობას და ზოგჯერ მიმართავდა αἰσχρολογία - ს. კომედიებში „ლისისტრატე", „ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე", „ ქალები სახალხო კრებაზე" ქალები მოტივირებულნი არიან პოლისის პოლიტიკური ცხოვრება გახადონ უფრო მშვიდი და ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტირებული. კომედიები, რომელთა ცენტრალურ ფიგურას ქალი წარმოადგენს, უკავშირებს ერთმანეთს ისეთ ორ ცნებას, როგორიცაა οἶκος და πόλις, აჩვენებს დემოკრატიისათვის ბრძოლას, გენდერულ თანასწორობას, ქალთა პირველ მასობრივი გაფიცვას და ა.შ. ქალებისათვის სიმართლის თავისუფლად თქმა საკმაოდ რთულია, მაგრამ მათ შესწევთ ანდროცენტრული სახელმწიფო მმართველობის მშვიდობიანად გადაგდების და გინოკრატიული

მმართველობის დამყარების უნარი. დიდხნიანი დუმილის დარღვევის პროცესი საკმაოდ მტკივნეულია და ემოციებით სავსე, განსაკუთრებით, ისეთ შემთხვევებში, სადაც ქალებს უპირისპირდებიან δείνωση (სიძულვილის ენით), ბრუტალურად აჩუმებენ და ემუქრებიან მათ ქალური პოლიტიკური „ოცნებების“ ჩახშობით. ათენური დემოკრატიის ფარგლებში (πολιτεία) ადამიანები ტკბებოდნენ δημοκρατία (დემოკრატიით), ἰσηγορία (სიტყვის თავისუფლებით), ἰσονομία (მოქალაქეებისთვის ძალის აღსრულების თანაბარი უფლებით) და სიმართლის თავისუფლად თქმით. კომედიებში გამოყვანილი ათენელი ქალები აწყდებიან სირთულეებს მამაკაცებთან თავისუფლად საუბრისას, მათგან მოსალოდნელი დამცირების, საფრთხის გარეშე. ქალებისათვის პოლისის კეთილდღეობა ბევრად აღმატებულია, ვიდრე ისეთ ემოციებზე გამოდევნება, როგორებიცაა: შიში ან სიბრაზე.

საკვანძო სიტყვები: *ქალი, პოლიტიკა, პოლისი, პერჰესია.*

ბერძნულ-რომაულ სამყაროში ქალის მიმართ დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში არაერთგვაროვანია. ანტიკურმა ეპოქამ გამოიარა ორი მიდგომა ქალებისადმი - მისოგენური და გენოცენტრული.

არისტოფანეს კომედიებში, გარკვეულწილად, ამ ამბივალენტური დამოკიდებულების დაბალანსება ხდება და მამრობითი მმართველობით პრეველირებული საზოგადოების ცენტრალურ ფიგურად ქალი გვევლინება. უფრო მეტიც, ისინი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარითაც არიან დაჯილდოებულნი.

არისტოფანეს კომედიები სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენს ქალთან დაკავშირებულ სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებს, ავლენს ოჯახსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთმიმართების პრინციპებს, ქალების ბრძოლას დემოკრატიისათვის, სტერეოტიპული და ძალადობრივი ფონით მოტივირებული სქესობრივი უთანასწორობის წინააღმდეგ, ქალების პირველ გაფიცვას და სხვა.

არისტოფანესეული სიმართლის თქმის პრინციპები ყოველთვის არ არის ექსპლიციტური. გადაწყვეტილების მიღების პროცესში კარგად ჩანს ქალური ბუნება, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, ემოციები.

ქალთა როლის ამბივალენტურობა განსაკუთრებით თვალშისაცემია, თუ მათ განვიხილავთ პოლისის ცხოვრების პოლიტიკურ კონტრიბუტორებად. არისტოფანეს კომედიებში - „ლისისტრატე“, „ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე“, „ ქალები სახალხო კრებაზე“ - ქალები პოლისის პოლიტიკური ცხოვრების გაჰუმანურებაზე და მშვიდობის დამყარებაზე არიან ორიენტირებულნი.

სიტყვა "parrhesia"-ს პირველი გაჟღერება კლასიკურ სამყაროში, უკავშირდება ბერძენი ტრაგიკოსის, ევრიპიდეს სახელს. ფოკალტის მიხედვით, ეს ტერმინი

6 ტრაგედიაში გვხვდება: *(1) ფინიკიელი ქალები; (2) იპოლიტა; (3) ბაკქი ქალები; (4) ელექტრა; (5) იონი; (6) ორესტესი.*

ეტიმოლოგიურად, "parrhesiazesthai" ნიშნავს " ყველაფრის თქმას" -- " pan " [πάυ] (ყველაფერი) და " rhema " [δήμα] (ის რაც ითქმება), ის, ვინც იყენებს სიმართლის თქმის პრინციპს, ამბობს ყველაფერს გულღიად, სუფთა გულითა და გონებით (Foucault 1983).

"Parrhesia"- თავისუფალი მეტყველება (სიტყვის თავისუფლება), პირველად გამოყენებულ იქნა მე-5 საუკუნეში დემოკრატიის კონტექსტუალურ ჭრილში, როგორც დემოკრატიის შენების პროცესის ფუნდამენტური ასპექტი. „ფინიკიელ ქალებში" იოკასტა ევრიპიდეს მეშვეობით აცხადებს რომ მონის ხვედრია თავისუფლად საუბრის უფლების არ ქონა (Eur. Phoen. 391-92).

საკმაოდ ირონიულია ის ფაქტი, რომ ევრიპიდე სიტყვის თავისუფლებაზე ალაპარაკებს მომავალ ტირანს და დედოფალს, პოლინიკესა და იოკასტას (Whitmarsh 2006, 278-279). პოლინიკე განიცდის სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას. მისთვის ყველაზე საშინელი რამ უცხოობაში ცხოვრებისას არის თავისუფლად მეტყველების უფლების ჩამორთმევა.

არისტოფანეს კომედიაში „ლისისტრატე" საუბარია პროტო-ფემინისტურ იდეალებზე. ქალები მიისწრაფვიან სიტყვის თავისუფლებისკენ, მათ კი უპირისპირდებიან სიძულვილის ენით (*δείνωση*), ბრუტალურად აიძულებენ გაჩუმდნენ და ძალადობით ემუქრებიან. არისტოფანე ამტკიცებს, რომ სიმართლის თქმის პრინციპი არ არის და არც უნდა იყოს სქესობრივად დიფერენცირებული.

ქალები მოითხოვენ ერთიანობას, სიმართლის თქმას ირჩევენ ქალაქის კეთილდღეობისთვის, მშვიდი და ჯანსაღი ურთიერთობებისთვის. მამაკაცების მსგავსად, მათ ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით საზოგადოების წინაშე.

იმ ფონზე, როდესაც ათენის საჯარო ცხოვრებიდან ხდება ქალების მარგინალიზაცია, მათთვის სიმართლის თქმა რჩება მხოლოდ ერთადერთ საშუალებად მშვიდობისა და გადარჩენისათვის. ქალები მოითხოვენ, რომ მამაკაცებმა სცნონ მათი მნიშვნელობა ათენის დემოკრატიულ ცხოვრებაში. ისინი არღვევენ სიჩუმეს მშვიდობის მოლოდინით. თუმცა, მათი მხრიდან მშვიდობის დამყარების პოლიტიკა საკმაოდ კომიკური გამომხატველობითი ფორმებითაა გამოხატული.

არისტოფანეს კომედიებში ქალები იბრძვიან, რათა მათ მიერ მართული ოჯახები და მამაკაცების მიერ მართული ქალაქები გააერთიანონ ერთი „ოცნების" ქვეშ და ეს არის - მშვიდობა და თანასწორობა.

სიმართლის თქმას, თავისუფლად მეტყველებას, ქალების მხრიდან ყოველთვის მოჰყვება ემოციურობა. მათი გულწრფელი მეტყველება უკავშირდება უშიშარ მეტყველებას. პრობლემის

გადაჭრის გზების მოფიქრებისას ქალები ემოციურად განიხილავენ, წინასწარ გრძნობენ და განჭვრეტენ მოსალოდნელ საფრთხეებს. მათ ეშინიათ: ა. თავიანთი მეწყვილის ომში დაკარგვის; ბ. მარტოობის; გ. რომ ქმრებს აღარ მოეწონებათ მათი დაბერებული სახეები და ახალგაზრდებს მოიყვანენ ცოლად. შიშის გარდა, ისინი განიცდიან სიბრაზეს, წყენას... მათთვის რთულია მამაკაცების წინაშე თავისუფლად საუბარი საფრთხის მოლოდინის გარეშე, თუმცა სახელმწიფოს კეთილდღეობა მათთვის უფრო აღმატებულია, ვიდრე ემოციები, სიბრაზე, შიში ან სირცხვილი.

ანტიკური ლიტერატურა

შექსპირის ჰამლეტი და ძველბერძნული ტრაგიკული კატეგორიები (ანალიტიკური თეორიები)

ნათია პერტაია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
natiapertaia@ymail.com

შეიძლება ითქვას, რომ ,,ჰამლეტი'' ინტერტექსტუალურად უკავშირდება ძველბერძნული ტრაგედიების ნარატივს, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ თემებს: სამეფო ოჯახის წევრის მკვლელობა, მემკვიდრეობით მიღებული ბედისწერა, აჩრდილების ფენომენი, სხვადასხვა თაობებს შორის სისხლიანი დაპირისპირება, მოწამლული საკვები და ღვინო, ძალადობა იმ ადგილას, სადაც პერსონაჟი თავშესაფარს ეძებს, დაკრძალვის ტრადიციებიდან დევიაცია. პირველ ნათელ მსგავსებას წარმოადგენს ე. წ. ორიგინალური საგა - ზოგადად, ორესტესსა და ჰამლეტის ისტორიის მსგავსება. ოიდიპოსის ტრაგედიის კვლევა გულისხმობს ჰამლეტის ტრაგედიის არსის გაგებას. ფროიდი საუბრობს ლატენტურ გრძნობებზე, რომლებიც მატერიალიზდებიან ოიდიპოსის შემთხვევაში, ხოლო ჰამლეტი მათ საკუთარ თავში ახშობს. კლაუდიუსი ოიდიპოსის მამის პროტოტიპია და ჰამლეტი ცნობიერის დონეზე მისკენ მიმართავს მამის მოკვლის სურვილს. ნიცშე საუბრობს ჰამლეტის მხატვრული სახის დიონისურ და აპოლონურ საწყისებზე. აღნიშნულ კატეგორიებს წმინდა ძველბერძნულ ჭრილში განიხილავს. აპოლონური ინდივიდუალურობისკენ, დიფერენცირებისკენ, იერარქიისკენ არის მიმართული მაშინ, როცა დიონისური წარმოადგენს ინდივიდუალურის უგულებელყოფას, პიროვნული ,,მეს'' დავიწყებას. ჰამლეტი, ისევე, როგორც ძველბერძნული დრამის პროტაგონისტები, ტრადიციული, ტიპური პერსონაჟია და მითის მრავალგვარი ინტერპრეტირების მიუხედავად, ის, რაც არსობრივია, არასოდეს იცვლება. შესაბამისად, ქვეშეცნეულად, მათ შორის პარალელები ლატენტურად უკვე არსებობს.

საკვანძო სიტყვები: *ძველბერძნული, ტრაგედია, ჰამლეტი, შექსპირი.*

შეიძლება ითქვას, რომ ,,ჰამლეტი'' ინტერტექსტუალურად უკავშირდება ძველბერძნული ტრაგედიების ნარატივს, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ თემებს: სამეფო ოჯახის წევრის მკვლელობა, მემკვიდრეობით მიღებული ბედისწერა, აჩრდილების ფენომენი, სხვადასხვა თაობებს შორის სისხლიანი დაპირისპირება, მოწამლული საკვები და ღვინო, ძალადობა იმ ადგილას, სადაც პერსონაჟი თავშესაფარს ეძებს, დაკრძალვის ტრადიციებიდან დევიაცია. ჰამლეტი, რამდენადმე, ძველბერძნული ტრაგიკული კატეგორიების

მატერიალიზაციას ახდენს თანამედროვე სამყაროში. წინამდებარე სტატიაში შევეცდებით მიმოვიხილოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ანალიტიკური თეორიები ჩვენთვის საინტერესო საკითხთან მიმართებაში.

გილბერტ მურეი (Murray 1914) მეოცე საუკუნის დასაწყისის მეცნიერი იყო და ეყრდნობოდა ატიკური დრამის თარგმანებს და ბერძნული თეატრალური წარმოდგენების ლონდონურ ვერსიებს. ის აღნიშნავს, რომ დრამა ყველაზე პრიმიტიული, ინსტიქტებით მართული დარგია ლიტერატურის: გულისხმობს ორ ელემენტს - ტრადიციულს და ახლებურს, არაცნობიერს და ცნობიერს, თვლის, რომ არსებობს კონკრეტული თემები, რომელიც ქვეშეცნეულად მეორდება თაობებში და რომ შემოქმედებაში ტრადიციული გაცილებით მეტია, ვიდრე აბსოლუტური სიახლე. ის ჰამლეტს და ორესტესს მოიხსენიებს, როგორც ტრაგედიის დიდი ეპოქების ორ ყველაზე ტრადიციულ პერსონაჟს.

ორესტესის და ჰამლეტის შედარებისას მურეი აღნიშნავს, რომ ის ერთმანეთს ადარებს არა პიესებს, არამედ პერსონაჟებს, თუმცა, შედარება მოითხოვს იმ სიტუაციების შესწავლას, რომელშიც აღმოჩნდებიან მოცემული პროტაგონისტები და იმ პერსონაჟებზე დაკვირვებას, რომელთანაც ისინი კონფლიქტის განვითარების პროცესში ასოცირდებიან.

ბერძნულ წყაროებში ორესტესი ტრადიციული, ტიპური პერსონაჟია (მხატვრული სახის მცირე ვარირების მიუხედავად არსობრივად არაფერი იცვლება) - ის მრავალ ტრაგედიაში ფიგურირებს, არა უმცირეს შვიდი (თუ არ ჩავთვლით ტრაგედიას ,,იფიგენია ავლისში'', სადაც ის ჯერ კიდევ ჩვილია) ტრაგედიის პერსონაჟია (ესქილეს ,,ქოეფორები'' და ,,ევმენიდები'', სოფოკლეს ,,ელექტრა'', ევრიპიდეს ,,ელექტრა'', ,,ორესტესი'', ,,იფიგენია ტავრისში'' და ,,ანდრომაქე''), მაშინ როცა ოიდიპოსი მხოლოდ სამ ტრაგედიაში ფიგურირებს, ხოლო აგამემნონი - ოთხში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტრაგედიამდე ორესტესს მოიხსენიებენ რელიგიურ რიტუალებში, მას იცნობს ეპოსიც და ლირიკაც.

მურეი ჩამოთვლის ტექსტებს, სადაც ჰამლეტი ფიგურირებს: 1602 წ. ტომას დეკერის ,,სატირომასტიქსში'' დაფიქსირებული ფრაზა: ,,ჩემი სახელია ჰამლეტი: შურისძიება'';

1598 წ. (თუმცა, თარიღი სადაოა). გაბრიელ ჰარვის მოსაზრებები შექსპირის ''ჰამლეტის'' შესახებ;

1596 წ. ტომას ლოჯი (Wit's Miserie and the World's Madness): ,,ის ისეთი ფერმკრთალია, როგორც მოჩვენება, ხამანწკებით მოვაჭრე ქალის ხმასავით საცოდავად გაისმის მისი ხმა თეატრში, *ჰამლეტი, შურისძიება*''. (ეს წინადადება ალუზიურად უკავშირდება ტომას კიდს (1558-1594), ინგლისელ დრამატურგს, ურ-ჰამლეტის შესაძლო ავტორს. ნ. პ.)

1594 წ. იმპრესარიო ფილიპ ჰენსლოუს ჩანაწერებში დაფიქსირებულია ,,ჰამლეტის'' სცენაზე წარმოდგენის თარიღი: 9 ივნისი.

1589 წ. ტომას ნეშის ეპისტოლე.

ინგლისურენოვან ვერსიებამდე არსებობდა სკანდინავიური საგა, ზეპირსიტყვიერების ნიმუში, რომელიც გადაამუშავა საქსო გრამატიკოსმა 1185 წელს (History of the Danes, Gesta Danorum, Books III and IV). ის თავის პროტაგონისტს მოიხსენიებს, როგორც ამლეტს, დანიის პრინცს. სიუჟეტი შექსპირის ,,ჰამლეტის'' ანალოგიურია. მოგვიანებით ჩნდება ამბალეს საგა, რომელიც ხელახლა გადაამუშავებს აღნიშნულ ლეგენდას.

ვეთანხმებით მურეის მოსაზრებას, რომ ,,ჰამლეტი'', როგორც სხვა ელიზაბეტის დროის ტრაგედია, არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის გონებაში უცებ დაბადებული ნაწარმოები, ის დროთა განმავლობაში განიცდიდა რეინტერპრეტირებას.

შემდეგ მურეი საუბრობს მოცემულ თემაზე დაწერილ ტექსტებსა და ძველბერძნულ ტრაგედიებს შორის არსებულ პარალელებზე. აქ შევეხები მხოლოდ შექსპირის ,,ჰამლეტს'' (არ ვახსენებთ საქსოს და ამბალეს საგებს. ნ. პ.) და ძველბერძნულ ტრაგედიებს. ორივე შემთხვევაში პროტაგონისტი შვილია მეფის, რომელიც მოკლა მისმა ოჯახის წევრმა. ბერძნული ტრაგედიების შემთხვევაში ეს არის ეგისთოსი, ხოლო შექსპირის შემთხვევაში - კლავდიუსი. დედოფალი მეუღლის მკვლელზე ქორწინდება და ტახტის მემკვიდრე, კონკრეტული ზებუნებრივი ძალების მითითებით, ცდილობს შური იძიოს მამის მკვლელზე. შექსპირის შემთხვევაში მთავარი გმირი კვდება, როგორც კი შურისძიების გეგმას აღასრულებს. ეს სიახლე იყო, ვინაიდან ძველბერძნულ ვარიანტში, როგორც წესი, ის, ვინც შურს იძიებს, საბოლოოდ სამეფოს მმართველი ხდება. რაც შეეხება ზებუნებრივ ძალებს, შექსპირთან ეს მეფის აჩრდილია, ხოლო ბერძნულ დრამაში სიზმრები, გარდაცვლილი მამის გამოცხადება ან ორაკულები.

რაც შეეხება დედის ფიგურას: შექსპირის შემთხვევაში ის კვდება, მაგრამ ეს უბედური შემთხვევაა და არა წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა, მისი ბერძნული ვარიანტისგან განსხვავებით.

ორივე შემთხვევაში პროტაგონისტს ახასითებს სიშმაგე, თუმცა, გამოხატვის ფორმები განსხვავედება. ჰამლეტის შემთხვევაში ის მოჩვენებითია. თუმცა, მურეი თვლის, პერსონაჟში აპრიორულად არსებობს რაღაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, ეს სიშმაგე მოჩვენებითი სულაც არ არის. ბერძნულ ვარიანტში სიშმაგე დედის მკვლელობის შედეგია. აქაც, პერსონაჟი ადვილად გამოდის მწყობრიდან. მაგალითად, ,,ქოეფორებში'' ჯერ კიდევ მკვლელობამდე ვაცნობიერებთ პერსონაჟის სიშმაგეს: აშკარაა მისი მაღალფარდოვანი მეტყველების თანადროულად არეული, არათანმიმდევრული წინადადებები. ის ,,შეპყრობილი'' კაცია. ჰამლეტის მსგავსად, დედის ოთახში ხედავს რაღაცას, რასაც სხვები ვერ ხედავენ, ჰამლეტივით ისიც ეჭვების მსხვერპლია, მუდმივად ყოყმანობს. თითქოს, ის,

რასაც ამბობს ორესტესი, ადვილად შეეძლო ეთქვა ჰამლეტსაც.

საჭიროა, აქვე აღინიშნოს მურეის დასკვნა, რომლითაც ის ხსნის მოცემულ ტექსტებს შორის მსგავსებას. ვფიქრობთ, ეს სტილისტურად რამდენადმე ეხმიანება სტატიის მეორე ნაწილში მოყვანილ ფსიქოანალიტიკოსთა დასკვნებს:

თითქოს, უცნაურია, თუ როგორ იძენს ახლებურ სახეს პრიმიტიული ფოლკლორი, რომელიც თავდაპირველად ცარიელია, არ არსებობს მხატვრული სახე, სანამ არ დაიწერება დიდი ტრაგედია და არ შეძრავს სამყაროს. თუმცა, ბერძნულ ლიტერატურაში ეს პროცესი ნიშანდობლივია, თითქმის ბუნებრივი. ბერძენი ავტორისთვის მითი არის ის, ,,რაც რიტუალის პროცესში წარმოითქვა''. მაგალითად, რომელიმე მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული რიტუალის დროს სიმინდის შეკვრა ნაკუწებად ვაქციეთ და მარცვალი მიმოვაბნიეთ, ჩვენი საქციელის ასახსნელად კი, მითი მოვიგონეთ. ოდესღაც იყო ერთი ახალგაზრდა და მომხიბვლელი უფლისწული, რომელიც ,,ნაკუწებად აქციეს''....ცოდვა უნდა ზღოს და ამიტომ დაგლიჯა ძაღლმა ან რომელიმე მხეცმა? თუ სრულიად უდანაშაულო დაისაჯა გავეშებული თრაკიელი ქალების ან ბოროტი ტიტანების მიერ? იქნებ, უსამართლო წყევლის მსხვერპლია? შეკრებილი ადამინების ჯგუფი იწყებს ფიქრს, ინტერესტება და გაუცნობიერებლად ქმნის პოეზიას. ამბავი თანდათანობით იხვეწება და გადაიქცევა პენთევსის, იპოლითოსის, აქტეონის ან თავად დიონისეს ტრაგედიების ამსახველ ტექსტად. რა თქმა უნდა, თავისი როლი აქვს ისტორიას. მოვლენები ხდებოდა და აოცებდა როგორც ანტიკური, ისე შემდგომი ხანის ადამიანს, მაგრამ ფაქტებზე დაკვირვების და ინტერპრეტირების პროცესში სიზუსტის მიღწევა თანამედოვე დროის პრეროგატივაა. ანტიკური ხანის ადამიანი მეტად იყო მოწადინებული, მოვლენებს დაკვირვებოდა, ვიდრე ჩაეწერა ისინი. ადამიანი არ იწყებდა კვლევას, არ მიჯნავდა ერთმანეთისგან სახელებს და დროს: საუბრობდნენ, უხმობნენ მუზას მანამ, სანამ ირლანდიის ისტორიულად არსებული მეფე არ გადაიქცა მითოლოგიურ ამლოდად ან მიკენის მეფე არ გახდა ურანოსის მითის (მეფე-ცის და დედა-დედამიწის შეუღლების) ნაწილი. მოგვიანებით სწორედ მითმა შეინარჩუნა აქტუალობა და დიდებულება და არა ისტორიულმა ფაქტებმა. რაც ნამდვილად გვაოცებს ,,ჰამლეტში'' და ,,აგამემნონში'' არის არა შუასაუკუნეების ელსინორი და პრეისტორიული მიკენი, არამედ უძველესი ამბები და ჯადოსნური რიტუალები.

ტრადიციულის შექმნის პროცესში საკითხის არსი სამუდამოდ ინარჩუნებს სტაბილურობას, იგივეობას. ის, ერთი შეხედვით, შეიძლება მნიშვნელოვანწილად შეიცვალოს, თუმცა, ის რაც არსობრივია, უცვლელად გადაეცემა თაობიდან თაობას. თითქოს, ლატენტურად არსებობს დრამის არსი პრიმიტიულ მითში, დიდ დრამატურგს ელოდება მხოლოდ, რომ განივრცოს,

განვითარდეს. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ ,,ჰამლეტი'' ან ,,ელექტრა'' ლატენტურად უკვე არსებობდა რიტუალის პირველსაწყისში, ზუსტად ისე, როგორც ყვავილი მის თესლში. თესლი განვითარდება სწორხაზოვნად, წესისამებრ, განსხვავებით მითისა და რიტუალისა, რომელთა განვითარება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული: ადამიანებზე, გარემოებებზე. ჰამლეტის და ორესტესის შესახებ ტრაგედიები ორ სრულიად განსხვავებულ სოციუმში შეიქმნა. მათი საერთო ფესვები დაწერამდე ათასობით წლის წინ უნდა ვეძიოთ. ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ ის, რაც უკვე მოხდა რელიგიის წიაღში, ადვილი შესაძლებელია, რეალიზდეს დრამატურგიაში.

ის, რაც თანამედროვე ადამიანს აღელვებს, ინტუიციურად მის პირველსაწყისში უკვე არსებობს. გამეორების დიდი წილია ამ ყველაფერში: ადამიანებს მუდმივად ხიბლავთ პოპულარული და ცნობილი სიტყვები და სახელები მაშინაც კი, თუ მათი მნიშვნელობა ზუსტად არ იციან. ამ ამბებით და სიტუაციებით აღფრთოვანება შედეგია იმის, რომ მათ ჩვენში ღრმად აქვს ფესვები გადგმული. თითქოს, არ გვახსოვს მათი სახე, ხმა, უცნაურად ვთვლით, მაგრამ არის ჩვენში რაღაც, რომელიც უმალ რეაგირებს, როგორც კი მათ წინაშე აღმოვჩნდებით, თითქოს სისხლის ყივილს ვგრძნობთ, თითქოს სულ ვიცოდით მათი არსებობის შესახებ.

რა თქმა უნდა, მითის გარკვეული ნაწილი მუდმივად იცვლება, როდესაც რეალობასთან კონტრასტში მოდის. სწორედ ამ დროს იკვეთება ერთმანეთთან რეალიზმი, ლიტერატურა და წარმოსახვის უნარი. რეალობის ელემენტი მუდამ არსებობდა მითში. პირველი მითის შემოქმედი არ იწყებდა თხზვას ცარიელ სივრცეში, ვაკუუმში. ის ცდილობდა, ეთქვა - არისტოტელეს სიტყვები რომ მოვიშველიოთ - ,,ის რაც შეიძლება მოხდეს''. უბრალოდ, მისი გამოსახედიდან ,,ის, რაც შეიძლება მოხდეს'' ოდნავ უცნაურია ჩვენთვის. დროთა განმავლობაში, ადამიანმა მეტი გამოცდილება შეიძინა, ისწავლა, დაერეგულირებინა ეს ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავი ელემენტები - პრიმიტიული ემოცია და რეალურობის ადეკვატური განცდა. ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა ,,ჰამლეტი'', აგამემნონი'' ან ,,ელექტრა'', ჩვენ ნამდვილად ვადევნებთ თვალს შესანიშნავად წარმოდგენილ პერსონაჟებს, მრავალფეროვან, კარგად დაწერილ ამბავს, დრამატურგის ტექნიკურ ოსტატობას, მაგრამ, ამავდროულად, ვგრძნობთ სურვილების, შიშების, ძლიერი ემოციების უცნაურ, გაუცნობიერებელ წიაღსვლებს. ისინი ჩვენში მუდმივად თვლემენ. გენიალურობის საიდუმლო სწორედ ამ ყველაფრის ერთმანეთთან სინთეზური შერწმაში მდგომარეობს (მურეი 1914. მოსაზრებები არ არის გადმოცემული სიტყვა-სიტყვით (ნ. პ).

ლუიზ შლაინერი წერს: ,,მე მჯერა, რომ ევრიპიდეს ,,ორესტესის'' და ესქილეს ,,ორესტეას'', სულ მცირე, რამდენიმე პასაჟმა გავლენა იქონიეს ,,ჰამლეტზე''. კონკრეტული სცენოგრაფიული თვალსაზრისით მსგავსება

შექსპირის და ესქილესეული საფლავის სცენებს შორის, ისევე როგორც ჰორაციოს და პილადეს შორის, ჩემი მოსაზრებით, ისეთი აშკარაა, რომ შეუძლებელია, შემთხვევითობას მივაწეროთ. მეტიც, ,,ჰამლეტში'' აღწერილ საფლავის სცენას ვერ ვნახავთ პიესის ვერც ერთ სხვა ცნობილ წყაროში, მას არ აქვს ანალოგი. და თუ ეს ავთენტური არ არის, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ ჯერ კიდევ დაუდგენელი წყაროს არსებობა'' (Schleiner 1990: 30).

,,ჰამლეტის'', როგორც ძველბერძნული დრამის, ქვეტექსტის კვლევა საშუალებას მოგვცემს, თვალყური მივადევნოთ ანტიკური ტრაგედიების აქტუალობას ჩვენს საუკუნეში, გავაანალიზოთ ჰორაციოს როლი და შესწორება შევიტანოთ მოსაზრებაში, რომელიც გულისხმობს ოიდიპოსის თვისებების არსებობას ჰამლეტის პერსონაჟში, ვინაიდან ჰამლეტი ორესტესის მხატვრული სახის ვერსია უფრო არის, ვიდრე ოიდიპოსის. ის არ დგას იმ საშიშროების წინაშე,რომ ცოლად შეირთოს დედა. ის დგას იმის საშიშროების წინაშე, რომ მოკლას მამა (Schleiner 1990: 36-37).

მარტინ მიულერი წერს აშკარა პარალელებზე: ,,ელსინორის დრამა ცნობიერის დონეზე ურთიერთმიმართებას ავლენს ანტიკურ დრამასთან. აღნიშნულ პროცესში იქმნება ალუზიათა ქსელი, რომელიც ამ დრამატურგს აკავშირებს ორესტესთან'' (Mueller 1997: 22-45). მიულერი ასევე მიიჩნევს, რომ შექსპირის თანამედროვეებმა დაგვიტოვეს საკმარისი ლიტერატურული მასალა, რაც საშუალებას იძლევა, ვიფიქროთ, რომ მათ ,,ჰამლეტი'' „ორესტეათი“ ინსპირირებულ პიესად მიაჩნდათ.

აღსანიშნავია ფროიდის ფსიქოანალიტიკური კვლევა, რომელიც ეხება ჰამლეტის და ოიდიპოს მეფის შედარებით ანალიზს. ნორმან ჰოლანდი აღნიშნავს, რომ ,,თითქოს ამ ორმა ნაწარმოებმა განაპირობეს მისი [ფროიდის] ანალიტიკური თეორიების წარმოშობა'' (Holland 1960: 163-173).

ერთხელ, თავის სამოცდამეათე დაბადების დღეზე, ფროიდი იტყვის, რომ არა მან, არამედ პოეტებმა აღმოაჩინეს არაცნობიერი. ფროიდი მიიჩნევს, რომ ოიდიპოსური ურთიერთობები შესამჩნევი ხდება ადრეულ ბავშვობაში და შესაძლოა, სწორედ ამით აიხსნება ის განსაკუთრებულ შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს ,,ოიდიპოს მეფე'' და შესაძლოა, ,,ჰამლეტიც'' (Gay 1998: 100). 1897 წელს ფროიდმა მისწერა ვილჰელმ ფლიესს (Wilhelm Fliess) ოიდიპოსის კომპლექსის შესახებ და ეს ცნება ,,ოიდიპოს მეფის'' კათარსისის ეფექტს დაუკავშირა: ,,თითოეული მაყურებელი ცხოვრებაში ერთხელ მაინც ავითარებს თავის ფანტაზიაში ოიდიპოს მეფეს. როდესაც ოცნება რეალობაში მატერიალიზდება, ეს ძალიან შემაძრწუნებელია და ადამიანი სრული რეპრესიის საშუალებით მიჯნავს ერთმანეთისაგან ბავშვობის განცდებს აწმყო მდგომარეობისგან''.

ჰამლეტის მხატვრული სახის ფენომენი მუდამ აინტერესებდა ფროიდს. ,,ბედისწერის ტრაგედიის („ოიდიპოს მეფე“) გაგება გულისხმობს პერსონაჟის

ტრაგედიის - ჰამლეტის გაგებას, რომელიც აღფრთოვანებას იწვევდა სამასი წლის განმავლობაში ისე, რომ არ იყო დადგენილი მისი არსი, ავტორის მოტივი'' (Freud 1985: 38).

თუმცა, ფროიდის პირველი ნაშრომი ,,ჰამლეტის'' შესახებ არის ,,სიზმრების ინტერპრეტაცია'' (Freud 1900). ავტორი საუბრობს დანაშაულის გრძნობაზე, რომელიც ჰამლეტს უჩნდება დედასთან და მამასთან მიმართებით, მაგრამ ოიდიპოსის შემთხვევაში ეს ლატენტური გრძნობები მატერიალიზდება მაშინ, როცა ჰამლეტი საკუთარ თავში ახშობს მათ. ფროიდის მოსაზრებით, პიესა, რომელიც ჰამლეტის ფსიქოპათოლოგიას სხვადასხვანაირად - პოეზიით, დრამით - ნიღბავს, ახდენს სუპერეგოს განდევნას, რაც მაყურებელს საშუალებას აძლევს, ჩაახშოს სურვილები და კმაყოფილება მიიღოს ფანტაზიით.

გადაულახავი კომპლექსებით სავსე პროტაგონისტი საკუთარ თავში აკეთებს მთელ რიგ ანალიზს მაშინ, როცა მაყურებელი ჰამლეტში საკუთარ ფარულ საიდუმლოს ადევნებს თვალს. კლაუდიუსი, რომელიც კლავს ჰამლეტის მამას და ცოლად ირთავს დანიის პრინცის დედას, ახდენს ჰამლეტის ჩახშული სურვილების პროექციას. და ახლა, როცა კლაუდიუსი ხდება მისი მამინაცვალი, მას შეუძლია, მამის მოკვლის სურვილი ცნობიერად მიმართოს მისკენ, ყოველგვარი ჩახშობის გარეშე. ასე რომ, კლაუდიუსი წარმოადგენს იდეის გარეთ მიმართულ პროექციას, რომელიც შეიძლება ჰამლეტმა დასაჯოს და ამით დაგმოს საკუთარ თავში დანაშაულებრივი გრძნობები დედის და მამის მიმართ. ასევე, კლაუდიუსის მკვლელობით ჰამლეტი იკმაყოფილებს არაცნობიერის დონეზე არსებულ პატრიციდურ იმპულსებს.

ფროიდი ისევ უბრუნდება ,,ჰამლეტის'' ანალიზს და აქვეყნებს ესეს ,,ფსიქოპათური პერსონაჟები სცენაზე'' (Freud 1905), სადაც აღნიშნავს, რომ პიესა შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოპათოლოგიური პერსონაჟის დრამატულად წარმოდგენის კლასიკურ მაგალითად და შექსპირის წარმატების სამ მიზეზს ასახელებს:

1. მთავარი გმირი არ არის ფსიქოპათი იმთავითვე. ის ასეთი მოქმედების მსვლელობისას ხდება;
2. ჩახშული იმპულსი (ოიდიპოსის კომპლექსი) წარმოადგენს თითოეულ ჩვენგანში არსებულ კონფლიქტს;
3. აღნიშნულ იმპულსს, რომელიც ცნობიერში გადადის, ადამიანი არასოდეს არქმევს კონკრეტულ სახელს. ხდება მაყურებლის ყურადღების დევიაცია, შედეგად, ის საკუთარი ემოციების ტყვეობაში ექცევა და ვერ აანალიზებს იმას, რაც სინამდვილეში ხდება (Freud 1905: 309).

ბოლოს კი წერს: ,,კონფლიქტი ,,ჰამლეტში'' ისე ეფექტურად არის დაფარული, თითქოს, მე დამიტოვეს ამოსახსნელად'' (Freud 1905: 310). მართლაც, ოიდიპოსის კომპლექსის კვლევა ფროიდის შრომების ცენტრალურ

ასპექტს წარმოადგენს, მას ავტორი ,,ჰამლეტთან'' აკავშირებს და მიიჩნევს, რომ სწორედ მან განაპირობა პიესის პოპულარობა. აღსანიშნავია, რომ ფროიდი ძალიან ამაყობს ,,ჰამლეტის'' საიდუმლოების ამოხსნით, რაც თვით გოეთემ ვერ შეძლო (Gay 1998: 313).

მიუხედავად ლიტერატურის დიდი სიყვარულისა, ფროიდს მაინც ფსიქოანალიტიკური ინტერესი, ამოცანის ამოხსნის სურვილი ამოძრავებს და პერსონაჟებს, როგორც კლინიკურ შემთხვევებს, ისე განიხილავს: ,,მთელი ცხოვრების განმავლობაში ფროიდს თავში საიდუმლოებების ამოხსნის სურვილი უტრიალებდა'' (Gay 1998: 311). მას სწამს, რომ, ზოგადად, ლიტერატურა საიდუმლოებით მოცული სფეროა იმდენად, რამდენადაც ძლიერი ემოციის გამოწვევა შეუძლია მკითხველში, მაყურებელში.

ნორმან ჰოლანდი აღნიშნავს, რომ ,,ფროიდის ყველაზე დიდ წვლილს შექსპირის შესწავლის სფეროში წარმოადგენს ის, რომ მან დაწერა ჰამლეტში არსებული ოიდიპოსის კომპლექსის შესახებ''. მეორეს მხრივ, აღმოჩნდა, რომ ,,ჰამლეტის'' კვლევა ,,დაეხმარა ფროიდს, მოეხდინა ოიდიპოსის კომპლექსის კონცეფციის ფორმულირება, რაც მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ორთოდოქსული ფსიქოანალიზისათვის'' (Holland 1960: 165).

მოგვიანებით, ჰამლეტში არსებული ოიდიპოსის კომპლექსის შესახებ წერს ერნესტ ჯონსი. ,,ჰამლეტი და ოიდიპოსი'' (Jones 1976). ძალიან საინტერესო და ამომწურავ ნაშრომს წარმოადგენს და შექსპიროლოგების მოწონებაც დაიმსახურა. ჰამლეტი და ოიდიპოსი მუდამ ურთიერთ იკვეთებიან. აღნიშნული მოსაზრებები რამდენადმე ცვლის ,,ჰამლეტის'' რეცეფციას.

საინტერესოა ფ. ნიცშეს მოსაზრება ,,ჰამლეტის'' შესახებ. სილქი და სტერნი ამტკიცებენ, რომ ხელოვნების შესახებ ნიცშეს შეხედულებები, რომლებიც წარმოდგენილია ნაშრომში ,,ტრაგედიის დაბადება'', ხორცშესხმულია ,,უცილობლად ბერძნული'' კატეგორიებით (Silk... 1981: 280). ავტორები წერენ, რომ ,,ნიცშემ წამოგვიდგინა ისეთი უცილობლად ბერძნული სტრუქტურა, რომ სხვა დრამაზე მსჯელობა, უბრალოდ, ირეალურია. სტილისტური შეფერილობით, ისევე, როგორც ინტენსივობით, მისი კატეგორიები ბერძნული სამყაროს ტრაგედიებს განეკუთვნება'' (Silk... 1981: 280).

მათი მოსაზრებით, ნიცშეს თეორიები, რომლებიც აქცენტს ბერძნული მოდელზე აკეთებენ, სხვა დრამატული ნაწარმოებების განხილვას, ვაგნერის მუსიკალური დრამის ჩათვლით, ,,ხელისშემშლელად უცხოს'' ხდიან (Silk... 1981: 280).

ისინი ასევე მიიჩნევენ, რომ ნიცშეს კატეგორიებს არ აქვთ კავშირი შექსპირის სამყაროსთან, ან რომელიმე სხვა ქვეყნის ტრაგიკულ სამყაროსთან, ბერძნულის გარდა და მისი შეხედულებები სხვა ტიპის დრამის შესახებ საკმაოდ ზედაპირულია (Silk... 1981: 280), თუმცა, უნდა ითქვას, რომ ნიცშეს

წარმოდგენებს შექსპირის ნაწარმოებების შესახებ ნაკლებად თუ ვუწოდებთ ზედაპირულს.

როდესაც ნიცშე შექსპირზე საუბრობს, ფოკუსირებას ახდენს ,,ჰამლეტზე''. დისკუსიის შედეგად იკვეთება ორი ასპექტი, რომელიც გულისხმობს, (1) დადგინდეს მეთოდები, თუ როგორ ახერხებს ტრაგედია, ქოროს ან ვაგნერის მუსიკალობის გარეშე წარმოადგინოს ტრაგედიის დიონისური ასპექტი და (2) თუ როგორ ახდენს თანამედროვე აუდიტორია ტრაგედიის პროტაგონისტთან რელატიურობის დადგენას ისევე, როგორც ეს ხდებოდა ძველ ბერძენ მაყურებელსა და ქოროს შემთხვევაში.

ნიცშე, მაგალითად, გვთავაზობს თანამედროვე ხელოვანს, რომელსაც კარგად შეუძლია აპოლონური და დიონისური მხატვრული ხერხების სინთეზირება არა-მუსიკალური ნაწარმოების შექმნის პროცესში.

ნიცშეს თეორიაში ხელოვნების შესახებ დიონისური ტიპურად წარმოდგენილია მუსიკის საშუალებით: დიონისური ძველბერძნულ ტრაგედიაში რეალიზდება მუსიკალური ქოროს, ხოლო ვაგნერის ოპერაში - მუსიკალური უვერტიურის საშუალებით. ნიცშე ექსპლიციტურად ახდენს მუსიკის იდენტიფიცირებას დიონისურ საწყისებთან, ხოლო სკულპტურას - აპოლონურთან: ხელოვნების ორი ბერძნული ღვთაება, აპოლონი და დიონისე, წარმოადგენენ ათვლის წერტილს იმ ფაქტის გაცნობიერების პროცესში, რომ ბერძნულ სამყაროში არსებობდა ორი უზარმაზარი ოპოზიცია საწყისსა და მიზანს შორის, სურათხატის შემქმნელის, ან სკულპტორის აპოლონურ ხელოვნებასა და იმავე სურათხატისგან თავისუფალი მუსიკის ხელოვნებას შორის, რომელიც დიონისურია (Nietzsche 1999: 14).

ასე რომ, ნიცშესთვის დიონისური ასპექტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია იმდენად, რამდენადაც ხელოვნების პირველსაწყისია აპოლონურთან ერთად. ავტორი მიიჩნევს, რომ აპოლონური ინდივიდუალურობისკენ, დიფერენცირებისკენ, იერარქიისკენ არის მიმართული მაშინ, როცა დიონისური წარმოადგენს ინდივიდუალურის უგულებელყოფას, ინტოქსიკაციას, ეგოს დავიწყებას: ,,უფრო ნათლად რომ მოვახდინოთ ამ ორ მიმართულებას შორის განსხვავება, საჭიროა ისინი განვიხილოთ, როგორც ორი სხვადასხვა სამყარო - ოცნების და ინტოქსიკაციის სამყარო, რაც გულისხმობს დიონისურ და აპოლონურ საწყისებს შორის განსხვავებას'' (Nietzsche 1999: 14-15).

სკულპტურა და ეპიკური პოეზია აპოლონური ხელოვნების მაგალითად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ნიცშე თვლის, რომ ჰომეროსი ნაივური, აპოლონური საწყისის მქონე ხელოვანის პარადიგმას წარმოადგენს: ,,ჰომეროსის ნაივურობა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც აპოლონური ილუზიის გამარჯვება; ეს იმ ტიპის ილუზიაა, რომელსაც ბუნება ძალიან ხშირად იყენებს მიზნის მისაღწევად. ჭეშმარიტ მიზანს ხელს უშლის მცდარი სურათხატი. ჩვენ ხელს ვიწვდით მისკენ და ბუნება მიზანს სწორედ ამ მოტყუებით აღწევს'' (ნიცშე

1999: 25). ჰომეროსის ნაივურობა კი იმით აიხსნება, რომ მისი პერსონაჟები ცდილობენ მოსალოდნელი ტანჯვის არიდებას, მცდარ სურათხატს ეფარებიან.

მუსიკა დიონისური ხელოვნების ნიმუშია ნიცშესთვის. ,,ტრაგედია ქოროსგან წარმოიშვა. თავდაპირველად ის მხოლოდ ქორო იყო, სხვა არაფერი'' (Nietzsche 1999: 36). ნიცშე აღნიშნავს, რომ მუსიკალური, დიონისური ქორო წარმოადგენს ტრაგედიის პირველსაწყისს. ,,ის, რომ ტრაგედია სატირებით იწყება და დიონისურ სიბრძნეს ისინი ახმოვანებენ, არის ის, რაც ახლაც გვაოცებს ისევე, როგორც ის ფაქტი, რომ ტრაგედია ქოროში აღმოცენდა''.

დიონისური სული მუსიკალური სატირით არის წარმოდგენილი: ,,მინდა ვთქვა, რომ მეტაფიზიკურ ნუგეშს ჩვენ თითოეული ჭეშმარიტი ტრაგედიისგან ვიღებთ, ნუგეშს, რომელიც ყველაფრის საფუძველია და მიუხედავად სხვადასხვა წინააღმდეგობრივი გამოვლინებებისა, სიცოცხლის განადგურება შეუძლებელია. ეს ნუგეში - საოცრად ძლიერი და სასიამოვნო - მთელი სიცხადით რეალიზდება სატირთა ქოროში, ბუნებრივ არსებათა ქოროში, რომელიც ცივილიზაციამდე არსებობდა და მის შემდეგად იარსებებს'' (Nietzsche 1999: 39).

მუსიკა უნიკალური საშუალებაა დიონისურის მატერიალიზაციის: ,,მუსიკის, რომელმაც უმაღლესი გამოვლინება ტრაგედიში ჰპოვა, ჰერკულესურმა ძალამ განაპირობა მითის ინტერპრეტაცია ახალი, ღრმად ნიშანდობლივი გზით'' (Nietzsche 1999: 53).

ნიცშეს სჯერა, რომ წარმატებულ ტრაგედიაში შეიძლება, ჰარმონიულად შეერწყას ერთმანეთს ეს ორი კატეგორია. მისი მოსაზრებით, ბერძნული ტრაგედიის ყველა პერსონაჟი დიონისეა ლატენტურად. თითოეული გმირის - პრომეთეს, ოიდიპოსის და აშ. - თითქოს სპეციფიკური თვისებები მხოლოდ ნიღაბია მათი ჭეშმარიტი, დიონისური ბუნების. ამით არგუმენტი მნიშვნელოვნად იცვლება.

ნიცშე აქ უშვებს იმის ალბათობას, რომ არა-მუსიკალური ტრაგედიები შეიძლება მიესადაგოს მის თეორიებს, ვინაიდან თვლის, რომ დიონისური ასპექტი შეიძლება რეალიზდეს როგორც მუსიკის, ასევე, პერსონაჟის საშუალებით, თუმცა, ის არ საუბრობს იმაზე, თუ როგორ ახდენს ტრაგედიის პერსონაჟი დიონისური კატეგორიების მატერიალიზებას, როგორ ახერხებს სრულიად არაინდივიდუალური დიონისური სული გამოვლინდეს ინდივიდუალური პიროვნების ტანჯვის გავლით ტრაგიკულ მოვლენათა ჭრილში. სწორედ ჰამლეტის მხატვრული სახის კვლევა აძლევს ნიცშეს ამის საშუალებას.

ნიცშე თვლის, რომ ტრაგედიის პროტაგონისტი დიონისეს ტანჯვას გამოხატავს. ზოგიერთ მითში პატარა დიონისეს ნაკუწებად აქცევენ, შემდეგ კი ტიტანები ამთელებენ მას. ნაკუწებად ქცევა ნიცშესთვის წარმოადგენს

ინდივიდუალური პრინციპების დანაწევრებას და შემდეგ ამ ინდივიდის შეერთებას ბუნებასთან.

წინამდებარე სტატიის მიზანია, წარმოვაჩინოთ დრამატურგიის დემოკრატიზაციის პრობლემა მე-18 საუკუნის დასავლეთევროპულ განმანათლებლურ დრამის თეორიაში, კონკრეტულად დენი დიდროსა და გოთჰოლდ ეფრაიმ ლესინგის თეორიულ შრომებში, რომელთა ანალიზი ნათლად აჩვენებს მათ ერთობლივ ბრძოლას კლასიციზმის ნორმატიული ესთეტიკის წინააღმდეგ და ამავდროულად განსხვავებებსაც დრამის თეორიის ცალკეულ საკითხებზე. დიდროსთან ლესინგის პოლემიკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ლიტერატურისა და, კერძოდ, დრამატურგიის დემოკრატიზაციის აუცილებლობის პრინციპს ლესინგი და დიდრო ერთნაირად ითხოვენ თავიანთ თეორიაში, მაგრამ ლესინგის პოლემიკურ განწყობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ დრამის პერსონაჟებში წინა პლანზე წამოწეულიყო მხოლოდ საზოგადოებრივი მდგომარეობანი, ხოლო ინდივიდუალური მიმართებები, პერსონაჟთა ხასიათები კი აქსესუარებად ქცეულიყო. ლესინგმა სწორად შენიშნა წინააღმდეგობა დიდროს დრამის თეორიის შინაგან სისტემაში, რაც მთელი განმანათლებლური ლიტერატურის, კერძოდ, დრამატურგიის არსს წარმოადგენდა: ეს იყო განხეთქილება იდეალურსა და რეალურს, ზოგადსა და კერძოს შორის. ლესინგმა დაინახა მის წინაშე წამოჭრილი საკითხის დიალექტიკური ბუნება და პრობლემის გადაჭრის საშუალება დაინახა წონასწორობის მოძებნაში იდეალსა და სინამდვილეს, განზოგადოებასა და ემპირიულ მრავალფეროვნებას, ტიპიურსა და ინდივიდუალურს შორის.

საკვანძო სიტყვები: *განმანათლებლობა, დრამატურგია, თეატრი, დრამის თეორია, დემოკრატიზაცია, ხასიათის პრობლემა.*

მე-18 საუკუნის დასავლეთევროპულ განმანათლებლურ ლიტერატურაში განსაკუთრებული როლი ენიჭება დრამატურგიასა და თეატრს, როგორც საშუალებას განმანათლებლური იდეების ხალხის ფართო მასებთან მისატანად. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დრამის თეორიული საკითხების დამუშავებას, რომელიც წინაპირობას წარმოადგენდა ახალი ტიპის დრამატურგიული ნაწარმოებების შესაქმნელად. თეატრი კი თავისებური ტრიბუნა იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდისათვის.

მე-18 საუკუნის დასავლეთევროპული დრამის თეორიის

ჩამოყალიბებისათვის არსებითი აღმოჩნდა ინგლისელი დრამატურგის ჯორჯ ლილოს პიესა „ლონდონელი ვაჭარი, ანუ ჯორჯ ბარნველის ისტორია“, რომელმაც კლასიცისტური ესთეტიკის საწინააღმდეგოდ დემოკრატიზაციის მძლავრი მუხტი შეიტანა განმანათლებლური დრამატურგიის ესთეტიკაში. განსაკუთრებით ღრმად დამუშავდა დრამის თეორიის საკითხები საფრანგეთსა (დენი დიდრო) და გერმანიაში (გოთჰოლდ ეფრაიმ ლესინგი). მოსაზრებები დრამის ახალ ფორმაზე დენი დიდრომ ჩამოაყალიბა თავისი ორი პიესის შესავალში („ოჯახის მამა“, „უკანონო ვაჟიშვილი“).

დიდროს ე.წ. „სერიოზული დრამა“ შუალედურ ადგილს იჭერდა კლასიცისტური ესთეტიკის მიერ რეგლამენტირებულ ტრაგედიასა და კომედიას შორის და უპირისპირდებოდა მას (Аникст 1967: 326). მისი სოციალური თემატიკის დიაპაზონი ფართო უნდა ყოფილიყო, დრამატული კონფლიქტი მწვავე, ხოლო ცენტრალური მოქმედი პირები კი დაბალი დემოკრატიული ფენებიდან გამოსული ადამიანები, რომლებიც წარმოდგენილნი იქნებოდნენ დრამატული თუ ტრაგიკული გაშუქებით, რაც კლასიციზმის ესთეტიკისათვის სრულიად მიუღებლად ითვლებოდა. დიდროს ახალი ჟანრი მნიშვნელოვანი იყო ღრმა განმანათლებლური იდეურობითა და პრინციპულობით (Мокульский 1967: 23).

დიდრო ახალი ტიპის დრამის თეორიის შექმნით გამოდიოდა კლასიცისტური თეატრის პრინციპების, დრამატურგიაში ჟანრობრივი რეგლამენტაციის წინააღმდეგ და თავის ესთეტიკაში ეძებდა საფუძველს პიროვნებისა და საზოგადოების ჰარმონიული სინთეზისათვის. მისი აზრით, საზოგადოებაში მცხოვრები ადამიანი წარმოადგენს არა მარტო ინდივიდუალურ არსებას, არამედ ამ საზოგადოების, ანუ მთელის ნაწილსაც, რომელიც აერთიანებს ადამიანებს გარკვეულ სოციალურ ჯგუფებად და განსაზღვრავს მათ არსებით ნიშან-თვისებებს. ეს იყო, დიდროს აზრით, საზოგადოებრივი მდგომარეობა პერსონაჟისა, ანუ „Condition“, რომელიც დრამატულ ქმნილებაში შეიძლება წარმოდგენილი ყოფილიყო განსაზღვრული დემოკრატიული ფენებიდან გამოსული ადამიანებით. ამავე დროს დრამის პერსონაჟებს რომ ადამიანური უბრალოება და ბუნებრიობა არ დაეკარგათ, დიდრო მიიჩნევდა, რომ გმირი ეჩვენებინა არა მარტო როგორც განსაზღვრული საზოგადოებრივი მდგომარეობის მქონე პიროვნება, არამედ მისი სუბიექტური მიმართებებით, ანუ როგორც ოჯახის მამა, მეუღლე, ძმა და ა.შ. ეს იყო „Relation“. არსებითი კი ის იყო, რომ დიდრო უპირატესობას ანიჭებდა საზოგადოებრივ მდგომარეობათა წარმოსახვას, რითაც მას სურდა გაემკვეთრებინა დრამატურგიის სოციალური ტონი. ამან კი დაჩრდილა ხასიათების ინდივიდუალობა და ისინი, ფაქტობრივად, აქსესუარებად აქცია (Дидро 1936: 160-161). სოციალური არსის აბსტრაჰირებამ და მისმა

მოწყვეტამ პერსონაჟის ცოცხალი, მგრძნობიარე ქსოვილიდან მექანიკურად გათიშა ერთმანეთისაგან სინამდვილის წარმოდგენის ორი მხარე: ასახვის კონკრეტულობა და კონკრეტულ მოვლენათა განზოგადება. წინააღმდეგობა იდეალურსა და რეალურს შორის აშკარად ჩნდება დიდროს ესთეტიკურ მოსაზრებებში (Барская 1962: 39).

დრამატურგიის დემოკრატიზაციის საკითხი ასევე მნიშვნელოვანია დიდი გერმანელი განმანათლებლის გოთჰოლდ ეფრაიმ ლესინგის დრამატურგიასა და თეორიულ შრომებში. მის მიერ 1768 წელს შექმნილი „ჰამბურგის დრამატურგია“ დიდი ლიტერატურული მანიფესტია, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა გერმანული დრამატურგიის განვითარებაში, მან საფუძველი ჩაუყარა ახალი გერმანული დრამის ესთეტიკას (Rilla 1968: 219). დიტერ ბორჰმაიერი თავის ფუნდამენტურ შრომაში - „Was ist Deutsch? Die Suche einer Nation nach sich selbst“, განსაკუთრებით გამოჰყოფს ქ-ნი დე სტალის მოსაზრებას ლესინგის დამსახურების შესახებ ესთეტიკური აზროვნების განვითარებასა და გერმანული ენის დახვეწის საქმეში (Borchmeyer 2017: 165).

ლესინგის „ჰამბურგის დრამატურგიაში“ ნათლად გამოსჭვივის გერმანელი განმანათლებლის სიმპათიები უბრალო გერმანელი ბიურგერისადმი. სამართლიანად აღნიშნავს იურგენ გუნია: „Ohne Übertreibung kann man sagen, daß fast alles, was Lessing geschrieben hat, unter dem Vorzeichen, ja auch unter dem Diktat des bürgerlichen Zeitbewußtseins steht“ (Gunia 2005 : 207-208).

ლესინგის დრამის თეორიაში ნათლად იგრძნობა, რომ გერმანელი განმანათლებლისათვის მთავარია დემოკრატიული ფენიდან გამოსული უბრალო ადამიანის განცდების, მწუხარებისა თუ სიხარულის ჩვენება მხატვრულ ნაწარმოებებში: „Die Namen von Fürsten und Helden können einem Stücke Pomp und Majestät geben; aber zur Rührung tragen sie nichts bei. Das Unglück derjenigen, deren Umstände den unsrigen am nächsten kommen, muss natürlicherweise am tiefsten in unsere Seele dringen; und wenn man wir mit Königen Mitleiden haben, so haben wir es mit ihnen als mit Menschen, und nicht als mit Königen“ (Lessing 1968 : 405).

ლიტერატურისა და, კერძოდ, დრამატურგიის დემოკრატიზაციის აუცილებლობის პრინციპს ლესინგი და დიდრო ერთნაირად ითხოვენ თავიანთ დრამის თეორიაში, (Fick 2000: 295), მაგრამ ლესინგის პოლემიკურ განწყობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ დრამაში წინა პლანზე წამოწეულიყო პერსონაჟთა მხოლოდ საზოგადოებრივი მდგომარეობანი, ხოლო მათი სუბიექტური მიმართებები, პიროვნული ხასიათები კი აქსესუარებად ქცეულიყო. „ჰამბურგის დრამატურგიის“ 86-ე წერილში 1768 წლის 26 თებერვალს ლესინგი წერს: „Er (Diderot) schlug daher vor, nicht die Charaktere, sondern die Stände auf der Bühne zu bringen; und wollte die Bearbeitung dieser zu

dem besondern Geschäfte der ernsthaftern Komödie machen. „Bisher“, sagt er, „ist in der Komödie der Charakter das Hauptwerk gewesen; und der Stand war nur etwas Zufälliges: nun aber muss der Stand das Hauptwerk, und der Charakter der Zufällige werden“ (Lessing 1968: 433).

დიდი გერმანელი განმანათლებელი ამ ანტინომიას უწოდებდა „იდეალური ხასიათების წყალქვეშა ბრაგას“, რომელიც დიდრომ „არასაკმაოდ გამოიკვლია“. ეს საკითხი მუდამ იყო მკვლევართა ყურადღების საგანი (Ingrid Strohschneider-Kohrs, Eva J. Engel, Claus Ritterhoff-Neues zur Lessing-Forschung. Max Niemeyer Verlag. Tübingen1998. S.1-183)

„ჰამბურგის დრამატურგიის“ 1768 წლის 8 მარტის წერილში ლესინგი მიუთითებს, რომ დიდროს მტკიცებულებები ამ საკითხზე არამყარია. იმავე წლის 15 მარტის წერილში კი აღნიშნავს, რომ დიდროს მოსაზრებები დრამატურგიულ ხასიათში საზოგადოებრივ მდგომარეობათა და მიმართებათა პროპორციის შესახებ მცდარი იყო. 29 მარტის წერილში იგი დიდროს თეორიაში მოცემული ხასიათების აღსანიშნავად იყენებს ცნებებს: „allgemeiner Charakter“, „überladener Charakter“, „gewöhnlicher Charakter“ და შემდგომ აყალიბებს თავის შეხედულებას ამ საკითხზე: „In der ersten Bedeutung heißt ein allgemeiner Charakter ein solcher, in welchem man das, was man an mehrern oder allen Individuis bemerkt hat, zusammennimmt, es heißt mit einem Worte ein überladener Charakter, es ist mehr die personifierte Idee eines Charakters, als eine charakterisierte Person. In der andern Bedeutung aber heißt ein allgemeiner Charakter ein solcher, in welchem man von dem, was an mehrern oder allen Individuis bemerkt worden, einen gewissen Durchschnitt, eine mittlere Proportion angenommen, es heißt mit einem Worte, ein gewöhnlicher Charakter, nicht zwar insofern der Charakter selbst, sondern nur der Grad, das Maß desselben gewöhnlich ist“ (Lessing 1968: 478).

სრულიად აშკარაა, რომ დრამატურგიაში მხატვრულ სახეთა სქემატიზმის თავიდან ასაცილებლად ლესინგი დიდროს მოსაზრებათა კრიტიკისას მახვილს აკეთებს ხასიათების ინდივიდუალიზაციაზე, მაგრამ იგი არ გადაჭრის საკითხს, თუ როგორ შეიძლება ხასიათი ერთდროულად იყოს „ჩვეულებრივი“ და „გადატვირთული“, ანუ როგორ შეიძლება იგი კონცენტრირებულად გამოხატავდეს ყველა იმ თვისებას, რაც მოცემულ სოციალურ ფენას ახასიათებს და ამასთანავე იყოს ჩვეულებრივი, ჰქონდეს ინდივიდუალური ნიშან-თვისებები: „...wie ist es möglich, daß der nämliche Charakter zugleich auch jene Allgemeinheit haben kann? Wie ist es möglich, daß er zugleich ü b e r l a d e n und g e w ö h n l i ch sein kann? und gesetzt auch, er wäre so überladen noch lange nicht, als es die Charaktere in dem getadelten Stücke des Jonson sind; gesetzt, er ließe sich noch gar wohl in einem Individuo gedenken“ (Lessing 1968: 479).

ლესინგი აშკარად არ ეთანხმება და ეწინააღმდეგება დიდროს პოზიციებს, მაგრამ მხოლოდ პრობლემის „გადაჭრის სირთულის“ კონსტატაციას ახდენს.

ლესინგის პოლემიკა დიდროსთან მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებების საფუძველი გახდა. ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ ლესინგმა ვერ გაიგო დიდროს დრამატული თეორიის სოციალური პათოსი (Сильман 1936: 401), მეორე ნაწილი აშკარად დიდროს აძლევს უპირატესობას ლესინგთან შედარებით (Mayer 1953: 51). ზოგიერთის აზრით, დიდრო თავის ესთეტიკაში ვერ გადაჭრის მის მიერვე წამოყენებულ ანტინომიას (Грив 1936: XVIII-XIX).

ფაქტობრივად, ლესინგმა დაინახა წინააღმდეგობა დიდროს დრამის თეორიის შინაგან სისტემაში, რაც მთელი განმანათლებლური დრამატურგიის არსს წარმოადგენდა: ეს იყო განხეთქილება იდეალურსა და რეალურს, ზოგადსა და კერძოს შორის. მთავარი აქ ის არის, რომ ლესინგმა დიდროს საწინააღმდეგოდ „ჰამბურგის დრამატურგიაში“ წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ ხასიათი ერთდროულად შეიძლება იყოს ტიპიურიცა და ინდივიდუალურიც, ანუ დააყენა მხატვრულ სახეში კერძოსა და ზოგადის დიალექტიკური ერთიანობის პრობლემა და იქვე შენიშნა, რომ მან წარმოაჩინა ამ პრობლემისათვის „Fermenta cognitionis“ („აზროვნების საფუარი“, „აზრის ნაჟური“): „...ich bin also nicht verpflichtet, alle die Schwierigkeiten aufzulösen, die ich mache. Meine Gedanken mögen immer sich weniger zu verbinden, ja wohl gar sich zu widersprechen scheinen: wenn denn nur Gedanken sind, bei welchen sie Stoff finden, selbst zu denken. Hier will ich nichts als „Fermenta cognitionis“ ausstreuen“ (Lessing 1968: 479).

მკვლევარი ვ. გრიბის აზრით, ლესინგი დიდროსთან პოლემიკაში ცდილობს თავი დააღწიოს განმანათლებლური ესთეტიკის წინააღმდეგობებს (Грив 1963:144). მაგრამ აქ მთავარი, ჩემის აზრით, ისაა, რომ, ფაქტობრივად, ლესინგმა ბევრად გაუსწრო დიდროს და იმ პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა დააყენა, რომლის განხორციელება დასავლეთევროპულ ლიტერატურაში მხოლოდ მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან გახდა შესაძლებელი.

ლესინგმა კარგად შენიშნა მის წინაშე წამოჭრილი საკითხის დიალექტიკური ბუნება და პრობლემის გადაჭრის საშუალება დაინახა წონასწორობის მოძებნაში იდეალსა და სინამდვილეს, განზოგადოებასა და ემპირიულ მრავალფეროვნებას, ტიპიურსა და ინდივიდუალურს შორის. ამაზე მიუთითებს მისი სასიგნალო სიტყვები - „Fermenta cognitionis“, ანუ იგივე „Gärstoffe der Erkenntnis“, მაგრამ ის, როგორც მე-18 საუკუნის განმანათლებელი, ამ შემთხვევაში ბოლომდე მაინც ვერ გასცდა თავისი ეპოქის საზღვრებს.

ლიტერატურა

Berghahn 1995: Berghahn, K.l. Nachwort. In: Gotthold Ephraim Lessing. Hamburgische Dramaturgie. Hrsg. von Klaus L. Berghahn. Philipp Reclam. Stuttgart, 1995.

Borchmeyer 2017: Borchmeyer, D. Was ist Deutsch? Die Suche einer Nation nach sich selbst. Rowohlt. Berlin, 2017.

Deutsche Dramentheorien 1971: Deutsche Dramentheorien. Beirtäge zu einer historischen Poetik des Dramas in Deutschland. Bd. 1. Hrsg. und eingeleitet von R. Grimm. Athenäum. Frankfurt a/o., 1971.

Erforschung...1980: Erforschung der deutschen Aufklärung. Hrsg. von P. Pütz. Athenäum-Hein-Scriptor. Königsstein, 1980.

Fink, M. Lessing 2000: Fink, M. Lessing. Leben-Werk-Wirkung. Verlag Metzler. Stuttgar-Weimar, 2000.

Gunia 2005: Gunia, I. Aufklärung über Langsamkeit? Lessing und der Skandal der Zeit im 18. Jahrhundert. In: Lessings Skandale. Hrsg. von Jürgen Stenzel und Roman Rach. Max Niemeyer Verlag. Tübingen, 2005.

Lessing 1968: Lessing, G. E. Hamburgische Dramaturgie. In: Lessing, G. E. Gesammelte Werke in zehn Bänden. Bd. 6. Aufbau Verlag. Berlin und Weimar, 1968.

Mayer 1953: Mayer, H. Lessing. Mitwelt und Nachwelt.. In: Studien zur deutschen Literaturgeschichte. Berlin, 1953.

Rilla 1968: Rilla, P. Lessing und seine Zeit. In: Lessing, G. E. Gesammelte Werke in zehn Bänden. Bd. 10. Aufbau Verlag. Berlin und Weimar, 1968.

Аникст 1967: Аникст, А. Теория драмы от Аристотеля до Лессинга. Наука. Москва, 1967.

Барская 1962: Барская, Т. Дидро. Искусство. М. – Л., 1962.

Гриб 1963: Гриб, В. Р. Лессинг. В: История немецкой литературы. Т.2. Издательство Академии Наук СССР. Москва, 1963.

Гриб 1936: Гриб, В. Р. Эстетические взгляды Лессинга и театр. В: Готгольд Эфраим Лессинг «Гамбургская драматургия». ACADEMIA. М. – Л., 1936.

Дидро, Д. Собрание сочинений. Т. V. Academia. М. – Л., 1936.

Мокульский 1967: Мокульский, С. Французская драматургия эпохи Просвещения. Искусство. Москва, 1967.

Сильман 1936: Сильман, Т. Драматургия эпохи «Бури и натиска». В: Ранний буржуазный реализм. Художественная литература, М. – Л., 1936.

Literature and Literary Theory

On One Issue of Drama Theory in the Aesthetics of Lessing and Diderot

Nanuli Kakauridze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
nanuli.kakauridze@yahoo.com

The purpose of the present paper is to discuss the problem of democratization in the 18th century Western European Enlightenment drama theory focusing on the theoretical works of Denis Diderot and Gotthold Ephraim Lessing. The comparative analysis of their works demonstrates their common struggle against the aesthetics of classicism as well as differences in their drama theory. In literary scholarship there are diverse views on Lessing's polemics with Diderot. Both theorists are equally demanding in their appeal for the democratization of literature and, in particular, drama, but Lessing finds it unacceptable to emphasize the social "condition" in the dramatic work, giving it priority over the individuality of the character. In fact, Lessing discovered a contradiction in Diderot's drama theory: it was a split between the ideal and the real, the general and the particular. Lessing managed to gain deep insight into the dialectical nature of the problem, seeking to find a balance between the ideal and the real, generalization and empirical diversity, the typical and the individual.

Keywords: *Enlightenment, Dramaturgy, Theatre, Drama Theory, Democratization, Problem of character.*

In the 18th century Western European literature drama and theater played crucial roles in the spread of Enlightenment ideas among the masses. The emphasis was made on theorizing upon problems of dramaturgy, leading to the creation of a new type of drama. The theater was perceived as a prime tool for the propagation of bourgeois-democratic ideas.

The issues of drama theory were profoundly studied in France (Denis Diderot) and Germany (Gotthold Ephraim Lessing). Diderot develops his views on the new form of drama in the introduction to his plays Le Père de famille (The Father of the Family) and Le Fils naturel (The Illegitimate Son)).

By announcing the principles of a new drama, Diderot opposed the principles of classicist theater with its stilted genre conventions and restrictions, seeking ways to reconcile the individual with society in his aesthetic theory. In his view, any individual human being living in a society is not only an individual being, but also a part of this society as a whole uniting its members into certain social groups and determining their essential features. In his notion of the hero, Diderot substitutes social

"Condition" for traditional "character", thus making emphasis on the social status and position of the character understood as meaning "profession", "family status", "social relations", "class membership" etc. On the other hand, the character had to retain individual human characteristics - the protagonist was to be portrayed not only as a member/representative of a definite social class, but also as an individual being with his personal relationships, i.e. as a father, husband, wife, brother etc. Diderot defined this aspect of the character as "Relation". Diderot believed that, in the first place, it was substantial to convey social "condition" in order to emphasize social and political complexities and controversies. In this way, "condition" overshadowed "relation", or the individuality of the characters, transforming them into schematic constructs. This approach mechanically separated the two sides of the representation of reality, giving preference to generalization over individualization and singularization.

In his 1768 literary manifesto The Hamburg Dramaturgy, that laid the foundation for the aesthetics of the new German drama, Gotthold Ephraim Lessing is also theorizing upon the problem of democratization of dramaturgy.

Lessing and Diderot are equally demanding in their appeal for the democratization of literature and, in particular, drama, but Lessing finds it unacceptable to emphasize the social "condition" in the dramatic work, giving it priority over the individuality of the character.

In order to avoid the schematism, Lessing focuses on the individualization of characters in dramaturgy, but in his drama theory the question of how a character can be "ordinary" and "overloaded" at the same time remains unanswered. In other words, he doesn't reflect on how a character can embody all characteristics peculiar to the given type in the concentrated manner and be ordinary/natural at the same time.

In fact, Lessing discovered a contradiction in Diderot's drama theory: it was a split between the ideal and the real, the general and the particular. Most importantly, in The Hamburg Dramaturgy Lessing opposed Diderot by stating that the character can be both typical and individual simultaneously, thus raising the problem of the dialectical unity of the particular/individual and the general. As he noted, he aimed at nothing more than "to scatter fermenta cognitionis".

Lessing managed to gain deep insight into the dialectical nature of the problem, seeking to find a balance between the ideal and the real, generalization and empirical diversity, the typical and the individual, but as a representative of the 18th century Enlightenment, he could not go beyond the limits of his epoch. Lessing just encouraged further discussion of the problem that was to be realized in Western European literature only since the 1820s.

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

აკაკი წერეთლის რეცეფცია აკა მორჩილაძის ნარატივში („ქართულის რვეულები“)

ნესტან კუტივაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
nestani.kutivadze@atsu.edu.ge

აკა მორჩილაძე თანამედროვე ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი გამოკვეთილი წარმომადგენელია, რომლის თხზულებებში ძალზე საგულისხმოდ რეპრეზენტირდება საქართველოს წარსული, არაერთი ისტორიული პიროვნების მხატვრული პორტრეტი კონკრეტული თარიღებისა და ფაქტების დოკუმენტური სიზუსტით თხრობის გარეშე იქმნება. „ქართული რვეულები“ ამ ხასიათის წიგნია. სტატიაში დეტალურადაა გაანალიზებული საუკუნოვან რეტროსპექტივაში როგორ აქტივობს XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის ფიგურა ისეთ კულტურულ დისკურსში, როდესაც ავტორი მიზნად არ ისახავს კონკრეტულად მის შესახებ შექმნას დამოუკიდებელი ოპუსი. აკა მორჩილაძის ამ ნარატივიმა მკაფიოდ წარმოაჩინა, რომ აკაკის ფიგურა გვერდაუვლელია მთელი მისი მოღვაწეობის განმავლობაში და არ არსებობს პერიოდები, როდესაც ის ნაკლებ აქტიური ან გამდგარი იყოს საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენებისაგან. ტექსტში ფრაგმენტებით გამორჩეული შემოქმედის თითქმის მთლიანი პორტრეტი იხატება.

საკვანძო სიტყვები: *ფრაგმენტი, დეტალური, პოსტმოდერნიზმი, ნარატივი, რეფლექსია.*

აკა მორჩილაძე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და წარმატებული თანამედროვე ქართველი მწერალია, რომელმაც მოახერხა მისი ტექსტები, ძირითადად პოსტოდერნისტული ესთეტიკით შექმნილი, მიმზიდველი და საინტერესო იყოს სხვადასხვა გემოვნების მკითხველისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ კრიტიკულ დისკურსზე. ლიტერატურათმცოდნეთა თვალსაწიერში თავისი პირველი ნაწარმოებების გამოქვეყნებსითანავე მოექცა მწერალი და სხვადასხვა თაობის მკვლევართა მიერ არაერთი საგულისხმო წერილიც გამოქვეყნდა მისი შემოქმედების მხატვრულ თუ მსოფლმხედველობრივ თავისებურებებთან დაკავშირებით (ბრეგვაძე 2008; ავალიანი 2000; კალანდია 1999; პაიჭაძე... 2006; ხარბედია 2011; ქასრაშვილი 2010 და სხვ.) თემატური თვალსაზრისით, აშკარაა, რომ პროზაიკოსი XIX-XX საუკუნეების მხატვრულ ისტორიას ქმნის კონკრეტული თარიღებისა და ფაქტების დოკუმენტური სიზუსტით თხრობის გარეშე. იგი ასახავს მოვლენის არსს, პიროვნების ხასიათს, რადგან ეს რაკურსია მისთვის, როგორც შემოქმედისათვის, მთავარი

მაშინაც კი, როდესაც საკმაოდ ცნობილ ისტორიულ ფაქტს ან პერსონას შეეხება. ამ გზით, არცთუ იშვიათად, იქმნება მრავალწახნაგოვანი პორტრეტი, რა თქმა უნდა, ავტორის პრიზმიდან დანახული, რაშიც ერთგვარი ინტრიგაც შეიძლება იყოს ჩადებული.

„ქართულის რვეულები“ ამ ტიპის წიგნია. მასში XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ყოფის ფრაგმენტებია წარმოდგენილი და ავტორი მას სურათებს უწოდებს. მწერალი გვიჩვენებს XXI საუკუნიდან როგორ განიცდება, განისჯება, ინტერპრეტირდება ეს მრავალგვაროვანი და წინააღმდეგობრივი დრო. რა თქმა უნდა, მკითხველს ცნობისმოყვარეობას უმძაფრებს ზოგჯერ საკმაოდ, ზოგჯერი კი, ნაკლებად გავრცელებული შეხედულებების მიმართ ავტორის დამოკიდებულება, მისი სუბიექტური რეფლექსია, მით უფრო, რომ წიგნი საყოველთაოდ ცნობილ მოვლენებსა და მოღვაწეებს აცოცხლებს.

„ერთი ხნის წინათ ბევრს ვკითხულობდი ასი წლის წინანდელი ქართველების მოგონებებსა და ჩანაწერებს. იმ წაკითხულიდან რაც დამელექა თავში, იმის ერთი ნაწილი ასეთი გამოდგა. ეგებ ნაწერებში ბევრი რამ ზუსტი არ იყოს, მაგრამ ამბად ასე დამრჩა გონებაში და აღარ გამოვედევნე. მთავარი ხომ მაინც ის არის, რაც გულს სამუდამოდ დააჩნდება“ (მორჩილაძე 2014: 5),- წერს აკა მორჩილაძე წიგნისათვის დართულ წინასიტყვაობაში. ასეთი შესავალი ძალზე მკაფიოდ აჩვენებს, რა ტიპის ნარატივს გვთავაზობს ის, მიმართულებასაც აძლევს მკითხველის მოლოდინის ჰორიზონტს და ამასთანავე გასაღებსაც, როგორ წაიკითხოს ტექსტი.

„რვეულებში“ ცალკე თავი არ ეძღვნება აკაკი წერეთელს, მაგრამ იმთავითვე წარმოუდგენელი იყო აკაკის საუკუნეზე თხრობა დაწყებულიყო ან დასრულებულიყო ისე, რომ მგოსნის ხატი არ დაფიქსირებულიყო.

ბეჯითი კითხვის მეთოდით ჩვენ შევეცადეთ დავკვირვებოდით საუკუნოვან რეტროსპექტივაში როგორ აქტივობს აკაკი წერეთლის ფიგურა ისეთ მოცემულობაში, როდესაც ავტორი მიზნად არ ისახავს ამ ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მოღვაწის შესახებ შექმნას დამოუკიდებელი ოპუსი.

წიგნი ძველ თავადზე თხრობოთ იწყება. გასაკვირი არაა, რომ პირველივე გვერდზე ლუარსაბ თათქარიძე - „მოგონილი თავადი“ და ილია ჭავჭავაძე ჩნდებიან. მწერალს აქვე იმერელი ძველი თავადების სიმბოლოდ როსტომ წერეთელი - აკაკი წერეთლის მამა - შემოჰყავს, აკაკისავე ჩანაწერებიდან აცოცხლებს მის სახეს, ცხოვრების წესს, რომ შექმნას იმ ყოფის ტიპური სურათი, რომელიც რუსეთის შემოსვლისას იყო საქართველოში და, რომელიც აუცილებლად უნდა დასრულებულიყო. ეს თავი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს ეძღვნება. მისი ხასიათის ერთ-ერთი შტრიხის გახსენებაც აკაკის პირველ ლექსებთან არის დაკავშირებული და შეეხება „ცისკარში“ დაბეჭდილ

პირველ პუბლიკაციას. ამ უკანასკნელს განსაქიქებლად მესტვირულს უწოდებდნენ. ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობილი ფრაზა - „როგორც წერეთელს, გადაგეხვევი და როგორც აკაკის, გაკოცებო“ (მორჩილაძე 2014: 16)- რა თქმა უნდა, შთამბეჭდავია თავისი მახვილგონივრულობით, მაგრამ მაინც ახალგაზრდა შემოქმედის მხარდაჭერის გამო გვამახსოვრდება.

აკაკი წერეთლის ცხოვრებისეული პასაჟები მორჩილაძის ნარატივში წინა პლანზე წამოიწევს საქართველოს ისტორიის გარდამტეხ ეტაპებსა თუ კულტურულ მოვლენებზე საუბრისას, საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებების გახსენებისას, ეროვნულ ღირსებასთან დაკავშირებული დეტალების გაანალიზებისას. „აკაკი წერეთელი, რომელიც ვორონცოვის მმართველობისას ბავშვი იყო, მისი დიდი პატივისმცემელი გახლდათ და ამბობდა, გრაფი პეტერბურგს თვალს უხვევდა, ჩვენ ვუყვარდით და ჩვენ გვიკეთებდა კარგსო. მერე აკაკიმ პოემაც კი დაწერა - „ვორონცოვი“, - აღნიშნავს მორჩილაძე (მორჩილაძე 2014: 44). ამგვარად, კვლავ გაჩნდა აკაკის ხატი მწერლის ცნობიერებაში, როდესაც ის თბილისში ოპერის გახსნის შესახებ მოგვითხრობს. მწერალი აკაკის ბავშობით ხსნის იმ იმედიან დამოკიდებულებას, „დამეხსენი ჩრდილოელოს“ ავტორი რომ იჩენდა რუსეთის მიმართ კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის (1844-1854) თბილისში ყოფნის პერიოდში.

არანაკლებ აქტიურად გამოვლინდა აკაკის ფიგურა მწერლის მეხსიერებაში გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორ ველიჩკოსთან დაკავშირებულ ისტორიაშიც. ზოგადად ქართველების მოყვარული ეს რუსი ჟურნალისტი და პოეტი ილიასა და აკაკისთან ერთად ქეიფში აღმოჩნდა მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ და ლექსი წარმოთქვა, „ღმერთმა შეარიგოს ეს ორი ქართველი ტიტანიო“ (მორჩილაძე 2014: 55). შესაძლებელია ეს ფაქტი ყოველდღიურობაში ჩაკარგულიყო, რომ არა გაცხარებული აკაკის აღშფოთება. რამე სახის უთანხმება მასა და ილიას შორის არ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ ორივენი ეწინააღმდეგებოდნენ რუსების ყოფნას საქართველოში. პირადულისა და საქვეყნოს ასეთი განცალკავება, ბუნებრივია, სამუდამოდ იბეჭდება მეხსიერებაში და იოლად იჩენს თავს ეროვნული ღირსების ამსახველ არაერთ დისკურსში.

ცხადია, XIX საუკუნის ყველაზე წამიერი რეტროსპექტივა წარმოუდგენელია ილია ჭავჭავაძის მონუმენტური ფიგურის გარეშე. ამ შემთხვევაში უკვე აღარ არსებობს დიდი და მცირე თემები, ყველა რაკურსი ერთნაირად მნიშვნელოვანია. სათაურსაც შესაბამისად შეურჩევს ავტორი ამ მონაკვეთს - ილია სახლში და სამსახურში. ილიას ყოველდღიურობაზე წერისას იმთავითვე იკვეთება აკაკის არაერთი სახასიათო დეტალი. მათ შორის, ლიზა მარჯანიშვილისათვის (აღსანიშნავია, რომ სწორედ მას ეძღვენება ილიას ერთ-ერთი გახმაურებული სატრფიალო ლექსი - „გახსოვს, ტურფავ,...“ (ჭავჭავაძე

1987:112)) ილიას მიერ მიცემული პირობის დარღვევაც, რაზეც, აკაკის აზრით, თადეოზ გურამიშვილის სიმდიდრემაც იქონია გავლენა. იმას, რომ ამ ჭორის გამავრცელებელთა შორის აკაკისაც მოიხსენიებენ, მორჩილაძის თქმით, იმით აიხსნება, რომ გურამიშვილის მსგავსი ძველი ყაოდის თავადები აკაკის არ უყვარდა.

როდესაც ილიასა და მისი მეგობრების იუმორსა და ოხუნჯობაზე ჩერდება აკა მორჩილაძე, სრულიად ლოგიკურად წინა პლანზე წამოიწევს აკაკისათვის ასე მომადლებული ეს უნარიც და ის კრიტიკული წერილიც, ილიას „ივერიამ“ რომ გამოაქვეყნა თედო სახოკიას მიერ გამოცემულ წიგნთან - „აკაკის ოხუნჯობანი“ - დაკავშირებით. „აკაკის ხუმრობა ყველას მოგვწონს, მაგრამ აკაკის ხუმრობა ბაზრის ხუმრობასავით არ არის და ასეთად არ უნდა გადააქციოო“, - ეს იყო ილიას პოზიცია (მორჩილაძე 2014: 63), შეფასება, რომლის გამოც იგი ვერ ეგუებოდა სახოკიას მიერ გამოცემულ წიგნს. მართალია თუ არა ამგვარი მიდგომა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ფაქტია ილიას სხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდა აკაკისთან და მას უნდოდა, მისი ფრაზები უფაქიზეს ნიუანსამდე ყოფილიყო აღქმული და არა ზედაპირულად, რაც შესაძლებელია გახალხურებას და გავრცელებას მოჰყოლოდა.

აკა მორჩილაძის ცნობიერებაში ილიასა და აკაკის სახელები დაწყვილებულია, როგორც ნარდის მოთამაშეებისა. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადადაც ილიასა და აკაკი სახელები დაწყვილებულია ქართველი ერის ცნობიერებაში. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ აკაკი ბაქრაძის წიგნი - „ილია და აკაკი“ (ბაქრაძე 1992), ასევე, ილიასა და აკაკიც ცნობილი სკულპტურა თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ (ავტორი, მოქანდაკე: ვალენტინ თოფურიძე. ივერიელი, ფოტო არქივი ელ რესურსი: http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/207863). მეტიც მას ასეთი ტანდემი საშუალებას აძლევს გამოკვეთოს ორი გენიალური შემოქმედის განსხვავებული ტემპერამენტი. თამაშშიც ძალიან მოზომილი ილია ჭავჭავაძე და უფრო „იღბლის თამაშების“ მიმდევარი აკაკი, რომელიც, პავლე ინგორყვას მოგონებით, ყოველთვის აგებდა ილიასაგან განსხვავებით. ამავე მიზეზით აკაკი სანდრო შანშიაშვილის მოგონების გმირიცაა. შანშიაშვილმა აღბეჭდა წაგებული აკაკი, ნისიაზე რომ არ ენდობოდნენ. „სანდრო შანშიაშვილისათვის აკაკი არ იყო უბრალოდ მოთამაშე, ისე, როგორც იქ მყოფი ხალხისთვის“,- წერს მორჩილაძე (მორჩილაძე 2014: 65). ეს პასაჟი დიდი ადამიანების დრამატიზმსაც შესანიშნავად აჩვენებს, მუდმივად „ჩვეულებრივ“ მოკვდავებად რომ აღიქვამენ თანამედროვენი და ამის შესაბამისადაც ექცევიან. მან კი, ვინც მისი ფასი კარგად იცოდა, წაგებული თანხა შესთავაზა. აკაკიმაც მიიღო შეთავაზება. რა თქმა უნდა, ავტორი თხრობას ილიას შესახებ აგრძელებს, მაგრამ მკითხველისათვის იოლად შესამჩნევია, რომ ეს ტანდემი ამ შემთხვევაშიც გაცილებით ღირებულია, ვიდრე თამაშით გატაცებული სხვა

პიროვნებები. თუნდაც ისინი, ვისთანაც ილია თამაშობდა და აგებდა კიდეც. ვფიქრობ, საერთოდაც ამ რამდენიმე ფრაგმენტმა კარგად გამოკვეთა ამ ორი გამორჩეული მამულიშვილის ადამიანური მხარეები, რომლებიც ყოველთვის უკანა პლანზე გადადიოდა, როდესაც საქმე საქვეყნო თუ საზოგადოებრივ-კულტურულ მოვლენებს შეეხებოდა.

როდესაც XIX საუკუნის საზოგადებრივი აზრის ფორმირებას გვინდა გავადევნოთ თვალი, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის დიმიტრი ყიფიანის ფიგურა, მისი თავგანწირვა (ეგზარხოსის წინააღმდეგ გალაშქრება), გადასახლებად და სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდა, ყოველთვის განსაკუთრებული რეფლექსიის საგანი ხდება და მასთან ერთად აკაკი წერეთლის „განთიადი“ იქცევა ერთგვარ ნიშანსვეტად, რომლითაც ლექსის ყალიბში გადადის ამაღლებულისა და მშვენიერის ესთეტიკური ფენომენი. აკა მორჩილაძემ ამ შედევრს აკაკის კიდევ ერთი საყურადღებო ნაწარმოები - „ხანჯალს“ დაუწყვილა. ამ გზით გააცოცხლდა მოარული ამბავი იმის შესახებ, რომ ეს ლექსი ქართველთათვის ძალიან კრიტიკულ დროს გაკრული ყოფილა კედლებზე და მხნეობას მატებდა ერს. ამ თვალსაზრისით, მართებულია აკა მორჩილაძის შენიშვნა, რომ მნიშვნელობა არ აქვს, როდის დაიწერა ეს ლექსი, რადგან ამ შემთხვევაში უფრო ღირებულია ის, თუ რა ზემოქმედება ჰქონდა კონკრეტულ ტექსტს, როგორ აღიქმებოდა ის და როგორი იყო მის მიმართ მკითხველის რეფლექსია.

წიგნში ცალკე ოპუსი ეძღვნება XIX საუკუნის ცნობილ საზოგადო მოღვაწესა და პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს, რომლის პორტრეტის ერთ-ერთ დაუვიწყარ შტრიხად, აკაკის მოგონების წყალობით, სამუდამოდ იქცა გუბეებზე შემოვლით და საგანგებოდ ფრთხილად მოსიარულე „დედა ენის“ შემქმნელი. მორჩილაძეც, გასაკვირი არაა, რომ გვერდს ვერ უვლის ამ სურათს (მორჩილაძე 2014: 80). ნიშანდობლივია ერთი დეტალიც: იაკობ გოგებაშვილის ხელგაშლილობის დასტურად, როდესაც სხვა ავტორს - შიო მღვიმელს - იმოწმებს მწერალი, ამ შემთხვევაშიც აკაკი წერეთელთან დაკავშირებული ფაქტი ამოტივტივდება. რუსეთში ცოლ-შვილთან მყოფ აკაკის ი. გოგებაშვილი სწორედ მღვიმელის დახმარებით უგზავნიდა თურმე ფულს (მორჩილაძე 2014: 85). ამგვარი დეტალები კარგად აცოცხლებს თავად ეპოქას, წარმოაჩენს ამ დროის მოღვაწეთა არაერთ პიროვნულ ნიშან-თვისებებს, რომლებიც დალექილია ამგვარ ყოფით ეპიზოდებში.

კანონზომიერია, რომ ავტორის ინტერესის მიღმა ვერ დარჩა პერიოდული პრესა. ამ თვალსაზრისით, ბევრი რამაა მნიშვნელოვანი, მაგრამ უდავოდ ღირებულია მწერლის აქცენტი იმის შესახებ, რომ „კვალის“ პირველ ნომერში აკაკი წერეთელი და ივანე მაჩაბელი ერთად იბეჭდებოდნენ (მორჩილაძე 2014: 78-79). ამ პასაჟზე შესაძლოა აქცენტი არ გაგვეკეთებინა, რომ არა ამ გამორჩეული მამილიშვილების სახელებთან დაკავშირებული ტრაგიკული

ისტორია, დღემდე რომ აფორიაქებს ქართულ საზოგადოებას. ბუნებრივია, ამას გვერდს ვერც აკა მორჩილაძე აუვლიდა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აკაკისა და ვანო მაჩაბლის ურთიერთობა არ განეკუთვნება ისეთ ჩვეულებრივ მოვლენათა რიგს, რომლებიც იოლად გაფერმკრთალდება და მიეფარება თვალს. ჩვენთვისაც განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა, როგორაა წარმოაჩენილი აკაკი წერეთელი ვანო მაჩაბელთან ურთიერთობაში. აკა მორჩილაძე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ აკაკიმ ვანო მაჩაბელი 5-6 წლის ასაკში გაიცნო, როდესაც „ჰამლეტის“ ცნობილი მთარგმნელი მედავითნეობდა. ამ ისტორიას სამი მოღვაწის საიდუმლოებად აღიქვამს და თვლის, რომ ამ საიდუმლოს თავისი ლიგიკური საფუძველი გააჩნია. „ჩვენ კი მაჩაბლის ცხოვრებას და თავგადასავალს შეიძლება დავარქვათ ოცწლიანი სამკუთხედი. სამკუთხედის ერთი კუთხე არის ივანე მაჩაბელი, მეორე - ილია ჭავჭავაძე და მესამე - აკაკი წერეთელი. ეს არის ძალიან უცნაური, თავისებური და საინტერესო ურთიერთობის ისტორია, რომელიც ერთ შემთხვევაში დაიწყო დიდი მეგობრობით და დამთავრდა დიდი მტრობით, მეორე შემთხვევაში კი დაიწყო დიდი მეგობრობით და დამთავრდა დიდი საიდუმლოთი“,- წერს ავტორი (მორჩილაძე 2014: 90). ბუნებრივია, განცდებითა და კონფლიქტებით სავსე ეს სამკუთხედი XIX საუკუნის პუბლიცისტიკის, ისტორიულ დოკუმენტებისა თუ მხატვრული ლიტერატურის ფურცლებზე ვერ ჩაიკარგებოდა, არც ეს პიროვნებები იყვნენ რიგითი კეთილშობილი მოქალაქეები და არც ის ასპარეზი და საქმე იყო უმნიშვნელო, რომელსაც ისინი თავდადებით ემსახურებოდნენ.

აკა მორჩილაძე ოსტატურად გადმოგვცემს ილიასა და მაჩაბლის დაპირისპირების არსს. დანანებით აღნიშნავს, რომ „ორი კარგი კაცი გადაეკიდა“ (აკა მორჩილაძე) ერთმანეთს და, სამწუხაროდ, ამ დაპირისპირებამ მაჩაბლის გაუჩინარების მძიმე დღეებშიც კი აკაკის მწარე ხუმრობად იჩინა თავი, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ უფრო დრამატული აღმოჩნდა ეს გაუჩინარება აკაკისათვის. „მაჩაბელს არ ჰყოლია ისეთი ერთგული და საბანკო საქმით დაუინტერესებელი მეგობარი და მხარდამჭერი, როგორიც იყო აკაკი წერეთელი“ (მორჩილაძე 2014: 95),- დაბეჯითებით აღნიშნავს XXI საუკუნის გადასახედიდან ავტორი და არც ტასო მაჩაბლისა (ივანე მაჩაბლის მეუღლე- ნ.კ.) და აკაკი წერეთლის ურთიერთობასთან დაკავშირებულ მითქმა-მოთქმაზე ღიად საუბარს გაურბის.

ამ რთულ და უპასუხო კითხვებით სავსე ისტორიას მორჩილაძე განსჯის თანმიმდევრულად, მის ხელთ არსებულ მასალებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით და შეჯერებით. ყურადღებას ამახვილებს ტასოსა და მისი დების განსწავლულობასა და მათი მამის - ალექსანდრეს - ალღოიანობაზე. არც ის რჩება მხედველობის არედან, რომ ტასო ასაკით აკაკის ვაჟის ტოლი იყო და მას პოეტი ბავშვობიდან იცნობდა, რადგან ტასოს და, ნიცა, ცოლად

ჰყავდა ბეჟან წერეთელს, სხვიტორელ მემამულეს, რომლის შვილის ნათლიაც გახლდათ და რომელთანაც იგი ზაფხულს ატარებდა ხოლმე.

აკა მორჩილაძე საკუთარ ვერსიას ისე გადმოგვცემს, რომ ცდილობს ნეიტრალურ მთხრობელად, განმსჯელად დარჩეს. იხსენებს აკაკის ხასიათის, მისი პიროვნების დამახასიათებელ შტრიხებს, რადგანაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს ისეთ დეტალებს, რომლის აღდგენა ან ცოდნა ახლა უბრალოდ შეუძლებელია, საკთხს ამგვარად უყურებს: „შეკითხვა უბრალოა,-წერს ის, აკაკი ის კაცი იყო, რომელმაც თავის მეგობარს თავისი საყვარელი შერთო ცოლად? ანდა აკაკი ის კაცი იყო, თავის შინაურ და საყვარელ ოჯახში მუშტრის თვალით რომ უყურებდა უწლოვან გოგონებს?“ (მორჩილაძე 2014: 96). ამით ეს განსჯა მთლიანად მორალურ სფეროშია გადატანილი. აკა მორჩილაძე სამართლიანად თვლის, რომ თუ ჩვენ ყოველივე ამაზე გვექნება ჩვენი პასუხები, გამოკვეთილი გვექნება ჩვენი პოზიციაც. აკა მორჩილაძეს ისე მიჰყავს თხრობა, რომ სხვებისთვისაც სარწმუნო გახადოს ის, რაშიც მას თავად ეჭვი არ ეპარება. ამ თვლსაზრისით, მწერლისათვის მნიშვნელოვანი არგუმენტებია: 1. ივანე ზურაბიშვილის ჩანაწერები, რომლის მიხედვითაც, ბუნებით მოარშიყე აკაკის აღიქვამდნენ მხოლოდ პოეტად; ამასთან, ზურაბიშვილის ჩანაწერებში მისახვედრია, რომ ის ესაუბრა ტასო მაჩაბელსაც. ქალი კი უარყოფდა ჭორებში ჩარჩენილ ისტორიას. 2. აკაკის ნაკლებად ცნობილი მოთხრობა „ის“, რომლის მთავარი გმირი აჩაბეთელია (შდრ.: მაჩაბელი). მას ეუბნება მოთხრობის ავტორი, რომ უნდა დაქორწინდეს ერთ მშვენიერ ქალზე. თუ ტასოსთან საიდუმლო ურთიერთობა უნდოდა აკაკის, ამდენს მასზე არ ისაუბრებდა, თვლის მორჩილაძე, რაშიც ძნელია მას არ დაეთანხმო. 3. აკაკის ბოლომდე გაყოლილი მეგობრობა ვანოსთან; 4. აკაკის წერილები, მიმართვა - დაო, 5. ქვრივი ტასო მაჩაბელი უგვარებდა აკაკის ბევრ ორგანიზაციულ საკითხს; 6. გოროდოვოის ჩვენება, რომ მან ნახა სახლიდან გამოსული მაჩაბელი. ამ თემებზე საუბრის შემდგომ საგულისხმოა, ასევე, მწერლის მიერ მკითხველისათვის დატოვებული რიტორიკული კითხვა - „ეგეც არის, აბა, როგორ ცხოვრობდა მაჩაბლის გაქრობის შემდეგ აკაკი? -„უბედურებაა ამეებზე ფიქრი, წერა და ლაპარაკი“ (მორჩილაძე 2014: 96). ესეც მწერლის პოზიციად და საბოლოოდ მაინც პასუხგაუცემელ კითხვად შეიძლება იქნას მიჩნეული, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არ არსებობს დოკუმენტურად დადასტურებული საგამოძიებო საქმე, თორემ აკა მოჩილაძის, როგორც ერთი, არცთუ რიგითი, ქართველის პოზიცია საკმაოდ მკაფიოდ და ნათლად არის გადმოცემული.

XIX საუკუნის ხდომილებათა თუ კონცეპტუალური გააზრებისას ღირებული აღმოჩნდა, ასევე, ვაჟასა და აკაკის პოლემიკა ენის შესახებ. მორჩილაძე წარმოაჩენს ორ განსაკუთრებულ შემოქმედს, რომლებმაც კარგად იცოდნენ ერთმანეთის ფასი. „ენა, რომელზეც დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ, აკაკის

ენაა. გასაკვირი არ არის, რომ აკაკი, ვისაც ახალგაზრდობაში თვითონაც უწუნებდნენ ენას და მესტვირეს ეძახდნენ, მგრძნობიარე იყო ვაჟას ფშაურის მიმართ“ (მორჩილაძე 2014: 121),- ამგვარად განსჯის და ასაბუთებს საკუთარ პოზიციას XXI საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული შემოქმედი, რომელიც სავსებით მართებულად არჩევს თავისი ხედვის კუთხეს, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ ამ ტექსტის მიზანი სრულებით არ გახლავთ ღრმა ენობრივი წიაღსვლების ანალიზი. ამდენად, არ იქნებოდა მართებული თავად ამ საკითხის არსობრივი ანალიზი, რომელიც, თავის მხრივ, ლინგვისტურ წიაღსვლებსაც მოიცავს. ეს არც აკა მორჩილაძეს აქვს მიზნად დასახული.

ისევე, როგორც რეალურ ყოფაში, „ქართული რვეულების“ მიხედვითაც, არანაკლებ დასამახსოვრებელია აკაკი წერეთლის ფიგურა რევოლუციის დღეებში, რასაც თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. დიდმა პოეტმა თარგმნა ინტერნაციონალი, გამოსცა ქართული ყოველკვირეული კარიკატურებიანი გაზეთის - „ხუმარას“ პირველი და ერთადერთი ნომერი, რის გამოც მეტეხის ციხეშიც მოუწია ერთი დღით ჯდომამ. ეს კი XIX საუკუნის ერთგვარ ლოგიკურ ფინალად აღიქმება. 1915 წელს გარდაიცვალა მეორე ბუმბერაზი „თერგდალეული“ - აკაკი წერეთელი, 1910-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი ნამდვილად თვისებრივად ახალი საუკუნე დაიწყო, რევოლუციური ფანატიზმით იმაზე მეტად დაღდასმული, ვიდრე XIX საუკუნის ბოლო იყო.

აკა მორჩილაძის ამ ნარატივიმა მკაფიოს წარმოაჩინა, რომ აკაკის ფიგურა გვერდაუვლელია მთელი მისი მოღვაწეობის განმავლობაში და არ არსებობს პერიოდები, როდესაც ის ნაკლებ აქტიური იყოს ან მეტ-ნაკლებად გამდგარი საზოგადოებრივ-კულტურული მოვლენებისაგან. ამდენად მისი პერსონა დაკავშირებულია ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა: ვორონცოვის მოღვაწეობის პერიოდი და ამით გამოწვეული ოპტიმიზმი, რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლა, 1905-1907 წლების რევოლუცია, გამოკვეთილი, აკაკის თავდადება საზოგადო საქმისა და სამშობლოსათვის, უაღრესად საგულისხმო და ანგარიშგასაწვია აკაკის ნაწერებში შემონახული თანამედროვეების (ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი, ვაჟა-ფშაველა...) შტრიხები. ასევე, აშკარაა მისთვის დამახასიათებელი ნიჭიერება, იუმორი, ადამიანური სისუტეები: ბანქოს თამაშის სიყვარული, მუდმივი ვალები, მოარშიყე ბუნება. ამ ყოველივეს ერთვის ოჯახური ურთიერთობის სირთულეც.

აღსანიშნავია, რომ აკა მორჩილაძე აკაკის შესახებ ქმნის მხატვრულ ნარატივსაც და მას პერსონალურად უძღვნის სპეციალურ სატელევიზიო გადაცემას, მას ეკუთვნის 2015 წელს აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით გამოცემული წიგნი-ალბომის ტექსტიც, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ აკაკის ფიგურა იმდენად აქტიური, მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავია XIX საუკუნის

მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ათწლეულის საქართველოს საზოგადოებრივ კულტურულ ყოფაში, მაშინაც კი, როდესაც აკაკი წერეთლის შესახებ თხრობა არ არის ავტორის უმთავრსი მიზანი, ცალკეული ფრაგმენტებით მაინც იკინძება ამ დიდი და გამორჩეული შემოქმედის თითქმის მთლიანი პორტრეტი, რომელიც ამავე დროს მრავალპლასტიანი და მრავალწახნაგაა. ამასთან, უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფრაგმენტულობაც პოსტმოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, აკა მორჩილაძე კი ერთ-ერთი თვალსაჩინო თანამედროვე პოსტმოდერნისტი ავტორი.

ლიტერატურა

ავალიანი 2000: ლალი ავალიანი, გამოთხოვება ძველ თბილისთან, ძრწოლა ახალი თბილისის წინაშე. „განახლებული ივერია, #8-9, 2000.

ბრეგაძე 2008: ლევან ბრეგაძე, მოთხრობები ლიტერატურაზე, თბილისი, 2008.

ბაქრაძე 1992: აკაკი ბაქრაძე, ილია და აკაკი. თბილისი: საქართველო, 1992.

კალანდია 1999: ლანა კალანდია, „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ (ციტაციის გააზრებისათვის), „ლიტერატურა და სხვა“, #1, 1999.

მორჩილაძე 2014: აკა მორჩილაძე, ქართულის რვეულები - XIX საუკუნის სურათები. თბილისი, 2014.

პაიჭაძე 2006: თამარ პაიჭაძე, კალეიდოსკოპური აღქმა თუ რეალობა?! „ლიტერატურული ძიებანი“, XXVII, 2006.

ქასრაშვილი 2010: ირაკლი ქასრაშვილი, „ქართული უტოპიის ქრონიკები,“ ელ. რესურსი: https://burusi.wordpress.com/2010/05/25/aka-morchiladze/

ჭავჭავაძე 1987: ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი I, პოეზია. თბილისი: მეცნიერება, 1987.

ხარბედია 2011: მალხაზ ხარბედია, - „კუნძულების გოთიკა,“ ელ. რესურსი: https://burusi.wordpress.com/2011/02/24/malkhaz-kharbedia-6/

Literature and Literary Theory

Akaki Tsereteli's Reception in Aka Morchiladze's Narrative ("Georgian Notebooks")

Nestan Kutivadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
nestani.kutivadze@atsu.edu.ge

Aka Morchiladze is one of the outstanding representatives of modern Georgian literature. In his works Georgia's past and the artistic portraits of many historical figures are very well represented through narrating specific dates and facts without much documentary accuracy. "Georgian Notebooks" is this type of a book. In a centuries-long retrospective the article analyzes how active the figure of a prominent Georgian poet and public figure of XIX century _ Akaki Tsereteli is in such a cultural discourse when the aim of the author is not to create an independent opus specifically about him. This narrative by Aka Morchiladze clearly shows that throughout his entire career Akaki's figure cannot be bypassed and there are no periods when he is either less active or isolated from socio-cultural events. An almost complete portrait of a distinguished writer is painted by means of the fragments in the text.

Keywords: *fragment, postmodernism, narrative, reflection.*

Aka Morchiladze is one of the most distinguished and successful contemporary Georgian writers, who has managed to make his texts attractive and interesting for readers of different tastes that are mainly created using postmodernist aesthetics, not to mention his critical discourse. The writer caught the attention of literary critics immediately after the publication of his first works and a number of notable letters were printed by scholars of various generations regarding the artistic characteristics and worldview expressed in his work. From a thematic point of view, it is obvious that the prose writer creates the artistic history of the XIX-XX centuries through narrating specific dates and facts without much documentary accuracy. He describes the essence of the event, the character of a person because this perspective is the key point for him as a writer even when it comes to depicting a well-known historical fact or a person. In this way, quite often, a multi-faceted portrait is created, of course, seen from the author's prism, in which a kind of intrigue can be found.

"Georgian Notebooks" is a book of this type. It presents the fragments of the socio-cultural life of Georgia in XIX century and the author calls them pictures. The writer shows how this diverse and contradictory time is experienced, judged, and interpreted from XXI century. Of course, the reader's curiosity is sharpened by the

author's attitude towards more or less common views, by his subjective reflection, especially when the book brings well-known events and figures to life.

In "Notebooks" a separate chapter is not dedicated to Akaki Tsereteli. However, from the very beginning it was unthinkable to start or finish the story about Akaki's century without creating the icon of the poet.

Through the method of detailed reading in the centuries-long retrospective there is an attempt to observe how the figure of Akaki Tsereteli is active in such case when the author does not aim to create an independent opus about one of the greatest Georgian figures.

The passages of Akaki Tsereteli's life in Morchiladze's narrative will come to the fore when talking about the turning points or cultural events in the history of Georgia, when recalling well-known personalities and analyzing the details of national dignity.

It is obvious that even the instant retrospective of the XIX century is unimaginable without a monumental figure of Ilia Chavchavadze. In this case, there are no longer major and minor topics, all perspectives acquire equal importance.

In Aka Morchiladze's consciousness, the names of Ilia and Akaki are paired like of backgammon players. It should be noted that in general, the names of Ilia and Akaki are paired in the consciousness of the Georgian nation as well. To prove this, it is enough to recall Akaki Bakradze's book - "Ilia and Akaki" (Akaki Bakradze), as well as the famous sculpture of Ilia and Akaki in front of the First Classical Gymnasium in Tbilisi (the author, sculptor: Valentin Topuridze, Iverieli, photo archive e-resource http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/207863).

Moreover, such a tandem allows him to highlight the different temperaments of the two brilliant writers. Ilia Chavchavadze, who is very cautious in the game, and Akaki _ a follower of "luck games", who always lost compared to Ilia.

The author continues the story about Ilia, but it is easy for the reader to notice that even in this case the tandem is much more valuable than other people who are fascinated by the game, even the players who Ilia played with and defeated him. These few fragments clearly show the human sides of these two distinguished patriots that moved always to the background when it came to state or socio-cultural events.

When we want to follow the formation of the public opinion of the XIX century, the prominent Georgian public figure and publicist Dimitri Kipiani always becomes a subject of special reflection and along with him Akaki Tsereteli's "Dawn" becomes some kind of a milestone. Aka Morchiladze combined this work with another noteworthy work by Akaki - "To the Dagger". In this way, he revived the roaming story that "To the Dagger" was hung on the walls at a very critical time for the Georgians and encouraged the nation. Aka Morchiladze rightly notes that it does not

matter when this poem was written, because in this case, it is more valuable what impact the particular text had, how it was perceived and what the reader's reflection on it was.

It is natural that the author took an interest in the tragic story connected with Akaki Tsereteli and the famous writer and publicist Ivane Machabeli. Morchiladze judges the history full of difficult and unanswered questions in a consistent manner, taking into account the information in the materials at his disposal. Aka Morchiladze conveys his version in such a way that he tries to remain a neutral narrator and a judge. He recalls the characteristic traits of Akaki, the features characteristic of his personality as he considers such details, which are merely impossible to restore and to know, to be of much importance. The judgment is completely transferred to the moral realm. The position of the writer can be considered as an unanswered question as there is no documental confirmation of the investigative case; otherwise the position of Aka Mochiladze, as of a non-average Georgian, is quite clear.

According to the "Georgian notebooks", the figure of Akaki Tsereteli in the days of the revolution of 1905-1907 is no less memorable than in real life. It has its own logical explanation. The great poet translated "the Internationale", published the first and the only issue of the Georgian weekly newspaper with cartoons - "Khumara" (Joker). Because of that he had to stay in Metekhi prison for one day. This is perceived as a kind of logical finale of the XIX century. Akaki Tsereteli died in 1915, and the second half of the 1910s marked the beginning of a truly qualitatively new century that was more distinguished by revolutionary fanaticism than the end of the nineteenth century.

The narrative by Aka Morchiladze made it clear that throughout his entire career Akaki's figure cannot be bypassed and there are no periods when he is less active or more or less isolated from socio-cultural events. Thus, his persona is related to events such as Vorontsov's period and the optimism caused by it, Georgia's national liberation movement against Russia, the 1905-1907 revolution. Akaki's devotion to public affairs and his homeland is highlighted. The traits of contemporaries (I. Gogebashvili, I. Machabeli, Vazha-Pshavela ...) preserved in Akaki's writings are highly significant and should be taken into account. Also, his talents, humor and human weaknesses are obvious: the passion for playing cards, constant debts, flirting nature accompanied by the difficulty of family relationships.

It should be noted that Aka Morchiladze also creates an artistic narrative about Akaki and personally dedicates a special TV show to him. He is also the author of the text of a book-album published in 2015 on the occasion of the 175th anniversary of Akaki Tsereteli's birth and the 100th anniversary of his death. But it is noteworthy, that the figure of Akaki is so active, important and impressive in the public cultural life of Georgia in the second half of the XIX century and the first decade of the

XX century that even when the narration about Akaki Tsereteli is not the author's main goal, almost complete portrait of this great and distinguished writer, that is multilayered and multifaceted at the same time, can still be painted by means of separate fragments. At the same time, it should be noted that such fragmentation is one of the important features of postmodern art, and Aka Morchiladze is one of the prominent contemporary postmodern authors.

ბიზნესი, მენეჯმენტი და ბუღალტრული აღრიცხვა

Business, Management and Accounting

სერგო სვანაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
sergo.svanadze@atsu.edu.ge

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ფუნქციონირების ასპექტები

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამართულად და გამჭვირვალედ მართვის მიზნით შესყიდვების პროცესის მოდერნიზების შედეგად 2010 წლის ბოლოს ქვეყანა მთლიანად ელექტრონული შესყიდვების სისტემაზე გადავიდა. მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო შესყიდვა განიმარტება, როგორც ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა. იგი ხორციელდება საბიუჯეტო იერარქიის (ცენტრალური, ავტონომიური, ადგილობრივი) ყველა დონის სახსრებით და არა მარტო. სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება არაერთი საკანონმდებლო-ნორმატიული დოკუმენტით, მათ შორის ძირითადია საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. ელექტრონული შესყიდვების სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის და გამჭვირვალობის მიუხედავად, ამ სფეროში გვხვდება ხარვეზები, რაც რეგულირებასა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების შემუშავებას საჭიროებს.

საკვანძო სიტყვები: *სახელმწიფო შესყიდვები,გამარტივებული შესყიდვა,სამუშაოს შესყიდვა, მომსახურების შესყიდვა.*

სახელმწიფო შესყიდვები საკმაოდ აქტუალური საკითხია, ვინაიდან საქართველოს წინაშე მდგარ ეკონომიკურ ამოცანათა შორის მნიშვნელოვანია არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენება და ამ მხრივ სახელმწიფო შესყიდვების პროცესის სწორად ორგანიზებას და სისტემის გამართულად და გამჭვირვალედ მართვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთან აღნიშნულ სფეროში არსებული ხარვეზები, მასთან დაკავშირებული კორუფციის რისკები და სახელმწიფო თანხების არამიზნობრივი და არაეფექტიანი (უყაირათო) ხარჯვა, მრავალი ქვეყნისთვის გამოწვევად რჩება, მათ შორის საქართველოში. აღნიშნული პრობლემის მოგვარებისა და შესყიდვების სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, შესყიდვების პროცესის

ორგანიზების მოდერნიზების შედეგად 2010 წლის ბოლოს ქვეყანა მთლიანად ელექტრონული შესყიდვების სისტემაზე გადავიდა (სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო. ვერსია 2.0).

საქართველო ერთ-ერთი პირველია პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, რომელმაც შემოიღო ცენტრალიზებული და ყოვლისმომცველი ელექტრონული შესყიდვების სისტემა. სისტემა ინოვაციურია და დიდწილად ევროკავშირის სტანდარტებს აკმაყოფილებს. განხორციელებულმა რეფორმებმა, რომელიც შეიძლება ითქვას რომ უწყვეტ პროცესს ატარებს, საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სისტემა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გამჭირვალე და დინამიურად სრულყოფად სისტემად აქცია.

მოქმედი კანონმდებლობით სახელმწიფო შესყიდვა განიმარტება, როგორც ელექტრონული ან სხვა საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა. იგი ხორციელდება საბიუჯეტო იერარქიის (ცენტრალური, ავტონომიური, ადგილობრივი) ყველა დონის სახსრებით და არა მარტო.

სახელმწიფო შესყიდვები ქვეყნის მთლიანი შიდა ეკონომიკური აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი როლი ქვეყნის განვითარებაში მაღალია. მისი საშუალებით შესაძლებელია:

- სახელმწიფოს პოზიციიდან:
  - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური და რაციონალური ხარჯვა;
  - საბიუჯეტო დანაზოგის შესაძლებლობა;
  - საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
  - კორუფციის რისკის შემცირებადა სხვ.
- ეკონომიკურ აგენტთა პოზიციიდან:
  - ბიზნეს სექტორის განვითარება;
  - კონკურენციის ხელშეწყობა;
  - დასაქმების და სამუშაო ბაზრის გაძლიერება და სხვ.

სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს. კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, გარკვეული გამონაკლისების გარდა, რომელიც კანონშივეა განსაზღვრული. მის ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო საჭიროებისათვის

აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა, სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა (საქართველოს კანონი 2019).

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციასა და მონიტორინგს ახორციელებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (სახელმწიფო შესყიდვების 2014; სახელმწიფო შესყიდვების 2016; სახელმწიფო შესყიდვების 2018ა).

სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ღიაობა და გამჭირვალობა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ სისტემა ასეთივე წარმატებით უზრუნველყოფს სახსრების დაზოგვას, სათანადო კონკურენციას და ა.შ. ელექტრონული შესყიდვების სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის და გამჭვირვალობის მიუხედავად, ამ სფეროში გვხვდება ხარვეზები, რაც რეგულირებასა და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების შემუშავებას საჭიროებს. ამათგან სტატიის ფორმატის გათვალისწინებით მხოლოდ რამოდენიმე საკითხს გამოვყოფთ (საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველო http://www.transparency.ge/).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გამარტივებული შესყიდვა. გამარტივებული შესყიდვა გამოიყენება 5 000 ლარამდე ღირებულების ერთგაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვისას. ასევე იგი მოიცავს მთელ რიგ ჩამონათვალს, რომლის დროსაც შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვით, კერძოდ, მათ შორის საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად; არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა; სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადაში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით და ა.შ. გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში უმთავრესი პრობლემაა - კანონით დაშვებული ის არაერთი გამონაკლისი, როცა შეიძლება შესყიდვის გამარტივებული წესით განხორციელება (სახელმწიფო შესყიდვები 2018).

ელექტრონული შესყიდვებისგან განსხვავებით, გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში კანონი სავალდებულო პროცედურას და/ან წესს არ ითვალისწინებს, თუ როგორ და რის საფუძველზე უნდა შეარჩიონ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა მიმწოდებლები. შესაბამისად, არსებობს მაღალი რისკი როგორც კონკურენციის შეზღუდვისა, ასევე კორუფციული გარიგებებისა.

გამომდინარე იქიდან, რომ კანონმდებლობა შესაძლებლობას იძლევა „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებისა“ და „შეზღუდული ვადების“ ინტერპრეტაციისა, ფაქტობრივად იქმნება საკანონმდებლო ხარვეზი, რომლის საშუალებითაც პირდაპირი შესყიდვის წესი, გამჭვირვალე ელექტრონული ტენდერის პროცედურების გვერდის ავლით, ნებისმიერი ღირებულების ან ტიპის საქონელზე ან მომსახურებაზე გავრცელდეს (სახელმწიფო შესყიდვები 2015).

გამარტივებული შესყიდვების ხვედრითი წილი მთლიან შესყიდვებში საკმაოდ მაღალია,მიუხედავად დადებითი ტენდენციისა. კერძოდ გამარტივებული შესყიდვების წილი მთლიან შესყიდვებში ბოლო წლების განმავლობაში იკლებს, 2012 წელს ეს მაჩვენებელი 45% იყო, 2013 წელს- 39%, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვების გზით 2014 წელს 915.7 მლნ ლარი დაიხარჯა, რაც მთლიანი შესყიდვების 32 %-ია. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელდა შემდგომ წლებშიც და რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში გამარტივებული შესყიდვების წილის შემცირების მიზნით. შედეგად 2018 წელს გამარტივებული შესყიდვების წილი მთლიან შესყიდვებთან მიმართებაში, რომელმაც 4 მილიარდ ლარზე მეტი შეადგინა, შემცირდა 19 %-მდე და 779 მილიონი ლარი შეადგინა (2017 წელში იყო - 881 მლნ. ლარი, 2016 წელს- 1.5 მილიარდი ლარი),რაც იმავდროულად 5%-ით ნაკლებია 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (სახელმწიფო შესყიდვები 2018).

დიაგრამა 1

2018 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების განაწილება ელექტრონულ და გამარტივებულ შესყიდვებზე



წყარო: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში

არსებობს საშიშროება, რომ პირდაპირ გაფორმებულმა კონტრაქტებმა მთავრობის ხარჯების გაუმართლებელი ზრდა გამოიწვიოს, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში, არ არსებობს ფასის დაწევის შესაძლებლობა, რასაც ტენდერის გამოცხადებისას, კონკურენტი კომპანიის არსებობა უზრუნველყოფს. ამასთან, კონტრაქტების გაფორმება გამჭირვალე ელექტრონული შესყიდვების სისტემის გვერდის ავლით ზრდის კორუფციის რისკებს, რადგანაც, კონტრაქტები შესაძლოა ხელისუფლებასთნ დაკავშირებულ ან მმართველი პარტიის მხარდამჭერ კომპანიებთან დაიდოს (სახელმწიფო შესყიდვები 2015).

სახელმწიფო შესყიდვების უარყოფით მხარედ შეგვიძლია ასევე მოვიაზროთ **პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები,** რომლებიც შესყიდვების კანონს არ ექვემდებარებიან. შედეგად, მათ მიერ განხორციელებული შესყიდვები ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით ხდება.

ამ ფონდების მთავარი მიზანია დაფარონ გაუთვალისწინებელი ხარჯები, რაც საგანგებო სიტუაციების დროს არის მოსალოდნელი. თუმცა, სამოქალაქო სექტორის მხრიდან კონტროლის ნაკლებობისა და ანგარიშვალდებულების არარსებობის გამო, რაში იხარჯება სარეზერვო ფონდებში გათვალისწინებული თანხები, დიდწილად უცნობია. 2005 წლის 28 დეკემბერს ბიუჯეტის შესახებ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, მოიხსნა ის წესი, რის მიხედვითაც ამ ფონდების გამოყენება მხოლოდ საგანგებო სიტუაციაში გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად უნდა მომხდარიყო. შედეგად, შესაძლებელი გახდა ფონდების თანხების სხვა ხარჯებისთვის გამოყენებაც. აღნიშნული ხელს უწყობს შესყიდვების სისტემის გვერდის ავლით ტენდერის ჩატარებას. ამ პუნქტის გაუქმება შეამცირებს კონკურენციისა და სამოქალაქო ზედამხედველობის გარეშე თანხების ხარჯვასა და მთავრობის წევრების მიერ სახელმწიფო რესურსის პირადი სარგებლობისთვის გამოყენებას.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში შესყიდვების სისტემის შემოღება დადებითი მოვლენაა და კორუფციის დონის შემცირებას უწყობს ხელს, ამავდროულად ზრდის ეფექტურობასა და კონკურენციას. საკანონმდებლო ბაზაც დიდწილად ევროკავშირის რეგულაციებს ემთხვევა და ხშირ შემთხვევებში უფრო მაღალ სტანდარტებს აწესებს, ვიდრე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედი სისტემები (ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის, მე-4 კარის მე-8 თავი).

თუ არსებულ სისტემაში ცალკეული ცვლილებები მოხდება, ის შეიძლება გახდეს ერთ–ერთი ყველაზე ეფექტური, გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი სისტემა საერთაშორისო დონეზე.

თუმცა ვლინდება რიგი ხარვეზები, რომლის გამოსწორებითაც მინიმუმადე იქნება დაყვანილი საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური და

არამიზნობრივი ხარჯვისა თუ კორუფციის რისკები. კერძოდ:

- მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე მოხდეს გამარტივებული შესყიდვის განხორციელების სავალდებულო პროცედურები, რათა მინიმუმადე იქნას დაყვანილი კონკურენციის შეზღუდვის, კორუფციული გარიგებებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გაუმართლებელი ზრდის შესაძლებლობის რისკები;
- კანონმდებლობის დონეზე განისაზღვროს „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებისა“ და „შეზღუდული ვადების“ ინტერპრეტაცია, რისი საშულებითაც მინიმუმანდე იქნება დაყვანილი ელექტრონული ტენდერების გვერდის ავლით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება (სახელმწიფო შესყიდვები 2015);
- პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხით შესყიდვების განხორციელებისას დეტალური და დასაბუთებული არგუმენტაციის საფუძველზე მოხდეს თანხმობის გაცემა გამარტივებულ შესყიდვაზე.

ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს კრიტერიუმები, რის მიხედვითაც შეფასდება მოთხოვნა და მიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება.

ყოველივე აღნიშნული კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის შესყიდვების სისტემას და უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვას.

ლიტერატურა

კიკვაძე … 2017: ო. კიკვაძე, ი. მახარაშვილი, მ. ძაგანია. „შესყიდვების ადმინისტრირება“. თბილისი; 2017.

საქართველოს კანონი 2019: საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“. 2005 წლის 20 აპრილი №1388-1ს. განახლებული 30.11.2019.

სახელმწიფო შესყიდვები 2018: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17.08.2015 წლის ბრძანება №13 – „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“. განახლებული 03.12.2018.

სახელმწიფო შესყიდვები 2015: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება №27 – „სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. 25.12.2015.

სახელმწიფო შესყიდვების 2014: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2014 წლის საქმიანობის ანგარიში. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. თბილისი, 2014.

სახელმწიფო შესყიდვები 2016: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2016 წლის საქმიანობის ანგარიში.სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. თბილისი, 2016.

სახელმწიფო შესყიდვები 2018ა: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2018 წლის საქმიანობის ანგარიში. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. თბილისი, 2018.

Business, Management and Accounting (miscellaneous)

Aspects of Functioning of State Procurement System

Sergo Svanadze
Akaki Tseretely State University
Kutaisi, Georgia
sergo.svanadze@atsu.edu.ge

At the end of 2010, in order to manage the public procurement system properly and transparently, as a result of the modernization of the procurement process, the country has fully switched to the electronic procurement system. Under the current law, public procurement is defined as the procurement of any goods, services and construction work by a procuring entity using electronic or other means. It is implemented with funds from all levels of the budget hierarchy (central, autonomous, local) and beyond. Public procurement is regulated by a number of legislative-normative documents, including the "Law of Georgia on Public Procurement", which sets out the general legal, organizational and economic principles of public procurement. Coordination and monitoring of public procurement activities is carried out by the State Procurement Agency. Despite the efficiency and transparency of the functioning of the electronic procurement system, there are shortcomings in this area, which need to be regulated and appropriate control mechanisms developed.

Keywords: *Public procurement, Simplified procurement, Job procurement, Service procurement.*

Among economic challenges faced by Georgia the effective use of existing resources is important and in this respect it is of great importance to organize the state procurement process and manage the system smoothly and transparently. As a result of the modernization of the procurement process, in order to improve the efficiency of the procurement system, by the end of 2010, the country moved to the entire electronic procurement system. Georgia is one of the first countries in the post-Soviet countries to introduce a centralized and comprehensive electronic

procurement system. The system is innovative and largely satisfies the EU standards.

By the acting legislation the state procurement is defined as the purchase of any goods, services and construction work by the procuring entity using electronic or other means. It is provided with all levels of budget hierarchy (central, autonomous, local) and not only.

State procurement is an important part of the country's gross domestic economic activity and its role in the development of the country is high. With them it is possible:

- From the state position:
- Economical and rational spending of budget funds;
- Possibility of budget savings;
- Ensure transparency of spending of budget funds;
- Reducing of risk of corruption and others.
- From the position of economic agents:
- Business sector development;
- Promote competition;
- Strengthening employment and job market and others.

The state procurement is regulated by the legislation of Georgia. Among them the basic is the "Law of Georgia on State Procurement", which establishes general legal, organizational and economic principles of public procurement. Its main objective is to ensure rational expenditure of funds designated for state procurement, state necessary for the production of goods, services and construction work in the areas of healthy competition in the development, procurement, procurement of fair participants and the non-discrimination provision, the provision of public procurements.

Coordination and monitoring of state procurement activities in Georgia is carried out by the State Procurement Agency.

Despite the efficiency and transparency of the functioning of the electronic procurement system, there are gaps in this field that require regulation and development of the appropriate control mechanisms.

One of the most important issues is the simplified procurement. The simplified purchase is used for purchasing a single product of goods, services or work worth GEL 5,000. It also includes a number of lists in which the procuring entity is entitled to state procurement through simplified procurement, namely, the supply of goods, the performance of the work or the service is exclusive right of one person and there is no reasonable alternatives to replace the procurement object; there is an urgent necessity; For the purpose of conducting the state and public importance event in a limited time, etc. Unlike electronic procurement, in case of simplified procurement,

the law requires no obligatory procedure and / or rule to determine how and when the procuring entities are supposed to select suppliers. Consequently, there is a high risk of competition restrictions and corruption deals. The share of simplified procurement is quite high in the whole procurement despite the positive trend. In 2012, 39% of the total procurement share of the total procurement in the total procurement period was 45%, in 2013 - 39% in 2013, according to the report of the State Procurement Agency, through the simplified procurement, GEL 915.7 million was spent in 2014, which is 32% of the total procurement. This tendency continued in the following years and some significant changes were made to reduce the share of simplified procurement in regulatory legislation. As a result, the share of simplified procurement in total purchases by 2018 was reduced to 19% and 779 million GEL (2017 was 881 million GEL, 2016 - 1.5 billion GEL), while at the same time 5% Is less than the same in 2017.

There is a danger that direct contracts will result in undue growth of government expenditures, as there is no possibility to reduce the price of the competitor's company when announcing the tender. In addition, contracts will be exacerbated by the transparent e-procurement system, increasing the risks of corruption, as contracts may be brought to the authorities or ruling party supporting companies.

We can also review the presidential and government reserve funds which are not subject to the law of procurement as a negative party of state procurement. As a result, the purchases made by them are bypassing the electronic system.

The main purpose of these funds is to cover unforeseen expenses, which is expected during emergencies. In accordance with the amendments to the Budget on 28 December 2005, the rule was laid down to use these funds only to cover the expenses incurred in the emergency situation. As a result, it was possible to use funds for other expenses. This promotes the tender holding bypassing the procurement system. The cancellation of this paragraph will reduce the risk of using funds without competition and civil oversight and the use of government resources for personal use by government members.

Thus, if there are separate changes in the existing system, it can become one of the most effective, transparent and competitive systems on the international level.

There are a number of shortcomings that will reduce the risk of non-irrational and unreasonable expenditure and corruption of the budgetary funds. Namely:

- It is important to carry out mandatory procurement procedures at the legislative level to minimize the risks of unrestricted growth of competition restrictions, corrupt transactions and budgetary expenditures;
- When purchasing the funds allocated from the presidential and government reserve funds, it is necessary to issue the consent of the President and the

Government on the basis of only detailed and reasonable arguments on simplified procurement.

All of this will make the procurement system even more transparent and ensure rational and efficient spending of budgetary funds.

ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები

Economics, Econometrics and Finance

ეკონომიკა, ეკონომეტრიკა და ფინანსები (სხვადასხვა)

სტაბილიზაციის პოლიტიკის და მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ერთი საკითხის შესახებ

აკაკი ბაკურაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
akaki.bakuradze@atsu.edu.ge

ბოლო პერიოდში, ბაზარზე დომინირებს და წესებს კარნახობს ხელისუფლება და ბიზნესი, ამიტომ მათი ურთიერთობების მუდმივ „გარკვევას“ ეწირება მოსახლეობის, როგორც ყველაზე დიდი მომხმარებლის ინტერესი და, შესაბამისად, სამომხმარებლო ფასების ზრდის პირობებში, მისი, როგორც ეკონომიკური აგენტის, კონკურენტული შანსები საჯარო და კერძო სექტორთან მინიმალური ხდება, რადგან ინდივიდის ფულადი შემოსავლები, ყველა შემთხვევაში, ფიქსირებული/უცვლელი რჩება. მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, რომ მხარი დაუჭიროს იმ საინვესტიციო პროექტებს, რომლებიც ორიენტირებულია ტრადიციული და პრიორიტეტული დარგების სწრაფ განვითარებაზე და ადგილობრივი ადამიანური რესურსების მაქსიმალურ დასაქმებაზე, რადგან საზოგადოებაში უფრო აქტიურად ისმის კითხვა: ჩვენი პრიორიტეტი მომსახურე სფეროზე ორიენტირებული სახელმწიფოს სახელის დამკვიდრებაა მსოფლიო თანამეგობრობაში, თუ - მწარმოებელი და ინდუსტრიული ქვეყნის?

საკვანძო სიტყვები: *ბაზარი, რესურსები, ეკონომიკური აგენტი, კონკურენცია, მოსახლეობა, შემოსავლები.*

სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ქვეყნის მიმდინარე და გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურად გატარების პირდაპირი შედეგია, რაც ორიენტირებულია საკუთარი თუ მოზიდული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაზე, ინტეგრაციულ პროცესებში „ღირსეული“ ადგილის პოვნაზე და დამოკიდებულია შიდა და გარე პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევაზე, საფრთხეების თავიდან აცილებაზე და/ან დაბალანსება/მართვაზე და მოსახლეობაში განათლების დონის, ეროვნული თვითშეგნების, მოქალაქეობრივი და სოციალური პასუხისმგებლობის, საზოგადოებრივი აქტივობის ზრდაზე და ა.შ.

ასეთი პოლიტიკის გატარებაზე და მის პროდუქტიულობაზე, პასუხისმგებლობა, ძირითადში, უნდა გაინაწილოს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორმა და მოსახლეობამაც, ასევე, გარკვეულწილად, არასაჯარო სექტორმა. ბოლო პერიოდში, გამოიკვეთა ერთი პრობლემაც, რაზეც, სამწუხაროდ, იშვიათად საუბრობენ ან მსჯელობენ... კერძოდ, ორი

„დიდი“ ეკონომიკური აგენტის (საჯარო და კერძო სექტორის), ე.წ. ბაზრის მონაწილეების „წესების დარღვევით“ ქმედება/ქცევა, რაც მოსახლეობას ბუნებრივად/თვისებრივად არ ახასიათებს. იგულისხმება, რომ მთავრობის წინაშე მდგარი სტრატეგიული და ტაქტიკური შინაარსის ამოცანების გადაწყვეტა მიმართულია მაკროეკონომიკური, საბიუჯეტო და სოციალური სტაბილურობის მიღწევისაკენ. ამ დროს - ბიზნესი[1], კონკურენტულ გარემოში მიმდინარე სწრაფი და დინამიური პროცესების, ასევე საფრთხეების/რისკების მართვის მიზნით, სულ უფრო ხვეწს „ღია თუ ფარულ ილეთებს“ და ცდილობს საკუთარი ინტერესების მაქსიმალურად მიღწევის საშუალებების გამოძებნას.

ამის დასადასტურებლად, შეიძლება მოვიტანოთ ეკონომიკური ლიბერალიზმის და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების აქტიური მხარდამჭერის, ნობელის პრემიის ლაურიატის, ფ. ა. ჰაიეკის (Friedrich August von Hayek, 1899-1992) მოსაზრებები, რომელიც თავის ნაშრომებში თავაზობს ბიზნესს, რომ იმოქმედონ ორგანიზებულად, კოორდინებურად და ეს კოორდინაცია უნდა გამოიხატებოდეს ისეთ ღონისძიებათა სისტემაში, რომელიც ბაზრის ცალკეულ მონაწილეს/კომპანიებს უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფი გაცვლით და სხვადასხვა ურთიერშეთანხმებული ქმედებებების შესახებ (სრულად იხ.: Hayek 1975, Hayek 1977), რაც მათ ბაზარზე შესაძლებლობების სრულად გამოვლენაში დაეხმარებათ.

ბაზარზე დომინირებს და წესებს კარნახობს ერთი მხრივ ხელისუფლება (საკანონმდებლო/აღმასრულებელი ბერკეტების მქონე) და, მეორე მხრივ, ბიზნესი (თავდაცვითიუნარის კარგი საშუალებების და სერიოზული რესურსების მფლობელი) და ეს გრძელდება უწყვეტად! ამდენად, მათი ურთიერთობების მუდმივ „დალაგებას თუ გარკვევას“ ეწირება მოსახლეობის, როგორც ყველაზე დიდი მომხმარებლის ინტერესი, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა ბოლო წლების კრიზისულ სიტუაციებში, მით უმეტეს, ცხადი გახდა მიმდინარეშიც. შესაბამისად ეკონომიკური რყევების გამო, ფირმებისთვის ზარალის თავიდან აცილების საუკეთესო ხერხი აღმოჩნდა ურთიერთ-კოორდინაცია, რაც გამოიხატება საკმაოდ ეფექტურ დავდაცვით ქცევებში/ღონისძიებებში, სადაც მთავარ მექანიზმად გვევლინება ფასების რეგულაციის „ურთიერთშეთანხმებული“ სისტემა, რასაც მოსახლეობა მთლიანად არის მოკლებული.

საქართველოშისახელმწიფოხელისუფლებისწყაროახალხი(„საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5“), ანუ საქართველოს სახელმწიფო წარმოადგენს მხოლოდ მოქალაქეების/მოსახლეობის საკუთრებას! შესაბამისად, ის და მისი მისწრაფებები არ შეიძლება გახდეს ვინმეს გასანაწილებელი/გასაყოფი, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, იქნება ეს კონკრეტული თუ აბსტრაქტული

1 იგულისხმება ბიზნეს-სექტორი და, განსაკუთრებით, მსხვილი წარმომადგენლების მონოპოლიური ქმედებები

ადგილი, თუნდაც საჯარო და კერძო სექტორს შორის, მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტერესების აუცილებლად მიღწევის გამოც კი, მით უმეტეს, რომ მოსახლეობა ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური პროცესების განვითარებაზე, როგორც დე იურე, ისე დე ფაქტო გავლენით, დიდი ხანია ვერ სარგებლობს!

ყველა მიმართულებით დაწყებული გარდაქმნები ჯერ-ჯერობით შედეგს ვერ იძლევა. ბოლო მომქმედი პროგრამა „საქართველო 2020“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2014 წ.) პირდაპირ მიუთითებდა იმ სამიზნე ნიშნულებზე, რომელთა მიღწევა უზრუნველყოფდა ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე ორიენტირებულ სწრაფ და ეფექტიან ეკონომიკურ გაუმჯობესებას (შედეგად, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას); ინკლუზიური ეკონომიკის ზრდას (მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში, შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობას და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას) და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას (ეკოლოგიური უსაფრთხოებას, მდგრადობას და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილებას და ა.შ.)[1].

ეკონომიკური საქმიანობის რა მოტივი და მიზანი უნდა ამოძრავებდეს ჩვეულებრივ ადამიანს/მოქალაქეს ან მისი მიღწევის რა საშუალებები უნდა გააჩნდეს მას, დაბოლოს, როგორი იქნება მისი რაციონალური ქცევა? არსებულ სიტუაციაში, მოქალაქეს, როგორც მომხმარებელს ყველა შესაძლებლობებიდან (რეალურად მართლა შეზღუდული არჩევანის პირობებში) „გონივრული“ არჩევანის გაკეთება ანუ ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება ურთულეს პირობებში უხდებოდა და ეს უფრო გართულდა მიმდინარე პერიოდში. შესაბამისად, „ეკონომიკური ადამიანი“-ს ქცევა ორიენტირებული გახდა მხოლოდ მოკლევადიანი/მიმდინარე პერიოდის შედეგის მიღწევაზე და მოსახლეობას მოუწევს გრძელვადიან მოთხოვნილობებზე, უმრავლეს შემთხვევებში უარის თქმა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოდან ჩანს, რომ „სავაჭრო და მომსახურების ობიექტების შერჩევის შემდეგ ხდება ბაზრის გამოკვლევა და სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურებისათვის ყველაზე მეტად გაყიდვადი საქონლის (მომსახურების) სახეობების, ანუ ბრენდების განსაზღვრა. შესაბამისად, შერჩევაში ხვდება სამომხმარებლო ბაზარზე ყველაზე მეტად მოთხოვნადი

1 აქვე შევნიშნავთ, რომ ნაშრომი დასრულების ფაზაში იყო, როდესაც საქართველო ჩაება პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლის შედეგები ჯერ დაზუსტებული არ არის და, ბუნებრივია, მისი სრულად გათვალისწინება აქ შეუძლებელი იყო.

საქონლისა და მომსახურების სახეობა, რომელთა ფასების ცვლილებაც ასახავს სამომხმარებლო ფასებისა და ტარიფების დინამიკას“ (სრულად იხ. https://www.geostat.ge/media/13397/CPI%20metodologia.pdf; 19.09.2019. მათ შორის, მინიმალური სასურსათო კალათის რეკომენდებული შემადგენლობა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის. წყარო: https://www.geostat.ge/media/20614/mamakacis-saarsebo-minimumi-%28geo%29.pdf; 19.09.2019).

გრაფიკი 1

ერთ სულზე საშუალო-თვიურ ხარჯებში სამომხმარებლო ფულადი ხარჯების ხვედრითი წილის 2010-2020 წწ. დინამიკა (%-ში)



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/51/shinameurneobebis-kharjebi.

შესაბამისად, ისმის კითხვა: სამომხმარებლო ხარჯების მოცულობაში რა წილი აქვს ერთი მოსახლეობის ფულად ხარჯს? და მეორე: მოსახლეობის შემოსავლები, ზოგადად, და/ან მისი სტრუქტურა უზრუნველყოფს კიმათი ოჯახების ხარჯვით ნაწილს?

ცნობილია, რომ საუკეთესო/ოპტიმალური სარგებელი ადამიანისთვის არის ფულადი შემოსავლები, წინასწარ განსაზღვრული რისკების სწრაფად ან/და დროებით თავიდან აცილების მიზნით. ანუ, როგორც ეკონომიკური აგენტი, გააზრებულად იღებს რაციონალურ გადაწყვეტილებას (მათ შორის, ფსიქოლოგიური ან/და ქცევითი ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით) ანუ აკეთებს ეკონომიკურ არჩევანს, მაშინ მისი გადაწყვეტილება უპირატესად დაკავშირებულია ფულადი შემოსავლების მიღებაზე (ან პირიქით - არ ნახოს ფულადი ზარალი).

შესაბამისად, წარმოდგენილი გრაფიკებიდან[1] ჩანს, რომ ჩვეულებრივ ადამიანს, როგორც ინდივიდს, რჩება მხოლოდ ერთი ოპტიმალური გამოსავალი - მთლიან ხარჯებში, ძირითადში, გაითვალისწინოს

1 2019 და 2020 წლების მონაცემები ავტორის მიერ გამოთვლილი პროგნოზებია.

სამომხმარებლო ფულადი ხარჯები, რომელთა ფორმირება მისთვის ხდება „დაგეგმილი“ ფულადი შემოსავლებიდან[1] და მიღებული ტრანსფერტებიდან და არა სხვა წყაროდან. ამდენად, სამომხმარებლო ფასების ზრდის პირობებში მისი, როგორც ეკონომიკური აგენტის, კონკურენტული შანსები საჯარო და კერძო სექტორთან მინიმალური ხდება, რადგან ინდივიდის/პიროვნების ფულადი შემოსავლები, ყველა შემთხვევაში, ფიქსირებული/უცვლელი რჩება!

გრაფიკი 2

დაქირავებული შრომიდან, ფულის სესხებიდან[2] და უცხოეთიდან მიღებული გზავნილების ხვედრითი წილის 2010-2020 წწ. დინამიკა (%-ში)



წყარო: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi

ერთ სულ მოსახლეზე საშუალოთვიურ ფულად შემოსავლებში და ტრანსფერტებში მთავრობის მხრიდან არ ჩანს ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების, კერძოდ ეკონომიკური წესრიგის[3] დამყარების გრძელვადიანი ორიენტირები ან/და ეკონომიკურ პროცესებში მოკლევადიანი/წერტილოვანი ჩარევის შესაძლებლობები, სადაც ერთი მხრივ მოსახლეობა თავს იგრძნობს დაცულად, მათ შორის, როგორც ბაზრის მონაწილე, და მეორე მხრივ იგრძნობს ზრუნვას სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე,

1 დაქირავებული შრომიდან/ხელფასიდან, პენსიიდან, აღებული სესხიდან...

2 აქ მოიაზრება ასევე დანაზოგების გამოყენებაც, მაგრამ იმდენად მცირეა, რომ გავლენას არ ახდენს საკითხზე, ამიტომ მისი წილი არც იქნა გათვალისწინებული.

3 იგულისხმება - ეროვნული ეკონომიკის ქცევის მორალურ-ეთიკური ნორმების ერთობლიობა.

როგორც სოციალური პოლიტიკის შედეგების[1] საბოლოო მომხმარებელი. მართალია მთავრობამ მ.წ. ივნისის თვეში წარმოადგინა კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის ფართომასშტაბიანი გეგმა, რომლის განხილვა ამ ნაშრომის მიზანი არაა, მაგრამ თუ ამ პროგრამაში სასწრაფოდ არ შევიდა შესაბამისი ცვლილებები და არ დაიწყო ზრუნვა მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეების მკვეთრ (!) გაუმჯობესობაზე, ფაქტია, რომ მოსახლეობა ვეღარ დაიცდის კიდევ ერთი „პირობითი“ პერიოდით და კრიზისის განმეორების შემთხვევაში ის გადავა თვითგადარჩენის 90-ანი წლების გამოცდილებაზე ან/და ინსტიქტებზე.

მდგომარეობის გაუმჯობესობისთვის გვაქვს საკუთარი რესურსები და დიდი იმედი მსოფლიო თანამეგობრების დახმარების. განვითარების ახალმა გეგმამ უნდა გაითვალისწინოს სამთავრობო ხარჯების გეგმაზომიერი „ეკონომია“, რაც საშუალებას მიცემს ხელისუფლებას მოახერხოს ადამიანურ კაპიტალში „ინვესტირების“ ზრდა, რადგან ყოველივე წინსვლის საფუძველი მხოლოდ განათლებული და პროფესიონალი მოქალაქეა, რომელიც თავისუფლად შეძლებს ახალი ტექნოლოგიული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რაც ეკონომიკის განვითარების ევროპულ საფეხურზე ასვლის საფუძველია.

რაც მთავარია, მთავრობამ დროულად უნდა გადაწყვიტოს, რომ უპირატესად მხარი დაუჭიროს მხოლოდ იმ საინვესტიციო, მოკლე და გრძელვადიან პროექტებს, რომლებიც ორიენტირებულია, ტრადიციული და პრიორიტეტული დარგების სწრაფ განვითარებაზე (როგორიცაა გადამამუშავებელი მრეწველობა, საფეიქრო წარმოება და სხვ.) და ადგილობრივი ადამიანური რესურსების მაქსიმალურ დასაქმებაზე, რასაც შედეგად მოყვება მოსახლეობის სტაბილური შემოსავლების ზრდის ახალ ფორმების მოძიება. ამასთან, ანტიკრიზისული განვითარების ახალმა სამთავრობო პროგრამებმა მაქსიმალურად უნდა წაახალისოს მცირე ბიზნესი და შეიმუშავოს შინამეურნეობების სტიმულირების ეფექტური პროგრამები, რაც შემდგომში საშუალო და მსხვილ ბიზნესთან კლასტერული ურთიერთობების დამყარება/გაძლიერებას დაუდებს საფუძველს.

ბოლო წლებში, მომსახურების სფეროდან (ტურიზმი, ენერგომატარებლების თუ სხვა სახის ტვირთების ტრანსპორტირება და ა.შ.) მიღებული შემოსავლების წილი მშპ-ში რომ იზრდება, მისასალმებელია, მაგრამ უაღრესად სასარგებლო იქნება ქვეყნისთვის, თუ უფრო სწრაფად გაიზრდება სამამულო ინდუსტრიის სიმძლავრეები, მრეწველობის ტრადიციული დარგები, რადგან საზოგადოებაში უფრო აქტიურად ისმის კითხვა: ჩვენი მთავარი პრიორიტეტი მომსახურე სფეროს, მაგალითად, ტურიზმზე ორიენტირებული სახელმწიფოს

1 მისი პროდუქტიულობა ყველაზე მეტად დამოკიდებულია ეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის ხარისხზე, რაც თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია ერთობლივი მოთხოვნის და ეროვნული წარმოების პოტენციალს შორის დაახლოება/დაცილებაზე.

სახელის დამკვიდრებაა მსოფლიო თანამეგობრობაში, თუ - უპირველესად, მწარმოებელი და ინდუსტრიული ქვეყნის?[1]

ახლა, როცა არსებობს რეალური რისკი ამა თუ იმ სახის პანდენიის განმეორების, რომლის გამოც კვლავ ჩაიკეტება საზღვრები და ერთობლივი მოთხოვნილობის დაკმაყოფილება, დიდი ალბათობით, იმპორტირებული პროდუქციით სრულად ვეღარ მოხდება (მათ შორის, კვების პროდუქტებით, ტანსაცმელი/ფეხსაცმელით, პირველადი მოხმარების მედიკამენტებით და ა.შ.), ამიტომ, ანტიკრიზისული პროგრამის ფარგლებში, უსწრაფესად უნდა დაიგეგმოს ამ პრობლემების გადაწყვეტის რეალური გზები, რომლებიც პირდაპირ ორიენტირებული იქნებიან შიდა მოთხოვნილებების მაქსიმალურად სამამულო პროდუქციით დაკმაყოფილებაზე.

ლიტერატურა

ბაკურაძე 2017: ბაკურაძე ა. „რომელი დარგების განვითარებაა პრიორიტეტი საქართველოსთვის“ IEC-2017, ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“, კონფერენციის შრომების კრებული, 2017.

საქართველოს მთავრობის 2014: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის N400 დადგენილება - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“. ელ. რესურსი: http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf; 10.19.2019.

Hayek 1975, „Price Expectations, Monetary Disturbances, and Malinvestments.” In Hayek, Profits, Interest, and Investment. Reprint. New York: Augustus M. Kelley, 1975.

Hayek 1977: Foreword to Economics as a Coordination Problem: The Contributions of Friedrich A. Hayek by Gerald P. O’Driscoll Jr. Kansas City: Sheed, Andrews, and McMeel, 1977.

1 კარგ მაგალითად გამოდგება აზიური „ვეფხვების“/ქვეყნების არჩევანი - ინდუსტრიის, როგორც მთავარი პრიორიტეტის, განვითარებაზე ზრუნვა, რაც, ასევე, ბევრად ადრე მეორე მსოფლიო ომისგან დანგრეულმა მრავალმა ევროპულმა ქვეყნამ გააკეთა

Economics, Econometrics and Finance (miscellaneous)

Addressing an issue of stabilization policy and population income growth

Akaki Bakuradze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
akaki.bakuradze@atsu.edu.ge

In recent years, the government and business have dominated the market and dictated the rules, thus, the interest of the population, as the largest consumer is sacrificed to the constant "clarification" of their relationship. Consequently, in the condition of rising consumer prices, its competitive chances as an economic agent with the public and private sectors are minimizing, because the individual's monetary income, in all cases, remains fixed / unchanged. The government should decide to support investment projects focused on the rapid development of traditional and priority sectors and the maximum employment of local human resources, because the following question is more actual in the society: which one is our priority - to establish the name of a service-oriented state in the world community, or the name of a producer and industrial country?

Keywords: *market, resources, economic agent, competition, population, incomes.*

Following the example of Georgia, one important but rarely discussed problem has emerged recently... In particular, the action or behaviour of "violation of the rules" by the two so-called "big" economic agents (public and private sector), or market participants, that does not characterize the population naturally. It means, that the solution of the strategic and tactical tasks the government is facing, is aimed to achieve macroeconomic, budgetary and social stability. Meanwhile, the business[1] is smartening its "open or covert tricks" in order to manage the fast and dynamic processes in a competitive environment, as well as to manage risks and seeks ways to maximize their own interests.

To prove this, we can cite the active supporter of economic liberalism and free market relations, the Nobel Laureate, f. A. Hayek's (Friedrich August von Hayek, 1899-1992) views, which offer business to act in an organized, coordinated manner, and this coordination should be reflected in a system of measures that provide individual market participants / companies with rapid information exchange and various mutually agreed actions (Hayek 1975, Hayek 1977) to help them identify market opportunities fully.

Thus, the government dominates the market and dictates the rules (having legislative / executive levers) on the one hand and the business (the owner of

1 It refers to the business sector, in particular, the monopolistic actions of large representatives.

good means of defence and serious resources) on the other and this process continues incessantly! Thus, the interest of the population, as the largest consumer is sacrificed to the constant "sorting or clarification" of their relationship which has been especially evident in the crisis situations of recent years and mostly in the current one.

For almost 30 years, the interactions of private sector representatives in the market have been regulated and become much more organized, coordinated. Since the 1990s, due to economic fluctuations, the best way for firms to avoid losses has been co-ordination with each other reflected in quite effective defence behaviours / measures, the main mechanism of which is a "mutually agreed" system of price regulation that the population is completely deprived of.

What is the motive and purpose of economic activity of an ordinary person / citizen or what remedies should he have to achieve it, and finally, what will be his rational behaviour under such conditions? According to the existing situation, the citizen, as a customer, had to make a "reasonable" choice from all the possibilities (in the conditions of really limited choice) or make the optimal decision in the most difficult conditions but the process became more complicated in the current period. Consequently, the behaviour of the "economic man" has become focused only on achieving the short-term / current period result and the population will have to refuse long-term needs, in most cases.

Chart 1

The share of consumer spending in the average monthly expenditures per capita in 2010-2020. Dynamics (in%)



Source: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/51/shinameurneobebis-kharjebi.

Accordingly, the following question arises: what is the share of money expenditure per capita in consumer spending? And it is also interesting: do the incomes of the population, in general, and / or its structure provide a part of the expenses of their

families?

It is well known that the best / optimal benefit for a person is cash income, in order to avoid pre-determined risks quickly and / or temporarily. That is, as an economic agent, he makes a rational decision or makes an economic choice, then his decision is mainly related to earning money (or vice versa - not to lose money).

Thus, the average person, as an individual, has only one optimal solution - in total expenditures, he/she has to take into account, mainly, consumer money spending, which are formed from "planned" income[1] and transfers and not from other sources. Thus, in the conditions of increasing consumer prices, its competitive chances as an economic agent with the public and private sectors become minimal, because the monetary income of the individual remains fixed.

In short, he / she as the market participant has simply lost the right to demand or dictate something in their relationship! At the same time, the government must support only those investment, short-term and long-term projects, which are focused on the rapid development of traditional and priority industries (such as manufacturing, textile production, etc.) and maximize employment of local human resources as a result of which new ways of increasing the stable income of the population will be found. At the same time, small businesses should be encouraged as much as possible and effective programs should be developed for stimulating households, which will establish and strengthen cluster relations with medium and large businesses.

In recent years, the share of revenues from services (tourism, transportation of energy trains or other cargoes, etc.) in GDP growth has been welcomed, but it will be extremely useful for the country if the capabilities of the domestic industry and traditional industries grow faster as the following question is more actual in the society: is our main priority to establish the name of the service sector-oriented, for example, a tourism-oriented state or mainly, the name of a producer and industrial country in the world community[2].

Now, there is a real risk of pandemic recurrence, which will close the borders again and it will not be possible to meet the common needs with the existing significant share of imported products. Therefore, real ways to solve these problems should be planned as soon as possible within the framework of the anti-crisis program, which will be directly focused on satisfying domestic needs with domestic products as much as possible, causing many benefits, such as business growth and / or development motivations, increasing employment, and improving living conditions in general.

1 From salary, pension, loan ...

2 A good example is the choice of Asian "tigers" / countries - caring for the development of industry as a top priority, that has been done a long time ago by many European countries devastated by World War II.

საინჟინრო საქმე

Engineering

ოკეანის ინჟინერია

გეომორფოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზები საქართველოს შავიზღვისპირა რეგიონებში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით

ივანე საღინაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
vanosag@gmail.com

ნაშრომში შემოთავაზებულია ზღვის სანაპირო არეების ეროზიული პროცესებისაგან დაცვის ინოვაციური ტექნოლოგია, რომელიც საქართველოში არ არის აპრობირებული. ახალი მეთოდი დაფუძნებულია ქვიშით შევსებული გეოტექსტილის დრეკადი მილებისგან დამზადებული ტალღამტეხი წყალქვეშა ბარიერების (გეოტუბების) გამოყენებაზე. რამდენიმე წყალქვეშა გეოტუბის გამოყენების შემთხვევისთვის განხილულია ქალაქ ფოთის ზღვის სანაპირო ზოლის ეროზიული უბანი, რომელიც მდებარეობს მდინარე რიონის „საქალაქო არხის“ შესართავის სამხრეთით. გეოტუბები განლაგებულია ნაპირის პარალელურად. გეოტუბებზე ტალღების გადავლების შემდეგ სანაპირო ზოლში წარმოშობილი წყლის დინებების ცირკულაციების ტიპების დასადგენად გამოიყენება ანალიზური მეთოდი. 2-უჯრედიანი ცირკულაციების დროს ნაპირი ეროზიულია, ხოლო 4-უჯრედიანის დროს - ზრდადი (აკრეციული). მიღებულია განტოლებათა სისტემა, რომლის რიცხვითი ამოხსნის შედეგად დადგენილია ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლისათვის გეოტუბების განთავსების პარამეტრები, როცა შესაბამისი ნაპირის მორფოლოგიური რეაქცია იქნება აკრეციული. გამოკვლეულია გეოტუბების სიგრძეების, მათი ნაპირიდან დაშორების, გეოტუბებს შორის შუალედების, ტალღების სიმაღლისა და წყლის გვერდითი შემაკავებელი კოეფიციენტის ცვლილების გავლენა ნაპირის მორფოლოგიური რეაქციის ხასიათზე. შედეგად დადგენილია იმ წყალქვეშა გეოტუბების პარამეტრები, რომელთა ზღვაში განთავსების შემდეგ ნაპირი დაცული იქნება გამორეცხვებისაგან და სანაპირო ზოლი გაიზრდება.

საკვანძო სიტყვები: *ტალღა, ნაპირი, ეროზია, გეოტუბი*

შესავალი. საქართველოს შავიზღვისპირეთი ამჟამად, მთლიანად ეროზირებულია და მოფენილია ისეთი ნაპირდამცავი ნაგებობებით, როგორიცაა ბეტონის ბუნები, ტალღამრიდი ბლოკები, ტრავერსები, შპუნტური მწკრივები და ა.შ. ამ ნაგებობებს გარდა პოზიტიურისა, გააჩნია მნიშვნელოვანი ნეგატიური მხარეც: ისინი იცავენ რა ზღვის ნაპირის ერთ უბანს წარეცხვისგან, ამავე დროს თვითვე უწყობენ ხელს ინერტული მასალის

დეფიციტის წარმოქმნას და პლაჟის წარეცხვას ნაპირის მეზობელ - დაუცველ უბანზე (გაგოშიძე ... 2017).

გარდა ამისა, ზემოთ ჩამოთვლილი ნაპირდამცავი კონსტრუქციები ამახინჯებენ სანაპირო ზოლის ლანდშაფტს და უხერხულობას უქმნიან დამსვენებლებს. მათი ექსპლუატაციის ხანგრძლივობა შედარებით მცირეა, რადგან მძლავრი შტორმული ტალღები ხშირად ანგრევს მათ და უკარგავს ფუნქციას (ნახ.1).

ნახატი 1. ქალაქ ფოთის წარეცხილი ნაპირი

საქართველოს საზღვაო რეგიონში რამდენიმე ათეული წელია არსებობს გარემოსდაცვითი და გეომორფოლოგიური ხასიათის დღემდე გადაუჭრელი პრობლემები, რაც განაპირობა ამ რეგიონში, სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა მიზნით წარუმატებლად დაპროექტებულმა და განხორციელებულმა ჰიდროსაინჟინრო მშენებლობებმა (გაგოშიძე ... 2017).

ნაშრომში შემოთავაზებულია ზღვის სანაპირო არეების ეროზიული პროცესებისაგან დაცვის ინოვაციური ტექნოლოგია, რომელიც გულისხმობს ქვიშით შევსებული გეოტექსტილის დრეკადი მილებისგან დამზადებული ტალღამტეხი წყალქვეშა ბარიერების (გეოტუბების) გამოყენებას, რაც საქართველოში არ არის აპრობირებული.

რამდენიმე ნაპირის პარალელური წყალქვეშა გეოტუბების შემთხვევაში განხილულია ქალაქ ფოთის ზღვის სანაპირო ზოლის ეროზიული უბანი, რომელიც მდებარეობს მდინარე რიონის „საქალაქო არხის“ შესართავის სამხრეთით.

ჰიდროლოგიური და ჰიდრომეტრიული მონაცემები. შავი ზღვის სანაპირო ზოლში ღია ზღვაში ტალღურ მოძრაობებზე მრავალწლიან დაკვირვებებზე დაყრდნობით მიღებულია, რომ ძირითადად გაბატონებულია დასავლეთის მიმართულების ტალღები, კერძოდ: დასავლეთის ტალღები შეადგენს წლიური მთლიანი ტალღების 44,7%-ს, სამხრეთ დასავლეთის - 39,0%-ს,

ჩრდილო დასავლეთის - 8,8%-ს, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის ჯამში - 7,5%-ს (გაგოშიძე ... 2017).

ფოთის რეგიონში ტალღების საპროექტო მახასიათებლები მოცემულია ცხრილში (გაგოშიძე ... 2017):

ცხრილი 1

მიმართულება	ტალღის სიმაღლე (მ)	ტალღის პერიოდი (წმ)
ჩრდილო-დასავლეთი	2.4	5.5
ჩრდ-დასავლ-ჩრდ	4.4	7.5
დასავლეთი	5.9	9.0
დასავლ-სამხრ-დასავლ	5.4	8.5
სამხრეთ-დასავლეთი	6.0	8.5

ფოთის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით ზღვის წყლის აწევის ძალიან მაღალი დონეა 1,3მ, მაღალი დონეა - 0,5მ, წყლის დაბალი დონეა - 0.2მ, ხოლო წყლის ძალიან დაბალი დონე - 0მ. სანაპირო დინებების საშუალო სიჩქარეა - 0,1-0,25მ/წმ. ძლიერი შტორმების დროს, როცა ღია ზღვაში ტალღის სიმაღლე $H = 4 \div 5$მ, მაშინ ტალღების პირველი დამსხვრევა ხდება ნაპირიდან $320 \div 400$მ (გაგოშიძე ... 2017). შესაბამისად გეოტუბებთან მისული ტალღების ენერგია მცირდება, ხოლო ტალღის სიმაღლე ნაპირიდან $150 \div 200$ მ დაშორებით იცვლება დიაპაზონში $H_i \sim 1{,}6 \div 2{,}0$მ.

განვიხილავთ მცირე ქანობის მქონე პლაჟებს, სადაც ფსკერის საშუალო დახრილობა იცვლება დიაპაზონში - $\alpha = 0{,}015 \div 0{,}02$. სანაპირო ზოლი სილიანია და ნატანის საშუალო დიამეტრი - $D_{50} = 0{,}2 \div 0{,}3$მმ. ასეთი სანაპიროებია ანაკლიაში, ყულევში, ფოთში, გრიგოლეთში, სუფსაში, ურეკსა და შეკვეთილში.

სანაპირო ზოლში წყალქვეშა ტალღმტეხების ასაგებად ვიყენებთ ქვიშით შევსებულ გეოტუბებს (ნახ 2).

ნაპირის პარალელური წყალქვეშა გეოტუბები სანაპიროს დაცვის მიმზიდველი ფორმაა. სხვა არსებულ ანალოგებისგან განსხვავებით, არ აზიანებს სანაპიროს ბუნებრივ ლანდშტაფტს, ხელს უწყობს ფლორისა და ფაუნის განვითარებას და რაც მთავარია ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მომგებიანია.



ნახატი 2. წყალქვეშა გეოტუბზე მოქმედი ძალების სქემა.

ამასთანავე გეოტუბებზე ტალღების გადავლებისას მის მიდამოებში წარმოიშვება რთული ჰიდროდინამიკური პროცესები, რაც ართულებს ნაპირის მორფოლოგიური რეაქციის ხასიათის პროგნოზირებას. ეს პროცესები კიდევ უფრო რთულდება რამდენიმე გეოტუბის გამოყენების შემთხვევაში. გეოტუბებზე ტალღების გადავლების შემდეგ წარმოშობილი საწინააღმდეგო ნაკადები და მათი ურთიერთქმედება ცალკეულ გეოტუბებთან იწვევენ, გეოტუბებსა და ნაპირს შორის, რთული ხასიათის ტალღებისა და დინებების ფორმირებას (Ranasinghe ... 2006b: 589-611). ნაშრომის მიზანია ნაპირის პარალელური რამდენიმე წყალქვეშა გეოტუბის შემთხვევაში ნაპირის მორფოლოგიური რეაქციის პროგნოზირების მეთოდების შემუშავება და ფოთის სანაპირო ზოლისათვის იმ გეოტუბების პარამეტრების დადგენა, რომელთა განთავსება დაიცავს ნაპირს გამორეცხვებისაგან.

ძირითადი ნაწილი. ძირითადი პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ წყალქვეშა გეოტუბების ეფექტურობას არის:

1. ჰიდროდინამიკური პარამეტრები: ტალღის სიმაღლე - H, ტალღის პერიოდი - T და გავრცელების მიმართულება - θ;
2. გეოტუბების პარამეტრები: გეოტუბის ქიმის დაშორება წყლის ზედაპირიდან - $a = 0{,}4 \div 0{,}6$მ, გეოტუბის სიგრძე – L_b, სიგანე - w_b, ნაპირიდან დაშორება – x_b, გეოტუბებს შორის შუალედის სიგრძე - L_g და წყლის სირღმე გეოტუბთან - h_1;
3. ნაპირის ფიზიკური პარამეტრები: ნაპირის ბატიმეტრია - $h(x)$ და ფსკერული ნატანის საშუალო ზომა - D_{50};

იმ შემთხვევაში, როცა ტალღმტეხის ზედაპირს გააჩნია მცირე სიმქისე (ასეთია გეოტუბის ზედაპირი), მაშინ მასზე ტალღების გადავლისას ადგილი აქვს ხახუნზე ენერგიის მცირე დანაკარგს და ტალღების გადაცემისას გეოტუბის სიგანე არ მიიღება მხედველობაში (საღინაძე ... 2018: 63-67). ასეთ

შემთხვევაში ტალღების გადაცემის კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით (Dean ... 1977: 1-44, Pilarczyk ... 2003, საღინაძე ... 2018):

$$K_t = -0{,}3 \cdot \frac{a}{H_i} + 0{,}75 \cdot \left(1 - e^{-0.5\xi}\right), \quad \xi = \frac{\tan\alpha}{\sqrt{\frac{H_i}{L}}}, \quad \xi < 3, \qquad (1)$$

სადაც ξ – ირიბარენის კოეფიციენტია; L – ტალღის სიგრძეა გეოტუბთან - $L = \frac{gT^2}{2\pi}$; T – ტალღის პერიოდია.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ნაპირის მორფოლოგიური რეაქციის საწყისი რეჟიმი დამოკიდებულია გეოტუბებსა და ნაპირს შორის წარმოშობილი დინებების ხასიათზე (Ranasinghe ... 2006a: 65-77, Bellotti ... 2007: 975-989, Ranasinghe ... 2006b).

დინებების 2-უჯრედიანი სქემა ნაპირთან იწვევს განშლად ნაკადებს და შესაბამისად ნაპირი ეროზიულია (ნახ. 3ა), ხოლო 4-უჯრედიანი დინებები ნაპირთან იწვევენ შემკრებ ნაკადებს და ნაპირი ზრდადია (აკრეციულია) (Ranasinghe ... 2006b) (ნახ. 3ბ).



ა) 2-უჯრედიანი ცირკულიაცია ბ) 4-უჯრედიანი ცირკულიაცია

ნახ. 3. გეოტუბებზე ტალღების გადავლებისას წარმოშობილი 2 და 4 უჯრედიანი დინებები

ტალღები სიმაღლით H_i, რომლებიც მიდიან წყალქვეშა გეოტუბთან დაიმსხვრევიან მასზე და წარმოიშვება ახალი ტალღა სიმაღლით - H_t. ტალღების დამსხვრევის შედეგად მოხდება წყლის დონის აწევა სიდიდით - η. შემდეგში წარმოშობილი ტალღა დაიმსხვრევა ნაპირთან ახლოს h_b სიღრმეზე და წყლის დონე დამატებით აიწევს - η_b. ამრიგად ნაპირთან ზღვის დონის აწევის სიდიდე იქნება - $\eta + \eta_b$. გეოტუბებს შორის გასული ტალღა დაიმსხვრევა ნაპირთან და წყლის დონის აწევა იქნება η_g (ნახ. 3).

ნაშრომებში (Bellotti ... 2007:975-989, Ranasinghe ... 2010:1006-1017, Villani ... 2012) შემოღებულია პარამეტრი r, რომლის მეშვეობით დგინდება წყალქვეშა გეოტუბების განთავსების შემდეგ ნაპირის მორფოლოგიური რეაქციის ხასიათი

$$r = \frac{\eta+\eta_b}{\eta_g}, \qquad (2)$$

როცა $r > 1$ ადგილი აქვს ნაპირის ეროზიას, ხოლო $r < 1$ - ნაპირის ზრდას (აკრეციას).

ვისარგებლოდ მასის შენახვისა და დროის ერთეულში იმპულსის ცვლილების კანონებით, მივიღებთ:

$$u_1 \cdot h_1 = u_2 \cdot (h_2 + \eta), \qquad (3)$$

$$\rho(h_2 + \eta)u_2^2 - \rho h_1 u_1^2 = -\Delta P - \Delta S_{xx} + \Delta N - T_{bx} \qquad (4)$$

სადაც T_{bx} - ფსკერის ხახუნის ძალაა; ΔP - არის x_1x_2 კვეთში (ნახ. 2) წნევის ძალის სიდიდის ცვლილება x ღერძის მიმართულებით და ტოლია:

$$\Delta P = P_2 - P_1 = \frac{1}{2}\rho g(h_2 + \eta)^2 - \frac{1}{2}\rho g h_1^2. \qquad (5)$$

მე-(5) ტოლობაში S_{xx} - არის რადიაციული ძაბვა, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით (Haller ... 2002):

$$S_{xx} = \rho g H^2 \left[\frac{1}{8}\left(\frac{1}{2} + \frac{2kh}{\sin 2kh}\right) + \frac{0{,}9kh}{2\pi}\right] = \rho g \beta H^2, \qquad (6)$$

სადაც

$$\beta = \frac{1}{8}\left(\frac{1}{2} + \frac{2kh}{\sin 2kh}\right) + \frac{0{,}9kh}{2\pi}.$$

მე-(6) ტოლობის გათვალისწინებით:

$$\Delta S_{xx} = \rho g\left(\beta_2 H_t^2 - \beta_1 H_i^2\right). \qquad (7)$$

სითხის ქვედა ნაწილზე მოქმედი რეაქციის ძალებია N_1 და N_2, ხოლო $\Delta N = N_2 - N_1$. ნახ. 2-დან გვექნება:

$$N_1 = \frac{\rho g a + \rho g h_1}{2} \cdot (h_1 - a); \quad N_2 = \frac{\rho g(a+\eta) + \rho g(h_2+\eta)}{2} \cdot (h_2 - a).$$

აქედან

$$\Delta N = \rho g \cdot \frac{h_2^2 - h_1^2}{2} + \rho g \eta (h_2 - a). \qquad (8)$$

გეოტუბებზე ტალღების გადავლებისას დომინირებს წყლის ნაპირისკენ მოძრაობა, ამიტომ ჯამური ფსკერული ხახუნის ძალა T_{bx} ძირითადში მიმართულია მის საწინააღმდეგოდ და გამოითვლება ფორმულით (Bellotti ... 2007):

$$T_{bx} = \rho \mu B u_1 h_1, \quad \mu = f_w \frac{\gamma\sqrt{g}}{\pi}, \quad B = \int_0^{w_b} \frac{dx}{\sqrt{h(x)}} \qquad (9)$$

წყალქვეშა ხორკლიანი ბარიერებისათვის f_w-ს მნიშვნელობა მოთავსებულია დიაპაზონში $0{,}1 \div 1$, ხოლო გლუვი ზედაპირისათვის (გეოტუბებისათვის) მიახლოებით ტოლია $f_w \approx 0{,}02$ (Kamphuis ... 1975: 135-144, Haller ... 2002).

სანაპირო ზოლში პლაჟის წონასწორობის პროფილისა და სიღრმეების განსაზღვრისათვის ვისარგებლოდ ფორმულით(Dean ... 1977):

$$h(x) = A \cdot x^{\frac{2}{3}}, \qquad A = 0{,}21 D_{50}^{0{,}48} \tag{10}$$

მიღებული ტოლობები (3), (5), (7), (8) და (9) ჩავსვათ მე-(4)-ში და საბოლოოდ მივიღებთ:

$$u_1^2 \left[\frac{h_1^2}{g(h_2+\eta)} - \frac{h_1}{g}\right] + \mu B u_1 h_1 + \eta a + \frac{\eta^2}{2} + C = 0, \tag{11}$$

სადაც

$$C = \beta_2 H_t^2 - \beta_1 H_i^2.$$

მე-(11) განტოლება შეიცავს ორ უცნობს η და $q_1 = u_1 h_1$. დამატებითი განტოლების მისაღებად ვისარგებლოთ მასის შენახვის კანონით. კერძოდ წყალი, რომელიც ნაპირის მიმართულებით გადაევლება გეოტუბებს უნდა დაბრუნდეს უკან გეოტუბებს შორის შუალედებში:

$$u_1 h_1 L_b = u_g h_g L_g, \tag{12}$$

სადაც h_g და u_g - შესაბამისად შუალედის სიღრმე და წყლის სიჩქარეა. წყლის უკან დაბრუნების სიჩქარე გამოწვეულია გეოტუბის უკან წყლის დონის აწევით, ამიტომ (Villani ... 2012):

$$u_g = C_1 \sqrt{2g\eta}, \tag{13}$$

სადაც კოეფიციენტი $C_1 = 0{,}54$ (Ranasinghe ... 2010).

(12) და (13) ტოლობებიდან გამომდინარეობს:

$$q_1 = u_1 h_1 = C_1 \sqrt{2g\eta} \cdot h_g \cdot \frac{L_g}{L_b} \tag{14}$$

მიღებული (11) და (14) განტოლებათა სისტემის ამოხსნით განისაზღვრება η, ხოლო η_b და η_g განისაზღვრებიან ფორმულებით (საღინაძე ... 2018):

$$\eta_b = \frac{5}{16}\gamma H_b; \qquad \eta_g = \frac{5}{16}\gamma H_g, \qquad (H_b = H_t, \;\; H_g = H_i)$$

სადაც γ ტალღების დამსხვრევის პარამეტრია, რომელიც განისაზღვრება ფორმულით (გაგოშიძე ... 2017):

$$\gamma = \frac{H_b}{h_b} = \frac{H_g}{h_g} \approx 0{,}78,$$

ხოლო H_t - გამოითვლება (1) ფორმულით.

რიცხვითი ამოვხსნის შედეგები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 2

$L_b = 120$მ	$L_g = 60$მ	$L_g = 80$მ	$L_g = 100$მ	$L_g = 120$მ
$x_b = 120$მ	-	+	+	+
$x_b = 180$მ	-	+	+	+
$L_b = 150$მ	$L_g = 60$მ	$L_g = 80$მ	$L_g = 100$მ	$L_g = 120$მ
$x_b = 120$მ	-	-	+	+
$x_b = 180$მ	-	-	-	+

ნიშანი „-„ შეესაბამება ნაპირის ეროზია, ხოლო ნიშან „+“ ნაპირის ზრდა (აკრეცია)

ნახ. 4 და 5-ზე ნაჩვენებია გეოტუბის პარამეტრების ცვლილების გავლენა ნაპირის მორფოლოგიური რეაქციის ხასიათზე, როცა სისტემის დანარჩენი პარამეტრები მუდმივია.

ნახ. 4-ზე ნაჩვენებია გეოტუბების ნაპირიდან დაშორების - x_b და გეოტუბის სიგრძის - L_b-ს ცვლილების გავლენა ნაპირის რეაქციის ხასიათზე, როცა სისტემის დანარჩენი პარამეტრები მუდმივია, კერძოდ: ა) 4.1-ზე - $L_b = 120$მ და $L_g = 100$მ; ბ) 4.2-ზე - $x_b = 180$მ და $L_g = 100$მ.



ნახ. 4. გეოტუბების სიგრძისა და ნაპირიდან დაშორების გავლენა ნაპირის რეაქციის ხასიათზე

ნახ. 5-ზე მოცემულია ტალღის სიმაღლის H_i და გეოტუბის უკან ნაპირისკენ წყლის გვერდითი შეკავების კოეფიციენტის - $m = \frac{L_g}{L_b}$ ცვლილების გავლენა ნაპირის რეაქციის პარამეტრზე r-ზე, როცა $L_b = 120$მ და $x_b = 180$მ.



ნახ. 5. ტალღის სიმაღლის და წყლის გვერდითი შეკავების კოეფიციენტის ცვლილების გავლენა ნაპირის რეაქციის პარამეტრზე

შედეგების ანალიზი და დასკვნები. ნახ 4.1-დან გამომდინარეობს შუალედში $120 \leq x_b \leq 450$, ნაპირის რეაქციის პარამეტრი $r < 1$ ადგილი აქვს გეოტუბსა და ნაპირს შორის წყლის 4-უჯრედიან ცირკულიაციას და ნაპირი აკრეციულია. შუალედს გარეთ, როცა გეოტუბები განთავსებულია ნაპირთან ახლოს ან ნაპირიდან შორს, მაშინ $r \geq 1$ წყლის ცირკულიაცია 2-უჯრედიანია და ნაპირი ეროზიულია.

ნახ. 4.2-დან, როცა $40 \leq L_b \leq 220$, მაშინ $r < 1$ და ნაპირი აკრეციულია, ხოლო შუალედს გარეთ - ეროზიული.

ნახ. 5.1-დან გამომდინარეობს, როცა ტალღის სიმაღლე მოთავსებულია დიაპაზონში $1 \leq H_i \leq 2{,}4$, მაშინ ნაპირის რეაქცია აკრეციულია, ხოლო როცა $H_i > 2{,}4$, მაშინ $r > 1$-ზე და ნაპირის რეაქცია არის ეროზიული.

ნახ. 5.2-დან ჩანს, როცა წყლის გვერდითი შეკავების კოეფიციენტი $m = \frac{L_g}{L_b}$ მოთავსებულია შუალედში $0{,}4 \leq m \leq 1{,}2$, მაშინ $r < 1$ და ნაპირის მორფოლოგიური რეაქცია აკრეციულია, ხოლო შუალედს გარეთ - ეროზიული. როცა გეოტუბებს შორის შუალედი მცირეა, მაშინ ასევე მცირეა წყლის გვერდითი შეკავების კოეფიციენტი, კერძოდ ნახ 5.2-დან $m < 0{,}4$, მაშინ შედარებით ცოტა წყლის მასის შეკავება ხდება გეოტუბის უკან, ხოლო წყლის ძირითადი მასა ბრუნდება უკან ზღვაში გეოტუბებს შორის არსებული შუალედიდან, რომელიც თან წარიტაცებს დიდი ოდენობის ნატანს და ნაპირი ეროზიული ხდება. როცა გეოტუბებს შორის მანძილი დიდია $1{,}2 < m = \frac{L_g}{L_b} < 2$, მაშინ გეოტუბის უკან გროვდება დიდი მოცულობის წყალი. ეს წყალი მასის შენახვის კანონიდან გამომდინარე ბრუნდება ზღვაში შედარებით დიდი სიჩქარით, რაც იწვევს ნაპირის ეროზიას. როცა $m = \frac{L_g}{L_b} \geq 2$, მაშინ გეოტუბები უკვე აღარ მოქმედებს, როგორც სისტემა და ისინი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცალკეული ერთი გეოტუბი (Ranasinghe ... 2010).

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ფოთის სანაპირო ზოლში ნაპირის დაცვის მიზნით წყალქვეშა გეოტუბების განთავსება ოპტიმალურია ნაპირიდან 150÷200 მეტრში, რადგანაც ნაპირიდან დაშორების ამ დიაპაზონში ზღვის სიღრმეები იცვლება 2,4÷3,2 მეტრამდე და ამ შუალედში შეიძლება განთავსდეს სტანდარტული ორი ტიპის გეოტუბი:

1. დიამეტრი - $D = 3{,}25$მ, სიმაღლე - $h = 2$მ, სიგანე - $B = 4$მ. ასეთი გეომეტრიული ზომების გეოტუბები, რომელთა სიგრძეა $L_b = 120$მ და ერთმანეთისგან დაშორებულია $L_g = 100$მ, ნაპირის დაცვის მიზნით შეიძლება განთავსდეს ნაპირიდან $x_b = 160$ მეტრში.

2. დიამეტრი - $D = 5$მ, სიმაღლე - $h = 2{,}6$მ, სიგანე - $B = 6$მ. ასეთი გეომეტრიული ზომების გეოტუბები, რომელთა სიგრძეა $L_b = 120$მ და ერთმანეთისგან დაშორებულია $L_g = 120$მ, ნაპირის დაცვის მიზნით შეიძლება განთავსდეს ნაპირიდან $x_b = 190$ მეტრში.

ზემოთ ჩატარებული გაანგარიშებები აჩვენებს, რომ ორივე შემთხვევაში ნაპირის მორფოლოგიური რეაქცია აკრეციულია.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოდელის ამოხსნები შედარებულია ზღვის ანალოგიურ უბანზე მრავალგანზომილებიანი ჰიდროდინამიკური რიცხვითი მოდელის Delft3D - ის რიცხვით ამოხსნებთან (Deltares ... 2011) და ექსპერიმენტების შედეგებთან, რომლებიც შესრულებულია - (Haller ... 2002). შედარებამ აჩვენა, რომ ნაპირის პარალელური რამდენიმე წყალქვეშა გეტოტუბების შემთხვევაში შემოთავაზებულ ანალიტიკურ მოდელს შეუძლია უზრუნველყოს სანაპირო ზოლის მორფოლოგიური რეაქციის სწრაფი პირველადი შეფასება.

ლიტერატურა

გაგოშიძე ... 2017: გაგოშიძე შ., კოდუა მ., საღინაძე ი., ქადარია ი. სამდინარო ჰიდრომშენებლობა და საქართველოს შავიზღვისპირეთის გეომორფოლოგიური პროცესები. მონოგრაფია. გამომცემლ. „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი, 2017.

საღინაძე ... 2018: საღინაძე ი., გამეზარდაშვილი ზ. შავი ზღვის ქალაქ ფოთის სანაპირო ზოლში შტორმების დროს ტალღების გავრცელებისას წყლის საშუალო დონის ცვლილების გაანგარიშება. „საქართველოს საინჟინრო სიახლენი“. N#1, 2018.

Bellotti ... 2004: Bellotti G. A simplified model of rip currents systems around discontinuous barriers. *Coastal Engineering,* 51, 2004.

Bellotti ... 2007: Bellotti G. An Improved Analytical Model for Estimating Water level set-up and currents induced by waves over submerged low crested coastal defense structures. *Proceedings of the 5th Coastal Structures International Conference*, 1, 2007.

Dean ... 1977: Dean, R.G. Equilibrium Beach Profiles: U.S. Atlantic and Gulf Coasts. Department of Civil Engineering. Ocean Engineering Technical Report. Vol. 12. 1977. 1977.

Deltares ... 2011: Deltares. (2011a). Delft3D-FLOW, simulation of multi-dimensional hydrodynamic flows and transport phenomena, including sediments. User Manual. 2011.

Kamphuis ... 1975: Friction factor under oscillatory waves. Journal of the Waterways, Harbors and Coastal Engineering Division, 101(WW2), 1975.

Pilarczyk ... 2003: Pilarczyk, K. W. Design of low crested (submerged) structures: an overview. Paper presented at the Proceedings of the 6th Conference on Coastal and Port Engineering in Developping Countries. 2003.

Ranasinghe ... 2006a: Ranasinghe, R. and I.L. Turner. Shoreline Response to submerged structures: A review. *Coastal Engineering* 53, 2006.

Ranasinghe ... 2006b: Ranasinghe, R., I.L. Turner and G. Symonds. Shoreline response to multi-functional artificial surfing reefs: A numerical and physical modeling study. *Coastal Engineering 53*, 2006.

Ranasinghe ... 2010: Ranasinghe, R., M. Larson and J. Savioli. Shoreline response to a single shore-parallel submerged breakwater. *Coastal Engineering* 57, 2010.

Villani ... 2012: Villani, M., Bosboom, J., Zijlema, M., & Stive, M. J. F. Circulation patterns and shoreline response induced by submerged breakwaters. Paper presented at the Proceedings of the 33rd International Conference on Coastal Engineering, Santander. 2012.

Van der Meer ... 2005: Van der Meer, J.W., R. Briganti, B. Zanuttigh and B. Wang. Wave transmission and reflection at low crested structures: Design formulae, oblique wave attack and spectral change. *Coastal Engineering*, 52, 2005.

Zanuttigh ... 2008: Zanuttigh, B., Martinelli, L., & Lamberti, A. Wave overtopping and pilling-up at permeable low-crested structures. Coastal Engineering, 55(6), 2008.

Zijlema … 2011: Zijlema, M., G. Stelling and P. Smit. SWASH: An operational public domain code for simulating wave fields and rapidly varied flows in coastal waters. Coastal Engineering, 58, 2011.

Haller ... 2002: Haller, M. C., Dalrymple, R. A., & Svendsen, I. A. Experimental study of nearshore dynamics on a barred beach with rip channels. Journal of Geophysical Research, 107(C6), 2002.

Ocean Engineering

Ways to solve geomorphological problems in the Black Sea regions of Georgia using innovative technologies

Ivane Saghinadze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
vanosag@gmail.com

The article proposes an innovative technology for protecting coastal areas from erosion processes, which is not approved in Georgia. New method is based on the use of underwater barriers (geotubes) from geotextile pipes filled with sand. In the case of using several underwater geotubes, an erosion site in the Black Sea coastal zone of the city of Poti, located to the south from the runoff of the "city channel" of the Rioni River, was considered. Geotubes are located along the coast. After geotubes are run over by the waves, to determine the types of water circulations formed in the coastal zone, the analytical method is used. With 2-cell circulation, the shore is erosive, and with 4-cell circulation it is accretionary. A system of equations is obtained. The numerical solution of the system determines the parameters of the location of geotubes when the morphological reaction of Poti coast is accretionary. The effect on the types of coastal reaction of the length of geotubes, their distance from the coast, intervals between geotubes, wave heights and changes in the coefficient of lateral water retention, is studied. As a result, there have been established the parameters of geotubes, after the placement of which in the sea, the coast will be protected from leaching, and the coastal zone will increase.

Keywords: *wave, coast, erosion, geotube.*

Introduction. Currently the Black Sea coast of Georgia is almost totally subjected to erosion and is covered with coast protective constructions such as concrete groynes, breakwaters, traverses, sheet piles, etc. Besides a positive side these constructions have also a significant negative one: while they protect particular segment of the beach against erosion, other, unprotected segments in the vicinities are experiencing washouts due to the deficit of nourishing particles.

As an addition, the aforementioned protective constructions distort the landscape and discomfort visitors. The lifetime of such constructions is rather short, as they are destroyed by strong storms, becoming so far useless (the example is given on Fig. 1).



Fig. 1. Blurred coast of the Poti city

Seaside region of Georgia suffers from unsolved problems of environmental and geomorphological nature for several decades, because of unsuccessfully designed and implemented hydro engineering projects of various purposes.

The article proposes an innovative technology for protecting coastal areas from erosion processes, which is not approved in Georgia. New method is based on use of underwater barriers (geotubes) from geotextile pipes filled with sand. In the case of using several underwater geotubes, an erosion site in the Black Sea coastal zone of the city of Poti, located to the south from the runoff of the "city channel" of the Rioni River, was considered.

Hydrological and hydrometric data. Based on long-term observations of wave movements in Black Sea coast and open sea, it was assumed that westward waves are predominant. In particular, the western waves - 44.7% of all annual waves, the southwest - 39.0%, the northwest - 8.8%, and the north and south together - 7.5%.

The design values of the waves in the Poti region in the table are given:

direction	Wave height (m)	Wave period (s)
North-west	2.4	5.5
North-West-North	4.4	7.5
West	5.9	9.0
West-South-West	5.4	8.5
South-west	6.0	8.5

According to the Poti meteorological station, the levels of sea water rise are: very high - 1.3 m, high - 0.5 m, low - 0.2 m, very low - 0 m. The coastline is sandy and the average sediment diameter is $D_{50} = 0{,}25$ mm. The average slope of the seabed is $\alpha = 0{,}016$. The average velocity of coastal currents is 0,1-0,25m/s.

During severe storms, the first wave breaking occurs at a distance - 320 ÷ 400 m from the coast (გაგოშიძე ... 2017), which leads to a decrease of wave energy and the wave height of reaching geotubes varies in the range H_i~1,6 ÷ 2,0 m.

Main part. The main parameters that determine the effectiveness of underwater breakwaters are:

1. Hydrodynamic parameters: wave height - H, wave period - T and propagation direction - θ;
2. Parameters of underwater geotubes: the distance of the surface of the underwater geotube from the surface of the water - $a = 0{,}4 \div 0{,}6$∂, the length of the geotube - L_b, the width - w_b, the distance from the coast - x_b, the interval between the geotubes - L_g and the depth - h_b;
3. Physical parameters of the coast: bathymetry of the coast - $h(x)$ and the average size of the bottom sediment - D_{50};

To create underwater breakwaters in the coastal zone of the sea, we use geotubes filled with sand (Fig. 2).



Fig. 2. Scheme of forces acting on an underwater geotube

Waves of height - H_i, approaching the underwater geotubes will collapse on it, and a new waves, of height - H_t, will appear. Because of the destruction of the waves, the water level rises by - η. Then the new wave will fall offshore to a depth - h_b, and the water level will rise further to - η_b. Thus, the sea level rise on the coast will be - $\eta + \eta_b$ (Fig. 3).



a) 2-cell circulation b) 4-cell circulation

Fig. 3. Circulation of currents that occur during the passage of waves above a breakwater

In the works (Bellotti ... 2007, Ranasinghe ... 2010, Villani ... 2012), the parameter r is introduced, which determines the type of coastline reaction after the placement of underwater geotubes:

$$r = \frac{\eta+\eta_b}{\eta_g}. \quad (1)$$

When $r > 1$ the erosion of the shore takes place and $r < 1$ - the accretion of the shore (Ranasinghe ... 2006a, Bellotti ... 2007, Ranasinghe ... 2006b).

To determine η, we use the law of mass storage and momentum change per unit time, we obtain:

$$u_1 \cdot h_1 = u_2 \cdot (h_2 + \eta), \quad (2)$$

$$\rho(h_2+\eta)u_2^2 - \rho h_1 u_1^2 = -\Delta P - \Delta S_{xx} + \Delta N - T_{bx} \quad (3)$$

From system (2) and (3) we obtain:

$$u_1^2\left[\frac{h_1^2}{g(h_2+\eta)} - \frac{h_1}{g}\right] + \mu B u_1 h_1 + \eta a + \frac{\eta^2}{2} + C = 0, \quad (4)$$

$$q_1 = u_1 h_1 = C_1\sqrt{2g\eta} \cdot h_g \cdot \frac{L_g}{L_b}. \quad (5)$$

From which η is determined, while η_b and η_g are defined by formulas:

$$\eta_b = \frac{5}{16}\gamma H_b; \qquad \eta_g = \frac{5}{16}\gamma H_g,$$

Where $\gamma = \frac{H_b}{h_b} = \frac{H_g}{h_g} \approx 0{,}78$ is the parameter of waves breaking.

The results of numerical solutions of the system of equations (8) and (11) are shown in the graphs below (Fig. 4).



Fig. 4. the effect of the length of the geotube and the distance from the coast on the nature of the reaction of the coast

In fig. 4 shows the effect of changing the distance from the coast of the geotube - x_b and the length of the geotube - L_b on the nature of the coastal reaction, when other parameters of the system are constant, namely: a) at fig. 4.1 - $L_b = 120$m and $L_g = 100$m; b) at fig. 4.2 - $x_b = 180$m and $L_g = 100$m.

Analysis of the results and conclusions. Figure 4.1 shows that in the interval $120 \leq x_b \leq 450$, the parameter determining the nature of the coastal reactions is $r < 1$, and therefore the coast is accretionary. Out of the interval, when geotubes are located near the coast or far from the coast, $r \geq 1$ and the coast are erosive.

From fig. 4.2 shows that when $40 \leq L_b \leq 220$, then $r < 1$ and the coastal zone grows, and outside the interval $r \geq 1$, the coastal zone decreases, the coast is erosive.

Studies have shown that the placement of underwater geotubes in the Poti coastal zone is convenient at a distance of 120 ÷ 200 meters from the coast, since the sea depth in this range varies from 2.4 to 3.1 meters and, therefore, Standard two types of geotubes can be placed:

1. Diameter - $D = 3{,}25$m, height - $h = 2$m, width - $B = 4$m. Geotubes of such geometric dimensions, the length of which is $L_b = 120$m, and the distance between them $L_g = 100$m, for the protection of the shore can be placed at a distance $x_b = 160$ meters from the coast.
2. Diameter - $D = 5$m, height - $h = 2{,}6$m, width - $B = 6$m. Geotubes of such metric dimensions, the length of which is $L_b = 120$m, and the distance between them $L_g = 120$m, for the protection of the shore can be placed at a distance $x_b = 190$ meters from the coast.

The calculations show that in both cases the morphological reaction of the coast is accretionary.

მათემატიკა

Mathematics

გეომეტრია და ტოპოლოგია

ასიმპტოტურ ბადეთა შესახებ სამგანზომილებიან აფინურ არასაკუთრივ ჰიპერსიბრტყეში

რაჟდენ ხაბურძანია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
razhdenkhaburdzania@gmail.com

განიხილება ორგანზომილებიანი V_2 ზედაპირი ოთხგანზომილებიან გაფართოებულ აფინურ $\overline{\mathrm{A}}_4 = \mathrm{A}_4 \bigcup \mathrm{A}_3^*$ სივრცეში, სადაც A_3^* არის სამგანზომილებიანი P_3 პროექციული სივრცის სტრუქტურის მქონე არასაკუთრივი ჰიპერსიბრტყე. V_2 ზედაპირს გარკვეული წესით მიეერთდება მოძრავი რეპერი $R = \left(A, A_i, A_\alpha\right)$ $\left(i = 1,2;\ \alpha = 3,4\right)$ სადაც $A \in V_2$, $\left\{A_i, A_\alpha\right\} \subset \mathrm{A}_3^*$. V_2 ზედაპირზე ისე ვირჩევთ გეოდეზიური წირებით შედგენილ შეუღლებულ $\left(\omega^1, \omega^2\right)$ ბადეს, რომ $\left(AA_i\right)$ წრფეები წარმოადგენენ ω^i წირებისადმი მხებებს. როცა A წერტილი გადაადგილდება V_2 ზედაპირზე, მაშინ A_i, A_α წერტილებიდან თითოეული A_3^* ჰიპერსიბრტყეში აღწერენ $\left(A_i\right), \left(A_\alpha\right)$ ორგანზომილებიან ზედაპირებს, რომლებზეც ბუნებრივად აღმოცენდებიან $\left(\omega^1, \omega^2\right)$ წირთა ბადეები. განიხილება ის შემთხვევები, როცა ეს ბადეები იქნებიან ასიმპტოტური ბადეები.

საკვანძო სიტყვები: *არასაკუთრივი ჰიპერსიბრტყე, მოძრავი რეპერი, შეუღლებული ბადე, ასიმპტოტური ბადე.*

განვიხილოთ ორგანზომილებიანი ზედაპირი V_2 ოთხგანზომილებიან გაფართოებულ აფინურ $\overline{\mathrm{A}}_4 = \mathrm{A}_4 \bigcup \mathrm{A}_3^*$ სივრცეში, სადაც A_3^* არის სამგანზომილებიანი P_3 პროექციული სივრცის სტრუქტურის მქონე არასაკუთრივი ჰიპერსიბრტყე (Базылев 1978: 3).

მივუერთოთ V_2 ზედაპირს მოძრავი რეპერი $R=\left(A, A_i, A_\alpha\right)$, $\left(i=1,2;\ \alpha=3,4\right)$, სადაც $A\in V_2$, $A_i\in T_2\left(A\right)$ ($T_2\left(A\right)$ არის გაფართოებული მხები 2–სიბრტყე V_2 ზედაპირისადმი A წერტილში), A_α წერტილებად კი შერჩეულია $T_2\left(A\right)$–ში არამდებარე ნებისმიერი წერტილები ისე, რომ A_i, A_α წერტილები წარმოდგენენ საერთო მდებარეობის წერტილთა სისტემას A_3^*–ში.

ვთქვათ R რეპერის განმსაზღვრელი A, A_i, A_α წერტილები გაჩენილია $\vec{A}, \vec{A}_i, \vec{A}_\alpha$ ვექტორებით შესაბამისად. მაშინ ასეთი რეპერის დერივაციული ფორმულებია:

$$d\vec{A}=\omega_0^0\vec{A}+\omega^i\vec{A}_i,$$

$$d\vec{A}_i=\omega_i^0\vec{A}+\omega_i^j\vec{A}_j+\omega_i^\alpha\vec{A}_\alpha,$$

$$d\vec{A}_\alpha=\omega_\alpha^0\vec{A}+\omega_\alpha^i\vec{A}_i+\omega_\alpha^\beta\vec{A}_\beta,$$

$\left(i,j=1,2;\ \alpha,\beta=3,4\right)$ (Фиников 1948).

რადგან A_3^* ჰიპერსიბრტყე უძრავია, ამიტომ

$$\omega_i^0=\omega_\alpha^0=0.$$

V_2 ზედაპირი R რეპერის მიმართ განისაზღვრება

$$\omega^\alpha=0$$

დიფერენციალურ განტოლებათა სისტემით და ω^i ფორმები წარმოადგენენ მთავარ ფორმებს (მთავარი პარამეტრების დიფერენციალების წრფივ ფორმებს, რომლებიც გადაადგილებენ A წერტილს V_2 ზედაპირზე).

ამ სისტემის გაგრძელებით და კარტანის ლემის გამოყენებით ვღებულობთ:

$$\omega_i^\alpha=b_{ij}^\alpha\omega^j,\quad \left(b_{ij}^\alpha=b_{ji}^\alpha\right).$$

$\left(i,j=1,2;\ \alpha=3,4\right)$. მაშასადამე, ω_i^α მთავარი ფორმებია (Хабурдзания 1981: 137).

თუ V_2 ზედაპირზე მოცემული გვაქვს $\Sigma_2=\left(\omega^1,\omega^2\right)$ წირთა შეუღლებული ბადე და $\left(AA_i\right)$ წრფეები წარმოადგენენ მხებებს ω^i წირებისადმი $A\in V_2$ წერტილში, მაშინ ω_i^j ფორმები მთავარია და

$$\omega_i^j=a_{ik}^j\omega^k,\ \left(i\neq j;\ \ i,j,k=1,2\right).$$

ამას გარდა,

$$b_{ij}^{\alpha}=0,\ (i\neq j)$$

(Базылев 1966: 9).

ცნობილია, რომ თუ ზედაპირი $V_p\subset P_n$ და ამ ზედაპირზე არსებობს შეუღლებული ბადე $\sum_p$, მაშინ V_p ზედაპირის ყოველი ნორმალიზაცია მასზე გააჩენს აფინურ ბმულობას. თუ შეუღლებული $\sum_p$ ბადე ამ ბმულობაში აღმოჩნდება გეოდეზიური ბადე, მაშინ მივიღებთ:

$$a_{11}^4=0,\ \ b_{11}^4=0,\ \ a_{22}^1=0,\ \ b_{22}^3=0\,.$$

ვთქვათ A წერტილი გადაადგილდება V_2 ზედაპირზე, რომელზეც წირთა $\sum_2=(\omega^1,\omega^2)$ ბადე არის შეუღლებული და გეოდეზიური (Базылев 1974: 189). A_i, A_α წერტილებიდან თითოეული A_3^* ჰიპერსიბრტყეში, ზოგად შემთხვევაში, აღწერენ $(A_i),(A_\alpha)$ ორგანზომილებიან ზედაპირებს, რომლებზეც ბუნებრივად აღმოცენდებიან (ω^1,ω^2) წირთა ბადეები. (A_i, A_α წერტილები აღწერენ ω^j წირს $(A_i),(A_\alpha)$ ზედაპირზე, როცა A წერტილი V_2 ზედაპირზე გადაადგილდება ω^j წირის გასწვრივ, $i,j=1,2;\ \alpha=3,4$).

გავარკვიოთ $(A_i),(A_\alpha)$ ზედაპირებიდან თითოეულზე წირთა (ω^1,ω^2) ბადე როდის იქნება ასიმპტოტური ბადე. (წირთა (ω^1,ω^2) ბადეს ეწოდება ასიმპტოტური, თუ ის შედგენილია ასიმპტოტური წირების ორი ოჯახით).

განვიხილოთ (A_1) ზედაპირი.

$$d\vec{A}_1=\omega_1^1\vec{A}_1+\omega_1^2\vec{A}_2+\omega_1^3\vec{A}_3+\omega_1^4\vec{A}_4=\omega_1^1\vec{A}_1+a_{12}^2\omega^2\vec{A}_2+b_{11}^3\omega^1\vec{A}_3\,.$$

მაშასადამე, ω^1 წირი (A_1) ზედაპირზე ეხება (A_1A_3) წრფეს A_1 წერტილში, ხოლო ω^2 წირი კი - (A_1A_2) წრფეს იმავე A_1 წერტილში. ე.ი. $(A_1A_2A_3)$ სიბრტყე წარმოადგენს (A_1) ზედაპირისადმი მხებ სიბრტყეს A_1 წერტილში, ხოლო (A_1A_4) წრფე ამ ზედაპირისადმი არის პირველი გვარის ნორმალი. (ზედაპირისადმი მოცემულ წერტილში პირველი გვარის ნორმალი ეწოდება წრფეს, რომელიც არ მდებარეობს ზედაპირისადმი ამ წერტილში გავლებულ მხებ სიბრტყეში (Норден 1976). ამიტომ ამ ზედაპირზე აღმოცენდება ასიმპტოტური ფორმა:

$$\Phi_1=\omega^1\omega_3^4+\omega^2\omega_2^4\,.$$

როგორც ცნობილია $\Phi_1 = 0$ წარმოადგენს ასიმპტოტური ბადის წირთა ორი ოჯახის დიფერენციალურ განტოლებას. რადგან $\omega_2^4 = b_{22}^4 \omega^2$ და $\omega_3^4 = s\omega^1$, მოცემულ შემთხვევაში ვღებულობთ:

$$s\left(\omega^1\right)^2 + b_{22}^4\left(\omega^2\right)^2 = 0.$$

ბადე იქნება ნამდვილი, თუ $\dfrac{b_{22}^4}{s} = -a^2$.

გვექნება:

$$\left(\omega^1\right)^2 - a^2\left(\omega^2\right)^2 = 0.$$

მაშასადამე, $\omega^1 + a\omega^2 = 0$ ასიმპტოტურ წირთა ერთი ოჯახია, ხოლო $\omega^1 - a\omega^2 = 0$ - მეორე ოჯახი.

ანალოგიურად $\left(A_2\right)$ ზედაპირზეც ვღებულობთ ასიმპტოტურების ორ ოჯახს.

A_3 და A_4 წერტილები შევუთავსოთ $\left(A_1A_3\right)$ და $\left(A_2A_4\right)$ წრფეების მეორე ფოკუსებს შესაბამისად. ვღებულობთ:

$$\omega_3^4 = h\omega_3^2,\ \omega_4^3 = k\omega_4^1,\ \omega_3^4 = t\omega^2,\ \omega_3^1 = q\omega^1 + r\omega^2,$$

$$\omega_4^2 = u\omega^1 + v\omega^2,\ \omega_1^4 = 0,\ \omega_3^2 = \bar{h}\omega_3^4,\ \omega_3^4 = s\omega^1.$$

(ხაბურძანია 2017:226).

ჩავთვალოთ, რომ ეს პირობები შესრულებულია.

განვიხილოთ $\left(A_3\right)$ ზედაპირი.

$$d\vec{A}_3 = \omega_3^3\vec{A}_3 + \omega_3^1\vec{A}_1 + \omega_3^2\vec{A}_2 + \omega_3^4\vec{A}_4 = \omega_3^3\vec{A}_3 + \left(q\omega^1 + r\omega^2\right)\vec{A}_1 + \omega_3^2\left(\vec{A}_2 + h\vec{A}_4\right)$$

მივიღეთ, რომ სიბრტყე, რომელიც გადის A_3, A_1 წერტილებზე და $\vec{A}_2 + h\vec{A}_4$ ვექტორით გაჩენილ წერტილზე ეხება $\left(A_3\right)$ ზედაპირს A_3 წერტილში.

განვიხილოთ ორი შემთხვევა:

1) მიღებული სიბრტყე ემთხვევა $\left(A_3A_1A_2\right)$ სიბრტყეს. ეს მოხდება მაშინ, როცა $h = 0$.

$$\omega_3^4 = 0.$$

გავაგრძელოთ ეს თანაფარდობა, გამოვიყენოთ კარტანის ლემა (Картан 1949) და მივიღებთ, რომ

$$\omega_3^2 = c\omega^2.$$

ამ შემთხვევაში ω^1 წირი ეხება (A_3A_2) წრფეს, ხოლო ω^2 წირი კი, - (A_3A_1) წრფეს A_3 წერტილში. პირველი გვარის ნორმალი იქნება (A_3A_4) წრფე. (A_3) ზედაპირზე ასიმპტოტური ბადის დიფერენციალურ განტოლებას ექნება სახე:

$$\Phi_3 = \omega^1\omega_2^4 + \omega^2\omega_1^4 = 0.$$

რადგან $\omega_2^4 = b_{22}^4\omega^2$ და $\omega_1^4 = 0$ ვღებულობთ:

$$b_{22}^4\omega^1\omega^2 = 0.$$

აქედან გამომდინარეობს, რომ $\omega^1 = 0$ ან $\omega^2 = 0$. მაშასადამე ω^1 და ω^2 წირები ასიმპტოტურებია.

განვიხილოთ A_3 და A_1 წერტილების გადაადგილება ω^1 წირის გასწვრივ (ე.ი. $\omega^2 = 0$).

$$d\vec{A}_3 = \omega_3^3\vec{A}_3 + q\omega^1\vec{A}_1,$$
$$d\vec{A}_1 = \omega_1^1\vec{A}_1 + b_{11}^3\omega^1\vec{A}_3.$$

მაშასადამე, როცა A_1 წერტილი (A_1) ზედაპირზე აღწერს ω^1 წირს, ან როცა A_3 წერტილი (A_3) ზედაპირზე აღწერს ω^1 წირს, მაშინ (A_1A_3) წრფე უძრავია. ამ შემთხვევაში (A_1) ზედაპირზე ასიმპტოტური ფორმა ღებულობს სახეს:

$$\Phi_3' = \omega^1\omega_3^4 + \omega^2\omega_2^4 = b_{22}^4\left(\omega^2\right)^2.$$

ეს ნიშნავს, რომ (A_1) ზედაპირი არის განფენადი, ხოლო (A_1A_3) წრფე მისი წრფივი მსახველია და (A_3) ზედაპირი ემთხვევა (A_1) ზედაპირს.

2) $d\vec{A}_3$ შეიძლება ასეც ჩავწეროთ:

$$d\vec{A}_3 = \omega_3^3\vec{A}_3 + \left(q\omega^1 + r\omega^2\right)\vec{A}_1 + \omega_3^4\left(\bar{h}\vec{A}_2 + \vec{A}_4\right).$$

ვთქვათ $\bar{h} = 0$. მაშინ $\omega_3^2 = 0$. ამ თანაფარდობის გაგრძელებით და კარტანის ლემის გამოყენებით ვღებულობთ

$$\left(a_{12}^2 q + sv\right)\omega^1 \wedge \omega^2 = 0.$$

რადგან ω^1 და ω^2 ფორმები წრფივად დამოუკიდებელია, ამიტომ

$$a_{12}^2 q + sv = 0.$$

ამ შემთხვევაში $(A_3A_1A_4)$ სიბრტყე ეხება (A_3) ზედაპირს A_3 წერტილში. ω^1 წირისადმი (A_3A_4) წრფე მხებია, ხოლო ω^2 წირისადმი (A_3A_1) წრფეა მხები. (A_3A_2) წრფე წარმოადგენს პირველი რიგის ნორმალს (A_3) ზედაპირისადმი A_3 წერტილში.

$$\Phi_3'' = \omega^1\omega_4^2 + \omega^2\omega_1^2 = 0$$

განტოლება იქნება ასიმპტოტური ბადის დიფერენციალური განტოლება (A_3) ზედაპირზე.

რადგან

$$\omega_4^2 = u\omega^1 + v\omega^2,\ \omega_1^2 = a_{12}^2\omega^2,$$

ამიტომ ასიმპტოტურ წირთა ორი ოჯახის განტოლება ღებულობს სახეს:

$$u\left(\omega^1\right)^2 + v\omega^1\omega^2 + a_{12}^2\left(\omega^2\right)^2 = 0.$$

ანალოგიურად განიხილება (A_4) ზედაპირის შემთხვევა, რა დროსაც ვღებულობთ, რომ, როცა

$$a_{21}^1 v + tq = 0,$$

მაშინ $(A_4A_2A_3)$ სიბრტყე წარმოადგენს მხებ სიბრტყეს (A_4) ზედაპირისადმი A_4 წერტილში. ω^1 წირისადმი მხებია (A_4A_2) წრფე, ხოლო ω^2 წირისადმი (A_4A_3) წრფეა მხები. ზედაპირისადმი პირველი გვარის ნორმალს წარმოადგენს (A_4A_1) წრფე და ასიმპტოტურების ორი ოჯახის განტოლება ღებულობს სახეს:

$$a_{21}^1\left(\omega^1\right)^2 + r\left(\omega^2\right)^2 + q\omega^1\omega^2 = 0.$$

ცალკე განვიხილოთ შემთხვევა, როცა

$$\begin{cases} a_{12}^2 q + sv = 0 \\ tq + a_{21}^1 v = 0 \end{cases}$$

ა) q და v ერთდროულად ნულის ტოლია. მაშინ

$$\omega_3^1 = r\omega^2,\quad \omega_4^2 = u\omega^1.$$

ამ შემთხვევაში Q ფოკუსური წირის განტოლება (ხაბურძანია 2017: 226) ღებულობს სახეს:

$$\left(y^0\right)^2 = 0,$$

ამიტომ ის თანმთხვეულ წრფეთა წყვილი ხდება, გადის A_3 და A_4 წერტილებზე და მისი პოლუსი ემთხვევა (A_3A_4) წრფის პოლუსს (Розенфельд 1956).

ამ შემთხვევაში (A_3) ზედაპირზე ასიმპტოტურების ორი ოჯახის განტოლება ღებულობს სახეს

$$u\left(\omega^1\right)^2 + a_{12}^2\left(\omega^2\right)^2 = 0 .$$

ბადე იქნება ნამდვილი, როცა $\dfrac{a_{12}^2}{u} = -c^2$.

$\omega^1 + c\omega^2 = 0$ ასიმპტოტურების ერთი ოჯახის განტოლებაა, ხოლო $\omega^1 - c\omega^2 = 0$, - კი მეორე ოჯახის განტოლება.

ანალოგიურად, (A_4) ზედაპირზე მივიღებთ ასიმპტოტურების ორი ოჯახის განტოლებას.

ბ) q და v ერთდროულად ნულის არატოლია. მაშასადამე

$$\begin{vmatrix} a_{12}^2 & s \\ t & a_{21}^1 \end{vmatrix} = 0 ,$$

საიდანაც $a_{12}^2 = \mu t, \quad s = \mu\omega_4^3$. მაშასადამე

$$\omega_3^4 = \mu\omega_2^1, \quad \omega_1^2 = \mu\omega_4^3 .$$

ამ სისტემების გაგრძელებით და კარტანის ლემის გამოყენებით ვღებულობთ

$$st = a_{12}^2 \cdot a_{21}^1 .$$

ამ დროს:

1) (A_1) ზედაპირზე ასიმპტოტურების ოჯახის განტოლება ღებულობს სახეს:

$$b_{22}^4\left(\omega^2\right)^2 = 0$$

ე.ი. (A_1) ზედაპირი გადაგვარდება, ხოლო (A_3) ზედაპირზე ასიმპტოტურების ოჯახის განტოლებაა

$$\omega^1\left(u\omega^1 + v\omega^2\right) = 0 .$$

მაშასადამე $\omega^1 = 0$ ასიმპტოტურების ერთი ოჯახია, ხოლო $u\omega^1 + v\omega^2 = 0$, -კი მეორე ოჯახი. ამ დროს (A_2) და (A_4) ზედაპირებზე ასიმპტოტურები არ იცვლებიან.

2) ანალოგიურად (A_2) ზედაპირი გადაგვარდება, რადგან ასიმპტოტურების ოჯახის განტოლება ღებულობს სახეს

$$b_{11}^3\left(\omega^1\right)^2 = 0,$$

ხოლო (A_3) ზედაპირზე ასიმპტოტურების ოჯახებს ექნებათ იგივე განტოლებები, რაც წინა შემთხვევაში. (A_1) და (A_4) ზედაპირებზე კი ასიმპტოტურები არ შეიცვლებიან.

3) (A_1) და (A_2) ზედაპირები ერთდროულად გადაგვარდებიან. ამ შემთხვევას კი არ განვიხილავთ.

ამრიგად, ჩვენ დავამტკიცეთ შემდეგი დებულება:

თეორემა. ვთქვათ ოთხგანზომილებიან გაფართოებულ აფინურ $\overline{\mathrm{A}}_4 = \mathrm{A}_4 \bigcup \mathrm{A}_3^*$ სივრცეში მოთავსებულ ორგანზომილებიან V_2 ზედაპირზე წირთა (ω^1, ω^2) ბადე შეუღლებული და გეოდეზიურია. მაშინ ამ ზედაპირისადმი გარკვეული წესით მიერთებული მოძრავი R რეპერის წვეროები არასაკუთრივ ჰიპერსიბრტყეში მიღებულ ზედაპირებზე აღწერენ ასიმპტოტური წირების ორ ოჯახს.

ლიტერატურა

ხაბურძანია 2017: რ. ხაბურძანია. ერთი ფოკუსური წირის შესახებ სამგანზომილებიან აფინურ არასაკუთრივ ჰიპერსიბრტყეში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, №2(10), ქუთაისი, 2017.

Базылев 1965: Базылев В.Т. О многомерных сетях и их преобразованиях. Сб. ,,Геометрия, 1963 (Итоги наука ВИНИТИ АН СССР). М. 1965.

Базылев 1966: Базылев В.Т. О сетях на многомерных поверхностях проективного пространства. Известия высших учебных заведений. Математика, №2(51), 1966.

Базылев 1974: Базылев В.Т. Сети на многообразиях. Труды геометрического семинара. ВИНИТИ, том 6, 1974.

Базылев 1978: Базылев В.Т. К геометрии сетей в расщиренном пространстве. Сб. ,,Геометрия погруженных подмногообразий“. М. 1978.

Норден 1976: Норден А.П. Пространства аффинной связности. Наука. М. 1976.

Картан 1949: Картан Э. Геометрия групп Ли и симметрические пространства. Изд. Иностр. Лит. М. 1949.

Розенфельд 1956: Розенфельд Б.А. Неэвклидовы геометрии. М. Гостехиздат, 1956.

Фиников 1948: Фиников С.П. Метод внешных форм Картана. М. –Л. Гостехиздат, 1948.

Хабурдзания 1981: Хабурдзания Р.Т. О сопряженных сетях в расщиренном пространстве. Сб. „Современная геометрия“. Л. 1981.

Geometry and Topology

Asymptotic Nets in the Improper Three-dimensional Affine Hyperplane

Razhden Khaburdzania
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
razhdenkhaburdzania@gmail.com

The two – dimensional surface V_2 is considered in the four-dimensional extended affine space $\overline{\mathrm{A}}_4 = \mathrm{A}_4 \bigcup \mathrm{A}_3^*$, where A_3^* is a three-dimensional improper hyperplane carrying the structure of the projective space P_3. A moving frame $R = \left(A, A_i, A_\alpha\right)$ $\left(i = 1,2;\ \alpha = 3,4\right)$ is attached to the surface V_2 according to a certain rule, where $A \in V_2$, $\left\{A_i, A_\alpha\right\} \subset \mathrm{A}_3^*$. We choose a conjugated net $\left(\omega^1, \omega^2\right)$ arranged by geodesic lines on the surface V_2 so that the straigt lines $\left(AA_i\right)$ represent tangent to the lines ω^i. When the point A moves on the surface V_2 then each of the points A_i, A_α describes two-dimensional surfaces $\left(A_i\right), \left(A_\alpha\right)$ in the hyperplane A_3^*, on which naturally arise nets of lines $\left(\omega^1, \omega^2\right)$. The cases when the nets are asymptotic are considered.

Keywords: *Improper Hyperplane, Moving Frame, Conjugated Net, Asymptotic Net.*

Let us consider the two-dimensional surface V_2 in the four-dimensional extended affine space $\overline{\mathrm{A}}_4 = \mathrm{A}_4 \bigcup \mathrm{A}_3^*$, where A_3^* is a three-dimensional improper hyperplane carrying the structure of the projective space P_3.

To the surface V_2 we attach a moving frame $R = (A, A_i, A_\alpha)$, $(i = 1,2;\ \alpha = 3,4)$, where $A \in V_2$, $A_i \in T_2(A)$ ($T_2(A)$ is the extended tangential 2-plane to the surface V_2 at the point A), $A_\alpha \notin T_2(A)$, $\{A_i, A_\alpha\} \subset \mathrm{A}_3^*$.

Let the determinative points A, A_i, A_α, of the frame R be generated by the vectors $\vec{A}, \vec{A}_i, \vec{A}_\alpha$ respectively. The derivation formulas for the frame have the form:

$$d\vec{A} = \omega_0^0 \vec{A} + \omega^i \vec{A}_i,$$

$$d\vec{A}_i = \omega_i^0 \vec{A} + \omega_i^j \vec{A}_j + \omega_i^\alpha \vec{A}_\alpha,$$

$$d\vec{A}_\alpha = \omega_\alpha^0 \vec{A} + \omega_\alpha^i \vec{A}_i + \omega_\alpha^\beta \vec{A}_\beta,$$

$(i, j = 1,2;\ \alpha, \beta = 3,4)$.

Since the plane A_3^* is immobile then $\omega_i^0 = \omega_\alpha^0 = 0$. The surface V_2 is defined by the system of differential equation $\omega^\alpha = 0$ to the frame R and the forms ω^i are the main forms.

The continuation of the system and the use of a Cartan lemma can be given in the following way:

$$\omega_i^\alpha = b_{ij}^\alpha \omega^\alpha, \quad (b_{ij}^\alpha = b_{ji}^\alpha),\ (i, j = 1,2;\ \alpha = 3,4).$$

Consequently ω_i^α are main forms.

If the conjugated net of lines (ω^1, ω^2) is given on the surface V_2 and if the straight lines (AA_1) are tangents to the lines ω^i at the point $A \in V_2$ then the forms ω_i^j are main and

$$\omega_i^j = a_{ik}^j \omega^k$$

$(i \neq j;\ i, j, k = 1,2)$, besides b_{ij}^α, $(i \neq j)$.

Let us say that the point A moves on the surface V_2 where the net of lines (ω^1, ω^2) is conjugated and geodesic. In the general case, each of the points

A_i, A_α describes two-dimensional surfaces $(A_i),(A_\alpha)$ in the hyperplane A_3^* on which the nets of lines (ω^1,ω^2) arise.

Let us define the case when the net of lines (ω^1,ω^2) is asymptotic on each surfaces $(A_i),(A_\alpha)$. (The net of lines (ω^1,ω^2) is called asymptotic on the surface in case it is formed by two families of asymptotic lines).

Let us examine the surface (A_1).

$$d\vec{A}_1 = \omega_1^1\vec{A}_1 + \omega_1^2\vec{A}_2 + \omega_1^3\vec{A}_3 + \omega_1^4\vec{A}_4 = \omega_1^1\vec{A}_1 + a_{12}^2\omega^2\vec{A}_2 + b_{11}^3\omega^1\vec{A}_3 .$$

Consequently the line ω^1 touches the straight line (A_1A_3) on the surface at the point A_1 while the line ω^2 touches the straight line (A_1A_2) at the same point. So, the plane $(A_1A_2A_3)$ represents a tangent plane to the surface (A_1) at the point A_1 and the straight line (A_1A_4) is the first kind normal to this surface. (The first kind normal, to the surface at the given point, is called a straight line that does not belong to the tangent plane gone through the point mentioned above). An asymptotic form:

$$\Phi_1 = \omega^1\omega_3^4 + \omega^2\omega_2^4 .$$

arises on the surface.

As it is known $\Phi_1 = 0$ represents a differential equation of an asymptotic net and two families of lines. In this case we have the following formulas: $\omega_2^4 = b_{22}^4\omega^2$ and $\omega_3^4 = s\omega^1$ and we get:

$$s(\omega^1)^2 + b_{22}^4(\omega^2)^2 = 0 .$$

A net is real if $\frac{b_{22}^4}{s} = -a^2$. Then we have

$$(\omega^1)^2 - a^2(\omega^2)^2 = 0 .$$

Therefore, $\omega^1 + a\omega^2 = 0$ is the first family of asymptotic lines and $\omega^1 - a\omega^2 = 0$ - the second one.

Similarly we get two families of asymptotic lines at the point A_2 as well.

If we coincide the points A_3 and A_4 to the second focuses of the straight lines (A_1A_3) and (A_2A_4) then we have the following forms:

$$\omega_3^4 = h\omega_3^2,\ \omega_4^3 = k\omega_4^1,\ \omega_3^4 = t\omega^2,\ \omega_3^1 = q\omega^1 + r\omega^2,$$
$$\omega_4^2 = u\omega^1 + v\omega^2,\ \omega_1^4 = 0,\ \omega_3^2 = \bar{h}\omega_3^4,\ \omega_3^4 = s\omega^1.$$

Let's suppose that these cases are fulfilled.

If we examine the surface (A_3),

$$d\vec{A}_3 = \omega_3^3\vec{A}_3 + \omega_3^1\vec{A}_1 + \omega_3^2\vec{A}_2 + \omega_3^4\vec{A}_4 = \omega_3^3\vec{A}_3 + \left(q\omega^1 + r\omega^2\right)\vec{A}_1 + \omega_3^2\left(\vec{A}_2 + h\vec{A}_4\right)$$

.

we get the plane that goes through the points A_3, A_1 and $\vec{A}_2 + h\vec{A}_4$ generated by a vector and it touches the surface (A_3) at the point A_3.

Now let's consider two cases:

1) In case the plane $(A_3A_1A_2)$ coincides with the received one, then an equation of an asymptotic net on the surface (A_3) is:

$$\Phi_3 = b_{22}^4\left(\omega^2\right)^2 = 0.$$

This means that the surface (A_4) is developable, the straight line (A_1A_3) is its formative and the surface (A_3) coincides with the surface (A_1).

2) $d\vec{A}_3$ can be written as follows:

$$d\vec{A}_3 = \omega_3^3\vec{A}_3 + \left(q\omega^1 + r\omega^2\right)\vec{A}_1 + \omega_3^4\left(h\vec{A}_2 + \vec{A}_4\right).$$

Based on the conducted calculations we get the following equation of two families of asymptotic lines:

$$u\left(\omega^1\right)^2 + v\omega^1\omega^2 + a_{12}^2\left(\omega^2\right)^2 = 0.$$

We can similarly examine the case of the surface (A_4). When

$$a_{21}^1\left(\omega^1\right)^2 + r\left(\omega^2\right)^2 + q\omega^1\omega^2 = 0,$$

it represents an equation of two families of the asymptotics, on the surface (A_4).

Thus, we have proved the following result:

Theorem. Let the net of lines (ω^1, ω^2)–that belongs to the two-dimensional surface V_2 in the four-dimensional extended affine space $\overline{\mathrm{A}}_4 = \mathrm{A}_4 \bigcup \mathrm{A}_3^*$– is conjugated and geodesic. Then the vertexes of the moving frame R, that are attached to the surface according to a certain rule, describe two families of asymptotical lines to the represented surfaces in the improper hyperplane.

მათემატიკური ფიზიკა

მოძრაობის განტოლება ბლანტი დრეკადობის სამგანზომილებიანი წილადური მოდელისათვის

თეიმურაზ სურგულაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
teimuraz.surguladze@atsu.edu.ge

ბოლო 4 ათეული წლის განმავლობაში წილადური რიგის დიფერენციალური განტოლებები და აბელის ტიპის ინტეგრალური განტოლებები განიხილებიან როგორც ძალზედ მნიშვნელოვანი და სასარგებლო საშუალებები სხვადასხვა პროცესების მემკვიდრეობითი და დამახსოვრებადი თვისებების შესასწავლად. ზოგიერთ შემთხვევაში მათ მივყავართ უფრო ადეკვატურ მოდელებამდე, ვიდრე მოდელები, რომლებიც ეფუძვნება მთელი რიგის წარმოებულებს. ძირითადი ყურადღება გამახვილებული იქნა ისეთი მოდელების შესწავლისადმი, რომლებიც ეფუძვნება დიფუზიურ-ტალღურ წილადურ დიფერენციალურ განტოლებებს. ასეთი განტოლებები წარმატებით იქნა გამოყენებული სხდასხვა მოვლენების მოდელირებისათვის. მაგალითად, ბლანტი დრეკადი მასალების ყოფაქცევის შესასწავლად, დიფუზიური პროცესების შესასწავლად ისეთ ფოროვან არეებში, რომლებიც ჩნდებიან ფრაქტალურ გეომეტრიაში, თეთრი ხმაურის მოდელირებისათვის და ა.შ. მოცემულ ნაშრომში შეისწავლება მოძრაობის განტოლება ბლანტი დრეკადობის სამგანზომილებიანი წილადური მოდელისათვის, როცა განმსაზღვრელი თანაფარდობები შეიცავენ წილადური რიგის წარმოებულებს რიმან-ლიუვილის აზრით. ნაჩვენებია მიღებული მოძრაობის განტოლებების ჰიპერბოლურობა.

საკვანძო სიტყვები: *ბლანტი დრეკადობა, წილადური რიგის წარმოებული, განტოლების ჰიპერბოლურობა*

შესავალი. წინასწარ შემოვიღოთ რამოდენიმე განსაზღვრება, რომელთაც ჩვენ გამოვიყენებთ სტატიაში.

განსაზღვრება 1: ვთქვათ $P\left(\frac{\partial}{\partial t},\frac{\partial}{\partial x}\right)$ რაიმე დიფერენციალური ოპერატორია, მუდმივკოეფიციენტებიანი ან ცვლადკოეფიციენტებიანი, წრფივი ან არაწრფივი, აქ x შეიძლება იყოს როგოც ერთგანზომილებიანი ასევე ნებისმიერი სასრულგანზომილებიანი. ფუნქციას $\mathrm{E}(t,x)$ ეწოდება

$P\left(\frac{\partial}{\partial t},\frac{\partial}{\partial x}\right)$ ოპერატორის ფუნდამენტური ამონახსენი თუკი იგი აკმაყოფილებს განტოლებას

$$P\left(\frac{\partial}{\partial t},\frac{\partial}{\partial x}\right)\mathrm{E}(t,x)=\delta(t)\delta(x) \quad (1)$$

სადაც δ დირაკის ფუნქციაა.

